




# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



№ 19

2025

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies



# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



# 19

Tbilisi 2025 თბილისი

**სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:**

გელა გამყრელიძე (მთ. რედაქტორი).

მარინე კვაჭაძე, ვახტანგ შატბერაშვილი,  
დევიდ ბრაუნდი, მაია ჩარკვიანი, გურამ კვირკველია,  
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,  
ნინო ლორთქიფანიძე, ბიძინა მურვანიძე.

\*\*\*

**EDITORIAL & REVIEWERS BOARD:**

Gela Gamkrelidze (*Editor-in-Chief*).

Marine Kvatchadze, Vakhtang Shatberashvili,  
David Braund, Maia Charkviani, Guram Kvirkvelia,  
Nino Lordkipanidze, Goderdzi Narimanishvili,  
David Mindorashvili, Bidzina Murvanidze.

\*\*\*

**See the web site:**

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-journal-iberia-kolxeti.html>

<https://georgiannationalmuseum.academia.edu/GelaGamkrelidze>

\*\*\*

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.

\*\*\*

**Address: Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.**

**A. Purtseladze Str., #1, Tbilisi, 0105. GEORGIA.**

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ჟურ. იბერია-კოლხეთი, №19, 2025.

ISSN 1512-4207.

UDC 94(479.22)+902.ი.3.

*სამეცნიერო ჟურნალის საიუბილეო ნომერი (№19)  
ექვნიება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,  
პროფ. დარეჯან კაჭარავას.*

**\*\*\***

***THIS JUBILEE ISSUE OF THE SCIENTIFIC JOURNAL IS DEDICATED TO  
Prof. DAREJAN KACHARAVA.***

## - შინაარსი -

<b>ღარეჯან კაჭარავას შესახებ.</b> -----	5.
<b>ღარეჯან კაჭარავას ნაშრომების ბიბლიოგრაფია.</b> -----	9.
<b>ბრინჯაოს ნანარკი ვანის ნაქალაქარიდან (შესწავლის ისტორია).</b> ღარეჯან კაჭარავა.-----	15.
<b>ვანში აღმორჩენილი ოქროს წრიული გარსაკრავის სტილისტური და ქრონოლოგიური კუთვნილებისთვის.</b> ნინო ქობალია. -----	41.
<b>მათარა სოფელ სალომინოდან (ვანის მუნიციპალიტეტი).</b> სულხან ხარაბაძე.--	47.
<b>1986-1987 წლებში ვანის ნაქალაქარზე აღმორჩენილი ორი სამარხი.</b> გურამ კვიციანი.-----	53.
<b>ქველი ვანი და მისი შემოგარენი ქვ. I ს-ის შუა წლებიდან - ახ.წ. IV ს-მდე</b> დიმიტრი ახვლედიანი, მაია ჩარკვიანი, სულხან ხარაბაძე.-----	71.
<b>საქართველოში აღმორჩენილი გლიპტიკური ქებლები დიონისეს გამოსახულებით.</b> ქეთევან რ. რამიშვილი.-----	82.
<b>ბრინჯაოს ჭურჭელი ნამარნუდან.</b> რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე.-----	103.
<b>ბრინჯაოსა და თიხის ყურმილიანი ხელალები მთის რაჭიდან.</b> ლერი ჯიბლაძე, ნინო ქობალია, გელა გობეჯიშვილი.-----	116.
<b>ბერძნულ-რომაული წარმოშობის ჭრილა ქვები ქართლის სამეფოს გვიანრომაული სამაროვნებიდან (ტიქე-ფორტუნა).</b> თემურ ბიბილური.-----	122.
<b>რომაული სანიგერატორო მონეტების სამკაულად გამოყენების შესახებ.</b> მედეა შეროზია.-----	130.
<b>ქართული ეკლესიების დღემდე უცნობი ელემენტები.</b> ნოდარ ბახტაძე.-----	140.
<b>ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნზე აღმორჩენილი ქსოვილის სახეობები (პალინოლოგიური კვლევის მიხედვით).</b> მაია ჭიჭინაძე, ელისო ყვავაძე, თამარ შალიკაძე, მირანდა თურმანიძე, ნინო ძნელაძე, იზოლდა დუმბაძე.-----	156.
<b>არქეოლოგია და საქართველოში აღმორჩენილი არამეობრაფიკული ნარნარები.</b> იულონ გაგოშიძე, დავით გაგოშიძე.-----	163.
<b>შარბას ვიტიანის არამეობრაფიკული ნარნარა.</b> ბექა ჭიჭინაძე.-----	174.
***	
<b>SUMMARIES.</b> -----	195.
<b>Abbreviations.</b> -----	203.
<b>ინფორმაცია ავტორებისთვის.</b> -----	204.



### **დარეჯან კაჭარავა**

თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც ქართულ არქეოლოგიას ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურება ყველასთვის საყვარელი და სათნო ადამიანი, ქალბატონი დარეჯან კაჭარავა. იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს არა მხოლოდ მეგობრების და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენ საზოგადოებაში.

ქ-ნი დარეჯანი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი (2002 წლიდან დღემდე), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ნევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კონსერვატორი. ქ-ნმა დარეჯანმა მეცნიერული წრეგანა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტ-მკვლევარის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით გაიარა.

ქ-ნი დარეჯანი დაიბადა 1945 წლის 3 ივლისს, თბილისში, ცნობილი მეცნიერ გეოლოგების ოჯახში. სწავლობდა და დაამთავრა №54-ე საშუალო სკოლა. 1962-1967 წ.წ.-ში მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მალევე იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა. ამ დროიდან მოყოლებული, უმცროსიდან მთავარ მეცნიერ თანამშრომლამდე ყველა საფეხური გაიარა და დღემდე წარმატებით მოღვაწეობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, რომელიც სადღეისოდ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია.

1972 წელს დარეჯან კაჭარავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „*ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნამოსახლარის ქრონოლოგიისა და ტოპოგრაფიისთვის*“. ხოლო 1998 წელს მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა — „*ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია: ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის პრობლემები*.“

ნაყოფიერი და მრავალმხრივია ქ-ნ დარეჯანის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ). ესენია მონოგრაფიები, სტატიები, გათხრების ანგარიშები, თეზისები, რეცენზიები. მისი კალამი შეეხო ისეთ პრობლემებს, როგორცაა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია; კოლხეთის ურთიერთობა

ანტიკურ სამყაროსთან; კერამიკა და ბრინჯაოს ნაწარმი კოლხეთიდან; უცხოური ნაწარმი კოლხეთიდან; ვანის სამარხების პუბლიკაცია, თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის სკრუპულოზურ ანალიზზე. ქ-ნი დარეჯანის სამეცნიერო ნაშრომებში მკაფიოდ იკვეთება ღრმა განსწავლულობა და მაღალი პროფესიონალიზმი, არქეოლოგიური ძეგლების სისტემური ანალიზის ტექნიკა და ისტორიული განზოგადების უნარი.



ქ-ნი დარეჯანის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან ვანის ნაქალაქარზე მიიღო, მონაწილეობდა აგრეთვე *ბიჭვინთის*, *ოჩამჩირის*, *სოხუმის*, *ქუთაისის*, *ანაკლიის* გათხრებში. 1967 წლიდან, მისი საველე-არქეოლოგიური საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა ვანის ნაქალაქარს და მის ბრწყინვალე აღმოჩენებს. ქ-ნი დარეჯანი წლების მანძილზე, მისი მასწავლებლის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდა და თანაზიარი იყო იმ დიდი აღმოჩენისა, რამაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ვანის ნაქალაქარს.



ქ-ნი დარეჯანი იღბლიანი და შესანიშნავი საველე გამთხრელი არქეოლოგია. მის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ხშირად მნიშვნელოვანი შედეგებით

აღინიშნებოდა, რამაც გაამდიდრა საქართველოს არქეოლოგია საინტერესო არტეფაქტებით, რომლებიც ამჟამად განთავსებულია ეროვნოლი მუზეუმის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენებზე.

ქ-ნი დარეჯანი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს — „... ეს დიდი აღმოჩენების პერიოდია. 2002-2005 წ-ში გერდა ჰენკელის სახელობის გერმანული ფონდის გრანტით რვა უბანი გავთხარეთ. ... ისე მოხდა, რომ 2002 წლიდან მე დამნიშნეს ექსპედიციის ხელმძღვანელად. ამიტომ მეუბნებოდნენ, ზოგიერთი არქეოლოგი ერთ დიდ აღმოჩენას თუ მოესწრება, შენ კი როგორ გიმართლებსო. პირველ რიგში, აღსანიშნავია სამარხების წყება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისეთივე საეტაპო ძეგლებია, როგორც იყო 1969 წელს გათხრილი წარჩინებული კოლხი ქალის, მეომრისა და ბავშვის სამარხები. 1969 წლის ამ აღმოჩენებმა რეალური საფუძველი შეუქმნეს მითს „კოლხეთის ოქრომრავლობის შესახებ“, 2000-იანი წლების აღმოჩენებმა კი ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, ასევე დადასტურდა ქვეყანაში ვერცხლის სიმრავლეც. დამტკიცდა ყველა ის ნიშანიც, რითაც კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები განსხვავდება თანადროული აქემენიდურ-სპარსული თუ ბერძნული საიუველირო ხელოვნების ნიმუშებისგან. ამავე დროს, გამოვლინდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულის ახალი სახეობები. მოხერხდა ადრე გაურკვეველი ნივთების რაობის დადგენაც. ამ უახლესი აღმოჩენების გვირგვინი იყო ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი, ჩაფლული ქალაქის დანგრევის შემდეგ (ძვ.წ. პირველი საუკუნის შუახანებში). საერთოდ, იშვიათია, ასე კარგად შემორჩენილი რკინის ნივთები. განძი კი ასობით ისრის პირს, ორ კანდელაბრსა და ერთ სადგამს შეიცავს“. (ინტერვიუ ჩაინერა — თ. ბაბუაძემ).



ქ-ნმა დარეჯანმა მონაწილეობა მიიღო და სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხა სხვადასხვა კონფერენციებზე თუ სიმპოზიუმებზე. იგი ხელმძღვანელობს ასპირანტებს, მაგისტრანტებს და დოქტორანტებს. არის 20-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.



განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქ-ნმა დარეჯანმა მონოგრაფიულად შეისწავლა შავიზღვისპირეთის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაციის საკითხები (იხ. *Города и поселения Причерноморья античной эпохи*, Тб, 1991, 645 სტ. თანაავტორი გ. კვიციანი). ამ ენციკლოპედიური ხასიათის შემაჯამებელ ნაშრომში, არსებული წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალის კვლევის საფუძველზე, კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში, ბერძნული კოლონიზაციის ისტორიაა შესწავლილი სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად, რაც ჯამში საშუალებას იძლევა ამ საკითხებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ქრონოლოგიაში დავაკვირდეთ.

საყურადღებოა ქ-ნი დარეჯანის ძალისხმევა არქეოლოგიური ლექსიკონების შექმნის მიმართულებით. უკვე წლებია, რაც ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ლექსიკონზე მიმდინარეობს მუშაობა. რაც თანამედროვე დონის შესაბამისი, ამომწურავი ქართულენოვანი არქეოლოგიური ინფორმაციის შემცველი ნაშრომის, ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარის შექმნით უნდა დასრულდეს. ამ იდეის ავტორი და ხელმძღვანელი ქ-ნი დარეჯანის მასწავლებელი აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე იყო. ამჟამად ამ საშურ საქმეს, ბატონი ოთარის გარდაცვალების შემდეგ, ქ-ნი დარეჯანი წარმატებით უძღვება.

ფრიად მნიშვნელოვანია ასევე ქ-ნი დარეჯანის ის ნაშრომების ციკლი, რომლებიც ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური არტეფაქტების ინტერპრეტაციას ეხება. მათში განხილული და შესწავლილია ვანში აღმოჩენილი კერამიკის, მინის, ტორევიტიკის ნიმუშები, გამოსახულებათა იკონოგრაფიის საკითხები და სხვ.

ქ-ნი დარეჯანის სამეცნიერო საქმიანობა ყურადღებას იმსახურებს, როგორც ახალი ხედვისა და სამომავლო საკვლევი პერსპექტივების დასახვის კუთხით, ასევე არქეოლოგიური არტეფაქტების მაღალპროფესიულ დონეზე შესწავლისა და ინტერპრეტაციის მიმართულებით.

ქ-ნი დარეჯანის სამეცნიერო პუბლიკაციები უცხოეთში ხელს უწყობს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირებას მსოფლიოს თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში და, ამავედროულად, უცხოელი მკვლევარების დაინტერესების ხელშეწყობას საქართველოს ანტიკური პერიოდის თემატიკით. ამ პერიოდის კვლევისას ქ-ნი დარეჯანის ინტერპრეტაციები და დასკვნები მყარ მეცნიერულ არგუმენტაციას ეფუძნება.

შთამბეჭდავია ქ-ნი დარეჯანის მიერ განვლილი სამეცნიერო და საველე-არქეოლოგიური საქმიანობის გზა. რამაც განაპირობა კიდევაც პროფ. დარეჯან კაჭარავას მოღვაწეობის ჩვენთან და უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც ფართო აღიარება.

**ჟურნალის სარედაქციო საბჭოს და კოლეგების სახელით — გელა გამყრელიძე.**

\*\*\*



დარეჯან კაჭარავას  
ნაშრომების ბიბლიოგრაფია:

ნიგნები:

**Города и поселения Причерноморья античной эпохи**, Тбилиси, 1991, изд. *Мецниереба*, 645 с. (соавтор).

**Autour de la mer Noire.** - Hommage de Otar Lordkipanidzé, Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité, *Université de Franche-Comté*, Besançon, 2002, 148 pag. (co-author).

**Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani.** *Princeton University Press*, New York, 2008, 216 pag. (co-author).

**Two Cemeteries at Takhtidziri (Georgia):** Late Achaemenid–Early Hellenistic and Late Hellenistic–Early Roman, *Archaeopress Archaeology*, Oxford, 2022, 302 pag., 582 fig., 1 tab. (co-author).

სტატიები:

1971. ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნაქალაქარის (Γυησός) ქრონოლოგიისა და ტოპოგრაფიისთვის. – საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის *მოამბე*, ტ. 62, №3, გამომ. *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 753-756.

Город Гиэнос в античную эпоху. – Тезисы докладов посвящённых итогам полевых археологических исследований в 1970 г. (Дополнительный выпуск), изд. *Мецниереба*, Тб., с. 34-38.

1972. Город Гиэнос в античную эпоху. – Автореферат диссертации канд. ист. наук, изд. *Мецниереба*, Тб., 33 с.

1973. ძვ.წ. VI-IV სს. კოლხური კერამიკის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის ძირითადი პრინციპები. – ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წ., სამეცნიერო სესიის თეზისები და ბიბლიოგრაფია, *მეცნიერება*, თბ., გვ. 18-20. (თანაავტორი).

1974. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. - საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., *მეცნიერება*, თბ., გვ. 45-52, ტაბ. VII-XI. (თანაავტორი).

Итоги работ Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1973 году, *Мецниереба*, Тб., с. 35-41. (соавтор).

1976. Итоги работ Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1974 г., *Мецниереба*, Тб., с. 41-49. (соавтор).

1977. St.Valentin-ის ჯგუფის კერამიკა ვანიდან. – კრებ. *ვანი*, არქეოლოგიური გათხრები (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. III, *მეცნიერება*, თბ., გვ. 115-118, სურ. 113.

Некоторые вопросы истории Гиэноса (В связи с проблемой греческой колонизации Колхиды). – Материалы симпозиума по проблемам греческой колонизации и структуре раннеантичных государств Северного и восточного Причерноморья (тезисы докладов и сообщений), Тб., *Мецниереба*, с. 29-30.

Керамика Колхиды VI-IV вв. до н. э. - Краткие сообщения Института археологии, *Наука*, вып. 151. Мос., 1977, с. 77-80. (соавтор).

1978. პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემა საზღვარგარეთულ არქეოლოგიაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. I, *მეცნიერება*, თბ., გვ. 128-132.

Итоги работ Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1975 году, *Мецниереба*, Тб., с. 64-75, таб. XXXVIII-XLVIII. (соавтор).

1979. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი. – კრებ. ვანი, არქეოლოგიური გათხრები (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. IV, *მეცნიერება*, თბ., გვ. 41-114, სურ. 1-216. (თანაავტორი).  
 არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). – კრებ. ვანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. IV, *მეცნიერება*, თბ., გვ. 7-37, სურ. 1-182. (თანაავტორი).  
 Некоторые вопросы истории Гиэноса (В связи с проблемой греческой колонизации). – Проблемы греческой колонизации северного и восточного Причерноморья, материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья, *Мецниереба*, с. 304-310.  
 Итоги работ Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1976 году, *Мецниереба*, Тб., с. 137-149, таб. LVI-LX. (соавтор).
1980. Работы Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1977 году, *Мецниереба*, Тбилиси, с. 146-155, таб. LXXI-LXXIII. (соавтор).
1981. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანდან (ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი). – კრებ. ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. V, *მეცნიერება*, თბ., 109 გვ, 38 ტაბ. (თანაავტორი).  
 Ванская археологическая экспедиция. – Полевые археологические исследования в 1978 году, *Мецниереба*, Тб., с. 111-119, таб. LIV-LX. (соавтор).
1982. Работы Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1980 году, *Мецниереба*, Тб., с. 40-44, таб. LXV-LXIX. (соавтор).
1983. ბრინჯაოს ქანდაკებები ვანდან. – ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, № 63, საბჭ. საქართველო, თბ., გვ. 33-34.  
 ანტიკური იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში. მოხატული, შავლაკიანი და სადა კერამიკა. – კრებ. ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. VII, თბ., გვ. 26-51, ტაბ. 11-21.
1984. ოჩამჩირის ნაქალაქარი. – ქართული საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., გვ. 621.  
 Archaeological investigations on the eastern Black Sea littoral, 1970-1980. – *Archaeological Reports*, 30, *Cambige University Press*, London, pp. 98-101.  
 Ванская археологическая экспедиция. – Полевые археологические исследования в 1981 году, *Мецниереба*, Тб., с. 50-53, таб. LXV-LXXI. (соавтор).
1985. Работы Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1982 году, *Мецниереба*, Тб., с. 46-49, таб. LXX-LXXIV. (соавтор).
1986. ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – კრებ. ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VIII, თბ., გვ. 9-33, სურ. 1-17 (თანაავტორი).  
 Итоги работ Ванской археологической экспедиции. – Полевые археологические исследования в 1983 г., *Мецниереба*, Тб., с. 37-40, таб. LXIX-LXXIV. (соавтор).
1987. Georgian archaeological literature in 1976-1986. – *Dialogues d'histoire ancienne*, №13, *Presses universitaire de Franche-Comté*, Paris, pp.275-312. (co-author).  
 Работы Ванской экспедиции. – Полевые археологические исследования в 1984-1985 гг., *Мецниереба*, Тб., с. 51-55, таб. XCIX-CV. (соавтор).
1990. L'importation de céramique peinte et de céramique noire lustrée à Vani (VI<sup>e</sup>-IV<sup>e</sup> siècles). - Le Pont-Euxin vu par les Grecs : sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide), septembre-octobre 1987, *Presses universitaires de Franche-Comté*, paris, pp. 275-288.  
 Привозная расписная и чернолоковая керамика VI-IV вв. до н. э. – Причерноморье в VIII-VII вв. до н. э. Письменные источники и археология, материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья, Тб., *Мецниереба*, с. 309-315.

1991. The town of Phasis as described in Graeco-Roman and Byzantine literary sources. Preprinter, Tbilisi, 14 pages.  
Archaeology in Georgia 1980-1990 (Post-Prehistoric to Pre-Mediaeval). - Archaeological Reports, 37, *The Society for the Promotion of Hellenic Studies*, London, 1991, pp. 79-86.
1994. შავი ზღვა – ბერძნულ სამყაროსთან საკონტაქტო ზონა. – სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თეზისები, თბ., გვ. 30.  
Graeek imports of Archaic and Classical times in Colchis. – *Europa Indoeuropea. Atti del VI Congresso Internazionale di Tracologia e del VII Symposium Internazionale di Studi Tracii. Nagard, Roma*, pp. 95-101.
1995. Graeek imports of Archaic and Classical times in Colchis. – *Archäologischer Anzeiger*, heft 1, Walter De Gruyter, Berlin, pp. 63-73.
1996. ვანი, არქეოლოგიური გათხრები (ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: 1850-1995), (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), IX, *საქართველოს მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბ., 123 გვ., 50 სურ. (თანაავტორი).
1997. The Graeco-Kolkhian Trade Connections in the 7<sup>th</sup>-4<sup>th</sup> Centuries B.C. - Proceedings of the First International Conference on the Archaeology and History of the Black Sea. - McGill University Monographs in Classical Archaeology and History, v. 19, Brill, Amsterdam, pp.137-146.
1998. ძვ.წ. VIII-VI სს-ის ბერძნული კოლონიზაცია: ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის პრობლემები. – ავტორეფერატი ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, *მეცნიერება*, თბ., 98 გვ.
1999. ფისის მოლესილობის ნაშთები არქაულ ბერძნულ ამფორებზე სიმაგრის ნამოსახლარიდან. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. – შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX სიმპოზიუმი (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), *ჟურ. ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), დამატებანი I, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბ., გვ. 9. (თანაავტორი).  
*L'île Leukè. - Religions du Pont-Euxin. Actes du VIIIe Symposium de Vani (Colchide)*, 1997. - Collection de l'Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité, *Persée-Portail des revues scientifiques en SHS*, Besançon, pp. 61-64.  
Les contacts entre les Grecs et les populations locales de la mer Noire. Chronologie et typologie - La mer Noire, zone de contacts. Actes du VII<sup>e</sup> Symposium de Vani (Colchide) - 1994, *Presses Univeristaires Franc-Comtoises*, Besançon, pp. 65-100.
2001. წითელფიგურული კერამიკა სიმაგრის ნამოსახლარიდან. – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, *ჟურ. ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), დამატება IV, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბ., გვ. 48-52.
2002. Πθις Ἐλληγυις შავიზღვისპირეთში არქაულსა და ადრეკლასიკურ ხანაში. – ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: *πθις Ἐλληγυις* და *πθις βάρβρογ*. - შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბ., გვ. 22-23.  
Traces de poissage sur des amphores archaiques de Simagre(Colchide). – Pont-Euxin et commerce, La genèse de la „route de la soie“. Actes du IX<sup>e</sup> Symposium de Vani (Colchide) - 1999, *Presses Universitaires Franc-Comtoises*, Paris, pp. 219-225. (co-author).
2004. კუნძული ლევკე. – კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული, 11, *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომც. მემატრიანე*, თბ., გვ. 200-215.

- ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), *არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბ., გვ. 81-93, ტაბ. CXLIX-CLVIII. (თანაავტორი).
- A Bronze Figurine from Vani. - *Journal of Georgian Archaeology*, №1, Tbilisi, pp. 225-226.
- A rich grave from the Vani site, - *Phasis, Greek and Roman Studies*, vol. 7, *programa "logosi"*, 2014, Tbilisi, pp. 117-127.
2005. Recent finds at Vani. - *Dialogues d'histoire ancienne*, Supplement 1, *Presses universitaire de Franche-Comté*, Paris, pp. 291- 309.
- Polis hellenis in the Black Sea area archaic end Classical periods. – *Pont-Euxin et polis. Actes du IX<sup>e</sup> Symposium de Vani – 2002*, *Presses Unuversitaires Franc-Comtoises*, Paris, pp. 9-31.
- Vani in the 4<sup>th</sup> and first half of the 3<sup>rd</sup> century BC – შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი, (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), *არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბ., გვ. 61-62. (თანაავტორი).
2006. ვერცხლის ჩამჩა ვანიდან. – *შოთა მესხია 90*, საიუბილეო კრებული, თბ. გვ. 351-364.
- Новые археологические открытия на верхней террасе Ванского городища. - *Археология Кавказа*, №1, *Национальный музей Грузии*, Тбилиси, сс. 179-182.
2007. ვანი ძვ. წ. IV ს-სა და III ს-ის პირველ ნახევარში. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (საქ. კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (რედ. გ. გამყრელიძე), № 3, თბ., გვ. 57-62, 153-167. (თანაავტორი).
2008. ტვიფრ-საბეჭდავი ვანის № 24 სამარხიდან. – გამოჩენილი ქართველი ომანისტი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, *აღმოსავლეთისა და კავკასიის კვლევის ცენტრის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა*, თბ., გვ. 174-177.
- The archaeology of Vani. - *Wine, Worship and Sacrifice* (Ed. J. Y. Chi), *Princeton University Press*, New York, pp. 50-79. (co-author).
- Religious ritual: bronze and iron figurines from Vani. - *Wine, Worship and Sacrifice* (Ed. J. Y. Chi), *Princeton University Press*, New York, 2008, pp. 97-112. (co-author).
- Viticulture and Dionysos in Hellenistic Vani. - *Wine, worship and sacrifice* (Ed. J. Y. Chi), *Princeton University Press*, New York, pp. 112-125. (co-author).
- The golden graves of ancient Vani. - *Wine, Worship and Sacrifice* (Ed. J. Y. Chi), *Princeton University Press*, New York, 2008, pp. 126-205. (co-author).
- Recent Archaeological Finds on the Upper Terrace of the Vani Site. - *Ancient Civilizations from Scythia to Siberia* (An International Journal of Comparative Studies in History and Archaeology, Editor-in-Chief Askold Ivantchik), Brill, v. 14: Issue 3-4, pp. 237-315. (co-author).
- Archeological excavations at Vani, 2002: A preliminary report. – *Archaeology in southern Caucasus: perspectives from Georgia*. – *Ancient near eastern studies*, supplement 19, *Peeters Publishers*, Paris, pp. 408-439. (co-author).
2009. Kolchis under antiken, - *Medea från Georgien*, *Historiska utblickar*, eds. Kristian Goransson and Suzanne Unge Sörling, Stockholm, 2009, pp. 15-31.
- Sinope and Colchis – Sinope. The results of fifteen years of research, Abstracts. Sinop, p. 17 . (co-author).

2010. ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – ჟურ. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, №19, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 33-45. (თანაავტორი).  
New archaeobotanical data from the land of Golden Fleece – Ancient Colchis (Western Georgia, Caucasus). - Abstract of 15<sup>th</sup> Symposium of IWGE, Wilhelmshaven, Germany, p. 24. (co-author).  
Environment and agriculture of ancient Vani (Western Georgia) according to archaeobotanical and palynological data. - Abstract of 15<sup>th</sup> Simpozium of IWGE, Wilhelmshaven, Germany, p.55.  
Ancient Vani and its environs in the first millennium BC - questions of the exploration of the territory. – News of ancient Colchis, Archaeological, palaeobotanical and historical research, Georgian and Swiss cooperation, *Buneba Print Publishing*, Tbilisi, pp. 35-40.
2011. დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV -III საუკუნეებში. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორ. კვლევანი, რედ. გ. გამყრელიძე), №7, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 22-46. (თანაავტორი).
2012. ვანის ნაქალაქარის 22-ე სამარხში მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დახასიათება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჟურ., *მაცნე*, № 4, გვ. 145-155. (თანაავტორი).
2013. მძივები ვანის ნაქალაქარის № 24 სამარხიდან. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (საქ. კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, რედ. გ. გამყრელიძე), №9, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 148-173. (თანაავტორი).
2014. საქართველოს არქეოლოგიის განახლებული გამოფენა. – ჟურ. *მუზეუმი*, №3, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 32-35. (თანაავტორი).
2015. Новые находки из Ванского городища. - С Митридата дует ветер, Боспор и Причерноморье в античности, К 70-летию В. Толстикова, Университет Дмитрия Пожарского, Мос. с. 247-253.
2016. ვანის № 1 და 2 სამლოცველოების გათხრების ანგარიში (2002-2005). - ჟურ. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში* (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი), №23, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 60-97. (თანაავტორი).  
ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, I ნაწილი (გაძარცვული სამარხები). – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), № 12, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 157-193. (თანაავტორი).  
ოქროს სამკაული ვანის № 22 სამარხიდან. – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXVI, *ქუთაისი*, 2016, გვ. 64-78.  
The Hoard from the City-Site of Vani. – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 10, № 2, თბ., გვ. 182-191. (თანაავტორი).
2018. ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (№22 სამარხი). – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №14, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., გვ. 5-63. (თანაავტორი).  
ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. – I კონფერენცია: ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა (პროგრამა და მასალები), თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., გვ. 45-46. (თანაავტორი).

- Novelties from the Vani City Site. Koinè et mobilité artisanale entre la Méditerranée et la mer Noire dans l'Antiquité. Hommage à Pierre Dupont à son 70e anniversaire. – Pontica LI, supplementum V, *Muzeul de Istorie Națională și Arheologie Constanța*, Constanța, pp. 191-219.
2019. ვერცხლის სამკაულის ერთი ჯგუფი ვანის სამარხებიდან. – არქეოლოგია (სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი), №2, ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტი, თბ., გვ. 37-51.  
Palynological evidence for the use of honey in funerary rites during the Classical Period at the Vani. - *Quaternary International (Journal of the International Union for Quaternary Research)*, v. 507, pp. 24-33.
2020. ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან (სამარხი №24). - ჟურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი), № 24, თბ., გვ. 6-122. (თანაავტორი).  
Gold jewellery from Kavtiskhevi. - *Wonders Lost and Found: A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers*, *Archaeopress*, Oxford, pp. 98-101.
2021. ბრინჯაოს ჭურჭელი ვანის №24 სამარხიდან. – კრებ. *კავკასიის არქეოლოგიის საკითხები, სიძველეთა შესწავლის ცენტრი – თრიალეთი*, თბ., გვ. 155-166.
2022. ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული გათხრების ანგარიში. - ჟურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი), №25, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა*, თბ., გვ. 5-63. (თანაავტორი).  
ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 2011-2012 წლების საველე კვლევა-ძიების ანგარიში. - ჟურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №25, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა*, თბ., გვ. 287-352. (თანაავტორი).

**ბიბლიოგრაფია შეადგინა — სულხან ხარაბაძემ.**



## ბრინჯაოს ნანარმი ვანის ნაქალაქარიდან შესწავლის ისტორია

დარეჯან კაჭარავა

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრინჯაოს კოლექცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ამავე დროს მრავალფეროვანი მასალით არის წარმოდგენილი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, რაოდენობრივადაც და სახეობრივადაც ბევრად ჩამოუვარდება აქვე აღმოჩენილ თიხის ნანარმს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი ინფორმაცია ვანში ბრინჯაოს ნივთების შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ ჯერ კიდევ 1880 წლის 18 ნოემბერს თბილისში გამართული მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე გააჟღერა გიორგი წერეთელმა თავის მოხსენებაში რიონის ყორღანების შესახებ [Церетели 1879: 333]. ბრინჯაოს ქანდაკებების ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარზე პირველმა ექვთიმე თაყაიშვილმა გამოავლინა. კერძოდ, 1896 წლის OAK-ში აღნიშნულია მის მიერ არნივის მცირე ზომის (მაქს. სიგრძე - 6,5 სმ, სიგანე - 3,5 სმ) ფიგურის აღმოჩენა საქვასიას ღელის ნაპირზე [OAK 1898: 109-110; ხოშტარია 1972: 84]. არნივი ყალიბშია ჩამოსხმული. ნ. მათიაშვილმა ეს ფიგურა გვიანელინისტური ხანით დაათარიღა, აღმოსავლურ-ბერძნულ სამყაროს დაუკავშირა და მიიჩნია ჭურჭლის შესამკობ დეტალად. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძვლად მან ჩათვალა ის გარემოება, რომ არნივის ზურგი დაუმუშავებელია, მთელი დანარჩენი სხეული კი დაფარულია ბუმბულით [მათიაშვილი 1977: 110-111] (სურ. 1).

აღსანიშნავია ბრინჯაოს დეტალი ჰესპერიდების ბალიდან მომავალი ჰერაკლეს გამოსახულებით. ის შემთხვევითი აღმოჩენების რიცხვს მიეკუთვნება, შეძენილია ადგილობრივი მოსახლისაგან. ჰერაკლეს მარცხენა ხელში კომბალი უჭირავს, მარჯვენაში - ვაშლები. ივარაუდება ამ დეტალის ადგილობრივ დამზადება; აღინიშნება მისი კავშირი აღმოსავლურ-ბერძნულ სამყაროსთან; ნ. მათიაშვილი მას მიიჩნევს ლისიპეს წვერებიანი ჰერაკლეს ქანდაკების ერთ-ერთ კოპიოდ და ათარიღებს ძვ.წ. I ს-ის დასასრულით -ახ.წ. II საუკუნით [მათიაშვილი 1973: 46-49; მათიაშვილი 1977: 111-113, სურ. 112; Матиашвили 1972: 270; Lordkipanidze 1990: 280-281, სურ. 3] (სურ. 2). შემთხვევითი აღმოჩენების ჯგუფს მიეკუთვნება მოკრივის ხელი (სურ. 3), აგრეთვე სატირის თავი (სურ. 4). ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი.

1960-იანი წლების დასაწყისის გათხრების დროს ვანის ნაქალაქარის I უბანზე შავი ფერის ნახშირნარევ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა გედის ფიგურა, ბრინჯაოსი, მცირე ზომის (სიმაღლე - 5 სმ, სიგანე - 2 სმ). რამდენადაც მას ზურგზე გამჭოლი მანჭვალი აქვს, არ გამოირიცხება, რომ ის ბრინჯაოს ჭურჭლის (თუ რაღაც სხვა ნივთის) ნაწილია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გედის ეს ფიგურა აპოლონის კულტთან არის დაკავშირებული [ლორთქიფანიძე გ. 1972:138-139, სურ. 80.] (სურ. 5).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცენტრალურ ტერასაზე გათხრილ ე.წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში აღმოჩენილი დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი, რომლის ცალკეული ნაწილები დიდ ფართობზე იყო გაფანტული. დეფორმირებული მასის ქვეშ აღმოჩნდა ჭურჭლის სკულპტურული მორთულობის ცალკეული დეტალები - ბრინჯაოს არნივები (სურ 11-12), დიონისეს წრის ღვთაებათა (პანი, სატირი, არიადნე, მენადები) თავების ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება (სურ. 6-10) და ნიკეს ფიგურა [ხოშტარია და სხვ. 1972:175-185, სურ. 130-143] (სურ. 13). ამავე ტაძარში აღმოჩნდა ავეჯის (კლინეს?) ფეხების გარსაკრავები, აგრეთვე ფეხების დაბოლოებების სამკაული არნივისა თუ გრიფონის კლანჭების სახით, ექვსი ცალი [Kacharava et al. 2008: 112-125, სურ. 120, 8] (სურ.



14-18). მოზაიკურიატაკიან ტაძარშივე აღმოჩნდა რკინის სასაკმეველე, რომლის ბრინჯაოს გარსაკრავი შემკული იყო ჭედური ორნამენტით - ოვებითა და ე.წ. მარგალიტების რიგით, მცენარის ყლორტებით, კალიისა და ფრინველის, აგრეთვე ამურების გამოსახულებებით [ხოშტარია და სხვ. 1972: 177, სურ. 129] (სურ. 19).

ცენტრალურ ტერასაზე, ე.წ. 17-მეტრიანი კედლის აღმოსავლეთით, კრამიტყრილში, რომელიც ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება, აღმოჩნდა მცირე ზომის, დაახლოებით 18-20 სმ სიმაღლის ქალის ქანდაკების ნაწილი - ტერფი [ლორთქიფანიძე და სხვ. 1976: 26, სურ. 51] (სურ.20). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი საკულტო კომპლექსის ირგვლივ და მის ნანგრევებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებების ფრაგმენტები (ნაკვ. 81, კვ. h2). მათი რაოდენობა ათასამდე აღწევს. ისინი დაფიქსირებულია სწორკუთხა ბაქნის დასავლეთ კიდეებთან (ნაკვ. 81, კვ. h2), მის წინ დავარდნილ ქვიშაქვის ბლოკებს შორის და მათ ქვეშ (ნაკვ. 81, კვ. k4-5), საკურთხევლის საფეხურების ქვედა რიგებთან (ნაკვ. 82, კვ. a5-b5), აგრეთვე აღმოსავლეთ კიდეებთან გამოვლენილ კრამიტყრილში. ამ ფრაგმენტებს შორისაა ადამიანის მხრისა და მკლავის ნაწილები, მარცხენა ყური, კულულები, ცხოველის ფაფარს ჩაჭიდებული მარცხენა ხელის მტევანი, ადამიანის ხელის თითები, ტანსაცმლის დრაპირების ასამდე ნატეხი, ცხოველის ყურები და ჩლიქები, გველის სკულპტურული გამოსახულებები, მოოქრული ფირფიტები, ე.წ. ჩასართები [ფირცხალავა და სხვ. 1986: გვ. 52-78, სურ. 45-46; ლორთქიფანიძე და სხვ. 2004: 81-91, ტაბ. 151; Лордкипанидзе და სხვ. 1981: 117; Лордкипанидзе და სხვ. 1982: 42, ტაბ.XV; Лордкипанидзе და სხვ. 1987: 53, ტაბ.CIV] (სურ. 21-26).

ბრინჯაოს ქანდაკებები ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სხვა მონაკვეთებშიც დადასტურდა (კერძოდ, 102-103 და 117-119 ნაკვეთებში), თუმცა გაცილებით მცირე რაოდენობით. ესაა ბრინჯაოს ჭურჭლის შესამკობი მედალიონი - ქალის წელზედა გამოსახულება მტრედით გულმკერდთან. ეს მოტივი ფართოდაა გავრცელებული ანტიკური ხანის ხელოვნებაში. მტრედი ითვლება ქალღმერთ აფროდიტეს ერთ-ერთ ატრიბუტად [ჭყონია 1986: 110, სურ. 94; Лордкипанидзе და სხვ. 1979: 67, ტაბ. XIII] (სურ.27).

აღსანიშნავია ბრინჯაოს ბუნიკიც, ხარის თავის ფორმისა, რკინით (?) ინკრუსტირებული, აგრეთვე ნახვრეტებიანი ფირფიტები [ჭყონია 1986:110-111, სურ. 94; Лордкипанидзе და სხვ. 1985: 47, ტაბ. 70, 73). ხარის თავი მიჩნეულია რალაც ნივთის (ბუნიკის თუ კვერთხის თავის) დამაგვირგვინებელ ნაწილად [ჭყონია 1986:110-111, სურ. 94, 2] (სურ. 28). ბრინჯაოს ნატურალურზე მცირე ზომის ქანდაკების ფრაგმენტი, ტერფი, აღმოჩნდა ცენტრალური ტერასის ფერდობზე კლდეში გამოკვეთილი ნიშების კომპლექსთან მიმდებარე ნაკვეთზე [ლორთქიფანიძე და სხვ. 2004: 86, ტაბ. 156<sub>3</sub>] (სურ. 29).

ცენტრალურ ტერასაზე, გზის გასწვრივ გაჭრილ თხრილში გამოვლენილ იქნა ბრინჯაოს ქანდაკებების ნაწილები, მათ შორის - ქალის ხელები [Лордкипанидзе და სხვ. 1997: 68, 2; 69; Lordkipanidze 1995 (1996): 42, 353-401] (სურ. 30).

ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩენილი 18-20 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები, რომლებიც ძვ.წ. IV-III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება, დაკრძალვის რიტუალთან ჩანს დაკავშირებული [კაჭარავა 1983: 33-34; კაჭარავა და სხვ. 2007: 59; კვირკველია 2005: 187-188; კვირკველია 2011: 99-108, ტაბ. III; Лордкипанидзе და სხვ. 1984: 50-53, ტაბ. 70; Kacharava და სხვ. 2008: 96-112] (სურ. 31-32).

ცენტრალურ ტერასაზე, ქვიშაქვის ფილებით მოგებულ ბილიკთან გათხრილი კრამიტყრილის თავზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ნატურალური ზომის ქანდაკება, მამაკაცის ტორსი [Лордкипанидзе და სხვ. 1997: 70-76, ტაბ. 68-69; Lordkipanidze 1991: 189-191; Lordkipanidze 1995 (1996): 353-401). აღმოჩენილია აგრეთვე ნატურალური ზომის სხვა

ქანდაკეების ფრაგმენტები — ქუსლი, კისერი, თითები, თმების კულულები [ლორთქიფანიძე და სხვ. 2004: ტაბ. CLVI] (სურ. 22, 24, 33-35).

ბრინჯაოს ქანდაკეების ფრაგმენტებს შორის გამოიყო ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნა შეჯავშნული მხედრის ბრინჯაოს ქანდაკებას. მათ შორისაა: ცხენის ყურებისა და ჩლიქების ფრაგმენტები და კუდი, ანატომიური კირასის სამხრისა და მკერდსაფარის, კირასის ქვეშა ტუნიკის ქვედა კიდის, ფოჩებიანი ქობის ფრაგმენტები, პალმეტის გრავირებულ გამოსახულებიანი და სადა ზედაპირიანი ბრინჯაოს ჩასართები [გიგოლაშვილი და სხვ. 2012: 37-72; Gigolashvili და სხვ. 2010: 178-185; იხ. აგრეთვე ფირცხალავა და სხვ. 1986: 60-63, სურ. 43-46] (სურ. 36-39, 41). ნაქალაქარზე დადასტურებულია ნატურალურზე მცირე ზომის ქანდაკეების ფრაგმენტებიც, რომელთა შორისაა ქალის ფეხები (სურ. 30, 40, 42).

ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ხარის მცირე ზომის ფიგურა - დეკორატიული დანიშნულების [Лордкипаниძე და სხვ. 1985: 46-49, ტაბ.73]. დეკორატიული ფუნქციის მატარებელი ჩანს ლომის კიდევ უფრო მცირე ზომის ბრინჯაოს ფიგურაც (სურ. 43).

შემთხვევითი აღმოჩენების რიცხვს მიეკუთვნება მოკრივის ხელი (სურ. 3), ასევე თხის ფეხი (სურ. 46). აღსანიშნავია ბრინჯაოს მცირე ზომის სვეტის - colonette-ის - ფრაგმენტის აღმოჩენა. სავარაუდოდ, ის კანდელობის ნაწილს წარმოადგენს [ლორთქიფანიძე 2004: ტაბ. CLVI<sub>1</sub>] (სურ. 44). ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილია ბრინჯაოს ხელსაწყოც - დგუმის ნაწილი (სურ. 45).

ვანის ნაქალაქარზე ბრინჯაოს ნივთები ხშირად გვხვდება სამარხებში. თვით სამარხებიდან ერთი კი, კერძოდ სამარხი №5, ბრინჯაოს სარკოფაგში იყო გამართული [ხოშტარია 1972: 10] (სურ. 47).

სამარხეული ინვენტარიდან ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოს ჭურჭელი; კერძოდ, სიტულები, ენოხოები, პატერა და ფიალა №11 და №24 სამარხებიდან, სიტულები №2, №13 და №14 სამარხებიდან, ფიალები №6 სამარხიდან, დოქი №6 სამარხიდან, ლანგარი №9 სამარხიდან, სანურის ტარი №6 სამარხიდან, კანთაროსი გვიანელინისტური ხანის ფენიდან და სხვ. [ლორთქიფანიძე 1972: 208, 233-234, 238, სურ. 207-208, 224-225; მათიანი 1977: 101-103; გიგოლაშვილი 2003: 29-32, ტაბ. 1, 3; გიგოლაშვილი 2011: 63-72] (სურ. 48-57).

ვანის სამარხებში გამოვლენილია ბრინჯაოს სამკაულებიც. მათ შორისაა თავ-სამკაული (დიადემა), საკისრე რგოლები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, საკიდი [კაჭარავა და სხვ. 1986: 18-20, 29-30, სურ. 16]. ბრინჯაოს დიადემები, ოქროს ნიმუშების მსგავსად, რომბულფირფიტებიანი და გრეხილღეროიანია (სურ. 58-59). საყურეები მარტივი აგებულებისაა - წარმოადგენს ბრინჯაოს სადა რგოლზე წამოცმულ მძივს, ან გადაბმულ ბრინჯაოს რგოლებს (სურ. 60-61). ყელსაბამის საკიდი ერთადერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი. საკიდი ნაწვეტებული ფოთლის ფორმისაა (სურ. 62). სამაჯურების რამდენიმე სახეობა დასტურდება, რომელთა შორის სჭარბობს ზურგშედრეკილი ნიმუშები (სურ. 63-64). საგანგებოდაა შესწავლილი ბრინჯაოს გლიპტიკური ძეგლები, რომელთა შორისაა ხელში დასაჭერი საბეჭდავი, რკალგახსნილი ბეჭდების ტიპისა [ლორთქიფანიძე მ. 1975: 101-103, ტაბ. X<sub>49</sub>; ლორთქიფანიძე მ. 1976: 155-166; ჯავახიშვილი 2011: 121-130] (სურ. 65).

ვანში დადასტურებულია ტანსაცმლის სამკაულიც, დამზადებული ბრინჯაოსაგან (ბალთები, ღილები, ფიბულა, ქინძისთავები), თუმც მათი რაოდენობა მეტად მცირეა. ეს მასალა არ არის საგანგებოდ შესწავლილი (სურ. 66-69). ნაქალაქარზე ბრინჯაოს საბეჭდავიც არის აღმოჩენილი. ჯერჯერობით არც ისაა საგანგებოდ შესწავლილი (სურ. 70). ვანში ტუალეტთან დაკავშირებული ბრინჯაოს ნივთებიც გვხვდება. მათ შორისაა სარკეები, აღმოჩენილი №9 და №15 სამარხებში [თოლორდავა 1986: 85, სურ. 65<sub>2-3</sub>] (სურ.

71-72). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ბრინჯაოს კოვზებიც, ე.წ. coclearium-ები. კოვზები არ არის საგანგებოდ შესწავლილი (სურ. 73). აღმოჩენილია ჩამჩის და ხაპის? ფრაგმენტებიც, შემკული გედის თავებით. არც ისინი გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ვანში დასტურდება აგრეთვე ბრინჯაოს ზარაკები. მათ, როგორც ჩანს, დეკორატიულთან ერთად რელიგიური დატვირთვაც ჰქონდათ. ერთი მათგანი, შესაძლოა, ცხენისთვის იყო განკუთვნილი (შედარებით დიდი ზომის გამო) (სურ. 74).

სამარხეულ ინვენტარში (სამარხები №2, №9) და ძვ.წ. IV-III ს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებში გვხვდება ბრინჯაოს საბრძოლო აღჭურვილობაც და იარაღიც. აღჭურვილობიდან აღსანიშნავია საჯავშნე ფირფიტები, საბარკულები და სანვივეები (სურ. 75-76), აგრეთვე სამწახნაგა, მცირე მასრიანი, ნვერნამახული და დიდი ზომის ისრისპირები [ხოშტარია და სხვ. 1969: 211, სურ. 172-173; ლორთქიფანიძე გ. 1976: 179-183; ჭყონია 1986: 111] (სურ. 78). აღსანიშნავია ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ბრინჯაოს; კერძოდ, ლაგამი სამყუნნიანი საყბურებით და საშუბლე ფირფიტა №16 სამარხიდან. ეს უკანასკნელი ძალიან დაზიანებულია [კაჭარავა და სხვ. 1986: 23, ტაბ. 13, 5] (სურ. 79).

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია სარიტუალო ნივთებიც, დამზადებული ბრინჯაოსაგან, კერძოდ, სასაკმეველე ზედა ტერასის ერთ-ერთი სამლოცველოდან (სურ. 80). ყურადღებას იქცევს მცირე ზომის სწორკუთხა თხელი ფირფიტების, ე.წ. ჩასართების, აღმოჩენა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე. ისინი გამოყენებული იყო ბრინჯაოს სხმული ქანდაკების ზედაპირზე არსებული დეფექტების დასაფარავად [ფირცხალავა და სხვ. 1986: 62-63, სურ. 46<sup>4-5</sup>; გიგოლაშვილი და სხვ. 2008: 14-18] (სურ. 77). უნდა აღინიშნოს ბრინჯაოს სხვადასხვა ზომის ლურსმნების აღმოჩენის ფაქტებიც. მცირე ზომის ლურსმნები ხის ნივთების დეკორისათვის შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (სურ. 81, 82, 85). ნაქალაქარზე დადასტურებულია ბრინჯაოს ანჯამებიც (სურ. 83). ვანის ბრინჯაოს კოლექციაში შედის აგრეთვე ხელსაწყოები, მაგალითად, ე.წ. პატელა (სურ. 84). ინტერესს იწვევს სტრიგილების აღმოჩენის ფაქტიც, თუმცა მცირე რაოდენობით [თოლორდავა 1986: 86, სურ. 65<sup>2,4</sup>] (სურ. 86).

უკანასკნელი წლების აღმოჩენებს შორის გამორჩეულია ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი, აღმოჩენილი ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. ამ განძში შედის ბრინჯაოს ჭრაქები (ერთპატრუქიანიცა და მრავალპატრუქიანიც), კლინეს ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავები, სადგარები [ახვლედიანი 2008: 129; ახვლედიანი და სხვ. 2010: 33-45; ლორთქიფანიძე ნ. 2010: 21-24]. საგანგებო სტატია მიეძღვნა ექვსპატრუქიან ჭრაქს ამ განძიდან [ლორთქიფანიძე ნ. 2011: 47-53] (სურ. 87-91).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვანის განძში სარეცლის (კლინეს) ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავები და სხვა დეტალებიც დადასტურდა. აქვე უნდა ითქვას, რომ კლინეს ფეხების გარსაკრავის დეტალი, აღმოჩენილი ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, ე.წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში, თავდაპირველად მიჩნეულ იქნა სადგარად თუ თიმიატერიონად (ფუთურიძე 1986: ტაბ.29<sup>1,2</sup>; ფირცხალავა 2003: 87, ტაბ.IV). მოგვიანებით, ახალი აღმოჩენების წყალობით, მისი რეალური დანიშნულება დადგინდა (სურ. 93-94).

ნაქალაქარის ადრეული გათხრების მონაპოვარში შედის მცირე ზომის ბრინჯაოს ჭრაქი (სურ. 95). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებს შორის მონეტებიც გვხვდება [დუნდუა 1977: 119-152] (სურ. 96). აღსანიშნავია კიმბალების აღმოჩენის ფაქტიც (სურ. 98). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბერძნულწარწერიანი სტელის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი [Vinogradov 1997; Каухчишвили 1988: 248-263] (სურ. 99).

აღსანიშნავია, რომ ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გათხრილი სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელიც ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება, ბრინჯაოს მხოლოდ ერთი ნატეხი დადასტურდა: ესაა ცხოველის მცირე ზომის სკულპტურის ფრაგმენტი, კერძოდ, კუდი [მათიაშვილი 2013: 128, კატ. 922, ტაბ. XII, 922] (სურ. 97). არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ვანის მახლობლად, სოფელ სულორში აღმოჩენილი

ბრინჯაოს ცული, შემკული მხედრების გამოსახულებებით, რომელიც საგანგებოდაა შესწავლილი (სურ. 100).

რაც შეეხება ნუმისმატიკურ მონაცემებს, სამხრეთ პონტოსპირეთის ქალაქების სპილენძის მონეტების ინტენსიური ცირკულაცია ვანში იწყება მითრიდატეს ეპოქიდან. მათი ნაწილის ემისიის ცენტრად სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებია მიჩნეული, პირველ რიგში ამისოსი [დუნდუა 2005: 25-26].

ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს წარმოების ნაშთები: სამსხმელო ორმო და მასთან მიერთებული არხები, აგრეთვე ე.წ. წვეთები [გიგოლაშვილი 2008: 14-18, ტაბ. I-II].

### ბიბლიოგრაფია:

**ახვლედიანი 2008:** ახვლედიანი დ., განძი ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია), - *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №4, თბ., 2008.

**ახვლედიანი და სხვ. 2010:** ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., მათიაშვილი ნ., ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, - *ჟურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, №19, თბილისი, 2010.

**გიგოლაშვილი 2003:** გიგოლაშვილი ელ., სანურები დასავლეთ საქართველოდან (წითელი შუქურის, ფიჭვნარისა და ვანის სამარხებიდან), - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №1, თბ., 2003.

**გიგოლაშვილი 2011:** გიგოლაშვილი ელ., საქართველოში აღმოჩენილი პატერები, *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №7, თბ., 2011.

**გიგოლაშვილი და სხვ. 2008:** გიგოლაშვილი ელ., თოლორდავა ვ., ფირცხლავა მ., ბრინჯაოს ქანდაკება და ბრინჯაოს წარმოების ნაშთები ვანის ნაქალაქარზე, - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №4, თბ., 2008.

**გიგოლაშვილი და სხვ. 2012:** გიგოლაშვილი ელ., ფირცხლავა მ., შეჯავშნული მხედრის ბრინჯაოს ქანდაკების ნაშთები ვანის ნაქალაქარიდან, - *ჟურ. კადმოსი*, №4, თბ., 2012.

**დუნდუა 2005:** დუნდუა გ., ვანი და გარესამყარო ელინისტურ ხანაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, - შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში, თბ., 2005

**ვანი 1986:** კრებ. ვანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VIII, თბ.

**დუნდუა და სხვ. 1977:** დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ., მონეტები ვანიდან, - კრებ. ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. III, თბ., 1977.

**თოლორდავა 1986:** თოლორდავა ვ., ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრები), - ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. VIII, თბ., 1986.

**კაჭარავა 1983:** კაჭარავა დ., ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან, - ძმ, №63.

**კაჭარავა და სხვ. 1986:** კაჭარავა დ., მჭავანაძე ზ., ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, - ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. VIII, თბ.

**კაჭარავა და სხვ. 2007:** კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., კვირკველია გ., ვანი ძვ.წ. IV ს. და III ს-ის პირველ ნახევარში. *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №3, თბ.

**კვირკველია 2005:** კვირკველია გ., ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია), - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №2.

**კვირკველია 2011:** კვირკველია გ., ვანის ნაქალაქარზე გამოკვლეული ახალი ტაძარი, - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №7.

**ლორთქიფანიძე გ. 1972:** ლორთქიფანიძე გ., ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, - ვანი, ტ. I, თბ.

**ლორთქიფანიძე გ. 1976:** ლორთქიფანიძე გ., საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, - კრებ. ვანი, ტ. II, თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1975:** ლორთქიფანიძე მ., კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბ.

**ლორთქიფანიძე მ. 1976:** ლორთქიფანიძე მ., არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან (1969 წელს მოპოვებული მასალები), - ვანი, ტ. II, თბ.

**ლორთქიფანიძე ნ. 2010:** ლორთქიფანიძე ნ., ახლად აღმოჩენილი განძი ვანიდან და მისი შესწავლის პერსპექტივები. იკონოგრაფიული ინტერპრეტაცია. — კონფერენცია: საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე, მოხსენებათა თეზისები, თბ.

**ლორთქიფანიძე ნ. 2011:** ლორთქიფანიძე ნ., ბრინჯაოს ექვსპატრუქიანი ჭრაქი ვანიდან, - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №7, თბ.

**ლორთქიფანიძე 1972:** ლორთქიფანიძე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები), - კრებ. *ვანი*, ტ. I, თბ.

**ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან., - კრებ. *ვანი*, ტ. I, თბ. გვ.198-243.

**ლორთქიფანიძე და სხვ. 1976:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ლეჟავა გ., მათიაშვილი ნ., ჭყონია ა., მჭედლიშვილი ბ., 1970-71 წწ-ში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - კრებ. *ვანი*, ტ. II, თბ.

**ლორთქიფანიძე და სხვ. 2004:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., კვიციანი გ., თოლორდავა ვ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., მათიაშვილი ნ., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., ჭყონია ა., ლებანიძე ლ., ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია, - საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ.

**მათიაშვილი 1973:** მათიაშვილი ნ., ვანში აღმოჩენილი ჰერაკლეს გამოსახულებიანი მედალიონი, - *ძეგლის მეგობარი*, 33, თბ.

**მათიაშვილი 1977:** მათიაშვილი ნ., ლითონის ჭურჭელი, - კრებ. *ვანი*, ტ. III, თბ.

**მათიაშვილი 2013:** მათიაშვილი ნ., არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, - კრებ. *ვანი*, ტ. IX, თბ.

**ფირცხალავა და სხვ. 1986:** ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-81 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე), - კრებ. *ვანი*, ტ. VIII, თბ.

**ფირცხალავა 2003:** ფირცხალავა მ., საკრალური ინვენტარის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან, - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №1, თბ.

**ფუთურიძე 1986:** ფუთურიძე რ., ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური გათხრები, - *ვანი* VIII, თბ.

**ჭყონია 1986:** ჭყონია ან., არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვეთები 102-103, 117-119), - *ვანი*, ტ. VIII, თბ.

**ხოშტარია და სხვ. 1969:** ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ, ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, - *ვანი*, ტ. I, თბ.

**ხოშტარია და სხვ. 1972:** ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წ., - *ვანი*, ტ. I, თბ.

**ხოშტარია და 1972:** ხოშტარია ნ., ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, - *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), ტ. I, თბ.

**ჯავახიშვილი 2011:** ჯავახიშვილი ქ., ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, - *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, №7.

**Gigolashvili 2010:** Gigolashvili E., Pirtskhalava M., Remains of Bronze Equestrian Statue from Vani, - *journal IBERIA-COLCHIS* v. 6, Tb.

**Kacharava et al. 2008:** Kacharava D., Kvirvelia G., Viticulture and Dionysos in Hellenistic Vani, - *Wine, Worship and Sacrifice*, ed. J. Y. Chi, New York.

**Kacharava et al. 2008:** Kacharava D., Kvirvelia G., Religious ritual: bronze and iron figurines from Vani, - *Wine, Worship, and Sacrifice: the Golden Graves from Vani*, New York.

**Lordkipanidze 1990:** Lordkipanidze O., On the cult of Heracles in Colchis, - Mélanges Pierre Lévêque, Edités par Marie-Madaleine Mactoux et Evelyne Geny, Religion, 4, Paris.

**Lordkipanidze 1991:** Lordkipanidze O., Vani: An Ancient City of Colchis, - Greek, Roman and Byzantine Studies, v. 32, Summer 1991, N2.

**Lordkipanidze 1995 (1996):** Lordkipanidze O., Vani – Ein Antikes Religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (Kolchis). Sonderdruck aus Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums, Mainz, Jahrgang.

**Vinogradov 1997:** Vinogradov Ju. G., Pontische Studien. Kleine Schriften zur Geschichte und Epigraphik des Schwarzmeerraumes, Mainz.

**Каухчишвили 1988:** Каухчишвили Т., Греческая надпись на бронзовой плите из Вани, - Местные этнополитические объединения Причерноморья и VII-IV вв. до н. э., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1979:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Лежава Г., Матиашвили Н., Чкониа А., Толордава В., Качарава Д., Мицишвили М., Личели В., Гамкрелидзе Г., Кипиани Г., Пирцхалава М., Квирквелия Г., Гиголашвили Е., Итоги работ Ванской археологической экспедиции, – ПАИ в 1975 г., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1981:** Лордкипанидзе О., Матиашвили Н., Путуридзе Р., Чкониа А., Пирцхалава М., Толордава В., Качарава Д., Кипиани Г., Личели В., Ванская археологическая экспедиция, - ПАИ в 1978 г., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1982:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Матиашвили Н., Чкониа А., Толордава В., Качарава Д., Работы Ванской археологической экспедиции, - ПАИ в 1980 г., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1984:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Матиашвили Н., Чкониа А., Пирцхалава М., Качарава Д., Ванская археологическая экспедиция, – ПАИ в 1981 г., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1985:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Ахвледиани Д., Матиашвили Н., Чкониа А., Пирцхалава М. С., Качарава Д., Работы Ванской археологической экспедиции, – ПАИ в 1982 г., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1987:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Качарава Д., Пирцхалава М., Чкониа А. Матиашвили Н., Ахвледиани Д., Наридзе Г., Инаури Г., Работы Ванской экспедиции, - ПАИ в 1984-1985 гг., Тб.

**Лордкипанидзе и др. 1997:** Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Квирквелия Г., Толордава В., Пирцхалава М. С., Матиашвили Н., Гиголашвили Е., Ахвледиани Д., Инаури Г., Чкониа А., Работы Ванской экспедиции, – ПАИ в 1988 году, Тб.

**Матиашвили 1972:** Матиашвили Н., Бронзовый медальон с изображением Геракла из Вани, Тезисы докладов V съезда Одесского археологического общества, Одесса.

**ОАК 1898:** ОАК за 1896, СПб.

**Церетели 1879:** Церетели Г., Заметки о курганах и раскопках по Рионской долине. Пятый археологический съезд в Тифлисе. Протоколы Подготовительного комитета, Мос.



I



II



11



12



13



III



14



15



16



17




18

IV



19



20



21

V



22




23



24



25



26



28



27

VI



29




30



31



32



33



34

VII



35



36



37



38



39



40



41



42

VIII



43



44




45



46

IX



47



48



49



50



51

X



52




53



54



55



56



57





XI




58



59


XII



XIII



XIV



71



72




73



74



XV



XVI



XVII



XVIII



92



93



--



94

--



— —

95



XIX



## ჰანში აღმოჩენილი ოქროს წრიული გარსაკრავის სტილისტური და ქრონოლოგიური კუთვნილების შესახებ

ნინო ქობალია

ოქრომჭედლობის ნიმუშებს, როგორც საზოგადოების გემოვნების, რწმენა-წარმოდგენების და, შესაბამისად, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშანს, თავისი სტილითა და იკონოგრაფიული სახეებით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამა თუ იმ კულტურის მატერიალურ ძეგლებს შორის. მათ აქვთ პოტენციალი თავის თავში ასახონ ეპოქასა და სივრცეში მიმდინარე ის კომპლექსური პროცესები, რომელთა გამოვლენა რეგიონის წარსულის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია.

დღევანდელი მონაცემებით, დასავლეთ ამიერკავკასიაში, ოქრომჭედლობის ნიმუშების პირველი გამოჩენა კოლხური კულტურის ფარგლებში, პირველი ათასწლეულის საწყის ეტაპზე იწყება და, ვიდრე ქრისტიანულ ეპოქამდე, ქმნის იმ ერთიან, უნიკალურ სისტემას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ფართო ცნებაში აერთიანებს [ჭყონია 1981; ჭყონია, გამყრელიძე 2021: 383-402]. ამ ერთიან, უნიკალურ სისტემაში მკაცრად მყოფი კოლხური ოქრომჭედლობა, თავისი სტილისტურ-იკონოგრაფიული ცვლილებებით კარგად ასახავს იმ ეპოქალურ გარდატეხათა და შიდა რეგიონალური ცვლილებების გზას, რომელშიც შეგვიძლია არაერთი საკვანძო ფაქტისა და მოვლენის დემონსტრირება.

ძველი კოლხური ოქრომჭედლობა, რომელიც თავისი იდენტური ხაზის ამსახველ მრავალ სტილისტურ თუ ტექნოლოგიურ ელემენტს აერთიანებს (მაგ., ფილიგრანითა და ცვარათი ორნამენტის გამოყვანის მანერა, ჭვირულობის ინდივიდუალური სტილი, სამკაულის ფორმისა თუ დეკორის თავისებურებები და სხვა), ასევე შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რომელთა გამოჩენა ეპოქის შესაბამისი ცვლილებებითაა მოტივირებული. სწორედ ამგვარი ეპოქალური გავლენებია ასახული ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი გამორჩეულ ნივთში, ოქროს წრიულ გარსაკრავში (სურ.1).

ოქროს წრიული გარსაკრავი, რომელიც წინამდებარე სტატიის საანალიზო თემად შეირჩა, გახლავთ ვანის არქეოლოგიურ ძეგლზე შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებიდან ერთ-ერთი პირველი ოქროს ნივთი, რომელმაც სამუზეუმო სივრცეს მიაღწია (1929 წელს დარეგისტრირდა ექსპონატად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) [ჭყონია 1981: 81-82]. ის წარმოადგენს საფეხურისებურად ამოზიდულ, სადა ბუდეში ჩასმულ წრიულ ფირფიტას, რომელზეც მსუბუქი თევზის ტექნიკით, დაბალ რელიეფში, გამოყვანილია ლომთან შეჭიდებული ადამიანის (სავარაუდოდ, ჭაბუკის) გამოსახულება. ჩარჩოს კიდე შემოსაზღვრულია ცრუ ცვარათი. უკანა მხარე სადაა, ცენტრში ამოჭრილია ოთხკუთხედი, რომლის გვერდით, პარალელურად, მირჩილულია ორი ყულფი, გამოყვანილი ვიწრო, სადა ფირფიტისგან [ჭყონია 1981: 82].

გარსაკრავის რელიეფზე წარმოდგენილი ადამიანი, სავარაუდოდ ჭაბუკი, გამოსახულია ტანშიშველი, თავით პროფილში, სხეულით ოდნავ წინ შემობრუნებულ პოზიციაში; ჭაბუკს მარცხენა ხელი მოხრილ მდგომარეობაში, თეძოზე აქვს შემოდებული, მარჯვენა კი თავს ზემოთ აწეული (ჩანს მხოლოდ თითები). ფეხები გადაჯვარედინებულია და წინ გამოწეული. ჭაბუკი უწვევრულვამოა, მოკლე, მსხვილად ტალღოვანი თმებით; სხეულზე კარგადაა გადმოცემული კუნთები. ლომის თავი მოცემულია ანფასში, სხეული – პროფილში. თვალები ამოჭრილია წრიულად. მის ადგილას, უკანა მხრიდან, ყულფებია მიმაგრებული. ფაფარი გადმოცემულია ურთიერთგადამკვეთი ღრმა ღარებით, ხოლო სხეული მთლიანად დაფარულია მოკლე ჭდეებით. ლომი მოხრილია და ადამიანს გულმკერდის არემია დაძგერებული, ისე რომ სიუჟეტში აშკარად იკვეთება მისი

გამარჯვებული პოზიცია [ჭყონია 1981: 82]. გარსაკრავზე გამოსახული ადამიანის დანებებულ პოზიციას კარგად გადმოსცემს უმოქმედო მდგომარეობაში გამოსახული კიდურები (ხელები და ფეხები). წარმოდგენილი კომპოზიცია, ზედ გამოსახული მოხრილი ფიგურებით, ისეა გადახაზილებული წრიული ფირფიტის სივრცეზე, რომ ექვემდებარება მის მოხაზულობას [ჭყონია 1981: 82]. ან. ჭყონიას აღწერით, ფირფიტის კიდის არათანაბარი და დაუდევარი შემოჭრილობა შესაძლოა მის მეორად გამოყენებაზეც მიუთითებდეს [ჭყონია 1981: 82].

აღნიშნული გარსაკრავი პირველად ბ. კუფტინმა გამოაქვეყნა და ბერძნულ-ეტრუსკულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტს ჰერაკლესა და ნემეის ლომის ბრძოლის სცენას დაუკავშირა [Κυφтин 1949: 6]. მკვლევარს, ვანის რელიეფზე გამოსახული სიუჟეტის პარალელუბად მოყვანილი აქვს ქ. ქიზიკში (ანატოლია) აღმოჩენილი ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ელექტრუმის მონეტაზე გამოსახული სცენა (გამოსახულია ჰერაკლესა და ლომის შეჭიდება) [იხ. Greenwell 1887: 33, 86, ტაბ. 3<sup>20</sup> N69] და ერთ-ერთ ეტრუსკულ სიტულაზე გამოსახული ანალოგიური სიუჟეტი [Κυφтин 1949: 4-6, ტ. 1<sub>2</sub>]. მოგვიანებით, აღნიშნული მოსაზრება განავრცო და გაიზიარა მკვლევარმა ანა ჭყონიამ და ვანში აღმოჩენილი გარსაკრავის სიუჟეტი ანტიკურ სამყაროში (ძვ.წ. IV-III სს) ფართოდ გავრცელებულ ჰერაკლეს კულტს დაუკავშირა [ჭყონია 1981: 82]. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სცენა ძალიან ჰგავს ჰერაკლეს მიერ ნემეის ლომის დამარცხების სცენას, განსაკუთრებით პროცესის კულმინაციურ მომენტში გამოსახვის მანერით, ორივე მკვლევარი შენიშნავს, რომ გამოსახულება არატრადიციული შინაარსისაა იმ კუთხით, რომ ვანის ოქროს გარსაკრავის ნიმუშზე თვით ადამიანი მარცხდება ლომის მიერ და არა პირიქით, თუმცა ამას ორივე მკვლევარი ოქრომჭედლობის თავისებურ, ადგილობრივ ინტერპრეტაციად მიიჩნევს [Κυφтин 1949: 6; ჭყონია 1981: 82].

დღეისათვის, ახალი არქეოლოგიური მონაცემები და თანამედროვე კვლევები საშუალებას გვაძლევს ვანში აღმოჩენილი ოქროს წრიულ გარსაკრავზე დატანილი გამოსახულება ადრეანტიკური ხანის კოლხეთში მიმდინარე კონკრეტულ კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენებს დავეუკავშიროთ.

დღეს უკვე არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ვანის გარსაკრავზე გამოსახული რელიეფი ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი სტილითა და ეპოქალური მოტივებით არის შექმნილი და, ამ კუთხით, მას ადგილობრივ ოქროს ნაწარმში არაერთი პარალელი ეძებნება. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია ვანის №6 სამარხში აღმოჩენილ ოქროს დიადემაზე გამოსახული სიუჟეტი (სურ. 4), რომელიც გამოსახულების გამოყვანის ტექნიკითა (მსუბუქი თევვით გამოყვანილი დაბალი რელიეფი) და მანერით ისე ჰგავს ოქროს გარსაკრავზე წარმოდგენილ რელიეფს, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთი საიუველირო ტრადიციის მქონე სკოლის შექმნილია. ამ ორ გამოსახულებაზე თითქმის იდენტური მანერითაა გამოსახული გამარჯვებულ პოზიციაში წარმოდგენილი ლომი: სახით ანფასში, ტანით პროფილში. იდენტურია ლომის სახის ნაკვეთების (ყურების, თვალების), ფაფარისა და ბენვის გამოსახვის მხატვრული მანერაც. ამ ორ ნივთს შორის მსგავსება ჩანს თვითონ შინაარსობრივ მხარეშიც – ორივე სცენა გადმოსცემს აღმოსავლური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ლომის გამარჯვებულ პოზიციას. ამ შემთხვევაში, აღნიშნული სიუჟეტის პოპულარობა კოლხურ ოქრომჭედლობაში, შესაძლოა, უფრო აღმოსავლური, აქემენიდური გავლენების გაძლიერებას უკავშირდებოდეს, ვიდრე ჰერაკლეს კულტს. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ლომის ანალოგიურ გამოსახულებებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ვხვდებით ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ძეგლებზე სირიაში, ნიმრუდში შესწავლილი სასახლის რელიეფებსა (სურ.6) და იქვე აღმოჩენილ წრიულ გარსაკრავებზე (სურ.5) [Sathe

2011; Hermann და სხვ. 2009]. ლომისა და ადამიანის, ან ცხოველთა ორთაბრძოლა, რომელიც ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ფართოდ დამკვიდრებული თემატიკაა, არ არის უცხო ეგეოსური სამყაროს ბერძნული და ეტრუსკული ოქრომჭედლობისთვისაც [Higgins 1980], მხოლოდ აქ, კოლხეთისგან განსხვავებით, უკვე სხვა ინტერპრეტაციებითა და მოდიფიცირებულ ვარიანტებით ვლინდება.

კოლხურ ოქრომჭედლობაში, ვანში შემთხვევით აღმოჩენილ ოქროს გარსაკრავზე გამოსახული სიუჟეტის კიდევ ერთ, ადგილობრივ იკონოგრაფიულ პარალელად, შეგვიძლია მივიჩნიოთ ვანის №6 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფარაკიან ბეჭედზე გამოსახული სიუჟეტი (სურ.2), რომელზეც თემატურად, თითქოს, ვანის წრიული გარსაკრავის რელიეფზე დატანილი გამოსახულების ანალოგიური სიუჟეტია გადმოცემული – ლომი ანალოგიურ პოზაში ამარცხებს ცხოველის სახითა და ადამიანის ტანით წარმოდგენილ არსებას. ვანის ფარაკიან ბეჭედზე გამოსახული ლომი, ნაკვეთითა და პოზით იდენტურია ვანის გარსაკრავზე და დიადემაზე გამოსახული ნიმუშების. განსხვავება მხოლოდ მეტ სქემატიზმშია, რაც, ბეჭედის შემთხვევაში, სივრცის მცირე მოცემულობით უნდა აიხსნას.

აღნიშნულ ბეჭედზე, რომელიც, ერთი მხრივ აღმოსავლურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტთან პოულობს კავშირს, მეორე მხრივ კი, როგორც სამკაულის ფორმა, უფრო ბერძნული გავლენით არის დამკვიდრებული [ლორთქიფანიძე 1981: 4-6; Boardman 1970], ასევე იკვეთება ადგილობრივი, კავკასიური მხატვრული სტილისთვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული დეტალებიც, რომელიც, შესაძლოა, განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებასაც იძლეოდეს. ესაა ბეჭედზე გამოსახული ლომის მსხვერპლი – ჰიბრიდული არსება, ადამიანის ტანითა და ცხოველის თავით. ჰიბრიდული არსებები დამახასიათებელი იკონოგრაფიული სახეა კავკასიის ბრინჯაოს მხატვრული სტილისთვის, განსაკუთრებით გრავირებული სარტყლებისთვის, რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამიერკავკასიის გრაფიკური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი წყაროა. მაგ. ვანის ბეჭედზე გამოსახულ ჰიბრიდულ არსებას საკმაოდ ახლო პარალელი ეძებნება სამთავროს სამაროვნის №211 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გამოსახული ერთ-ერთი არსების სახით, რომელიც გარდა ჰიბრიდული ბუნებისა, სხეულის პოზიციით, დადებული ხახითა და გამოყოფილი, გრძელი ენით, ახლო პარალელს პოულობს ვანის ბეჭედზე გამოსახულ არსებასთან (სურ. 3) [ხიდაშელი 1982: ტაბ. VII]. აღნიშნული იკონოგრაფიული მსგავსებებიდან გამომდინარე, ალბათ, გვაქვს საფუძველი გამოვთქვათ ვარაუდი ვანის №6 სამარხში აღმოჩენილი ეს ბეჭედი ბერძნულ-აღმოსავლური გავლენებით შექმნილ ადგილობრივ საიუველირო ცენტრებში დამზადებულ ნაწარმად მივიჩნიოთ.

ამრიგად, ვანის წრიული გარსაკრავი, ადგილობრივ კოლხურ ოქრომჭედლობაში დადასტურებული პარალელური მასალის (დიადემა, ბეჭედი) საფუძველზე, ერთ საიუველირო სკოლასა და ქრონოლოგიურ მონაკვეთს (ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი) უნდა დავეუკავშიროთ. სამივე ნივთის შემქმნელი ხელოსნები, დიდი ალბათობით, სიუჟეტის შექმნისას ერთი იდეის გადმოცემით იყვნენ მოტივირებულნი.

რაც შეეხება რეგიონს გარეთ არსებულ პარალელებს, ვანის რელიეფზე გამოსახული სიუჟეტი, პირველ რიგში, ყველაზე ახლო პარალელს ნიმრუდში შესწავლილ, ასურული სასახლის ფენებში აღმოჩენილ, სპილოს ძვლისგან დამზადებულ მოოქრულ ფირფიტასთან (ძვ.წ. VIII-VII სს-ის) პოულობს. ფირფიტა ფინიკიური სტილით არის დამზადებული და კარგად ასახავს ეგვიპტური ხელოვნების ადგილობრივ იკონოგრაფიულ სტილზე მორგების საინტერესო სურათს [Hermann და სხვ. 2009]. ფირფიტაზე წარმოდგენილია ლომი, რომელიც ადამიანს (უნვერულ ჭაბუკს) ყელშია

დაძვერებული. აღნიშნულ ფირფიტაზე გადმოცემული ლომი, ისევე როგორც ადამიანი, ნაკვეთებითა და გამოსახვის პოზით, ძალიან ჰგავს ვანის რელიეფზე დატანილ სცენას.

რაც შეეხება თვითონ ნივთის ფორმას – ცრუ ცვარათი შემოსაზღვრულ წრიულ ნივთს, იგი ძალიან პოპულარული დეკორატიული დეტალია ორიენტალისტური და არქაული სტილის ბერძნულ და ეტრუსკულ ხელოვნებაში [Deppert-Lippitz 1985: 73-75].

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უკვე არის საკმარისი არგუმენტი, იმისთვის, რომ ვანში აღმოჩენილი, კონტექსტის გარეშე წარმოდგენილი ოქროს ნივთი ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნაწილად მივიჩნიოთ და აქემენიდური და არქაული ტრადიციების შერწყმით მიღებულ ადგილობრივ ინტერპრეტაციად განვიხილოთ. იგი, დიდი ალბათობით, უნდა გავიაზროთ, როგორც აღმოსავლური კულტურის ძლიერი გავლენის შედეგი ადგილობრივზე.

### ბიბლიოგრაფია:

**ლორთქიფანიძე მ. 1981:** ლორთქიფანიძე მ., უძველესი საბეჭდავი ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან (ძვ.წ. V-I სს). თბ.

**ჭყონია 1981:** ჭყონია ან., ვანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VI. თბ.

**ჭყონია, გამყრელიძე 2021:** ჭყონია ან., გამყრელიძე გ., ოქროს სამკაული. საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 383-401.

**ხიდაშელი 1982:** ხიდაშელი მ., ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრაფირებული სარტყლები), თბ.

**Boardman 1970:** Boardman J. Greek Gems and Finger Rings. Early Bronze age to Late Classical. London.

**Deppert-Lippitz 1985:** Deppert-Lippitz B. Griechischer Goldschmuck. Mainz.

**Greenwell 1887:** Greenwell W. The electrum coinage of Cyzicus, B. Numismatice chronicle, 3 series, v. VI London: Rollin and Feuarent. <https://archive.org/details/electrumcoinageo00greeiala> .

**Hermann et al. 2009:** Hermann G., Laidlaw S., Coffey H., Ivories from Nimrud, VI. Ivories from the North West Palace (1845-1992), British Institute for the Study of Iraq., London.

**Higgins 1980:** Higgins R., Greek and Roman Jewellery, Berkeley and Los Angeles.

**Ornan 2023:** Ornan, T. The Defeat of the Lion: A Visual Trope Promoting Ancient Near Eastern Kings. Picturing Royal Charisma Kings and Rulers in the Near East from 3000 BCE to 1700 CE. Edited by Arlette David, Rachel Milstein, Tallay Ornan.

**Sathe 2011:** Sathe V. The Lion-Bull Motifs of Persepolis: The Zoogeographic Context. Iranian Journal of Archaeological Studies 2:1 (2012) pp.75-85.

**Куфтин 1949:** Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, Т. I, Тб.

### ფოტოების აღწერა:

1. ოქროს წრიული გარსაკრავი. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა.
2. ოქროს ფარაკიანი ბეჭედი. ვანი, სამარხი N6.
3. გამოსახულების ფრაგმენტი სამთავროს N211 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს გრაფირებული სარტყლის კომპოზიციიდან.
4. ოქროს დიადემის რომბის ფორმის ფირფიტა. ვანი, სამარხი N6.
5. სპილოს ძვლის დეკორატიული ფირფიტა, მოოქრული და ინკრუსტირებული. ნიმრუდი.
6. ნიმრუდის სასახლის რელიეფი.

1.



2



3



4



5



6



## მათარა სოფელ სალომინაოდან (ვანის მუნიციპალიტეტი)

სულხან ხარაბაძე

სალომინაოს (სოფელი იმერეთის მხარის ვანის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ვანიდან აღმოსავლეთით 21 კმ-ში) ტერიტორიაზე, სოფლის სამხრეთ ნაწილში „სანიკიძეების უბანში“, თხუთმეტი წლის წინ მეწყერისგან ჩამოშლილ მიწაში, შემთხვევით უპოვნიათ თიხის მათარა, ნივთი დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

ნაშრომის მიზანი ნივთის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და შეძლებისდაგვარად დათარიღებაა, რაც გარკვეულ წვლის შეიტანს საქართველოს ტერიტორიაზე მათარების გავრცელების წარმოჩენაში, რადგანაც მათარა ანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში ადგილობრივი კერამიკის მცირერიცხოვან, არც თუ ისე ფართოდ გავრცელებული ჯგუფს წარმოადგენს.

მათარა დამზადებულია რუხკეციანი თიხისაგან, ჩალისფერ-ღიაყავისფერ ზედაპირიანია; პირი სწორხაზოვანპროფილიანია; ყელი შეზნექილპროფილიანი; ტანი ოვალურად გაბრტყელებული (ერთი გვერდი ოდნავ მეტად) მომრგვალებულ გვერდებიანი, ორივე მხრიდან მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული გამოსახულებით ორნამენტირებული: მუცლის ცენტრში მდებარე შტამპით დატანილ დაბალ წრიული ჩაღრმავებას (მზის დისკო), კიდეზე მიდგმული აქვს ოთხი წვერით გარეთ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედი (მზის სხივები), რომელსაც გარსშემოუყვება ორი, ერთმანეთისაგან ვიწრო ღარით გამოყოფილი წრიული ამოღარული ხაზებით შედგენილი წიწვისებური ორნამენტი; პირი ალაგ-ალაგ მომტვრეულია, ტანი დაბზარულია, ერთ მხარეს მუცლის ცენტრში მდებარე წრიული ჩაღრმავება ჩამტვრეულია და ზედაპირი გახეხილია; პირის დმ. 5,8 სმ, ტანის სიგანე მრგვალ მხარეს 15,2 სმ, მუცლის ცენტრში მდებარე წრიული ჩაღრმავების დმ. 3 სმ, სიმაღლე 19,5 სმ (ტაბ. I, 1-2).

საქართველოს ტერიტორიაზე მათარები აღმოჩენილია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

აღმოსავლეთ საქართველოში: სამთავროს (მცხეთის მუნიც.) სამაროვანის № 104 სამარხში (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VI ს.) [აბრამიშვილი 1957: 128-129; აბრამიშვილი 1961: ტაბ. XIX, 1]; ხოვლეს (კასპის მუნიც.) ნამოსახლარის II პერიოდის ფენაში (ძვ.წ. V ს) [მუსხელიშვილი 1978: 55, 77-78, 81, ტაბ. LV, 1388-1]; სტეფანწმინდში (ყაზბეგის მუნიც.) ყაზბეგის განძი, ბრინჯაოსი (ძვ.წ. V ს) [წითლანაძე 1976: 23-26]; გრძელი გუბეების (ყვარლის მუნიც.) სამაროვნის №№ 8, 14 სამარხებში (ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხნები) [მაისურაძე 1993: 68-69, 73, 79, ტაბ. LXII-68, LXIII-106]; ტახტიძირის (ქარელის მუნიციპ.) სამაროვნის №7 სამარხში (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული) [გაგოშიძე 2020: 81-83, 207, სურ.110]; პაპიგორას (თეთრინწყაროს მუნიციპ.) სამაროვნის № 42 სამარხში (ძვ.წ. IV - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი) [მარგიშვილი და სხვ. 2004: 49, 128-131, ტაბ. XXXVI, LXVII-3]; ღართისკარის (მცხეთის მუნიც.) ტაძარ-სამლოცველოში (ძვ.წ. IV-III სს) [Нариманашвили 1991: 54]. უფლისცხეში (გორის მუნიც.), შიდა ქალაქის IV უბანზე ფენაში (ძვ.წ. IV-II სს) [ხახუტაიშვილი 1970: 47, 118, ტაბ. LV-ბნ 125, ], ბამბების ნამოსახლარზე (გორის მუნიც., ძვ.წ. III-II სს) [ხახუტაიშვილი 1970: 47, 118, ტაბ. VII-10]; დედოფლის გორის (ქარელის მუნიც.) ნამოსახლარზე (ახ.წ. I ს.); რუსთავში ნაქალაქარის ტერიტორიაზე, III თხრილში (ახ.წ. XII-XIII სს) [პაჭიკაშვილი 2014: სურ. 191].

დასავლეთ საქართველოში: ბრილში (ონის მუნიც., ტაბ. II, რუკაზე 1), ბრინჯაოსი (ძვ.წ. V ს) [წითლანაძე 1976: 23-26]; საირხის (საჩხერის მუნიც.), (ტაბ. II, რუკაზე 2). საბადურის გორის სამაროვნის №13 სამარხში (ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი) [მახარაძე და სხვ. 2007:



83-101, სურ. 94, ფოტო 168]; ითხვისში (ჭიათურის მუნიცი., ტაბ. II, რუკაზე 3) სამაროვნზე სამარხი № 2-ში, ბრინჯაოსი (ძვ.წ. IV ს) [გაგომიძე და სხვ. 2006: 43, სურ. 13]; არგვეთში (საჩხერის მუნიცი. ტაბ. II, რუკაზე 4) შემთხვევითი მონაპოვარი (სავარაუდოდ ანტიკური ხანის) [ქორიძე 1961: 126, ტაბ. XV, 3; Нариманишвили 1991: 54, სურ. 1081]; ქუთაისში (ტაბ. II, რუკაზე 5) ცაცხვების უბანში სამარხეული კომპლექსიდან (ძვ.წ. IV ს) [ჯიქია 1999: 18; ჯიქია 2006: 126; ლანჩავა 2007: 59, სურ. 52]; მალლაკში (წყალტუბოს მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 6) ქვევრსამარხიდან (ძვ.წ. IV-III სს) [თოლორდავა 1980: 34, ტაბ. XXXIV, 2; ჯიქია 1984: 65, 72, 76-77, სურ. 12; ლანჩავა 2007: 59, სურ. 56; ლანჩავა 2015: 85, 99, სურ. 74]; ფარცხანაყანევი (წყალტუბოს მუნიცი., ტაბ. II, რუკაზე 7) ქვევრსამარხიდან (ძვ.წ. IV-III სს) [ჯიქია 1984: 72, 76-77; სურ. 13; ლანჩავა 2007: 52, 59]; ხონში (ტაბ. II, რუკაზე 8) სავარაუდოდ ქვევრსამარხის ინვენტარი (ძვ.წ. IV ს) [ლანჩავა 2007: 52, 59]; ვანის ნაქალაქარზე (ტაბ. II, რუკაზე 9) მათარების ფრაგმენტი რიტუალური მოედნიდან სავ. № 07:1-1976:217 [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 44, სურ. 65, № 182] და კულტურული ფენებიდან (სავ. №№ 07:1-1967:308, 07:1-2005:26) (რიტუალური მოედანიც და ფენებიც ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ითაა დათარიღებული) [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 44, სურ. 65, № 183; კაჭარავა და სხვ. 2005: სურ. A534, ტაბ. 95, 5]; სოფ. ამაღლებაში (ვანის მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 10) შემთხვევითი მონაპოვარი (ძვ.წ. VI-IV სს., ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია „სოფ. ამაღლების კოლექცია“, რომელის შეიცავს ადრეანტიკური ხანის 9 თიხის ჭურჭელს, მათ შორისაა ორი მომრგვალებულძირიანი მათარა); ვარციხეში (ბაღდათის მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 11) გიორგობიანის გორაზე ადრეანტიკურ და ელინისტური ხანის ნამოსახლარზე [Джапаридзе და სხვ. 1976: 93, ტაბ. XLII, 3]; დაბლაგომში (სამტრედიის მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 13) ქვევრსამარხში (ძვ.წ. IV-III სს) [თოლორდავა 1976:51, სურ. 73-1, 81-12; თოლორდავა 1980: 10, 15, ტაბ. IV, 9]; ბუკისციხეში (ჩოხატაურის მუნიცი.) (ტაბ., II, რუკაზე 14) დანგრეული ქვევრსამარხიდან (სავარაუდოდ ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი) [ვაშაკიძე 1973: 85, ტაბ. IX, 2; Кахидзе 1981: 36; კახიძე 2007: 129]; ციხისძირში (ქობულეთის მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 15) № 62-63, 65, 291 სამარხებში 4 ც. (ძვ.წ. IV-III სს) [კახიძე 2007: 129]; ფიჭვნარში (ქობულეთის მუნიცი.) (ტაბ. II, რუკაზე 16) კოლხურ სამაროვანზე (ძვ.წ. V ს) №№ 164, 477 სამარხებში [კახიძე 2016: 66, 67, 195, 226, ტაბ. XLVIII/2, LXVIII/12, ტაბ. LXI/3, LXXXV/9] და ერთი ცალი დანგრეული სამარხიდან [ვაშაკიძე და სხვ. 1978: 48-49, ტაბ. XV, 4], ბერძნულ ნეკროპოლზე № 41 სამარხში (ძვ.წ. V ს) [კახიძე 2007: 128, 271, სურ. 72/5, 76/5], ელინისტური ხანის სამაროვანზე (ძვ.წ. IV-III სს) №№ 42ა, 49, 77, 100, 113 სამარხებში [ვაშაკიძე და სხვ. 1978: 44-45, 48-49, ტაბ. XI-1, XV-3, XX-4; ვაშაკიძე და სხვ. 1979: 72-75, ტაბ. XXIX, 1; კახიძე და სხვ. 2010: 29, 217-218, 221, 223-224, სურ. 36/5, 38/8, 47/9, 55/2, 57/5]; სვანეთში (აღმორენის ადგილი უცნობია, დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში, სავარაუდოდ შუასაუკუნეებისაა, აქვს ხელადასავით ყური).

აღმოსავლეთ საქართველოში აღმორენილი მათარების დიდი ნაწილი ძვ.წ. V-II სს-ის ძეგლებიდან მომდინარეობს. დასავლეთ საქართველოში ისინი გვხვდება ძვ.წ. V – ძვ.წ. III სს-ის ძეგლებზე, თუმცა მათი უმრავლესობა ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებზეა აღმორენილი. აღმოსავლეთ საქართველოს მათარები ყურებიანია, ნაკლებად აქვთ ორნამენტი და მუცლის ცენტრი შემკული აქვთ შვერილით [ჭანიშვილი 2013: 258]. დასავლეთ საქართველოში უპირატესად გვხვდება უყურო (გამომაკლისია არგვეთი და ბუკისციხე; ყურის მსგავსი შვერილები აქვს ფიჭვნარის ორ, ციხისძირის და მალლაკის ცალებს), მზის სიმბოლიკით ორნამენტირებული მათარები. ისინი ორი ტიპისაა მომრგვალებულ და ბრტყელძირიანი. მომრგვალებულძირიანი მათარები გვხვდება ძვ.წ. V ს-ში ასევე ძვ.წ. IV-

III სს-ში, ბრტყელძირიანები კი მხოლოდ ადრეელინისტურ პერიოდში (ძვ.წ. IV სი-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი).

სალომინაოს მათარა, ორნამენტით (ე.წ. დაშტრიხული სამკუთხედები) მსგავსებას ამჟღავნებს დაბლაგომის №2 (ძვ.წ. IV-III სს), ციხისძირის №65 (ძვ.წ. IV-III სს) სამარხების ბრტყელძირიან მათარებთან; ასევე ფიჭვნარის ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV-III სს) სამაროვნის № 207 სამარხის [კახიძე და სხვ. 2014: 111-112, სურ. 114, 5], დაფნარის სამაროვნის № 5, 24 ქვევრსამარხების (ძვ.წ. III ს-ის შუა ხნები) [თოლორდავა 1980: 22, ტაბ. XVI, 3; Кирградзе 1976: 30-31, ტაბ. XXXIV, 1] და წიფნარის ქვევრსამარხის (ძვ.წ. III ს) [თოლორდავა 1980: 28-29, ტაბ. XXIII, 2] დოქებთან. სოფ. სალომინაოს ტერიტორიაზე შემთხვევით ნაპოვნია ბრინჯაოს კოლხური ცული (ძვ.წ. VIII-VII სს., დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში), გ. ლომთაძის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად სოფლის ტერიტორიაზე აკრეფილი იქნა ძვ.წ. VIII-VIII სს-ის და ძვ.წ. VI-IV სს-ის კერამიკის ფრაგმენტები (ანაკრეფი მასალა ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). ამდენად სოფ. სალომინაოს მათარა შესაძლოა სავარაუდოდ ძვ.წ. IV-III სს-ით დავათარილოთ.

### ბიბლიოგრაფია:

**აბრამიშვილი 1957:** აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისთვის. – სსმმ, XIXA- XXIB, 115-139, თბ.

**აბრამიშვილი 1961:** აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს). – სსმმ, XXII-B, 291-382, თბ.

**გაგოშიძე 2020:** გაგოშიძე იულ. ტახტიძირის სამაროვნები, თბ.

**გაგოშიძე და სხვ. 2006:** გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. ითხვისის სამაროვანი. – აჟ, IV, 36-59, თბ.

**ვაშაკიძე 1973:** ვაშაკიძე ნ. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხი. – სდსძ, III, 74-87, თბ.

**ვაშაკიძე და სხვ. 1978:** ვაშაკიძე ნ., კახიძე ამ. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. – სდსძ, VII, 42-58, თბ.

**ვაშაკიძე და სხვ. 1979:** ვაშაკიძე ნ., კახიძე ამ. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანის ტერიტორიაზე 1976 წელს. – სდსძ, VIII, 68-84, თბ.

**თოლორდავა 1976:** თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-71 წლებში. – ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), II, 48-67, თბ.

**თოლორდავა 1980:** თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ.

**კახიძე 2007:** კახიძე ამ. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987 წწ). – ფიჭვნარი, II, ბათუმი-ოქსფორდი.

**კახიძე და სხვ. 2010:** კახიძე ამ., ვაშაკიძე ნ. ელინიზმი და კოლხეთი, სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციებისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1965-2004 წწ). – ფიჭვნარი, III, ბათუმი-ოქსფორდი.

**კახიძე და სხვ. 2014:** კახიძე ამ., ვიკერსი მ. კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ). – ფიჭვნარი, VI, ბათუმი.

**კახიძე 2016:** კახიძე ამ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და კულტურა კლასიკურ ხანაში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის კოლხური სამაროვანი), ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთის და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1966-2015). – ფიჭვნარი, VII, ბათუმი-ოქსფორდი.

**კაჭარავა და სხვ. 2005:** კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., გიგოლაშვილი ე., თოლორდავა ვ., კვიციანი გ., მათიაშვილი ნ., სახვაძე ე., ხარაბაძე ს., ფირცხალავა მ., ჭყონია ან. ვანის ნაქალაქარზე 2005 წელს არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკც-ის არქივში).

**ლანჩავა 2007:** ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი.

**ლანჩავა 2015:** ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი.

**ლორთქიფანიძე და სხვ. 1981:** ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან. – ვანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე) V, თბ.

**მაისურაძე 1993:** მაისურაძე ბ. იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

**მარგიშვილი და სხვ. 2004:** მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**მახარაძე და სხვ. 2007:** მახარაძე გ., წერეთელი მ. საირხე, თბ.

**მუსხელიშვილი 1978:** მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგია, თბ.

**პაჭიკაშვილი 2014:** პაჭიკაშვილი ნ. ძველი რუსთავი, თბილისი.

**ქორიძე 1961:** ქორიძე დ. მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერე), თბ.

**ნითლანაძე 1976:** ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის განძი), თბ.

**ჭანიშვილი 2013:** ჭანიშვილი თ. თიხის ჭურჭლის ერთი სახეობა (მათარა) საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან. – ჟურ. ძიებანი, № 26, თბ., გვ.257-262.

**ჯიქია 1984:** ლ. ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები. – ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებ., IV, 60-86, თბ.

**ჯიქია 1999:** ჯიქია ლ. ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვრები ქუთაისიდან და მისი მიდამოებიდან. – ქუთაისის მუზეუმის მასალები, XI, 18-25, თბ.

**ჯიქია 2006:** ჯიქია ლ. კოლხური კულტურის ძეგლები ქუთაისის ქვეყნიდან, ქუთაისი.

**ხახუტაიშვილი 1970:** ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, II, თბ.

**Джапаридзе და სხვ. 1976:** Джапаридзе В., Джгамая Д. Об археологических исследованиях в зоне строительства Вардцихе ГЭС, Археол. исследования на новостройках Грузии, Тб. стр. 91.

**Кахидзе 1981:** Кахидзе А. Восточное Причерноморие в античную эпоху, Батуми.

**Кигурадзе 1976:** Кигурадзе Н. Дапнарский мщгильник, Тб.

**Нариманишвили 1991:** Нариманишвили Г. Керамика Картли V-I вв до н.э, Тб.


### ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – სოფ. სალომინაოს მათარა

ტაბ. II – დასავლეთ საქართველოში მათარების გავრცელების რუკა: 1 - ბრილი, 2 - საირხე, 3 - ითხვისი, 4 - არგვეთი, 5 - ქუთაისი, 6 - მაღლაკი, 7 - ფარცხანაყანევი, 8 - ხონი, 9 - ვანი, 10 - ამალღება, 11 - ვარციხე, 12 - სალომინაო, 13 - დაბლაგომი, 14 - ბუკისციხე, 15 - ციხისძირი, 16 - ფიჭვნარი.




1



2





## 1986-1987 წლებში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ორი სამარხი

გურამ კვიციანი

წინამდებარე სტატიის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შევიყვანოთ ვანის ნაქალაქარზე 1986 და 1987 წლებში აღმოჩენილი დღემდე გამოუქვეყნებელი ორი სამარხის კომპლექსი.

1. 1986 წელს ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლისას მის ზედა ტერასაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მორიგი, რიგით მეთვრამეტე სამარხი (ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე გათხრებს იმჟამად ხელმძღვანელობდა გ. ინაური) [Лордкипანიძე და სხვ. 1991: 73]. შემდგომში დამატებითი სამუშაოები აქ ჩატარდა 2002-2005 წლებში დ. კაჭარავას ხელმძღვანელობით [კაჭარავა, ხარაბაძე 2016: 63-64]. 194-195 და 212-213 ნაკვეთების ფარგლებში გამართული რთული კონფიგურაციის თხრილი ესაზღვრებოდა 214 და 196 ნაკვეთებს, სადაც გამოვლენილი იყო ქვიშაქვის კვადრებით ნაგები ნაგებობა და ადრეელინისტური ხანის მდიდრული სამარხები (ტაბ. I ა).

193 ნაკვეთის  $k_{1-5}$  და 194 ნაკვეთის  $a-c_{1-5}$  კვადრატებში ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა თირის (ამ მოყვითალო ფერის ქვიშაქვის ნაირსახეობას ადგილობრივი მოსახლეობა თირს ეძახის და ამ სახით ეს სიტყვა იხმარება ვანში მომუშავე არქეოლოგების პროფესიულ ენაშიც) დედაქანის აღმოსავლეთისკენ დაქანებულ კალთაში ამოკვეთილი მოსწორებულზედაპირიანი ბაქანი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან შემოსაზღვრული იყო თირის კლდის ვერტიკალური, ოდნავ დაქანებული კედლებით. სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ბაქანი გახსნილია და მისი იატაკის დონე დედაქანის დონეს ემთხვევა აქ მთის კალთის ბუნებრივი დახრილობის გამო (ტაბ. I ბ). ბაქანის ჩრდილო-დასავლეთი კედლის სიმაღლე დაახლოებით 1 მეტრს შეადგენს. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე მერყეობს 1 მეტრიდან (ბაქნის სამხრეთ კუთხეში) 0-მდე მის აღმოსავლეთ ნაწილში. გარეთა მხრიდან ბაქნის ზედა კიდეებს შემოუყვებოდა მათი პარალელური, დედაქანშივე ამოკვეთილი 0.95 მ სიგანის ლარი. ამ ლარს, შესაძლებელია, ბაქანის წვიმის წყლისაგან დასაცავი ფუნქცია ჰქონდა. ბაქანის შიდა სივრცეში, მისი იატაკის მოსწორებულ ზედაპირზე, აღმოჩნდა ლათინური „U“-ს მაგვარი (საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ნაგებობებს ძირითადად რუსული П-ს მაგვარებს უწოდებდნენ) შენობის მეტად ფრაგმენტულად შემონახული ნაშთები. ამ ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კედლის კონტური იკითხება კლდის ზედაპირზე დარჩენილი ჩაკვეთილი ბუდეების მიხედვით. სამხრეთ-დასავლეთისკენ კედლის კვალი არ შეიმჩნევა.

ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ბაქანის კედლის პარალელურია, მისგან 1, 75 მ-ით არის დაშორებული და მისი სიგანე 1, 20 მ-ს შეადგენს, შემორჩენილია 2, 50 მ სიგრძეზე ნაგებობის ჩრდილო კუთხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით. კედლის ქვედა რიგი შედგება მოზრდილი რიყის ქვებისაგან. მეორე რიგის ქვები, შემორჩენილი კედლის გარეთა ნაწილში ერთ მწკვრივად, წარმოადგენს უხეშად გათლილ ქვიშაქვებს შედარებით ბრტყელი, დამუშავებული საფასადო ზედაპირით. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0, 40 მ-ს უდრის. აღწერილი კედლის პარალელურია ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კედელი. აქაც ქვების ორი რიგია და კედელი ანალოგიური ტექნიკით არის ნაგები. მისი სიმაღლეც 0,40 მ-მდეა შემორჩენილი, მაგრამ ზემოთაღწერილი კედლისაგან განსხვავებით მისი სიგანე 1,80 მ-ია. გასათვალისწინებელია, რომ ამ კედლის გასწვრივ ბაქანის საზღვრები დედაქანის კალთის დონეს

ემთხვევა. სამხრეთ-დასავლეთ კედელი 2,10 მ-ის სიგრძეზეა შემორჩენილი. კედლებს შორის მანძილი 2,5 მ-ის ტოლია, მათი შემაერთებელი ჩრდილო-დასავლეთი კედელი მხოლოდ თირში ნაკვეთი ბუდეებით არის წარმოდგენილი. დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი, ქვედა რიგის კუთვნილი რიყის ქვა. თირში დარჩენილი კვალის მიხედვით, ამ კედლის სიგანე დაახლოებით 0,80 მ უნდა ყოფილიყო, სავარაუდოა ანალოგიური ტექნიკით მისი აგება. ამ კედლის ბაქნის კედლისაგან დაცილება 1.80 მ-ია. ეს სივრცე ამოვსებული იყო კრამიტებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების შემცველი ყრილით. ყრილში აღმოჩნდა ძირითადად ძვ.წ. III-II სს-ის არქეოლოგიური მასალა – როდოსული, სინოპური და ელინისტური ხანის უცნობი ცენტრების ამფორების ყურის ფრაგმენტები, კოლხური ამფორის ღილაკისებრქუსლიანი ძირი, მცირეაზიური ტიპის თიხის ლანგრის ფრაგმენტი.

თირის კლდეში ამოკვეთილი ბაქანის იატაკის განმენდისას, ნაგებობისა და ბაქანის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლებს შორის 194 ნაკვეთის  $c_2$  და ნაწილობრივ  $b_2$  კვადრატში დაფიქსირდა დედაქანში ამოკვეთილი მომრგვალებულ-ოვალური მოხაზულობის ორმოს კონტური, ზომებით 1.30×1.10 მ, ორიენტირებული NW-SE ღერძზე. ორმოს გრძივი კედლები თითქმის სწორხაზოვანია, მოკლე – მომრგვალებული (ტაბ. II, II<sub>1</sub>). ორმოს ნაწილობრივ ჩაკვეთილი ქონდა ბაქნის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი. ორმო კიდემდე იყო ამოვსებული თიხნარი მიწით, ამ მიწის ზედა ჰორიზონტს კი საგანგებოდ დაფშენილი ქვიშაქვის დატკეპნილი ფენა შეადგენდა. 0.25 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ჰორიზონტალურად მდებარე, მუცელზე უდიდეს დიამეტრზე განივად გადახერხილი პირით ჩრდილო-დასავლეთისკენ ორიენტირებული ქვევრი, თითქმის დაუზიანებელი (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბზარს – ტაბ. II<sub>2</sub>, III<sub>ა</sub>). ქვევრის პირის არეში, ქვევრსა და ორმოს კედელს შორის სივრცე ამოვსებული იყო მცირე ზომის რიყის ქვებით, ქვევრის პირს კი სინოპური კალიპტერი ფარავდა.

ქვევრის გარეთ, მისი პირისა და ყელის არეში აღმოჩნდა სამი სხვადასხვა ზომის ჯამი და ორი ორყურა დოქი, ხუთივე ჭურჭელი ადგილობრივი წარმოების, რკინის ორი შუბისპირი, მოხრილი დანა, რკინის სხვა მეტად დეფორმირებული ნივთების ფრაგმენტები. ჭურჭლის ამოლაგების შემდეგ მათ ქვეშ დადასტურდა ქვევრის პირის გვირგვინის დასაყრდნობად და გასამაგრებლად განკუთვნილი რიყის ქვები.

შექმნილი უჩვეულო სიტუაცია (კლდეში ნაკვეთ ვინრო ორმოში ჰორიზონტალურად ჩაშვებული და მის კედლებთან მჭიდროდ განლაგებული ქვევრი) გამოიწვავდა სამარხის შესწავლას ქვევრის დაზიანების გარეშე. ქვევრზე არსებული ბზარების კონტურებზე ამომტვრეულ იქნა მუცლის მოზრდილი ნატეხი. ქვევრი ნახევრამდე ამოვსებული აღმოჩნდა მიწით, რომლის ზედა ჰორიზონტიც (დაახლოებით 40 სმ) წვიმის წყლით შემოტანილ შლამს წარმოადგენდა. ქვევრის ძირზე აღმოჩნდა მცირე ზომის თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა წვრილი სამკაული – ოქროს, სარდიონის, მინის, სტეატიტის მძივები და მძივსაკიდები, ოქროს საყურეები, ბრინჯაოს სამაჯურები. აქვე აღმოჩნდა ვერცხლის სინოპური მონეტა (ტაბ. II<sub>3</sub>, ტაბ. III<sub>ბ</sub>). სამარხის განმენდის დასრულების შემდეგ 0.90 მ სიღრმეზე მდებარე ორმოს ფსკერზე გამოჩნდა მისი ამოკვეთის დროს გამოყენებული წვეტიანი იარაღის მკვეთრი კვალი.

#### **ქვევრსამარხის ინვენტარი:**

სამარხად გამოყენებული ქვევრი ტიპურია კოლხეთის ადრეელინისტური ხანის მასალებისათვის, არის რუხად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა, შავზე-დაპირიანი, პირისგვირგვინი პირშესქელებული; ტანი კვერცხისებური, ძირი გამოზიდულია, ბრტყელი; მხრებზე შემოუყვება ირიბი სოლისებური მოყვანილობის ქდეების სამი რიგი, პირი შემკულია სამი ლილვაკისებური ჰორიზონტალური სარტყლით. ქვევრის უდიდესი დიამეტრი მოდის მის ზედა მესამედზე. ქვევრის სიმაღლე 1.05 მ, ტანის უდიდესი

დმ - 0.82 მ, პირის დმ - 0.33 მ, ძირის დმ - 0.26 მ, კეცის სისქე - 0.02 მ. სავ. №07:1-86:380 (ტაბ. III<sub>6</sub>).

**ქვევრის გარეთ, სამარხ ორმოში აღმოჩენილი ინვენტარი:**

1. დოქი, მოყავისფრად გამომწვარი, მინარევებიანი თიხისა (კვარცი, ქარსი), ზედაპირი შავი ლაქებით დაფარული, ორყურა, ყურის ზედა ბოლო უშუალოდ გადადის პირის გვირგვინში, ტანი კვერცხისებური, ძირი ბრტყელი, პირთან შეერთების ადგილას ყური შებრტყელებულია და შემკულია ხუთ-ხუთი ამოტვიფრული წრით. მათგან სამი განლაგებულია ყურის ღერძის მიმართ განივად, ორი – გრძივად (ტაბ. IV<sub>1</sub>). დოქის სიმაღლე - 27 სმ, სიგანე მხრებში - 20 სმ, პირის დმ - 10 სმ, ძირის დმ - 10 სმ, გეგმაზე № 2. სავ. №07:1-86: 377.

2. დოქი, მოყავისფროდ გამომწვარი, ქვიშანარევი თიხისა. პირი ჯამისებური მოყვანილობის, გვირგვინი გარეთ გადაკეცილი და მომრგვალებული. ორყურა, მაღალყელიანი, ტანი ბირთვისებური, ძირი ბრტყელი. დოქის სიმაღლე - 34,5 სმ, პირის დმ - 10 სმ, ძირის დმ - 14 სმ, ყურის სიგანე - 4 სმ, გეგმაზე - № 3, საველე 07:1-86:376 (ტაბ. IV<sub>2</sub>).

3. ჯამი, რუხმონაცრისფროდ გამომწვარი, ქვიშანარევი თიხისა, პირმოყრილი, პირის კიდე მომრგვალებული, შიგნით გადახრილი, კალთა დახრილი, ბრტყელძირა; ჯამის სიმაღლე 3 სმ, პირის დმ 8 სმ, ძირის დმ - 4 სმ. ქუსლის სიმაღლე - 1,5 სმ. გეგმაზე № 4. სავ. №07:1-86:374 (ტაბ. IV<sub>3</sub>).

4. ჯამი, მოყავისფროდ გამომწვარი, ქვიშა და ქარსნარევი თიხისა, შიდა ზედაპირი შავი, გარეთ მოყავისფრო, პირმოყრილი, პირის კიდე მომრგვალებული, ნაწიბურით შიდა მხარეს, კალთადაქანებული, წრიულქუსლიანი, ჯამის სიმაღლე - 4,5 სმ, პირის დმ - 14 სმ, ქუსლის დმ - 8 სმ. გეგმაზე № 5, სავ. №07:1-86:375 (ტაბ. IV<sub>4</sub>).

5. ჯამი, მოყავისფროდ გამომწვარი, მინარევებიანი თიხისა (ქვიშა, ქარსი), შიდა ზედაპირი შავი, გარეთა მოყავისფრო, შავლაქებიანი, პირმოყრილი, კალთადაქანებული, ბრტყელძირა, ჯამის სიმაღლე - 3,5 სმ, პირის დმ - 14 სმ, ძირის დმ - 9 სმ, გეგმაზე № 6, სავ. №07:1-86:373 (ტაბ. IV<sub>5</sub>).

6. შუბისპირი, რკინისა, ვინროპირიანი, მრგვალმასრიანი. მასრის ნაწილი მოტეხილია. შემორჩენილი სიგრძე - 26 სმ, პირის სიგრძე - 20,5 სმ, სიგანე - 4 სმ. გეგმაზე № 7, სავ. №07:1-86:378 (ტაბ. IV<sub>6</sub>).

7. შუბისპირი, რკინისა, ვინროპირიანი, მრგვალმასრიანი, სიგრძე 24 სმ, პირის სიგრძე - 16,5 სმ, პირის სიგანე - 3 სმ, სავ. №07:1-86:379 (ტაბ. IV<sub>7</sub>).

8. რკინის დანა, მოხრილზურგიანი, ე.წ. „სასხლავი“, გეგმაზე № 13, სავ. №07:1-86:366.

9. რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთების ფრაგმენტები, დეფორმირებული, გეგმაზე № 30, სავ. №07:1-86:367.

**ქვევრის შიგნით აღმოჩენილი ინვენტარი:**

1. დოქი, მოყავისფროდ გამომწვარი, მინარევებიანი თიხისა (ქვიშა, პიროქსენი). პირგადაშლილი, ცალყურა, დაბალყელიანი, ტანი ბირთვისებური, ბრტყელძირა; დოქის სიმაღლე 19 სმ, პირის დმ - 9 სმ, უდიდესი დმ - 15 სმ, ძირის დმ - 9 სმ. გეგმაზე № 8, სავ. №07:1-86:369 (ტაბ. V<sub>1</sub>).

2. დოქი, მოყავისფროდ გამომწვარი, მინარევებიანი თიხისა (ქარსი, ქვიშა, პიროქსენი). ზემოთაღწერილის მსგავსი, შედარებით მცირე ზომის, ნაგრძელებული პროპორციების, სიმაღლე 17,5 სმ, პირის დმ - 7,5 სმ, უდ. დმ - 11,5 სმ, ძირის დმ - 7,5 სმ. გეგმაზე № 9, სავ. №07:1-86:370 (ტაბ. V<sub>2</sub>).

3. სანელსაცხებლე (უნგვენტარიუმი), მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, მცირერიცხოვანი უმცირესი ნაწილაკების შემცველი თიხისა, პირისგვირგვინი სოკოსებური, ვინროყელიანი, კვერცხისებურტანიანი, ძირისკენ მკვეთრად შევიწრო-



ვებული, ბრტყელძირა. ყელზე და მხრების დასაწყისზე შემოუყვება წითელი საღებავით შესრულებული ვიწრო ზოლები. სიმაღლე – 11 სმ, პირის დმ - 3 სმ, ძირის დმ – 2.3 სმ. გეგმაზე № 10, სავ. №07:1-86:371 (ტაბ. V<sub>3</sub>).

4. ყელსაბამი, შედგენილი ოქროს, გიშრის, სარდიონის, სტეატიტის (?), მინის საკიდის მონაცვლეობით (აღმოჩენის პირობების მიხედვით მონაცვლეობის კანონზომიერების დადგენა ვერ მოხერხდა. წარმოდგენილი ასხმა პირობითია) ოქროს 8 მძივი სფეროსებურია, ცალ მხარეს ნახვრეტის გარშემო სადამავთულშემოვლებული. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. რჩილვის ხაზი იკითხება, თუმცა ზედაპირი საგანგებოდაა გაპრიალებული. ნახვრეტის გარშემო შემოვლებული მავთულის ბოლოები ერთმანეთთან დაუდევრად შეერთებული – ერთმანეთთან მჭიდროდ მისული არ არის. ოქრო მუქი ყვითელი. მძივის დმ – 8-9 მმ (ტაბ. V<sub>4</sub>). ოქროს ერთი მძივი ოთხნახნაგოვანია, სწორკუთხაგანიკვეთიანი (პრიზმული), შედგენილია ცვარასაგან - საფუძვლის (ფირფიტის) გარეშე, ცვარას ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. თითოეულ გვერდზე 15 ცვარა იკითხება (3×5), თავდაპირველად გამოყენებული ყოფილა 40 ცვარა, ახლა ოთხი ცვარა დაკარგულია. ცვარა მსხვილია, თანაბარი, რჩილვის დროს არ დაზიანებულია, ოქრო მუქი ყვითელი, მძივის სიგრძე 5,5 მმ; გიშრის მძივი სფეროსებურია, ნახვრეტის ღერძის გასწვრივ დაბრტყელებული, ზედაპირი გაპრიალებულია; ამჟამად დამსკდარია და ნაწილობრივ ატკეცილი (მძივი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი); მძივის დმ - 14,5 მმ. ღერძის სიგრძე - 12 მმ. სარდიონის ერთი მძივი კასრისებურია (ნახვრეტის ღერძის გასწვრივ წაგრძელებული), მუქი ყავისფერი, მონითალო ელფერით, გაუმჭვირვალე (ჩანს მუქი ძარღვები). ღერძის სიგრძე - 11,5 მმ, დმ - 9 მმ (ზედაპირი არათანაბარია, ჩანს დამუშავების კვალი არამკვეთრი სიბრტყეების სახით). სარდიონის მეორე მძივი ფრაგმენტულია, სფეროსებური (?). ნახვრეტის ღერძის გასწვრივ დაბრტყელებული; მუქი ვარდისფერი („თაფლისფერი“), ნახევრადგამჭვირვალე. თეთრი ქვის - სტეატიტის (?) მძივი სფეროსებურია, ნახვრეტის ღერძის გასწვრივ დაბრტყელებული; ზედაპირი არათანაბარია (დასერილი, დაზიანებული ?). დმ - 11,5 მმ, ღერძის სიგრძე - 7 მმ. გაუმჭვირვალე მინის ერთი მძივი სფეროსებურია, ნახვრეტის ღერძის გასწვრივ დაბრტყელებული; ლურჯი ფერის, თვალეზიანი; ორი მძივი ნახნაგებიანია, აქედან ერთი მთლიანია (ზედაპირი ნაწილობრივ ატკეცილია), 18 ნახნაგა, მეორე ფრაგმენტული, მუქი იასამნისფერი, წარმოადგენს ამეთისტოს იმიტაციას, ღერძის სიგრძე – 12,5 სმ, უდიდესი დმ - 9 მმ. ერთი მძივი კასრისებურია, ნახვრეტის ღერძის გასწვრივ - წაგრძელებული, შავი ფერის, ზედაპირი მცირედ დაზიანებული, რის გამოც ჩანს ღია ფერის ლაქები. დმ – 12 მმ, ღერძის სიგრძე – 13,5 მმ. საკიდი ამფორისკის ფორმისა, ღია მწვანე ფერის (მოთეთრო), გამჭვირვალე მინისა, აკლია დაბოლოება („ქუსლი“); საკიდის სიმაღლეა 14 მმ, უდიდესი დმ – 9 მმ; ამგვარად ყელსაბამი სულ 18 ერთეულისაგან შედგება. სავ. №07:1-86:360.

5. საყურეები, წყვილი, რგოლზე მოძრავად, ყუნწის საშუალებით შეკიდულია ბურთულა, დაბოლოებული ცვარათი, რგოლო წრიულია, გახსნილი, სადა; ერთ საყურეზე ბოლოები ერთმანეთთან მჭიდროდ მისული არ არის, მეორესთან ერთმანეთთან მოჯრითაა, მხოლოდ სხვადასხვა სიბრტყეზე. ყუნწი მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, შემკულია ორი ირგვლივი ღარით (ყუნწის დმ – 3 მმ, რგოლის მავთულის დმ - 1,5 მმ). ბურთულა ფუყეა, მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. რჩილვის ხაზი ნათლად ჩანს – თარაზულია, ოქრო მუქი ყვითელი, საერთო სიმაღლე - 25 მმ, რგოლოს დმ – 17 მმ, ბურთულის დმ – 6 მმ. ერთი საყურის ბურთულა დეფორმირებულია, ჩანს ჟანგის მცირე დანალექი. სავ. №07:1-86:359. (ტაბ. V<sub>5</sub>).

6. სამაჯური ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, ზურგსწორი, ოდნავ შესამჩნევი შეზნექილობით. მრგვალგანივკვეთიანი ღერო სამაჯურის თავებში, ზურგის შუაგულზე და გვერდებში, სულ ხუთ ადგილას, გააჩნია ცილინდრული ფორმის შესქელებები. განაპირა შესქელებები დაღარულია სამაჯურის ღეროს მიმართ განივად, შუა შესქელებები გრძივად. სამაჯურის დმ 6.7 სმ. ღეროს დმ 0.3 სმ. გეგმაზე №11, სავ. №07:1-86:362 (ტაბ. V<sub>6</sub>).

7. სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავებგახსნილია, ოდნავ ზურგ-შეზნექილი, სამაჯურის თავები დაბოლოებულია მცირე ზომის ბურთულებისებური შესქელებებით. ღერო თანაბარი ინტერვალებით განივადაა დაღარული. სულ თერთმეტი ღარია, მათ შორის მოქცეული ინტერვალები გლუვია, გეგმაზე № 12, სავ. №07:1-86:361 (ტაბ. V<sub>7</sub>).

8. მონეტა ვერცხლისა, ავერსზე ნიმფა სინოპეს თავი მარცხენა პროფილში, კოშკისებური გვირგვინით; რევერსზე სამხედრო გემის - ტრიერას ცხვირი, მის ზემოთ მარცხნივ წარწერა ΣΙΝ, ცხვირის წინ მონოგრამა; დმ - 12 მმ. სინოპური ჰემიდრაქმა, ძვ.წ. 306-290 წწ. სავ. № 07:1-86:368 (ტაბ. V<sub>8</sub>). სწორედ ეს მონეტა არის *Terminus post quem* წარმოდგენილი სამარხის კომპლექსისათვის.

ძვლოვანი მასალიდან სამარხში ფიქსირებულია მხოლოდ ერთი სარძევე კბილი.

მთლიანად სამარხის ინვენტარი, თიხის ჭურჭლის ფორმები, ბრინჯაოს სამაჯურები მეტად დამახასიათებელია კოლხეთის ადრეელისტიური ხანის ქვევრსამარხებისათვის [თოლორდავა 1980: ტაბ. III; V<sub>2,8</sub>; VI<sub>2-3</sub>; X<sub>4</sub>; XI<sub>1-2</sub>; Кигურაძე 1976: ტაბ. XVIII<sub>1</sub>; XLVI], უჩვეულოდ ჩანს მხოლოდ მასში ოქროს წვრილი სამკაულისა და იარაღის არსებობა. ასევე უჩვეულოა ამგვარი სამარხის ვანში არსებობა, სადაც აქამდე მხოლოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირების, კოლხური არისტოკრატის მდიდრული სამარხები იყო დაფიქსირებული.

ასევე საინტერესოდ გამოიყურება სამარხის გამართვის პროცედურა: კლდეში ამოკვეთილ ორმოში შუაზე განივად გადაჭრილი ქვევრი ჰორიზონტალურადაა ჩადგმული. ორმოსა და ქვევრის ზომათა ურთიერთშეფარდება გამორიცხავს ქვევრის ნაწილთა ორმოში განცალკევებით ჩადგმას და შემდეგ იქ მათ შეერთებას. როგორც ჩანს ვერტიკალურ მდგომარეობაში მდგარი უკვე გადახერხილი ქვევრის ქვედა ნაწილში მოუთავსებიათ ნეშტი, ალბათ ხელ-ფეხმოკეცილი. შემდეგ ქვევრს დაადგეს მისი ზედა ნაწილი, გვერდზე დაანვინეს შესაძლოა რაიმე ქსოვილის მოზრდილ ნაჭერზე, რომლის საშუალებითაც შემდეგ ჰორიზონტალურად ჩააცურეს მისთვის განკუთვნილ ორმოში, ისე, როგორც ეს მიღებულია დღევანდელ დასაკრძალავ პრაქტიკაში.

შენობის ნგრევის დროისათვის სამარხის არსებობა დოკუმენტურად დასტურდება. სამარხის ორმოს ამოკვეთისას ბაქანის კედლის დაზიანება კი სამარხის გამართვის დროისათვის ბაქნის არსებობას უნდა მოწმობდეს. ზემოთქმულის გამო ამ სამი ობიექტის ქრონოლოგიური ურთიერთკავშირი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. თიროვან დედაქანში ბაქანის ამოკვეთა; 2. ბაქანზე შენობისა და სამარხის გამართვა დაუდგენელი თანმიმდევრობით; 3. შენობის დანგრევა და ნგრევის ფენის სამარხზე დაფენა. მოპოვებული ფაქტობრივი მასალა არ ეწინააღმდეგება შენობისა და ქვევრსამარხის დამოკიდებულების არცერთ გამოთქმულ ვარიანტს.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია ამგვარი ლათინური „U“-ს მაგვარი ნაგებობების მთელი წყება. და მათ უმეტესობასთან დაფიქსირებულია რკინისა და ბრინჯაოს ქანდაკებების რიტუალური დაკრძალვა (იხ. ყველა შემთხვევის ამომწურავი მიმოხილვა [Kacharava, Kvirkvelia 2008: 97-112; კაჭარავა, ხარაბაძე 2016: 69-70]).

ამ რიტუალის არსზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს, კერძოდ გ. ლორთქიფანიძემ ის გარდაცვლილი ღვთაების დატირების მისტირიებს დაუკავშირა [Лордкипანიძე Г. 1970:

23]. გ. ჯავახიშვილი ვანის ამ ქანდაკებას მიიჩნევს ნაყოფიერების ღვთაების საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ტიპურ სახედ, დაკავშირებულს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ფალიკურ ფიგურებთან [ჯავახიშვილი 1984: 80]. ოთარ ლორთქიფანიძის ვარაუდით, ბრინჯაოს ეს ფიგურები, შესაძლოა, ქურუმთა გამოსახულებები იყო [ლორთქიფანიძე 2002: 212]. ნ. მათიაშვილიც ვანის ლითონის მცირე ფიგურებს ქურუმთა გამოსახულებებად განსაზღვრავს, ხოლო რიტუალში ქურუმთა მსხვერპლშენიერვას ხედავს [მათიაშვილი 2005: 37-38].

როგორც ჩანს, ეს რიტუალი მიცვალებულთა კულტს უნდა უკავშირდებოდეს. ამაზე მიგვანიშნებს ფიგურების აღმოჩენის პირობები: ყველა აღმოჩენილია ან საკუთრივ სამლოცველოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ხოლო თვით სამლოცველოები ნაწილია ერთიანი კომპლექსისა, რომელშიც სამარხებიც შედის [კვირკველია 2005: 187-188; Качарава, Квирквелия 2006: 179-182; Kacharava, Kvirkvelia 2008: 97-112; Квирквелия 2008: 79-96]. ამგვარად, შესაძლოა აღწერილი ქვევრსამარხი ვანიდან იმავე რიტუალის ნაწილი შეიძლება იყოს და ერთგვარად წარმოადგენს ლითონის ფიგურების ჩანაცვლებას.

2. კიდევ ერთი, №19 სამარხი აღმოჩნდა 1987 წელს ვანის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას 67-ე (კვ. ა<sub>9-10</sub>, ბ<sub>9-10</sub>-ე<sub>9-10</sub>, ფ<sub>6-10</sub>-ჩ<sub>6-10</sub>) და 85-ე (კვ. ა<sub>1-3</sub>-ჩ<sub>1-3</sub>) ნაკვეთებში (ამ სამარხის კომპლექსიდან მომდინარე ნივთების ნაწილი გამოქვეყნებულია [იხ. კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ჭყონია 2024: 110-111]). ამ ფართობს დასავლეთიდან საზღვრავდა 1986 წელს გამოვლენილი 24,40 მ სიგრძის რუსტებიანი კვადრებით ნაგები მონუმენტალური კედლის სამხრეთი ნაწილი, ჩრდილოეთიდან – 1968-1971 წლებში აღმოჩენილი დიდი ნაგებობის საძირკველის ნაშთები (ტაბ. 6). ამავე ტერიტორიაზე სხვადასხვა წელს იყო გამოვლენილი მდიდრული სამარხების სერია (№ 9-11, 15).

2.0-2.20 მ დონის ნიშნულზე აღმოჩნდა ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარში გამართული თირკვებიანი მოედანი, რომელიც დიდ ფართობზე ვრცელდებოდა. 67-ე ნაკვეთის d-e<sub>7-8</sub> კვადრატებში, სადაც ეს მოედანი უშუალოდ გადადიოდა დედაქანის თავზე, მისი ზედაპირის განმედიისა და დაფიქსირდა ბზარებით შემოფარგლული ოვალური მოყვანილობის კონტური. ტკეპნილი ფენის ალებისა და შემდგომი დაღრმავების შემდეგ e<sub>7</sub> კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა კლდეში ჩაჭრილი სამარხი ორმოს კონტურები.

სამარხი ორმოს ზომებია 2.5×1.7 მ-ის თითქმის მართკუთხა მოყვანილობისა და ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე (ტაბ. 7). ორმო შევსებულია ცალკეული ქვიშაქვის ქვებისა და ნაშალი თირის მასით. სამარხი ორმოს კედლები ვერტიკალურად იყო ჩაკვეთილი წვეტიანპირიანი იარაღით. სამარხის ფსკერზე, ორმოს ჩრდილოეთი და და სამხრეთ კედლების პარალელურად ამოკვეთილი იყო 10 სმ სიღრმისა და 15 -20 სმ სიგანის ღარები, ორმოს კიდეებიდან 20 სმ-ით დაშორებული. სამარხის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე შესამჩნევი იყო ვერტიკალური ღარები, რომლებიც ფსკერზე დაფიქსირებულ ღარების გაგრძელებას წარმოადგენდნენ. ფსკერზე გამოვლენილი იყო ხის ანაბეჭდები და მცირე ნაშთები.

მიცვალებულისგან შემორჩენილი იყო ცალკეული ძვლები - მენჯის, ბარძაყის, ლავნის, ხერხემლის მალეების, ხელების, ქვედა ყბისა და თავის ქალის წვრილი ფრაგმენტები. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შესაძლებელია მიცვალებულის პოზის დადგენა – ის იწვა ზურგზე, თავით აღმოსავლეთისკენ. ხელის მტევნები მენჯის ძვლებზე იყო დანყობილი. ხელის მტევნებზე ეკეთა ორ-ორი სამაჯური, ერთი წყვილი ვერცხლის, მეორე რკინის (გეგმაზე №14-17). ეს სამაჯურები მეტად კოროზირებული აღმოჩნდა და ამოღებისას დაიშალა. წვივის ძვლებთან აღმოჩნდა რკინის გაურკვეველი ფორმის ნივთი (დაიშალა ამოღებისას, გეგმაზე №19). მენჯის ძვლებთან მოთავსებული იყო გაურკვეველი

ფორმისა და ფუნქციის ბრინჯაოს ნივთი (გეგმაზე № 20; ისიც დაიშალა). მარჯვენა ხელის ცალ თითზე მიცვალებულს ეკეთა ორი ვერხლის ფარაკიანი ბეჭედი (გეგმაზე № 11). ქვედა ყბის არეში (გეგმაზე №13) აღმოჩნდა ორი კოლხური თეთრი, ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლები (გეგმაზე №10). ოქროს სამკაული, მათ შორის სასაფეთქლები, ნახევარმთვარისებური საკიდები, მძივები აღმოჩნდა თავის ქალის ფრაგმენტებთან ერთად (ოქროს ნივთები - გეგმაზე №7-9).

ჭურჭელი მოთავსებული იყო ჩონჩხისგან მარჯვენა მხარეს, სამარხის ჩრდილო კიდის გასწვრივ. მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა ნითლად მოხატული აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის მცირე ზომის ჭურჭელი (გეგმაზე №6). სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდო პირმოყრილი უქუსლი ჯამის ფრაგმენტი. დანარჩენი ჭურჭელი, ძლიერ დამტვრეული, ერთგვაროვან მასად ელაგა მიცვალებულის წელისა და ტერფების არეში, ერთ ზოლად. გამოიყოფა ჭურჭლის ცალკეული გროვები (გეგმაზე № 3, 5, 12). შედარებით უკეთ იყო დაცული სამტურა დოქი და ჯამი (გეგმაზე №1-2). სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ბრინჯაოს თასი იდო (გეგმაზე №4), ხოლო მასში დაფშვნილი ორყურა ჭურჭლის ფრაგმენტები (გეგმაზე № 3). კერამიკულ ფრაგმენტებში აღმოჩნდა საქონლის ბეჭი და ნეკნები.

#### **ინვენტარი:**

1. ოქროს საფეთქლები; ნაგრძელებული მომრგვალებულკიდებიანი ფირფიტა მოკაუჭებული ქვედა ბოლოთი, რომელიც გადადის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბოლოგახვრეტილ ღერაკში; ზედა ბოლოზე დამაგრებულია ვარდულა, რომლის შუაგულში ჩიტის გამოსახულებებია მოთავსებული. ფირფიტის გარეთა სიბრტყე ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითაა შემკული. ფირფიტის ზედა ბოლოზე მიმაგრებულია მოღუნილი მრგვალგანივკვეთიანი მავთული, რომელიც ეშვება ფირფიტის ქვედა ნაწილისკენ; აქ მისი ბოლო შებრტყელებული და გახვრეტილია. ფირფიტის ქვედა ბოლოზე ცილინდრული ფორმის დეტალით მასთან შეერთებულია ბიპირამიდული ფორმის დანახნაგებული ნაკვთი. შეერთების ადგილი შემკულია სამ-სამი ჩიტის გამოსახულებით. ყველა ჩიტის ცალკეული დეტალები დაცვარულია. ნახნაგები შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით; ასეთივე, უფრო დიდი ზომის პირამიდები ამკობენ ნახნაგების თავმოყრის წვეტიან ბოლოებს. საკიდები ბოლოვდება ცილინდრული დეტალით, რომელიც თავის მხრივ ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება, ორი ცალი; ერთი ცალი მთელია, აკლია ერთი პირამიდა, მეორე გადატეხილია და თავის დროზე რჩილვითაა შეკეთებული. სიმაღლე - 86.5 და 87.5 მმ. (ტაბ. VIII<sub>12-13</sub>). სავ. № 07:1-87:198.

2. ოქროს თავსამკაული, შედგენილი ნახევარმთვარისებური საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით. საკიდები შემკულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით და დაკეჭნილი მავთულით; ზემოდან საკიდებზე დარჩილულია ოთხმაგი, შეწყვილებული და სადა მძივები, ქვემოდან საკიდებზე რგოლებით შებმულია სამი მცირე ზომის დისკო. (ტაბ. VIII<sub>11</sub>). სავ. № 07:1-87:199.

3. ოქროს საკიდები, ნახევარმთვარისებრი, სადა, ზემოდან მიჩილულია დაღარული ყუნწი (მილაკი). 2 ცალი. სიმაღლე 22 და 21 მმ. (ტაბ. VIII<sub>14</sub>). სავ. № 07:1-87:200.

4. ოქროს საკიდი, მსხლისებური, სადა – ერთიანად გამოტვიფრულია ორ რიგად განლაგებული ორი მძივი და მსხლისებური გამოსახულება. (ტაბ. VIII<sub>11</sub>). სიმაღლე 1.7 მმ. სავ. № 07:1-87:201.

5. ოქროს საკიდი, შედგენილი ოქროს ყუნწისა და მთის ბროლის ბურთულისაგან. ყუნწი რვიანისებური მოყვანილობისაა (რგოლები არათანაბარი ზომისაა). ბროლის ბურთულა ძლიერ დაზიანებულია, მხოლოდ ანატაკეცების სახითაა შემორჩენილი. ყუნწი გატეხილია ორად. სავ. №07:1-87:202.

6. ოქროს მძივები, სფეროსებური, სადა. ერთი მძივი შეწყვილებულია – შედგენილი ერთ რიგზე განლაგებული ორი მძივის შეერთებით. 30 ცალი. მძივის დიამეტრი - 4 მმ; ღეროს სიგრძე – 3-3.5 მმ. (ტაბ. VIII<sub>14</sub>). სავ. № 07:1-87:204

7. ოქროს მძივები, სფეროსებური, ტანდალარული. ერთი მძივი შეწყვილებულია, შედგენილია ერთ რიგზე განლაგებული ორი ტანდალარული მძივის შეერთებით. მძივის დმ - 4 მმ. (ტაბ. VIII<sub>14</sub>). სავ. № 07:1-87:203

8. გაუმჭვირვალე მინის მძივი, ყვითელი ფერის, სფეროსებრი. დმ - 5 მმ. სავ. № 07:1-87:205.

9. ვერცხლის სამაჯურები, მრგვალღეროიანი, თავებგახსნილი, წვრილმავთულიანი. ორი ცალი. ამოღებისას დაიშალნენ.

10. რკინის სამაჯურები, მრგვალღეროიანი, თავებგახსნილი, წვრილმავთულიანი. ორი ცალი. ამოღებისას დაიშალნენ.

11. ვერცხლის ბეჭედი-საბეჭდავი, ოვალურფარაკიანი, მრგვალმავთულიანი, შეკრული რგოლოთ. ფარაკზე ტახის გამოსახულებაა, კონტურზე ოქროს მავთულით შემოსაზღვრული (ტაბ. VIII<sub>9</sub>). რგოლის დმ - 2.5 სმ, სავ. № 07:1-87:214. ირდაპირი ანალჯგია ვერ მოიძებნა.

12. ვერცხლის ბეჭედი-საბეჭდავი, ოვალურფარაკიანი, მრგვალმავთულიანი, შეკრული რგოლით. ფარაკზე ჩიტის გამოსახულებაა, რომელსაც ნისკარტის წინ რტოს გამოსახულებაა მოთავსებული (ტაბ. VIII<sub>8</sub>). რგოლის დმ - 2.1 სმ, ფარაკის ზომები - 1.6×1.4 სმ. სავ. № 07:1-87:215.

13. ვერცხლის მონეტები, კოლხური, ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლები ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით, ორი ცალი (ტაბ. VIII<sub>8</sub>). დმ. 1.1 და 1.19 სმ. დმ. სავ. № 07:1-87:220.

14. ბრინჯაოს თასი, ფართოპირიანი, სადა პირისკიდითა და მასიური რკალურ-ქუსლიანი ძირით. შემორჩენილია მეტად ფრაგმენტულად. სავ. № 07:1-87:213.

15. ბრინჯაოს გაურკვეველი ფორმის ნივთი, თხელფირფიტოვანი. ამოღებისას დაიშალა.

16. რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, ნალისებური მოყვანილობის, მრგვალ-განივკვეთიან ღეროიანი. ამოღებისას დაიშალა.

17. დოქი, თიხის, ცალყურა, მოხატული, დაბალმუცლიანი, დაბალყელიანი, გარეთ გადაკეცილი სადა პირისგვირგვინით. ყური მოტეხილა. მოხატულია წითელი საღებავით. წითელი ვიწრო ზოლით შეღებილია პირის კიდე. ასეთივე ვიწრო ჰორიზონტალური ზოლები გასდევს ყელს ქვემოთ, მხრის დასაწყისზე და მუცელთან, მის ზემოთ, ზოლებს შორის მოქცეული სივრცე, შევსებულია ერთ რიგზე განლაგებული პარალელური ზოლებით დამტრისული წვერით ქვემოთკენ მიმართული სამკუთხედებით. ზედხედში ეს სამკუთხედები ხუთქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებას ქმნიან (ტაბ. VIII<sub>4</sub>). კეცი ღია მოყვითალო, სუფთა თიხის, ადვილად შლადი. სიმაღლე 10 სმ, დმ მაქს. – 11.5 სმ; პირის დმ - 5.7 სმ, ძირის დმ - 6 სმ, ყელის დმ - 5.5 სმ; სიმაღლე ძირიდან უდიდეს დიამეტრამდე - 3.5 სმ. სავ. № 07:1-87:206. ამდაგვარი წითელი სამკუთხედებით მოხატული კერამიკა საკმაოდ გავრცელებული აღმოსაფლეთ საქართველოს ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის კომპლექსებში [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002: 55]. ცნობილია ასეთი დოქები ვანის სამარხებიდანაც. კერძოდ ისინი აღმოჩენილია ნაქალაქარის ცენტრალური ტერასაზე № 9 მეომრისა [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 208, სურ.176] და №10 სამარხებში [თოლორდავა 1986: 91-92, სურ, 77<sub>4</sub>], შესაბამისად, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით და ამავე საუკუნის მიწურულითა დათარიღებული.

18. დოქი, თიხის, შავზედაპირიანი. კეცი გადანატეხში მოყავისფრო, ხშირი წვრილმარცვლოვანი მინარევებით. ტანი ბირთვისებრი, განიერი, პირი – სამტურია. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირის კიდეზე და მხარზე. პირთან მიერთებისას ყურზე მოთავსებულია ნახევარსფეროსებრი კოპი. ყელი შემკულია სამი ჰორიზონტალური ღარით. ღარებს ქვემოთ, ყელის მხარზე გადასვლისას მოთავსებულია ნახევრადსფეროსებრი კოპების რიგი. უფრო ქვემოთ, მხრის დასაწყისში – წინვოვანი ორნამენტის სარტყელი. კორპუსის შუა ნაწილში მოთავსებულია ტალღისებურად ნაკანრი ხაზების ორი ზოლი (ტაბ. VIII<sub>6</sub>). დოქის სიმაღლეა 13 სმ, უდიდესი დმ - 10.5 სმ, ძირის დმ - 6 სმ; ყელის დმ - 4 სმ. სიმაღლე ძირიდან უდიდეს დიამეტრამდე - 4 სმ. სავ. № 07:1-87:208.

19. დოქი, თიხის, ცალყურა, შავზედაპირიანი, ყავისფერკეციანი, წვრილმარცვლოვანი ხშირი მინარევებით. ტანი ბირთვისებრი, ძაბრისებურად გაფართოებული ყელით. პირის კიდე სადაა. მრგვალგანივკვეთიანი ყური უერთდება ყელზე პირისკიდის ქვეშ და მხარზე. ყელთან მიერთებისას შემკულია ნახევარსფეროსებრი კოპით. ყურის ღეროს ქვედა ბოლოში თითისებური ჩაღრმავება გააჩნია. ყელზე, მხარში გადასვლისას, სამი ჰორიზონტალური ღარია (ტაბ. VIII<sub>7</sub>). დოქის სიმაღლე - 30 სმ, მაქსიმალური დმ - 16.5 სმ, პირის დმ - 8 სმ, ძირის დმ - 10 სმ, ყელის დმ - 4.5 სმ, სიმაღლე მაქსიმალურ დიამეტრამდე - 7 სმ. სავ. № 07:1-87-209.

20. დოქი, თიხის, ცალყურა, შავზედაპირიანი, ყავისფერკეციანი, წვრილმარცვლოვანი ხშირი მინარევებით. ტანი ბირთვისებრი, ძაბრისებურად გაფართოებული ყელით. პირის კიდე სადაა. მრგვალგანივკვეთიანი ყური უერთდება ყელზე პირისკიდის ქვეშ და მხარზე (ტაბ. VIII<sub>5</sub>). დოქის სიმაღლე - 14.5 სმ, მაქსიმალური დმ - 16.5 სმ, პირის დმ - 7 სმ, ძირის დმ - 8 სმ, ყელის დმ - 3 სმ, სიმაღლე მაქსიმალურ დიამეტრამდე - 6 სმ. სავ. № 07:1-87-210.

21. ქოთანი, თიხის, ორყურა, კეცი ღია მოყავისფრო, მსხვილმარცვლოვანი მონარე-ბებით, უხეშად დამზადებული, არასწორი ზედაპირით, ძირი ვიწრო, მუცელი გამობერილი; დაბალყელიანი; პირისგვირგვინი ოთხკუთხა განივკვეთიანი, სიბრტყეების ერთმანეთში კუთხოვანი გადასვლით. ზედაპირი შიგნით დახრილი, სიგანე 1.2 სმ. გარეთა ზედაპირის სიგანე 1.2 სმ, ყური ოთხკუთხაგანივკვეთიანი, მიმაგრებულია უშუალოდ პირისგვირგვინის ქვეშ, და მხრის ზედა ნაწილში. ყურის სიგანე 1.5 სმ, ქოთნის სიმაღლე - 28 სმ, მაქსიმალური დმ - 27 სმ, პირის დმ - 12 სმ, ძირის დმ - 10 სმ, სიმაღლე მაქსიმალურ დიამეტრამდე - 13 სმ (ტაბ. VIII) სავ. № 07:1-87: 207.

22. ჯამი, თიხის, ბრტყელძირა, სადაპირიანი, პირმოყრილი, შავზედაპირიანი (ტაბ. VIII<sub>3</sub>). სიმაღლე - 4 სმ, პირის დმ - 12.3 სმ, ძირის დმ - 7 სმ. სავ. № 07:1-87: 211.

23. ჯამი, თიხის, ფრაგმენტული, ბრტყელძირა, სადაპირიანი, პირმოყრილი, ყავისფერკეციანი (ტაბ. VIII<sub>2</sub>). სიმაღლე - 4.5 სმ, პირის დმ - 11 სმ. სავ. № 07:1-87: 211.

სამარხი, ძირითადად ვანის სამარხებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით, შეიძლება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდეს.

### ბიბლიოგრაფია:

**თოლორდავა 1980:** თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები). თბ.

**თოლორდავა 1986:** თოლორდავა ვ. ვანის ცენტრალური ტერასის გათხრები. – კრებ. ვანი, VIII, თბ., გვ. 79-92.

**კაჭარავა, ხარაბაძე 2016:** კაჭარავა დ., ხარაბაძე ს. ვანის №1 და 2 სამლოცველოების გათხრების ანგარიში (2002-2005 წლები). – ჟურ. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, № 23, გვ. 60-97.

**კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ჭყონია 2024:** კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ნ., ჭყონია ან. წარჩინებულთა სამარხები. – ვანის არქეოლოგიური მუზეუმი. თბ., გვ. 62-116.

**კვირკველია 2005:** კვირკველია გ. ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან. – ჟურ. იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური გამოკვლევები, №2, თბ., გვ. 187-188.

**ლორთქიფანიძე 2002:** ლორთქიფანიძე ოთ., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.

**ლორთქიფანიძე და სხვ. 1972:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – კრებ. ვანი, I, თბ., გვ. 198-242.

**მათიაშვილი 2005:** მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ.

**ნარიმანიშვილი და სხვ. 2002:** ნარიმანიშვილი გ. შატბერაშვილი ვ., ძვ.წ. V-III-ის ნითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან. – ჟურ. ძიებანი, №9. თბ. გვ. 54-70.

**ჯავახიშვილი 1984:** ჯავახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბ.

**Kacharava, Kvirkvelia 2008:** Kacharava D., Kvirkvelia G., Religious ritual: bronze and iron figurines from Vani. – Wine, Worship and Sacrifice: the Golden Graves of Ancient Vani, New York, pp. 97-111.

**Качаравა, Квирквелия 2006:** Качарава Д., Квирквелия Г. Бронзовые фигурки из Ванского городища. – Археология Кавказа, I, Тб., с. 179-182.

**Квирквелия 2008:** Квирквелия Г. Новый эллинистический храм из Вани. – Международные отношения в бассейне Чёрного моря в скифо-античное и хазарское время. Сб. статей по материалам XII международной конференции. ред. В. Копылов, Ростов-на-Дону, с. 79-96.

**Кигურადзе 1976:** Кигურადзе Н. Дапнарский могильник, Тб., 1976.

**Лордкипანიძე 1970:** Лордкиპანიძე Г. К истории древней Колхиды. Тб.

**Лордкиპანიძე და სხვ. 1991:** Лордкиპანიძე О., Пугуридзе Р., Матиашвили Н., Толордава В., Пирцхალავა М., Чкония А., Квирквелия Г., Инаури Г. Ванская археологическая экспедиция. – ПАИ в 1986 г., Тб., с. 70-74.

**Лордкиპანიძე და სხვ. 1995:** Лордкиპანიძე О., Пугуридзе Р., Матиашвили Н., Пирцхალავა М., Чкония А., Квирквелия Г., Кипиანი Г., Инаури Г. Археологические исследования Ванского городища. – ПАИ в 1987 г., Тб., с. 93-100.

### ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – ა. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის გენგემის ფრაგმენტი; ბ. გათხრილი მონაკვეთის გეგმა.

ტაბ. II – 1. ნაგებობის ნაშთები და № 18 სამარხის კონტური; 2. ქვევრსამარხი გახსნამდე; 3. ქვევრსამარხი გახსნის შემდეგ.

ტაბ. III – ქვევრსამარხი, გეგმები და ჭრილი.

ტაბ. IV – ქვევრსამარხის ინვენტარი.


ტაბ. V – ქვევრსამარხის ინვენტარი.

ტაბ. VI – ცენტრალური ტერასა, ხედები და გეგმა.


ტაბ. VII – სამარხი № 19, ფოტოხედები და გეგმა.

ტაბ. VIII – სამარხი № 19, ინვენტარი





ს



ბ

სსს. 193    სსს. 194



II





1




2




3




IV




V




VI



VII





## ქველი ვანი და მისი შემოგარენი ქვ.ნ. I ს-ის შუა წლებიდან - ახ.წ. IV ს-მდე

დიმიტრი ახვლედიანი, მაია ჩარკვიანი, სულხან ხარაბაძე

ჩვენი ნაშრომის მიზანია თავი მოვუყაროთ და მეტ-ნაკლებად ზუსტად დავათარილოთ, ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში გამოვლენილ ძვ.წ. I ს-ის შუა წლები - ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ მასალა და მისი შესწავლის საფუძველზე გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა. აღნიშნული პერიოდის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ემთხვევა ძველი ვანის ნგრევის თარიღს - ძვ.წ. I ს-ის შუა წლებს, ზედა ქრონოლოგიური ზღვარი - ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბებისა და გაძლიერების ხანას.

ამ პერიოდის შესწავლის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოპოვებული არქეოლოგიური წყაროები მცირეა (განსაკუთრებით კერამიკა) და მათი დანვრილებითი ტიპოლოგიური, შესაბამისად ქრონოლოგიური შესწავლა რთულდება. გამონაკლისს მონეტები და ზოგიერთი სხვა არტეფაქტი წარმოადგენს. სწორედ მათზე დაყრდნობით შევეცდებით ამ პერიოდის წარმოჩენას.

ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის - ახ.წ. III ს-ის ძეგლებიდან შემორჩენილია განძი, ერთი სამარხი, კულტურული ფენა და მონეტები (ტაბ. I, 1-6), ვანის მიდამოებში - ოთხი სამარხი: სოფ. ფერეთაიდან (2), სოფ. ინაშაურიდან (1), სოფ. ზედა გორადან (1), და განძი - სოფ. ქვედა გორადან (ტაბ. II, 1-5).

### ვანის ნაქალაქარი:

განძი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ნაკვ. 203, კვ.ა 7, 8-ში, თავდაცვითი კედლის ჩაჭრილ დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში (1,90 X 0,85 X 0,90მ.). განძში დაფიქსირდა: ბრინჯაოს ნივთები - ლუთერია (07:1-07/315); სამი სადგარი (07:1-07/319-321); სირენას ფიგურა (07:1-07/322); სასაკმეველე (07:1-07/323); ოთხი ჭრაქი (07:1-07/324-327); სარეცლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები (07:1-07/328-337). რკინის ნივთები: ორი თიმიატერიონი (07:1-07/316,317); „კერია“ (07:1-07/318); შუბისპირები, ისრისპირები (07:1-07/338-352); ცვილის ნაჭერი. განძში გადამალული ნივთები ზოგადად ძვ.წ. III-IV სს-ით თარიღდება.

თავდაცვითი კედლის ეს მონაკვეთიც, ძველ ქალაქთან ერთად დაინგარა ძვ.წ. I ს-ის შუა წლებში. ნგრევის შემდეგ, ხდება კედლის ბალაგერის ქვების ამოღება (მეორადი გამოყენებისათვის), რა მიზნითაც დამწვარი კედლის ალიზის მასაში, იჭრება ტრანშეა და სავარაუდოთ, მაშინ ხდება ტრანშეის ძირზე, დედაქანში ორმოს ამოკვეთა და მასში განძის გადამალვა [ახვლედიანი და სხვ. 2022: 5-63]. ანუ განძის ჩაფლვის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი არის ძვ.წ. I ს-ის შუა წლები. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს იგი არ უნდა ცდებოდეს წელთაღრიცხვათა მიჯნას, ვინაიდან განძში აღმოჩენილი ცვილის რადიონახშირბადული ანალიზის მიხედვით, იგი ძვ.წ. I ს-ით დათარიღდა [მეიში და სხვ. 2010: 17], (ტაბ. I, 1; III, 1).

კულტურული ფენა, ვანის ნაქალაქარის, ქვედა ტერასაზე, „დიდი ტაძრის“ ნანგრევების გარშემო გამოვლინდა და ტაძრის ფუნქციონირების შემდგომი ხანით თარიღდება.

ამ ფენაში გამოვლენილი მასალა ანალოგიურია ძველი ვანის ცხოვრების ბოლო პერიოდის მასალისა: როდოსული ამფორის ყური დამლით (07:1-86/354) - დამლა გადაშლილია; კრამიტების ნიშნიანი ფრაგმენტები (07:1-86/167,168, 234, 421); ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (07:1-86/139); „ყავისფერკეციანი ამფორების“ ფრაგმენტები (07:1-81/137, 392, 401, 769); სანაფები (07:1-86/148, 1159); ყალიბი თიხის, სილენის თავის გამოსახულებით (07:1-73/633) და სხვ. ამავე ფენაში აღმოჩნდა ოთხი მონეტა - ვერცხლის



ანონიმური (07:1-86/ 324); 2 ც. კოლხური თეთრი (07:1-81/214, 07:1-81/220) და ოროდ II-ის პართული მონეტა, მოჭრილი ძვ.წ. 37 წელს [მათიაშვილი 2013: 128-130, ტაბ. XIV, 986].

აღწერილ კულტურულ ფენაში სხვადასხვა პერიოდის მასალაა შერეული, აღსანიშნავია ასოებიანი კოლხური თეთრი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებშია აღმოჩენილი [Дундуа 1987: 22,23; Кигურაძე 1976: 25, 56-58]. ზედა ქრონოლოგიურ ზღვარად კი ნ. მათიაშვილს ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრი მიაჩნია (ტაბ. I,2).

სამარხი №5, გამოვლინდა 1958 წელს, ნაქალაქარის ბორცვის თავზე, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ნაკვ. 210 კვ. ა-9, მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს ბრინჯაოს სარკოფაგს, აბაზანისებური, ოვალური ფორმის, ჰორიზონტალურად გადაშლილი პირით, რომელზეც რკინისშემონაფენია მანჭვლებით მიმაგრებული (შემორჩა ორი მანჭვალი).

სარკოფაგის მოგრძო კედლებზე მირჩილულია ოთხი სახელური - ლომის თავები საპლიკაციები, პირში გაყრილი რკინის რგოლებით. სავარაუდოთ, მას თავსახური და ძირი ჰქონდა, რომელებიც ძალზე დეფორმირებული ბრინჯაოს ფურცლის ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი.

სამარხის თავზე იდო ქვის ფილა, შიგნით კი ჩადგმული იყო მთლიან ქვაში ამოკვეთილი ყუთი (0,61 X 0,58 X 0,41მ), რომელშიც მიცვალებულის ძვლები ეწყო. თავის ქალა იდო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მენჯის ძვლები - სამხრეთ კედელთან, ნეკნები - შუა ნაწილში, კიდურები მათ ქვემოთ. დაკრძალვა მეორადია, ცეცხლის კვალის გარეშე. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სარკოფაგზე აღუმართავთ ყვითელი, ფხვიერი მიწის ზვინული, რომელსაც გარშემო ქვიშაქვის ქვებისაგან შედგენილი წყობა შემოუყვებოდა (ტაბ. I,3; III, 2).

სამარხი გაძარცვული იყო. ერთი ანგარიშის თანახმად, სარკოფაგში რამდენიმე ოქროს კილიტი აღმოჩნდა, ხოლო მეორე ანგარიშის მიხედვით, ისინი სამარხის ქვემოთ დაფიქსირდა. გარდა ამისა სარკოფაგის სიახლოვეს ოქროს ბეჭედი ეგდო. სამარხი ახ.წ. III ს-ით დათარიღდა [ხოშტარია 1972: 91, სურ.16-18; Хоштариа 1979: 133, სურ.18-25; Stroszeck 1994: 225-226].

სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს: 1) სამფენა აქატისთვლიანი, ოქროს ბეჭედი, მხრებგაზიდული რკალითა და მაღალი, ოვალური თვალბუდით (07:1-58/40) (ტაბ. V,1); ოქროს მილაკები, სადა, 3 ცალი (07:1-58/65); ოქროს ღილაკები, ნახევაროვალური მოყვანილობის, 2 ცალი (07:1-58/65); ოქროს ღილაკები, მსგავსი, 2ცალი (07:1-58/16); ოქროს ღილაკი, ერთ მხარეს სამკუთხა, მეორე მხარეს პალმეტის(?) გამოსახულებიანი, გამოტვიფრული (07:1-58/65); ღილაკი მსგავსი (07:1-58/659გ) [ჭყონია 1981: 90,91, კატ. 288-291, 293, 294, სურ. 69].

#### **გარდა ამისა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა შემდეგი მონეტები:**

1. იმპერატორ ადრიანეს (ახ.წ. 117-138 წწ.) ვერცხლის დიდრაქმა, მოჭრილი კესარიაში (მონეტა განსაზღვრა გიორგი დუნდუამ), გამოვლენილია ვანის ნაქალაქარის ნაკვ. 33 კვ. f 2-6, გ 2-6, თავდაცვითი კედლის ნანგრევების თავზე [კაჭარავა და სხვ., 2020: 275, სურ. 9] (ტაბ. I, 6; V, 3).

2. მარკუს ავრელიუსის (ახ.წ. 161-180 წწ.) რომაული დენარი, ახ.წ. 165-166 წწ-ში მოჭრილი. ნაკვ. 209 [დუნდუა და სხვ. 1977: 127, 152, კატ. 218; Дундуа 1987:124] (ტაბ. I, 4).

3. კარაკალას (ახ.წ. 211-217 წწ.) დრაქმა, ახ.წ. 197 წელს კესარიაში მოჭრილი. ნაკვ. 222, კვ.i-6 [დუნდუა და სხვ. 1977: 127, 152, კატ. 219; კაჭარავა და სხვ. 1979: 10, სურ.16, კატ. 92; Дундуа 1987: 124] (ტაბ. I, 5, V, 4).

#### **ვანის შემოგარენი:**

სოფ. ფერეთა (ვანის მუნიციპ.), მის ტერიტორიაზე 1997 წელს შემთხვევით გამოვლინდა დაზიანებული სამარხი, რომელიც ლორღში ჩაჭრილ ორმოს (3,4 X 3,2 მ.).

წარმოადგენდა. სამარხეული ინვენტარი შემდეგნაირად იყო განლაგებული: ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს - რკინის აბზინდა, პოლემონ II-ის ვერცხლის მონეტა (ტაბ. V,5), ვერცხლის ღეროს ფრაგმენტი. გარშემო მიმოხეული იყო ქარვის, სარდიონის და მინის მძივები; აღმოსავლეთ კუთხეში - დოქი, მორკალული დანა, შუბისპირი; სამხრეთ კუთხეში - დერგი. სამხრეთ-დასავლეთ მხარეს - კანთაროსისებრი ჭურჭელი; დასავლეთ კუთხეში - მაღალფეხიანი ჭურჭელი, იქვე ახლოს - გიშრის სარდიონის და მინის მძივები, დანა და თავმოკაუჭებული ღერო, სარდიონის თვალბიანი, ზამბარიანი ვერცხლის ფიბულა (ამოღების დროს დაიშალა), მინის ნივთის ფრაგმენტი. სამარხის ჩამოშლილი ნაწილის მიწაში აღმოჩნდა: რკინის ცული, რკინის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი, ორი შუბისპირი, შუბისპირის ფრაგმენტი, დოქი, ორი დოქის და ჯამის ფრაგმენტები [ხარაბაძე 2002: 81-87, სურ.1, ტაბ. I] (ტაბ. IV, 1).

სოფ. ფერეთას მეორე სამარხიდან დღევანდელ დღემდე მოაღწია მხოლოდ მონეტამ - ოროდ II- ს პართულმა დრაქმამ [აბრამიშვილი 1974: 101] (ტაბ. V, 6).

სოფ. ინაშაურში შემთხვევით, მინის სამუშაოების დროს ნაპოვნია დაზიანებული სამარხი, რომლიდანაც შემორჩენილია რკინის ტარრგოლიანი სატევარი [ხარაბაძე 2003: 165, ტაბ. II, 1] (ტაბ. II, 3).

სოფ. ზედა გორას (ვანის მუნიციპ.) ტერიტორიაზე 2003 წელს, მინის სამუშაოების დროს მიკვლეულ იქნა სამარხი. სამარხი დედაქანშია ამოკვეთილი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული, კუთხეებმომრგვალებული, ოთხკუთხა ორმო - 1,9 X 0,8 მ. თანამედროვე ზედაპირიდან 0,8 მეტრის სიღრმეზე. სამარხი ინჰუმაციურია, მასში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული, ზურგზე გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებულია.

სამარხეული ინვენტარი შემდეგნაირად არის განლაგებული: თავთან, სამხრეთით იდო თიხის დოქი და ჯამი, დოქი ჯამში იყო ჩადგმული; მარჯვენა მხართან, წვერით დასავლეთისაკენ - რკინის შუბისპირი; მარჯვენა მხარესვე, წელთან - რკინის ცული; მარცხენა მხართან, წვერით დასავლეთისაკენ - რკინის გრძელი შუბისპირი; მენჯის არეში - ბრინჯაოს სამაჯური; წელის არეში რკინის ტარრგოლიანი სატევარი, წვერით აღმოსავლეთისაკენ. სამარხი ზოგადად ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება [ხარაბაძე 2003: 164-169] (ტაბ. II, 4, IV, 2).

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა გორაში, 1958 წელს მინის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა განძი, რომელიც წარმოადგენდა თიხის ჭურჭელში გადამალულ ნივთებს (ტაბ. II,5). განძის ინვენტარიდან სადღეისოდ შემორჩენილია ოქროს ბალთის ფრაგმენტი (ტაბ. V,2) და სარდიონის თოთხმეტნახნაგა მძივები - 2 ცალი. განძი ზოგადად ახ.წ. I-III სს-ით თარიღდება [ხარაბაძე 2008: 110-111].

ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი მონეტების განხილვისას ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მათი კოლხეთის ტერიტორიაზე მიმოქცევის თარიღზე, ანუ, არა მათი მოჭრის დროზე, არამედ იმ კომპლექსებზე (ძირითადად განძი), რომლებშიცაა აღმოჩენილი. მონეტების დათარიღებისას არ ვითვალისწინებთ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ იმ ძეგლებს, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში სხვა ქვეყნის, კერძოდ იბერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ (მაგ. კლდეეთი) და სხვა სოციალ-ეკონომიკურ სისტემაში არსებობდნენ.

**ოროდ II** (ძვ.წ. 57-37წწ.) პართული მონეტა (1 ც.) ეკის განძშია (სენაკის მუნიციპ.) დაფიქსირებული (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 61-62].

**პოლემონ II** (ახ.წ. 49-63წწ.) დრაქმა დაფიქსირებულია - 4 ც. გონიოს განძში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 213 წლის შემდგომ) [ვარშალომიძე 2000: 81-86]; 1 ც. შემთხვევით ბიჭვინთის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში [დუნდუა 1975: 375-413], 1ც. სოფ. წყალთაშუას სამარხთან (ბაღდადის მუნიციპ. [ჯაფარიძე 1989: 144]).

**ადრიანეს** (ახ.ნ. 117-138 წწ.) დიდრაქმები დაფიქსირებულია: 2 ც. - გონიოს განძში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 213 წლის შემდგომ) [ვარშალომიძე 2000: 81-86]; 712 ც. - ეკის განძში (სენაკის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 61-62]; 2 ც. - ნოსირის განძში (სენაკის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 162 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 120]; 12(?) ც. - ოტობაიას განძში (გალის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 211 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 126]; 4 ც. - ბიჭვინთის I განძში (გაგრის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 256 წლის შემდგომ) [დუნდუა 1975: 375-413]; 1 ც. - სეფიეთის განძში (აბაშის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 142]; 2 ც. - ლურზულის განძში (გულრიფშის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 168 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 168-169]; ასევე 3 ც. შემთხვევით ბიჭვინთის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში [დუნდუა 1975: 375-413].

**მარკუს ავრელიუსის** (ახ.ნ. 161-180 წწ.) რომაული დენარი დაფიქსირებულია: 1 ც. გონიოს განძში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 213 წლის შემდგომ) [ვარშალომიძე 2000: 81-86]; 6 ც. სეფიეთის განძში (აბაშის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 142]; 63 ც. (?) - ლურზულის განძში (გულრიფშის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 168 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 168-169].

**კარაკალას** (ახ.ნ. 211-217 წწ.) დრაქმა დაფიქსირებულია: 7 ც. გონიოს განძში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 213 წლის შემდგომ) [ვარშალომიძე 2000: 81-86]; 1 ც. - ეკის განძში (სენაკის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 61-62]; 10 ც. - ბიჭვინთის I განძში (გაგრის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 256 წლის შემდგომ) [დუნდუა 1975: 375-413]; 4 ც. - სეფიეთის განძში (აბაშის მუნიციპ.) (განძი ჩაფლულია 222 წლის შემდგომ) [დუნდუა და სხვ. 2009: 142].

ანუ ოროდ II და პოლემონ II მონეტები კოლხეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული განძების მიხედვით ახ.ნ. III ს-ში მიმოიქცეოდა, ადრიანეს და მარკუს ავრელიუსის მონეტები - ახ.ნ. II ს-ის მეორე ნახევარსა - III ს-ში, კარაკალას - ახ.ნ. III ს-ში.

შესაბამისად, სამარხებიც, სადაც ეს მონეტებია აღმოჩენილი ამ პერიოდით უნდა თარიღდებოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახ.ნ. I საუკუნით დათარიღებული მონეტათა განძები გამოვლენილი არ არის, მხოლოდ ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა განძები ფიქსირდება [ახვლედიანი და სხვ. 2019: 96-97].

მოყვანილი მონაცემებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: ძვ.წ. I ს-ის შუა წლებიდან ახ.წ. IV ს-მდე ძველი ვანი და მისი შემოგარენი განიცდის კრიზისს, აღნიშნულმა ტერიტორიამ დაკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მას ძვ.წ. VIII ს-დან ძვ.წ. I ს-ის შუა წლებამდე გააჩნდა. განსაკუთრებით ეს ეხება ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარს და ახ. წ. I-II ს-ის პირველ ნახევარს.

ძვ.წ. VIII ს-დან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე დათარიღებული ძეგლების უმრავლესობა ვანის ნაქალაქარის დასავლეთით არის გამოვლენილი; ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. II ს-ით დათარიღებული ძეგლები კონცენტრირდება ვანის ნაქალაქარის გარშემო; ძვ.წ. I ს-ში მხოლოდ ძველი ვანი ფუნქციონირებს; ხოლო ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ. IV ს-მდე - ვანის აღმოსავლეთით [ხარაბაძე 2008]. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე შეიმჩნევა მოსახლეობის ცხოვრების კვალი - კულტურული ფენა და ამ პერიოდში ჩაფლული განძი.

ძველ ვანსა და მის შემოგარენში, თუ ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I ს-ის შუა წლებამდე ვანის ნაქალაქარზე მიცვალებულის დაკრძალვა არ არის დაფიქსირებული, ხოლო მის შემოგარენში მხოლოდ ქვევრსამარხები ფიქსირდება, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მიცვალებულებს კრძალავდნენ სარკოფაგში (ვანის ნაქალაქარი, ახ.წ. III ს.) და ორმოსამარხებში (ზედა გორა, ფერეთა), თუმცა კოლხეთის ზოგიერთ რეგიონში მიცვალებულთა ქვევრსამარხებში დაკრძალვა გრძელდება — ბანძა, ბორი და ძევრი, რომლებიც ახ.წ. I, II და III საუკუნეებით თარიღდებიან [ფუთურიძე 1959: 67].

მიუხედავად კრიზისისა ახ.წ. II ს-მეორე ნახევრიდან და III ს-ში ძველი ვანი მაინც ახერხებს გარკვეული ცენტრის ფუნქციის მოპოვებას, რაზეც მის ტერიტორიაზე და შემოგარენში ბრინჯაოს სარკოფაგის, ოქროს სამკაულის (ბეჭედი, ღილაკები, ბალთა), ტარგოლიანი სატევრები და სხვადასხვა მონეტების: ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37წწ.) - ვანის ნაქალაქარი, ფერეთა; პოლემონ II-ის (ახ.წ. 49-63წწ.) - ფერეთა; ადრიანეს (ახ.წ. 117-138 წწ.), მარკუს ავრელიუსის (ახ.წ. 161-180 წწ.), კარაკალას (211-217 წწ.) — ვანის ნაქალაქარი, აღმოჩენის ფაქტები მეტყველებენ.

### ბიბლიოგრაფია:

**აბრამიშვილი 1974:** აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ.

**ახვლედიანი და სხვ. 2019:** ახვლედიანი დ., ჩარკვიანი მ., კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-ახ.წ.VI სს-ის განძები. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №15, გვ. 86-100.

**ახვლედიანი და სხვ. 2022:** ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., ხარაბაძე ს., ვანის ნაქალაქარზე 2002-2007 წ.წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, - ჟურ. *ძიებანი*, №25, გვ.5-63.

**დუნდუა 1975:** დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. – კრებ. *დიდი პიტიუნტი* (რედ. ან. აფაქიძე), I, თბ., გვ. 375-413.

**დუნდუა და სხვ. 1977:** დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან. - *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), III, თბ., გვ. 119-151.

**დუნდუა და სხვ. 2009:** დუნდუა გ., ჯალალანია ირ. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ.

**ვარშალომიძე 2000:** ვარშალომიძე ირ. რომაული ხანის მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან. – *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), №5, გვ. 81-86.

**კაჭარავა და სხვ.1979:** კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). – *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), IV, თბ. გვ. 7-156.

**კაჭარავა და სხვ.2020:** კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., მესერეი კ., ჩაგელიშვილი რ., ჯაოშვილი გ., ყვავაძე ე., ჭიჭინაძე მ., ბოკერია მ., ბენდუქიძე ოლ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 2011-2012 წლების საველე კვლევა-ძიების ანგარიში. – ჟურ. *ძიებანი*, №24, თბ., გვ. 271-352.

**მათიაშვილი2013:** მათიაშვილი ნ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. - *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), X, თბ.

**მეიში 2010:** მეიში ჯ., საუნდერსი დ., ვალტონი მ., კალანდაძე ნ. ახლადაღმოჩენილი განძი ვანიდან და მისი შესწავლის პერსპექტივები. ტექნიკური კვლევის წინასწარული შედეგები. – კონფერენცია: საქართველოს არქეოლოგია, შედეგები და პერსპექტივები, მიძღვნილი აკად. ოთ. ლორთქიფანიძის 80 წლისადმი, თეზისები, თბ., გვ. 15-17.

**ფუთურიძე 1959:** ფუთურიძე რ. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის (რედ. ან. აფაქიძე), II, თბ., გვ.54-94.

**ჭყონია 1981:** ჭყონია ან. ოქროს სამკაულები, კრებ. *ვანი*, VI, თბ.

**ხარაბაძე 2002:** ხარაბაძე ს. გვიანანტიკური ხანის სამარხი სოფელ ფერეთადან. – *ძიებანი* № 9, თბ., გვ. 81-87.

**ხარაბაძე 2003:** ხარაბაძე ს. ახ.წ. I-II სს-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რაიონი). – ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, №1, თბ., გვ. 164-169.

**ხარაბაძე 2008:** ხარაბაძე ს. ქვედა გორას „განძი“. – ჟურ, *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №4, თბ., გვ. 110-111.

**ხარაბაძე 2008:** ხარაბაძე ს. „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. VIII - ახ.წ. III სს.), ხელნაწერი, წარდგენილია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.

**ხომტარია 1972:** ხომტარია ნ. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), I, თბ., გვ. 81-95.

**ჯაფარიძე 1989:** ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ.

**Stroszeck 1994:** Stroszeck J. Wannen als Sarkophage. - *Mitteilungen des Deutschen Archäologischen Instituts, Römische Abteilung*, Bd. 101, Mainz am Rhein.

**Дундуа 1987:** Дундуа Г. Нумизматика античной Грузии, Тб.

**Кигურაძე 1976:** Кигურაძე Н. Дапнарский могильник, Тб.

**Хоштариа 1979:** Хоштариа Н. О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг. Археологические работы в Вани. – *კრებ. ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), IV, თბ., გვ. 115-134.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I** – ვანის ნაქალაქარის გენგეგმა, ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის - ახ.წ. III ს-ის ძეგლები: 1. განძი; 2. კულტურული ფენა ქვედა ტერასაზე; 3. სამარხი №5; 4. მარკუს ავრელიუსის მონეტა; 5. კარაკალას მონეტა; 6. ადრიანეს მონეტა.

**ტაბ. II** – ვანის შემოგარენის რუკა - 1-2. სოფ. ფერეთა; 3. სოფ. ინაშაური; 4. სოფ. ზედა გორა; 5. სოფ. ქვედა გორა.

**ტაბ. III** – 1. ვანის განძი; 2. სამარხი №5.


**ტაბ. IV** – 1. სამარხი (1) სოფ. ფერეთადან; 2. სამარხი სოფ. ზედა გორადან.

**ტაბ. V** – 1. ოქროს ბეჭედი №5 სამარხიდან; 2. ოქროს ბალთა ქვედა გორის განძიდან; 3. ადრიანეს მონეტა ვანის ნაქალაქარიდან; 4. კარაკალას მონეტა ვანის ნაქალაქარიდან; 5. პოლემონ II-ის მონეტა ფერეთას სამარხიდან (1); 6. ოროდ II-ის მონეტა ფერეთას სამარხიდან (2).




I






III



1




2


0 10cm 1m



IV



1



2

0 10cm 1m

V



1



2



3



4



5



6

## საქართველოში აღმოჩენილი გლიპტიკური კვლევა დიონისეს გამოსახულებით

(მუზეუმებში დაცული გლიპტიკური მასალის მიხედვით)

ქეთევან რ. რამიშვილი

გლიპტიკური ნაწარმი წერილობით წყაროებთან და სხვა არქეოლოგიურ მასალებთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციულ წყაროს სხვადასხვა დროს მაცხოვრებელი საზოგადოების შესახებ. გლიპტიკური მასალის ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საზოგადოების კულტურულ და მატერიალურ კონტაქტებს მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან; გლიპტიკურ ძეგლებზე ამოკვეთილი გამოსახულებების მიხედვით ვმსჯელობთ მათ მფლობელთა და იმდროინდელი საზოგადოების რელიგიურ მსოფლმხედველობაზე და ზოგადად, ვაკვირდებით მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებისა და იდეოლოგიური შეხედულებების ცვლილებებს.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გლიპტიკური ძეგლი, რომლებზეც ამოკვეთილია ღვთაება დიონისე ან მისი წრის ღვთაებები: არიადნე, სატირები, სილენოსები, პანები და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია დიონისეს კულტთან დაკავშირებული ნიღბების გამოსახვა გემებზე.

დიონისე ან დიონისოსი (ძვ. ბერძნ. Διόνυσος) — ძველბერძნულ მითოლოგიაში მევენახეობის, მეურნეობისა და მეღვინეობის, მცენარეულობის და საერთოდ, ბუნების მწარმოებლური ძალების მფარველი ღვთაებაა. იგი ამავე დროს, არის შთაგონების, რელიგიური ექსტაზისა და თეატრის ღვთაება. დიონისე ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარული ღმერთია ბერძნულ პანთეონში. მას მუდამ ახლდნენ მისი მხიარული თანამგზავრები: პანები, სატირები, სილენოსები, მენადები და სხვ. სხვადასხვა პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებზე დიონისე განსხვავებული იკონოგრაფიით გადმოიცემა. მისი იდენტიფიკაცია ხერხდება ატრიბუტებით, პოზითა და იკონოგრაფიული დეტალების თავისებურებებით. დიონისეს ატრიბუტებია: კვერთხი — ტირსოსი, კალათოსი ან სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, სუროსა და ვაზის ფოთლებით შემკული თავი, ბზა, ნაძვი, სიუხვის ყანნი და სხვ.

ძველი ბერძნების რწმენით დიონისეს კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი იქნებოდა რთველი. ზევსისა და სემელეს ვაჟი - დიონისე ჰომეროსის თანახმად, არ შედის მთავარ ღმერთთა შემადგენლობაში, რის გამოც მისი კულტი მეტი პოპულარობით სარგებლობდა დაბალ ფენებში და ნაკლებად იყო გავრცელებული არისტოკრატიაში [Ποσειδ 2000: 380-381]. ეს მოსაზრება არ დასტურდება საქართველოს მაგალითზე - ბეჭდები დიონისეს გამოსახულებიანი გემებით აღმოჩენილია როგორც მდიდრულ, ისე რიგით სამარხებში, მსგავსი ვითარებაა ზოგადად სხვა ტიპის არქეოლოგიურ მასალაშიც. ასე რომ, დიონისეს კულტი, როგორც ჩანს, პოპულარული იყო საერთოდ საქართველოში მაცხოვრებელი საზოგადოებისთვის.

დიონისე ცნობილია, როგორც ბახუსი რომაულ მითოლოგიაში. მოგვიანებით იტალიაში დიონისე-ბახუსის კულტი ერწყმის ადგილობრივ ღვთაება - ლიბერისის (განმათავისუფლებელი, ნების მიმცემი, რაც დაკავშირებულია ღვინით მთვრალი ადამიანის თავაშვებულობასთან) კულტს [გაფრინდაშვილი, ურუშაძე 1972: 82-84]. საქართველოში აღმოჩენილი და დიონისეს კულტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს [გამყრელიძე 2001: 135-138; Gordeziani 2006; Odisheli 2019; მშვილდაძე 2021], რომ მსგავსი პროცესი უნდა წარმართულიყო საქართველოშიც.

ეს გასაკვირი არ უნდა იყოს იმ ქვეყნისთვის, რომელიც მეღვინეობისა და მევენახეობის სამშობლოდ არის მიჩნეული [ლორთქიფანიძე 2002: 232; ჩოლოგაური 2021: 123]. საფიქრებელია, რომ დიონისეს სახით თაყვანს სცემდნენ მეღვინეობა-მევენახეობის ადგილობრივ ტყეურ ღვთაებას - ოჩოკოჩს - თხაკაცს ან ვაცკაცს, რომელიც ბალნითაა დაფარული და მშიერ-მწყურვალნი ტყე-ღრე ან მდინარის პირას დაეხეტება [კიკნაძე 2023: 114]. ოჩოკოჩის კულტი უთუოდ უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში და ტიპოლოგიურად საკმაოდ ახლოს იდგა დიონისეს თანამგზავრ პანთან [იხ. გამყრელიძე 1982: 72-81; Gamkrelidze 2009: 205-206].

ძვ.წ. IV-IV საუკუნეებში მთელს ანტიკურ სამყაროში და მახლობელ აღმოსავლეთში, და მათ შორის საქართველოში, სხვადასხვა ფორმის საბეჭდავებთან ერთად განსაკუთრებით გავრცელებული იყო ლითონისაგან დამზადებული თითზე სატარებელი ფარაკიანი ბეჭდები [ჯავახიშვილი 2015: 6]. საქართველოში გავრცელებული ფარაკიანი ბეჭდების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივად არის დამზადებული. მნიშვნელოვანია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებულ ფარაკიან ბეჭდებს უფრო აღმოსავლურ-მესოპოტამიური და აქემენიდური ხელოვნების გავლენა ემჩნევა, ზოგ შემთხვევაში კი ბერძნული ხელოვნების ელემენტებიც შეინიშნება, ხოლო კოლხეთში ადგილობრივი ნაწარმი ზოგადად ბერძნული სამყაროს ხელოვნების გავლენას განიცდის, აქ დასტურდება უმეტესად ანტიკური - ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე იმპორტული გლიპტიკის ძეგლები [ლორთქიფანიძე 1975: 9, 40]. ცალკე აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ადგილობრივად დამზადებული ფარაკიანი ბეჭდები, რომლებზეც სხვადასხვა ღვთაება და მათ შორის, დიონისესა და მისი წრის ღვთაებებია ამოკვეთილი. ეს გამოსახულებები გამოირჩევიან მაღალმხატვრული, დახვეწილი ფორმებითა და შესრულების სრულყოფილი სტილით.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჩვენთვის აქამდე ცნობილი ყველა გლიპტიკური ძეგლი (ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები გემები - ინტალიო, კამეო; ბულები), რომლებზეც ამოკვეთილია ღვთაება დიონისე ან მისი წრის ღვთაებები: არიადნე, სატირები, სილენოსები, პანები, მენადა, ნილბები, და სხვ. გლიპტიკური მასალა ქრონოლოგიურად არის დალაგებული, აღწერილი და გაანალიზებული. და ამის საფუძველზე განხილულია სტილური და კომპოზიციური-იკონოგრაფიული ცვლილებები დროში.

### **დიონისეს კულტთან დაკავშირებული გლიპტიკის ელინისტური ხანის ძეგლები საქართველოდან**

საბეჭდავი-ბეჭედი დედატოსის სამარხიდან, ფარაკზე მხედრის გამოსახულებით, ცხენის კისერზე შებმული დიონისეს ან სილენოსის ნილბით. ვანი (ილ. 1, 2), ძვ.წ. IV ს. უადრესი საბეჭდავი-ბეჭედი, რომლის ფარაკზე ამოკვეთილია დიონისეს კულტთან დაკავშირებული გამოსახულება, აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ვანში, წარჩინებული კოლხი მეომრის - დედატოსის მდიდრულ, მე-9 სამარხში [ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 232]. ბეჭედი დათარიღებულია ძვ. წ. IV საუკუნით (ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდი, გლ. ფ. 1238. ზომები: ფარაკი - 20X18 მმ; ბეჭდის სიმაღლე - 24 მმ.). მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი, მათ შორის გლიპტიკური ძეგლები, ადასტურებს, რომ ამ პერიოდში ვანში დიონისეს კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული [ლორთქიფანიძე ოთ. 232-233].

აღნიშნული ბეჭედი ოქროსია, ფარაკიანი და რკალშეკრული. ბეჭედს წვრილი ნახნაგოვანი რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ მცირედ ფართოვდება და ოვალურ ფარაკში გადადის. ფარაკის ბრტყელ პირზე საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ ამოჭრილია შუბოსანი მხედარი, რომელიც ცალრქიან, მსრბოლავ ცხენზე ზის (ილ. 1, 2). ცხენის კისერზე შებმულია ნახევრად მელოტი და წვერიანი სილენოსის ნილაბი (ილ. 2).

სატირები და სილენოსები ძველბერძნების მიხედვით ტყის ღვთაებები - ნაყოფიერების დემონები იყვნენ და მათ გამოსახულებებს ავგაროზის მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ცნობილი ქართველი გლიპტიკოსისა და საქართველოში გლიპტიკის ფუძემდებლის - მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, შეუძლებელია, რომ დედატოსის სამარხში აღმოჩენილ საბეჭდავზე სცენური ნილაბი იყოს გამოსახული. მკვლევარს ნილაბი არც ავგაროზად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ეს თავი მეღვინეობის უზენაეს ღვთაებას, საოცარი მისტიკების წინამძღოლს - დიონისეს უკავშირდება და შესაძლოა, თვით დიონისესაც განასახიერებდეს. ბეჭედი ადგილობრივად არის დამზადებული. ოსტატს, როგორც ჩანს, „ბერძნებთან უსწავლია, მათი გავლენა განუცდია და ამასთანავე საკუთარი მხატვრული დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია“ [ლორთქიფანიძე 1976: 147-155]. ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ ეს გამოსახულება დიონისეს ან მელოტ სილენოსს ეკუთვნის და რომ მას დამცავი (ავგაროზის) ფუნქცია გააჩნდა. ცნობილია, რომ თავდაპირველად მრავალი სილენოსი არსებობდა, მათ მცირე აზიის იონიელები და ფრიგიელები წყაროთა და მდინარეთა უძველეს ღვთაებებად მიიჩნევდნენ და ცხენ-კაცებად წარმოიდგენდნენ. საბერძნეთში ეს სილენოსები დიონისეს ამაღლას შეუერთდნენ და ადამიანებს დაემსგავსნენ. ზოგჯერ მათ ცხენის კუდებითაც წარმოსახავდნენ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სილენოსებმა დაკარგეს თავდაპირველი სახე და ერთიანად მიემსგავსნენ სატირებს. დარჩა ერთადერთი სილენოსი, რომელსაც დიონისეს აღმზრდელად თვლიდნენ. ეს იყო კეთილი, მელოტი და წვეროსანი მოხუცი, რომელიც მუდამ მთვრალი დაბარბაცებდა. სატირებიც და პანებიც ხშირად გამოისახებიან თხისა და ცხენის ჩლიქებითა და კუდით, და ამ ცხოველებთან არიან დაკავშირებულები [Мифы Народов Мира 2000: II, 415-416]. ვანური ბეჭდის ფარაკზე წარმოდგენილ კომპოზიციაში თავი სწორედ ცხენს აქვს კისერზე დაკიდებული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს დიონისესა თუ სილენოსის თავი ცხენის (და ალბათ მხედრისაც) დამცავი ავგაროზი უნდა იყოს.

საბეჭდავი-ბეჭედი ფარაკზე სილენოსის გამოსახულებით, ვანი ძვ.წ. IV ს. (ილ. 3). განხილული საბეჭდავი-ბეჭედი, რომელზეც დიონისეს წრის ღვთაებაა ამოჭრილი, ასევე ვანშია აღმოჩენილი და დათარიღებულია ძვ.წ. IV ს-ით [ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 232].

ბეჭედი ბრინჯაოსგანა არის დამზადებული. მის ოდნავ წანვეტებული ოვალის მქონე ფარაკის ბრტყელ პირზე საკმაოდ ღრმად, მკაფიოდ და რეალისტურად ამოჭრილია დიონისეს აღმზრდელის - სილენოსის გამოსახულება (ილ. 3). სილენოსი ლოდზე ზის და სალამურზე უკრავს. ბეჭედი ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში, სადაც განსაზღვრულია, რომ ეს არის სალამურიანი სატირი - მარსიასი.

მარსიასი – (ბერძნ.) ფრიგიული სილენოსია, დიონისეს თანამგზავრი. იგი განაფული იყო ფლეიტის დაკვრაში, თუმცა აპოლონთან შეჯიბრების დროს დამარცხდა და სასტიკად იქნა დასჯილი. ამ შემთხვევაშიც აღნიშნული სიუჟეტი დიონისესა და მისი წრის ღვთაებების კულტზე უნდა მიუთითებდეს.

იბერიაში ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში რომაული გლიპტიკის პირველ გამოჩენას რომთან პოლიტიკურ ურთიერთობას უკავშირებენ [Макимова 1950: 251]. რომაელები პირველად იბერიაში სარდალ პომპეუსის ლაშქრობისას ძვ.წ. 65-66 წლებში გამოჩნდნენ [Ломоури 1981: 5]. საინტერესოა, რომ რომაული გლიპტიკური ძეგლების უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარეობს. დასავლეთ საქართველოს მასალები კი (ბიჭვინთის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლების გარდა) შედარებით მცირერიცხოვანია. დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი ამ პერიოდის ისეთი მდიდარი არქეოლოგიური ძეგლები, როგორცაა აღმოსავლეთ საქართველოში გათხრილი სამაროვნები: მცხეთა-სამთავროს, ურბნისის, არაგვისპირის, ყინვალის, რიყიანების ველისა, დედოფლის გორისა და სხვა სამაროვნები [ჯავახიშვილი 2015: 14].

ცნობილია, რომ დიონისეს კულტი ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული რომის მოსახლეობაში, იმდენად ძლიერად, რომ ძვ.წ. 186 წელს რომის სენატმა აკრძალა დიონისეს კულტი და მისი მიმდევრები სასტიკად დასაჯა. აღსანიშნავია, რომ ისეთი ცნობილი პოლიტიკური ფიგურა, როგორც მარკუს ანტონიუსია, იმდენად ძლიერ აღიარებდა დიონისეს კულტს, რომ საკუთარ თავს „ახალ დიონისეს“ უწოდებდა. იგი დადიოდა ალექსანდრიის ქუჩებში სუროს ტოტებით მორთული ეტლით, როგორც ლიბერისი, ფეხებზე შემოსილი კორუნტებით, თავზე ოქროს გვირგვინითა და ხელში ტირსოსით, რის გამოც დიონისეს კულტმა გაგრძელება ჰპოვა ადრერომაულ ხელოვნებაში და მათ შორის გლიპტიკაში [Boardman 1968: 27, 30, 31, 95]. ცნობილი გლიპტიკოსის ო. ნევროვის მოსაზრებით, ამ პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებზე წარმოდგენილია ბახუსური სიუჟეტები, სადაც რეალური ცერემონიებისა და რიტუალების ანარეკლია საძიებელი [Неверов 1988: 19-20].

### **დიონისეს კულტთან დაკავშირებული გლიპტიკის ადრერომაული ხანის ძეგლები საქართველოდან**

რიყიანების ველის სამაროვანის ვერცხლის ბეჭედი ინტალიოზე მთვრალი დიონისეს გამოსახულებით (ილ. 4). რიტუალის ანარეკლი ასახულია რიყიანების ველის სამაროვანის მე-10 ორმოსამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ გემაზე, რომელიც დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1246. ზომები: ინტალიო – 22 X 16 მმ; ბეჭედი – 30 X 26 მმ).

ბეჭედში ჩასმულია მონაცრისფრო-იასამნისფერი, გამჭვირვალე მინის ოვალური ინტალიო. ინტალიოს ბრტყელ პირზე გამოსახულია მთვრალი ჭაბუკი დიონისე, რომელსაც მარჯვენა ზევით აწეულ ხელში დოქი უჭირავს, მარცხენაში კი ტირსოსი (ილ. 4). ღვთაება თითქმის შიშველია, მხოლოდ მხრებზე აქვს მოგდებული მანტია, რომელიც ცალ მხარეს ნაკეცებად ეშვება, ხოლო მეორე მხარეს კი მკლავზე აქვს მოხვეული. კომპოზიცია თავისუფლად არის სივრცეში გაშლილი. დიონისეს ფიგურა პროპორციული, პლასტიკური და დინამიკურია. ექსპრესიულად არის გადმოცემული მისი დაკუნთული სხეული და პოზა, რომელიც ზედმინევნით ზუსტად გამოსახავს მთვრალი დიონისეს არეულ ნაბიჯს. ბეჭედი ვერცხლის სქელი ფურცლისგანაა დამზადებული და მოზრდილი, ოვალური ბუდე შიგ ბეჭდის რკალშია ამოჭრილი. ასეთი ფორმის ბეჭდები გავრცელებული იყო ძვ. წ. I - ახ.წ. I სს. [ჯავახიშვილი 2003: 76, 84].

გემა შეისწავლა ქ. ჯავახიშვილმა [ჯავახიშვილი 2003: 76, 84] და იკონოგრაფიულად და სტილურად მიახლოა ორ გემას, რომელთაგან ერთი ინახება ბერლინის მუზეუმში და თარიღდება ძვ.წ. I ს-ის ბოლო მესამედით) [Furtwangler 1896: № 6238], ის თეთრი მინისგან არის დამზადებული და შესაძლოა იგივე მოდელის მიხედვით იყოს შექმნილი, როგორც რიყიანების ველის ინტალიო; ხოლო მეორე - სარდიონის, იონიდეც კოლექციიდანაა და ჯ. ბორდმანის მიერ მიჩნეულია ბერძენი ოსტატის ჰილოსის ნახელავად, დათარიღებულია ძვ.წ. I ს-ის 20-იანი წლებით [Boardman 1968: 95, №31]. ამ გლიპტიკურ მასალაზე დაყრდნობით ქ. ჯავახიშვილმა რიყიანების ველის ბეჭედი გემითურთ დამაჯერებლად დაათარიღა ძვ. წ. I ს-ის ბოლო მესამედით [ჯავახიშვილი 2003: 84].

დედოფლის გორის თიხის ბულები სილენოსის ნიღაბით, ძვ.წ. I ს. (ილ. 5, 6). საქართველოში ადრერომაულ ხანაში დიონისეს კულტის არსებობაზე მიუთითებს ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრისა და ახ.წ. I საუკუნის დედოფლის გორის სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი თიხის ბულები (3 ცალი), რომლებზეც რომაული გემების ანაბეჭდებია წარმოდგენილი. ამ ბულებზე, სხვადასხვა გამოსახულებების გარდა სილენოსის ნიღაბიც არის აღბეჭდილი. ეს ბულები ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1389, 1393, 1401).

გლ. ფ. 1389 ბულა (სურ. 5) დამზადებულია მოთეთრო-მოყვითალო თიხისგან, აქვს სქელი თასმის კვალი. მასზე საკმაოდ მკაფიოდ არის აღბეჭდილი ერთი ოვალურიპირიანი

საბეჭდავის ანაბეჭდი - სატირის ნილაბი ანფასში - გრძელი წვერით, პატარა რქებითა და სუროს ფოთლების გვირგვინით (ზომები: ბულა – 27 X 21 მმ; ანაბეჭდი -21 X 17 მმ.). აღნიშნული ბულა დათარიღებულია ძვ.წ. I საუკუნით. ამავე პერიოდის არის გლ. ფ. 1393 (დაზიანებულ-დაშლილია) და გლ. ფ. 1401 (ილ. 6) (ზომები: ბულა – 30 X 26 X 8 მმ; ანაბეჭდი - 17 მმ.) თიხის ბულები, რომლებზეც ასევე წვერიანი და პატარა რქებიანი სატირის ნილბის ანაბეჭდია აღბეჭდილი [Javakhishvili 2008: 219, №23, 24, 25, ტაბ. 82/23; ტაბ. 83/25].

ინტალიო სატირის ბიუსტის გამოსახულებით ტახტიძირის სამაროვნის 27-ე სამარხიდან (ილ. 7) [გაგომიძე დ. 2020: 275-276, სურ. 610]. ადრერომაულ ხანაში სატირის გამოსახულება დასტურდება მინის ინტალიოზე, რომელიც ოდესღაც რკინის ბეჭედში იჯდა. ბეჭედი ტახტიძირის სამაროვნის 27-ე სამარხიდანაა და დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, (გლ. ფ. 1470. ზომები: ინტალიო – 11 X 10 მმ).

გემა-ინტალიო თეთრი გამჭვირვალე მინისაა, ოვალურია და ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია სატირის ბიუსტი პროფილში (ილ. 7). ტყის ღვთაებას პატარა რქები და პაჭუა ცხვირი აქვს. მხრებზე, როგორც ჩანს, თხის ტყავი აქვს მოსხმული (ჩანს პატარა ფეხი ჩლიქით). ინტალიო ჩამოსხმულია და ამჟამად ირიბებული. ბეჭდისგან დარჩენილია დაჟანგული ფრაგმენტი - მხრის ნაწილი და თვალბუდის ძირი, რის გამოც მის ფორმაზე მსჯელობა რთულია.

საქართველოში რკინის ბეჭდები მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში გვხვდება. ფერადი მინის ინტალიოებით შემკული ბეჭდები საქართველოში ძვ. წ. III-I საუკუნეებში შემოდის და რამდენიმე საუკუნის მანძილზე - ახ.წ. II-III საუკუნეებამდე ფართოდ არის გავრცელებული [ლორთქიფანიძე 1958: 16]. ამ ბეჭდისა და გემის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამარხის თარიღს - ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი [გაგომიძე დ. 2020: 275-276, სურ. 610]. ვფიქრობთ, რომ ბეჭედიცა და გემაც ამავე პერიოდისაა და შესაძლოა, ადგილობრივად იყოს დამზადებული, რადგან გარდა იმისა, რომ ინტალიო ჩამოსხმულია, მის შუაში მინის ნალვენთის მცირე ბურცობია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი წუნიაანი გემა შემოეტანათ და მით უმეტეს, შეესყიდათ.

ადრერომაულ ხანაში გემებზე დიონისესა და მისი წრის ღვთაებების გამოსახვა გრძელდება. საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ძალიან მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი და უნიკალური ოქროს სამკაული, რომლებშიც ჩასმულია გემები და კამეოები დიონისეს მეუღლის - არიადნეს გამოსახულებებით, რაც, სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, საქართველოში დიონისესა და არიადნეს კულტის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს.

ამეთვისტოს ინტალიო არიადნეს გამოსახულებით ნილკნის კრამიტსამარხიდან (ილ. 8), ახ.წ. III-IV ს.ს., დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 863. ზომები: ინტალიო – 28 X 22 მმ. მედალიონის სიგრძე - 69 მმ, საკიდის სიგრძე - 18 მმ, ბურთულის დმ - 4 მმ).

არიადნე (მინოსური ქალღმერთი, კრეტის მეფის მინოსის და პასიფაეს ასული) არის ამოკვეთილი ამეთვისტოს ინტალიოზე, რომელიც ოქროს მედალიონს ამკობს (ილ. 8) და რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ნილკანში გათხრილ კრამიტსამარხში. ინტალიო ოვალურია, პირი ნაწილობრივ ამობურცული აქვს, ქვედაპირი რელიეფური. პირზე ძალზე ფაქიზად და მოხდენილად გამოსახულია არიადნეს შესანიშნავი, ძალზე პლასტიკური ბიუსტი, მარჯვენა პროფილში. ყოველი ნაკვთი და სამოსი რბილი ხაზებითა და დაბალი რელიეფითა არის შესრულებული. თავს სუროს გვირგვინი უმკობს, ყურს - საყურე. ქვედაპირზე არიადნესადმი მიძვნილი ბერძნული მაგიური შინაარსის წარწერები და შეძახილება ამოჭრილი, რის გამოც იგი ავგაროზადაა მიჩნეული. მედალიონი ოვალურია, ფურცლოვანი ოქროსგან გაკეთებული და გარშემო ღრუ ბურთულების წყება უვლის.

ქვედა ნაწილში მედალიონს მირჩილული აქვს ღერაკი, რომელზეც მარგალიტია ჩამოცმული. ზედა ნაწილში დარჩილულია ყუნწი, რომელშიც თავის დროზე ჯაჭვი ან ზონარი ეყრებოდა. ინტალიო ძირისკენ არის ჩასმული ისე, რომ წარწერა არ ჩანს. ნივთი შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ და იგი აბრაქსასად მიიჩნია. როგორც ირკვევა, ეს აბრაქსასი - ინტალიო ოთხჯერ ყოფილა გამოყენებული, რადგანაც მასზე არიადნესადმი მიმართვა ოთხჯერ არის ამოკვეთილი სხვადასხვა დროს. არიადნეს გამოსახულება კი ადრიანეს ეპოქის (ახ.წ. 117-138 წწ.) ძეგლს წარმოადგენს. თვით მედალიონი დათარიღებულია ახ. წ. III-IV საუკუნეებით [ლორთქიფანიძე 1961: 26-29, სურ. 12].

სარდიონის კამეო არიადნეს გამოსახულებით არმაზისხევის № 1 აკლდამიდან (ილ. 9), ახ.წ. II ს., დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 835. ზომები: კამეო 29 X 19 მმ. ბალთა – 43 X 41მმ.).

არიადნეს ძალიან საინტერესო გამოსახულება არის წარმოდგენილი გრანატებით მოოჭვილ ოქროს ბალთაში ჩასმულ სარდიონის კამეოზე. კამეო ოვალური მოყვანილობისაა, ფონი ბრტყელი აქვს. კამეო ახალგაზრდა არიადნეს გამოსახავს მარჯვენა პროფილში, ძალზე მშვიდ და განონასწორებულ პოზაში. რბილი და ფაქიზი კვეთით გამოირჩევა. დატალღულ თმას სუროს ფოთლების გვირგვინი უმკობს. ქალღვთაებას კვართი მოსავს, რომელიც გულ-მკერდსა და ზურგთან ოდნავ ჩაჭრილი და დანაოჭებულია. ბალთა ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული, ოვალურია, ცენტრში კამეოთი შემკული ბუდე აქვს დარჩილული. ბუდეცა და ბალთაც გარშემო გავარსის წყებით არის შემკული. კამეოთი შემკული ბუდის ირგვლივ ოვალური მოყვანილობის დიდ-პატარა ბუდეა დარჩილული. ბუდეები გრანატებით არის მოოჭვილი. ბალთას ზურგზე შესაკრავი თუ სამსჭვალეები ჰქონია, რომლისგანაც ამჟამად ნაკვალევია დარჩენილი. არიადნეს ბიუსტის შესრულების მანერის მიხედვით, კამეო ახ. წ. II საუკუნით თარიღდება და იგი გვიანდელ - ახ.წ. III ს-ის ბუდეშია ჩასმული [ლორთქიფანიძე 1958: 33-35, სურ. 10].

ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი დიონისეს გამოსახულებით არაგვისპირის სამაროვნის მე-13 სამარხიდან (ილ. 10), ახ.წ. II ს., დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1224. ზომები: ინტალიო – 19 X 14 მმ. ბეჭდის სიმაღლე -23 მმ) [ლორთქიფანიძე 1978: 25-30; რამიშვილი 1975: 12-14; რამიშვილი 2018: 88-92]. ნივთი შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ და ბეჭედი გემითურთ III საუკუნის მიწურულით, უფრო კი - IV საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა [ლორთქიფანიძე 1978: 25-30].

ინტალიო მონითალო-ყავისფერია, მის ოვალურსა და ბრტყელ პირზე არაღრმად, მაგრამ მკაფიოდ ამოჭრილია დიონისეს ფიგურა ანფასში, რომელიც სტატუალური ხასიათისაა. ღვთაება კლასიკურ პოზაშია წარმოდგენილი. იგი დგას, მარჯვენა იდაყვით სვეტს ეყრდნობა და ხელში ტირსოსი უჭყრია. მარცხენა ხელი თავთან აქვს მიტანილი და ხელში რიტონი ან სიუხვის ყანწი უჭყრავს. სვეტზე კანთაროსი დგას. ღვთაებას თავზე დაბალი გვირგვინი ადგას, ხოლო ლოკონები მხრებამდე სწვდება. შიშველ სხეულზე წამოსასხამის პარალელური ხაზებით შესრულებული დრაპირება მხოლოდ მარცხენა ფეხს უფარავს. ღვთაებას კუთხოვანი სახე და დაბალი კისერი აქვს, ოდნავ გახსნილ ბაგეს ერთგვარი დინამიზმი შეაქვს დიონისეს სტატიკურ გამომეტყველებაში. გემის მჭრელი ოსტატი საკმაოდ განაფული ხელით გამოირჩევა - სხეულიც დაკუნთულია და მოცულობითი, ამავე დროს ანტიკური ტრადიცია „ბერძნული ხიაზმისა“ სახეზეა. ფიგურა რამდენადმე მოკლებულია შინაგან დინამიზმს და კომპოზიცია მთლიანობაში ერთგვარი შებოჭილობით გამოირჩევა. ხიაზმი ძველბერძნულად ნიშნავს „ჯვრისებურს“, ხოლო ბერძნული ხიაზმი ქანდაკებაში გულისხმობს ფიგურის ისეთ მდგომარეობას, როდესაც სიმძიმის ცენტრი გადანაცვლებულია ცალ ფეხზე და სხეულის ერთი ნაწილი კონტრასტულად საწინააღმდეგოდაა დაყენებული მეორე ნაწილთან შედარებით. ამ



შემთხვევაში დიონისეს ფიგურის სიმძიმის ცენტრი გადატანილია მარცხენა ფეხზე და ამ ფეხის თქო აწეულია. ჯვრისებურად დაწეულია ფიგურის მარჯვენა მხარი და სვეტს დაყრდნობილი იდაყვი, რითაც კომპოზიცია შეძლებისდაგვარად განონასწორებულია.

არაგვისპირული დიონისე კომპოზიციურად (ანფასი, ხიაზმი) ელინისტური ეპოქის ნაკეთობების ანალოგიურია. თუმცა მისი შესრულების მანერა გვიჩვენებს, რომ გემა მოგვიანებით - რომაულ პერიოდშია შექმნილი. საყოველთაოდ ცნობილი ლუვრში დაცული დიონისეს რომაული ქანდაკება (ილ.11.), რომელიც ახ.წ. II საუკუნით თარიღდება თავის მხრივ არის ასლი რომელიღაც ელინისტური ქანდაკებისა. ელინისტურ ხანის გლიპტიკაში რომ მსგავსი კომპოზიციები იქმნებოდა, ამას ადასტურებს ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გემებზე გამოსახული დიონისესა და სხვა ღვთაებების ფიგურები, სადაც ისინი ასევე ანფასში არიან წარმოდგენილები და სვეტზე ხელდაყრდნობილები დგანან [Richter 1968: №522, 524]. ამგვარი კომპოზიციები გადმოიღეს რომაელებმა და რომაულ გემებზეც ამოკვეთეს სვეტზე იდაყვდაყრდნობილი ღვთაებები [Richter 1971: № 315], მათ შორის დიონისესიც. ვენის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ რომაულ გემაზე, რომელიც გამოაქვეყნა ცნობილმა გერმანელმა გლიპტიკოსმა ერიკა ზვეირლეინმა, დიონისე სარდიონის ინტალიოზა ამოკვეთილი (ილ. 12), ამფორაზეა იდაყვდაყრდნობილი და ერთ ხელში ტირსოსი, ხოლო მეორეში ყურძნის მტევანი უჭირავს [Zwierlein-Diehl 1973: 147-148; ტაბ. 77, №468], დიონისეს ფიგურა მეტად რეალისტურად არის გადმოცემული, თავისუფლადაა სივრცეში გაშლილი და შინაგანი დინამიზმით ხასიათდება, დათარიღებულია ძვ.წ. I საუკუნით. არაგვისპირის გემაზე გამოსახული დიონისეს ფიგურა ვენის ინტალიოსთან შედარებით სტატიკურია, სქემატური და რამდენადმე შებოჭილი. როგორც ჩანს, ის ოდნავ უფრო გვიანდელია. რომაულ გლიპტიკის დეკადანსის დასაწყისი, რაც ახ.წ. II საუკუნიდან შეინიშნება რომაულ გლიპტიკაში, აქ უკვე სახეზეა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ არაგვისპირული გემა ახ.წ. II საუკუნით დავათარიღოთ და ის რომიდან შემოტანილ ინტალიოდ მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ბეჭედის დამზადების თარიღს: ბეჭედის რკალი მსხვილი თანაბარი სისქის მრგვალგანივკვეთიანი ლეროსგან არის დამზადებული. მასზე მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. მხრებზე, თვალბუდის ორივე მხარეს თითო-თითო ბურთულა აქვს მირჩილული. ცნობილია, რომ ბურთულებიანი ბეჭედები საქართველოში III საუკუნის მიწურულს ჩნდება და ფართოდ ვრცელდება IV საუკუნეში [ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982: 150-151]. როგორც ჩანს, II საუკუნის გემა დიონისეს გამოსახულებით მეორადად გამოუყენებიათ და მოგვიანებით ჩაუსვამთ IV საუკუნის პირველი ნახევრის ბეჭედში.

საქართველოში ყველაზე უხვად გლიპტიკური ძეგლები სამთავროს სამაროვნის სამარხებშია აღმოჩენილი. ამ გემებზე ხშირად სხვადასხვა ღმერთი, მათ შორის დიონისესა და მისი წრის ღვთაებები არის გამოსახული. გლიპტიკური ძეგლების ასეთი დიდი რაოდენობით აღმოჩენა სამთავროს სამაროვანზე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მცხეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა საბეჭდავებს და რომ მოთხოვნილება დიონისესა და მისი წრის ღვთაებების გამოსახულებიან გემებზე დიდი იყო.

სარდერის გემა სილენოსის ნიღბის გამოსახულებით რკინის ბეჭედში სამთავროს სამაროვნის 144-ე ქვის სამარხიდან, (ილ. 13), ახ.წ. II საუკუნე [Максимова 1950: 251], დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში. (გლ. ფ. 219. ზომები: ინტალიო 7 X 5 მმ. ფრაგმენტის სიგრძე - 22მმ.)

დიონისეს თანმხლები და აღმზრდელი - სილენოსის ნიღაბი არის ამოჭრილი ყავისფერი სარდერის გემაზე, რომელიც რკინის ბეჭედში ზის. ბეჭედი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე 144-ე ქვის სამარხში. ბეჭედისგან დარჩენილია მხოლოდ დაჟანგული ფრაგმენტი. ინტალიო ფორმით კაბოშონს წარმოადგენს - საკმაოდ მაღალი და ზევით ოდნავ შევიწროვებული გემაა. იგი ოვალური და ბრტყელია, თანაბრადაა

გათლილი და გაპრიალებული. გამოსახულება საკმაოდ მკვეთრად და წმინდად არის დამუშავებული. პირზე გამოსახულია სილენოსის ნილაბი მარჯვენა პროფილში. მას საკმაოდ დიდი ცხვირი და ტუჩები აქვს. გრძელი წვერი ჩამოშვებულია, ხოლო განწილი თმა - აწეული. გამოსახულება გულმოდგინედ ნაკვეთია. ფონი გაპრიალებულია, ხოლო გამოსახულება მქრქალი.

გემები დიონისეს გამოსახულებით დასტურდება ურბნისის სამაროვანზეც. სამარხების უმეტესი ნაწილი რომაული ხანითა არის დათარიღებული და ეკუთვნოდა მოსახლეობის ფართო ფენებს. სამარხებში მოპოვებულია უაღრესად საყურადღებო მასალა, რომელიც გვეხმარება გავერკვეთ სულიერი კულტურისა და სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის საკითხებში.

ამეთვისტოს ინტალიო დიონისეს გამოსახულებით ურბნისის სამაროვნის 234-ე სამარხიდან, (ილ. 14), ახ.წ. II საუკუნე [ჯავახიშვილი 1972: 50-51; ტაბ. IV/63], დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1080. ზომები: ინტალიო 12 X 9 მმ.).

რკინის ბეჭდის ფრაგმენტი, რომელშიც ჩასმულია ოვალური, იასამნისფერი ამეთვისტოს ორმხრივ ამოზრცული შესანიშნავი ინტალიო. გემა-ინტალიოს პირზე საკმაოდ მკაფიოდ, მაგრამ სქემატურად და ოდნავ უხეშად არის ამოკვეთილი დიონისე. ღვთაებას მხრებზე წამოსასხამი აქვს მოხვეული, თავს დიადემა უმკობს. მარცხენა ხელით ტირსოსს ეყრდნობა, მარჯვენაში კანთაროსი უჭირავს. გამოსახულების სტილისა და სამარხის ასაკის მიხედვით, ინტალიო რომაულ ნაკეთობადა არის მიჩნეული და ახ.წ. II საუკუნითა არის დათარიღებული [ჯავახიშვილი 1972: 50-51; ტაბ. IV/63].

მონთალო-ყავისფერი ინტალიო მოცეკვავე მენადეს გამოსახულებით ურბნისის სამაროვნის 258-ე სამარხიდან, (ილ. 27), ახ. წ. II საუკუნე [ჯავახიშვილი 1972: 7, 52; ტაბ. IV/67], დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1093. ზომები: ინტალიო 17 X 12 მმ.).

რკინის ბეჭედი, რომელშიც ჩასმულია ოვალური ფორმის სარდიონის გემა-ინტალიო შავი ლაქებით. ინტალიოს ამოზრცულ პირზე საკმაოდ მაღალი ოსტატობით, გულმოდგინედ და გაბედული ხელით ამოჭრილია გრაციოზულად მოცეკვავე მენადე (დიონისეს თანამგზავრი ქალები ბაკჰანალიების დროს). მენადეს მოკლესახელოებიანი პეპლოსი აცვია, ზურგს უკან მოსახვევის გრძელი ბოლო უფრიალებს. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზითაა გადმოცემული. მენადე ორმაგ სალამურზე უკრავს.

ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, რომელიც მხრებთან საგრძნობლად ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.წ. II საუკუნით არის დათარიღებული [ჯავახიშვილი 1972: 52; ტაბ. IV/63].

### **დიონისეს კულტთან დაკავშირებული გლიპტიკის გვიანრომაული ხანის ძეგლები საქართველოდან**

სარდიონის ინტალიო ურბნისის სამაროვნის 263-ე სამარხიდან, (ილ. 15), ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972: 62-63; სურ. 4 ტაბ. VI/93], გემა-ინტალიო დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში. გლ. ფ. 1097. ზომები: ინტალიო – 8 X 6 X 3 მმ).

ბაცი ყავისფერი სარდიონის ოვალური და ბრტყელი ინტალიო მოთავსებულია ბრინჯაოს ბეჭდის ფრაგმენტში. ინტალიოს პირზე საკმაოდ დაუდევრად და უხეშად გამოსახულია პანის ნილაბი პატარა რქებით, მარცხენა პროფილში. გემა მაღლაა ბუდიდან წამოწეული. ბეჭედს სუსტად შესამჩნევი ჰორიზონტალური მხრები აქვს. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბეჭედი გემითურთ დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით [ჯავახიშვილი 1972: 62-63; სურ. 4 ტაბ. VI/93].

გემიანი ბეჭდები, რომლებზეც დიონისე და მისი წრის ღვთაებებია გამოსახული აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვნზეც. ჟინვალის სამაროვნის სამარხები ძირითადად დათარიღებულია ახ.წ. I-IV საუკუნეებით. ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთების სიუხვე და მათ შორის მრავალრიცხოვანი გემიანი ბეჭდების აღმოჩენის ფაქტები კარგად გვიჩვენებს, რომ ჟინვალი მჭიდროდ ყოფლა ჩართული სავაჭრო ურთიერთობებში მეზობელ ქვეყნებთან და კერძოდ, რომის იმპერიასთან. როგორც ჩანს, აღებ-მიცემობა წარმოადგენდა ჟინვალელი მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს [რამიშვილი 2018: 110 -112], ხოლო ამ მოსახლეობის ინტერესი დიონისესა და მისი წრის ღვთაებების გამოსახულებიანი გემებისადმი მეტყველებს იმაზე, რომ აქ დიონისეს ეთაყვანებოდნენ.

სარდიონის გემა-ინტალიო ახალგაზრდა დიონისეს გამოსახულებით ჟინვალის სამაროვნიდან, (ილ. 16), ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III ს-ის დასაწყისი, [ლორთქიფანიძე 1995: 95-96], გემა-ინტალიო დაცულია ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1797. ზომები: ინტალიო – 11 X 9 მმ).

რკინის ბეჭდის ფრაგმენტი მუქი ნითელი, ოვალური და ბრტყელი სარდიონის გემა-ინტალიოთი აღმოჩენილია ჟინვალის 289-ე სამარხში [ჩიხლაძე 2015: 137]. ინტალიოს პირზე მკაფიოდ და დაბალი რელიეფით ამოჭრილია ახალგაზრდა დიონისეს სქემატური ფიგურა 3/4 ბრუნში. სუმარულად გადმოცემული თავი მარცხენა პროფილში არის მოცემული. სახის ნაკვეთები პირობითად, პატარა-პატარა შტრიხებითა არის მინიშნებული. ღვთაება შიშველია. მას მაღალი ვარცხნილობა და კისერზე დაყრილი კულულები აქვს. დიონისეს იდაყვი მოხრილ, წინ განვდილ მარჯვენა ხელში კანთაროსი უჭირავს. მარცხენა ხელით კვერთხს - ტირსოსს ეყრდნობა. სხეულის მთელი სიმძიმე გადატანილია მარჯვენა ფეხზე. ნიადაგის ზოლს მხოლოდ მარცხენა ფეხის თითის წვერებით ეხება. ბეჭდისგან დარჩენილია დაჟანგული ბუდის ნაწილი რკალის მცირე ფრაგმენტიურთ, რომლის მიხედვით ბეჭედს მხრებთან გაფართოებული, ვიწრო რკალი უნდა ჰქონოდა. არაღრმა ბუდე შიგ ბეჭედში ყოფილა ამოჭრილი. ინტალიო სტილური თავისებურებიდან გამომდინარე დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის პირველი ნახევრით და მიჩნეულია რომაულ გემად [ლორთქიფანიძე მ. 1995: 95-96].

იასპის გემა-ინტალიო ვერცხლის ბეჭედში სილენოსის, სატირისა და პანის თავების გამოსახულებებით მცხეთიდან, (ილ. 17) ახ. წ. II-III ს.ს. [ანთიძე 2016: 80/2], ბეჭედი ინახება მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში. ზომა: მაქს. დმ - 20 მმ. I

გვიანანტიკურური ხანაში მცხეთაზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა. სწორედ ამ გზით იღექებოდა მცხეთაში რომაული გლიპტიკური ნაწარმი [ნიკოლაიშვილი 2016: 30]. მცხეთაში კოსტავასა და მამულაშვილის ქუჩების კვეთაზე აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭედი, რომელშიც მოწითალო იასპის გემა-ინტალიო ზის. ინტალიოზე საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ ამოკვეთილია სილენოსის, სატირისა და პანის თავები პროფილში. სატირისა და პანს თავზე პატარა ორ-ორი რქა ადგას. პანი უწვერულია, სატირს გრძელი წვერი და თმა აქვს, ხოლო სილენოსი მელოტია და წვეროსანი. სახეების მარცხნივ გამოსახულია მოკაუჭებული ჯოხი - ტორი, რომელიც პანის ატრიბუტია [ლორთქიფანიძე 1954: 26]. სამარხის მიხედვით ბეჭედი გემითურთ ახ.წ. II-III საუკუნეებითაა დათარიღებული [ანთიძე 2016: 80/2].

ოქროს ბეჭედში ჩასმული მინის ინტალიო დიონისეს, სილენოსისა და სატირის ნიღაბების გამოსახულებებით, თერჯოლის რაიონიდან (ილ.18), ახ.წ. II საუკუნის მინურული და III საუკუნის დასაწყისი, ბეჭედი ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 727. ზომები: ინტალიო 12 X 10 მმ. ბეჭდის სიმაღლე-26 მმ.). ეს ბეჭედი ინტალიოთი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც დასავლეთ საქართველოში არის აღმოჩენილი, სადაც მსგავსი მონაპოვრები ძალზე იშვიათია.

ბეჭედი აღმოჩენილია შემთხვევით, მინის სამუშაოების დროს თერჯოლის რაიონში, ადგილ საცეხურზე. საკმაოდ მაღალბუდიან ოქროს ბეჭედში ჩასმულ მრგვალ და ბრტყელ მინის ინტალიოზე დიონისეს, სილენოსისა და პანის ნიღბები არის ამოკვეთილი. ინტალიო ჩამოსხმულია. ჩვენი მოსაზრებით, გემის შუაში გამოსახულია დიონისეს ნიღაბი ანფასში, მარჯვნივ წვერიანი და მელოტი სილენოსის ნიღაბი პროფილში, ხოლო მარცხნივ უწვერული სატირის ან პანის ნიღაბი პატარა რქით, ასევე პროფილში. კომპოზიცია საკმაოდ სქემატურია. დიონისეს სახე განზოგადებული და დაუნაწევრებელი ფორმითა არის გადმოცემული. ჩანს მხოლოდ თვალები და სქელი ტუჩები. სილენოსისა და სატირის გროტესკული პროფილები კი საკმაოდ დეტალურად არის გადმოცემული და მეტად გამომსახველია. ბეჭედი მთლიანადსხმულია, რკალი მხრებთან ფართოვდება და მრგვალ, რელიეფურ კიდეებიან ბუდეში გადადის. ბეჭდის მრგვალი ბუდის მაღალი ნაპირი თვალზე შემოჭედილია.

ამგვარი ბეჭედები რომაულ ხელოვნებაში არსებობს ახ.წ. I-III სს-ის განმავლობაში [Brandt და სხვ. 1972: №2399, 2515, 2521]. გემაზე წარმოდგენილი უკვე სქემატური კომპოზიციით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობთ, რომ ბეჭედი გემითურთ ახ.წ. II საუკუნის მინურულითა და III საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

სარდიონის გემა პანის გამოსახულებით სამთავროს სამაროვნის 711-ე სამარხიდან, (ილ. 19), ახ.წ. III ს. [ლორთქიფანიძე 1954: 26-27], გემა ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 600. ზომები: 10 X 7 X 3 მმ.).

გვიანრომაულ ხანაში, როცა რომაულ ხელოვნებაში და კერძოდ გლიპტიკაში უკვე დეკადანსი შეინიშნება და გამოსახულებები სქემატური ხდება, მაინც იქმნება საკმაოდ შთამბეჭდავი კომპოზიციები. პანის ძალზე საინტერესო კომპოზიცია არის ამოკვეთილი შავლაქიან, მონითალო სარდიონის გემაზე, რომელიც აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის 711-ე სამარხში.

ინტალიო მაღალია, ოვალური და ბრტყელი. პირზე საკმაოდ მკაფიოდ და დაბალი რელიეფით ამოჭრილია დოინჯშემოყრილი პანი მარცხენა პროფილში, მიმავალი. თავზე ფართეკიდეებიანი თავსაბურავი ხურავს, თუმცა შესაძლოა მაღალი თმის ვარცხნილობასაც გამოხატავდეს. სახის ნაკვეთები სუმარულადაა შესრულებული, მხოლოდ წვერი აქვს მინიშნებული ღრმა ღარით. წინ განვდილ მარჯვენა ხელში მოკაუჭებული ჯოხი - ტორი უჭირავს. ბეწვი ხშირი და მოკლე ღარებით არის გადმოცემული - შესაძლოა ტყავის კაბა მოსავდეს, ხოლო გრძელი კუდი ზევით აქვს აწეული. ოდნავ უხეში და სქემატური ნამუშევარია, თუმცა გულმოდგინედ არის ნაკვეთი. გამოსახულების სტილისა და ქვაზე ამოჭრის ტექნიკის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული [ლორთქიფანიძე 1954: 26-27].

ვერცხლის ბეჭედი სარდიონის ბრტყელ გემა-ინტალიოთი პანის გამოსახულებით, მცხეთა, (ილ. 20), ახ.წ. III ს. [ლორთქიფანიძე 1961: 36-37], ბეჭედი ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 647. ზომები: ინტალიო 12 X 10 X 5მმ; ბეჭდის სიმაღლე - 24 მმ.).

პანის ძალზე დინამიკური ფიგურა არის საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ ამოჭრილი მონითალო ფერის, ნაკვეთილი კონუსის ფორმის სარდიონის ბრტყელ გემა-ინტალიოზე, რომელიც ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ბეჭედი აღმოჩენილია შემთხვევით მცხეთაში, ნავთსადენზე, ქვის სამარხში.

პანი პროფილში მარჯვნივ არის გამოსახული, მიხტის. მას მაღალი თმის ვარცხნილობა, დაბალი რქები და სწორი ხაზით გადმოცემული წვერი აქვს. პანს წინ განვდილ მარჯვენა ხელში კალათა ან ყურძნის მტევანი უჭირავს, მარცხენა ხელში კი მოკაუჭებული ჯოხი - ტორი. ფეხები სახსრებში მკვეთრად მოხრილია, ჩლიქები სქემატურადაა მოდელირებული, ხოლო ბალანი მოკლე ირიბი ხაზებით არის გადმოცემული. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება სივრცეში გაშლილი და

დინამიკურია, საკმაოდ სქემატური და ტლანქი ნაკეთობაა. ვერცხლის ბეჭდის რკალი ნახნაგია და მაღალი, მოკლე, ჰორიზონტული მხრები აქვს. ბეჭდის მხრებთან გაფართოებული რკალი დაბალ და მრგვალ ბუდეში გადადის.

მსგავსი გამოსახულებები დასტურდება რომაული ხანის როგორც საქართველოში აღმოჩენილ, ასევე რომაულ ინტალიოებზე. გამოსახულება სტილის, ამოჭრის ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით [ლორთქიფანიძე 1961: 36-37].

ვერცხლის ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი მოცეკვავე სატირის გამოსახულებით, ჟინვალის სამაროვნის 313-ე სამარხიდან (ილ. 21), ახ.წ. III ს. [ჩიხლაძე 2015: 51], ბეჭედი დაცულია ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში (გლ. ფ. 1802. ზომები: ინტალიო 12 X 11მმ; ბეჭდის სიმაღლე - 21 მმ).

ვერცხლის ბეჭედში მუქი წითელი ფერის სარდიონის ინტალიო არის ჩასმული. ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. ბეჭდის საკმაოდ განიერი რკალი მხრებთან ოდნავ ფართოვდება და ბრტყელ ბუდის ძირში გადადის, რომელზეც დაბალი, სალტეიანი თვალბუდე არის დარჩილული. სალტე თვალს მჭიდროდ ეკვრის. რკალი გარედან ამობურცულია. შიდაპირი ბრტყელი აქვს. ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია. პირზე არაღრმად, სუმარულად და საკმაოდ ტლანქად გამოსახულია ახალგაზრდა მოცეკვავე სატირი, მარცხენა პროფილში. თავი, მხრები და მარცხენა ხელის ნაწილი არ ჩანს (ატკეცილია). სატირს მარჯვენა ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს. იდაყვი მოხრილი მარცხენა ხელი ზევით უნდა ჰქონოდა ანეული (მხოლოდ იდაყვი ჩანს). სატირის გრძელი კუდი ცხენის კუდს უფრო მოგვაგონებს ვიდრე თხისას. ვინაიდან ფიგურა შემოსილია და სატირები კი, როგორც წესი, შეუმოსავები არიან, შესაძლოა, რომ გემაზე ამოჭრილი იყოს სატირის თეატრალური პერსონაჟი [ლორთქიფანიძე 1995: 107-108].

ბრინჯაოს ბეჭდის ფრაგმენტი ნიკოლოს ინტალიოთი დიონისეს გამოსახულებით ჟინვალის სამაროვნის 429-ე სამარხიდან (ილ. 22), ახ. წ. III ს. [ჩიხლაძე 2015: 71-72], ბეჭედი ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში (გლ. ფ. 1832. ზომები: ინტალიო 13 X 10მმ; ბეჭდის დმ - 20 მმ.)

ნიკოლოს ზედა ფენა მოცისფრო-მონაცრისფროა, ქვედა კი ლურჯი. გამოსახულება ზედა ფენაზეა ამოჭრილი. ქვას სამნახნაგა გვერდები აქვს, ოვალურია და ბრტყელი (ერთი ნახნაგი უშუალოდ ინტალიოს ირგვლივაა გამოყვანილი). ბეჭედს ვიწრო ოთხნახნაგა რკალი აქვს. ბუდისაგან მხოლოდ ოვალური ფორმის, თხელი ფირფიტის ძირია შემორჩენილი. თვალი და ბეჭედი ცალ-ცალკეა. ინტალიოს პირზე არცთუ ღრმად, მაგრამ მკაფიოდ გამოსახულია ახალგაზრდა დიონისეს ფეხზე მდგომი შიშველი ფიგურა მარჯვენა პროფილში (ილ. 22). ოსტატი გამოირჩევა გაბედილი ხელით, თუმცა თავი საკმაოდ სუმარულადაა შესრულებული, სახის ცალკეული ნაკვთები მკრთალადაა მინიშნებული. ღვთაებას ზურგზე ნამოსასხამი აქვს მოგებული, რომელიც უფრო მკრთალადაა მოდელირებული. დიონისეს მარჯვენა ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს. მარცხენა ხელის გულზე ნაყოფით სავსე პინაკი უდევს (პატერას მოგვაგონებს). თავს რტოებისგან შეკრული გვირგვინი უმკობს, რომელიც კეფაზე მოკლე ბაბთით არის შეკრული. მის ზურგს უკან მტევნებით დახუნძლული ხვიარა ვაზი არის აღმართული, სახის წინ ორი მტევანია ჩამოკიდებული, ხოლო მის წინ, ფერხთით, დგას ფართოპირიანი კალათა თუ კანთაროსი, რომელიც ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ღვთაებას სხეული დაკუნთული აქვს, მარჯვენა ფეხით ნიადაგს ეყრდნობა. მუხლში მოხრილი მარცხენა უჩვეულოდ წვრილი ფეხით კი მხოლოდ თითებით ეხება მიწას და მკრთალადაა მინიშნებული. ფიგურის დაყენებაში ქვის მჭრელს შეცდომა აქვს დაშვებული - დიონისეს მარცხენა, მოხრილი ფეხი რომ გასწორდეს, მარჯვენაზე გაცილებით გრძელი გამოვა, რაც, ჩემი მოსაზრებით, გამორიცხავს მის ადრერომაული ხანით (ახ.წ. I საუკუნით) დათარიღებას. ანალოგიური კომპოზიცია, კიოლნის მუზეუმში დაცულ ნიკოლოს

ინტალიოზე არის წარმოდგენილი. გემა-ინტალიო გამოქვეყნებული აქვს ცნობილ გერმანელ გლიპტიკოსს ანჯეი კრუგს [Krug 1981: 226, № 297]. ამ გემაზე ღვთაების ფიგურა მეტად პროპორციულია და თავისუფლად არის სივრცეში გაშლილი, ფიგურის დაყენებაც კლასიკურადაა შესრულებული - მოხრილი და გაშლილი ფეხები ერთმანეთის ტოლია (ილ. 23). ამ სტილური ნიშნების გამო გემა დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით [Krug 1981: 226, №297, ტაბ. 109/297]. შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ჟინვალის გემა უფრო გვიანი ხანით - ახ.წ. III საუკუნით დავათარილოთ განსხვავებით მ. ლორთქიფანიძისგან, რომელიც გემას ახ.წ. I საუკუნით ათარიღებს. თუმცა სავსებით გასაზიარებელია მ. ლორთქიფანიძის მოსაზრება ბეჭდის თარიღთან დაკავშირებით - ახ.წ. III საუკუნე [ლორთქიფანიძე 1995, ხელნაწერი, დავთარი 93: 204-206].

ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოზე დიონისეს გამოსახულებით, სავარაუდოდ საქართველოს ტერიტორიიდან, ახ.წ. III ს. (ილ. 24), ბეჭედი ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში, გლ. ფ. 8. ზომები: ინტალიო – 12 X 11 მმ. ბეჭდის დმ - 28 მმ.

ვერცხლის ბეჭედში ჩასმულია ოვალური ფორმის, საკმაოდ მაღალი, წითელი სარდიონის გემა-ინტალიო. დარგობრივი დავთრის მონაცემებით, ბეჭედი შესყიდულია თბილისში და ჩვენი ვარაუდით, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს ნაპოვნი. ინტალიო რომაული წარმოებისაა. იგი ზურგისკენ ფართოვდება. გემის ბრტყელ პირზე ღრმად და მკაფიოდ ამოჭრილია ახალგაზრდა დიონისეს ფიგურა სვეტთან, თავით პროფილში მარცხნივ, ხოლო სხეულის ზედა ნაწილით - ანფასში გადაჭდობილი ფეხების ტერფების მოდელირება მცდარია და ორივე ტერფი უჩვეულოდ, პროფილში მარჯვნივ აქვს მიმართული და ეხება მოკლე ნიადაგის ზოლს.

დიონისე იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით სვეტს ეყრდნობა, ამავე ხელში ტირსოსი უპყრია, ხოლო მარცხენა ზეანეული ხელით თავს ეხება (შესაძლოა ხელში რაიმე საგანი ეჭიროს). შიშველ სხეულზე გრძელი ქლამიდა აქვს წამოსხმული. კომპოზიცია სქემატური და ტლანქი ნამუშევარია - თავი სუმარულადაა შესრულებული, ხოლო სახის ნაკვთები - მკრთალად. ბეჭდის საკმაოდ განიერი რკალი მხრებთან ფართოვდება და ოვალურ, დაბალ ბუდეში გადადის. ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია, საკმაოდ გამოკვეთილი მხრები აქვს. ბეჭედს მ. ლორთქიფანიძე ათარიღებს ახ.წ. II- III სს. [ლორთქიფანიძე 1967: 62]. მსგავსი გემა (ილ. 25) ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციიდან დიონისეს გამოსახულებით გამოქვეყნებული აქვს გლიპტიკოსს ჰ. ვალტერსს [Walters 1926: 169, №1542 ტაბ. XXI/1542].

გემა ბერძნულ-რომაულია და ამ შემთხვევაშიც დიონისე წარმოდგენილია ანფასში სვეტთან მდგომი, ხელში ტირსოსით. ფიგურის დგომა და პოზა მართებულად არის შერჩეული, ხოლო გადაჯვარედინებული ფეხები და ტერფები, თბილისური გემისგან განსხვავებით, სხვადასხვა მხარეს აქვს მიმართული. დიონისეს ეს ფიგურა რეალისტური და სავსებით პროპორციულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ თბილისური გემა მცდარი დაყენებისა და საერთოდ, შესრულების სქემატური და სუმარული სტილის გამო ბეჭედთან ერთად გვიან რომაული ხანით დავათარილოთ, კერძოდ კი - ახ.წ. III საუკუნით.

სარდონიქსის კამეო სამი ქარიტის (გრაციის) გამოსახულებით ბიჭვინთის სამაროვნის № 211 სამარხიდან (ილ. 26), ახ.წ. III-IV სს. [მშვილდაძე 2012: 130], ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (გლ. ფ. 1418. ზომები: ინტალიო 8,5 X 7 მმ; ბეჭედი 20 X 21 მმ).

სარდონიქსის კამეო ოქროს ბეჭედში არის ჩასმული [მშვილდაძე 2021: 38]. ბეჭედს მრგვალგანივკვეთიანი, თანაბარი სისქის განივი ნაჭდევებით შემკული რკალი აქვს, რომელზეც სიგრძივად მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. კამეო არანესიერი ოვალის ფორმისაა, ორფენიანი. მუქ ფონზე, თეთრ ფენაში, გამოსახულია სამი გრაცია. ცნობილი ქართველი გლიპტიკოსი მ. მშვილდაძე გადმოგვცემს, რომ გრაციები კლასიკური ფორმით არიან წარმოდგენილნი. შუაში მდგომი გრაცია ზურგით დგას, მას

ხელები გადახვეული აქვს მის გვერდით მდგომი ანფასში გამოსახული ორი გრაციის მხრებზე. კამეო საკმაოდ დახვეწილი ნამუშევარია. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით კამეო დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნით და რომაული გლიპტიკის ნიმუშს წარმოადგენს [მშვილდაძე 2012: 130].

აღნიშნული სარდონიქსის კამეო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ბიჭვინთის სამაროვნის გლიპტიკურ მასალაში. ბიჭვინთის სამაროვანზე გლიპტიკური მასალა საკმაოდ უხვად არის გამოვლენილი. გემების აბსოლუტური უმრავლესობა ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის დამახასიათებელ რელიგიურ თემატიკას უკავშირდება და მსგავსია იბერიის ტერიტორიაზე გავრცელებული რომაული გემების სიუჟეტებისა, მაგრამ აქ „იშვიათია იმ ღვთაებების გამოსახულებები, რომლებიც ოფიციალურ ღმერთებად იყვნენ აღიარებულები, ასეთებია ზევსი, აპოლონი, დიონისე და სხვ. აქ ძირითადად დადასტურებულია ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღვთაებები“ [მშვილდაძე 2012: 18]. ზემოთ აღწერილი სარდონიქსის კამეოზე გამოსახული ქარიტები (იგივე გრაციები) კი დიონისეს კულტთან არის დაკავშირებული. დიონისეს თანმხლები ღვთაებების – ქარიტების დედა ჰერაა, ხოლო მამა — დიონისე ჰესიოდეს მიხედვით. ქარიტები დაკავშირებულნი არიან წარმოდგენებსა და ფესტივალებზე სასიამოვნო დროის გატარებასთან. ეს მოცეკვავე ღვთაებები ასევე დაკავშირებული ჩანს დიონისესა და არიადნეს კულტებთან.

ზემოაღწერილი დიონისესა და მისი წრის ღვთაებებთან დაკავშირებული გლიპტიკური მასალა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დასტურდება დიონისესა და მისი ყველა თანმხლები პერსონაჟის გამოსახულებები გემებზე. ჩვენ ასევე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ბერძნულ-რომაული გლიპტიკის ქრონოლოგიურ ცვლილებებს საქართველოს ტერიტორიაზე. დროის დიაპაზონი, როცა ამგვარი გლიპტიკური ნაწარმი გვხვდება, მოიცავს ძვ.წ. IV -ახ.წ. IV საუკუნეებს. სხვა არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად, გლიპტიკური ძეგლებიც ნათლად ადასტურებს, რომ დიონისეს კულტი მუდმივად არსებობდა ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში.

ნაშრომში განხილული გლიპტიკური მასალა გვიჩვენებს, რომ დიონისეს კულტი თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში ელინურ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად გამოჩნდა. საინტერესოა, რომ ელინისტური ხანის ნიმუშები (ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები) ადგილობრივი ნაწარმია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დიონისეს კულტი აქ უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო. ეს ფარაკიანი ბეჭდები მდიდრულ სამარხებში არის აღმოჩენილი, რაც დიონისეს კულტის სოციალურად დაწინაურებული საზოგადოებაში გავრცელებაზე მეტყველებს. რომაულ ხანაში აღნიშნული გლიპტიკური ნაწარმი კი მოპოვებულია როგორც მდიდრულ, ასევე რიგით სამარხებში, რაც ამ პერიოდში საქართველოში დიონისეს კულტის ფართო გავრცელებას ასახავს. თუ ელინისტურ ხანაში დიონისე და მისი წრის ღვთაებები ფარაკიან ბეჭდებზე გამოისახებოდა, რომაულ ხანაში უკვე თვლიანი და კამეოიანი ბეჭდები ვრცელდება, ამგვარი გემები უფრო ხშირად გვხვდება, რაც ცხადია იმას მიუთითებს, რომ მათზე მოთხოვნილება იზრდება. ყოველივე ეს საქართველოსა და რომის იმპერიას შორის ინტენსიური პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურულ-რელიგიური კავშირების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება იკონოგრაფიას, ელინისტურ ხანაში დიონისე გამოისახება მოხუცი, მელოტი მამაკაცის სახით. ხოლო შემდგომ - რომაულ ხანაში, დიონისეს იკონოგრაფია უფრო მრავალფეროვანი ხდება. ადრერომაულ ხანაში დიონისე გამოისახება ახალგაზრდა, კულულებიანი ჭაბუკის სახით - თითქმის შიშველი და ზოგჯერ მთვრალი. მოგვიანებით ტირსოსი მისი განუყრელი ატრიბუტი ხდება. გვიანრომაულ ხანაშიც დიონისე ახალგაზრდაა, ნაწილობრივ ან მთლიანად შიშველია და ხშირად, სვეტთან ან

თავისუფლად მდგომია გამოსახული ტირსოსით ხელში. გამოსახულებების შესრულების მანერაში რომაულ ხანაში აშკარად შეინიშნება დეკადანსი. თუ ადრე რომაულ ხანაში გამოსახულება პროპორციული, დინამიკური და დეტალურია გვან რომაულ ხანაში გამოსახულება სქემატური, სუმარული, და სტატიკური ხდება. ასე, რომ იკონოგრაფიული შესრულების მანერა მნიშვნელოვან არგუმენტად გვევლინება ქრონოლოგიის დადგენაში.

დროთა განმავლობაში გეოგრაფიული გავრცელების სურათიც იცვლება. ელინისტურ ხანაში დიონისეს წრის ღვთაებების გამოსახულებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან არის ცნობილი. რომაულ ხანაში კი დიონისეს კულტის გამოსახულებები უფრო დიდი ინტენსივობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის სამეფოს) სამაროვნებზე (მცხეთა-სამთავროში, ურბნისში, ყველაზე უხვად არაგვის ხეობის სამაროვნებზე — არაგვისპირსა და ჟინვალში, ასევე, ტახტიძირში, რიყიანების ველზე, დედოფლისგორის სასახლის ნანგრევებში), ხოლო დასავლეთ საქართველოს პუნქტებიდან (ბიჭვინთა, თერჯოლა) თითო-ოროლა ნიმუშია აღმოჩენილი. ეს გარემოება შესაძლებელია დასავლეთ საქართველოს რომაული პერიოდის სამაროვნების (დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ბიჭვინთის სამაროვანია ცნობილი) ნაკლები შესწავლილობით აიხსნას. თუმცა, საქართველოს არქეოლოგიური კონტექსტი ზოგადად მეტყველებს იმაზე, რომ რომაულ ხანაში ეკონომიკური ცენტრები - მსხვილი ქალაქები და დანიშნულებული დასახლებები, როგორებიცაა: მცხეთა, ურბნისი, ჟინვალი და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში არის გამოვლენილი და გლიპტიკური ნაწარმიც, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური დანიშნულების სურათს ასახავს.

### **ბიბლიოგრაფია:**

**ანთიძე 2016:** ანთიძე ნ., დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელ. მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციიდან. თბილისი.

**გაგოშიძე 2020:** გაგოშიძე დ., ტახტიძირის სამაროვნები. თბ.

**გამყრელიძე 1982:** გამყრელიძე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, გამომც. *მეცნიერება*, თბ.

**გამყრელიძე 2001:** გამყრელიძე გ. დიონისეს ტიპის ღვთაების ქანდაკება ვანის ნაქალაქარიდან, კრებ. *კოლხოლოგიური ნარკვევები* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ. გვ. 135-138.

**გაფრინდაშვილი, ურუშაძე 1972:** გაფრინდაშვილი ნ., ურუშაძე აკ. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ.

**კიკნაძე 2023:** კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია, ენციკლოპედია. თბ.

**ლორთქიფანიძე 1954:** ლორთქიფანიძე მ. სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი - *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები*, I. თბ.

**ლორთქიფანიძე 1958:** ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბ.

**ლორთქიფანიძე 1961:** ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. თბ.

**ლორთქიფანიძე 1967:** ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV. თბ.

**ლორთქიფანიძე 1969:** ლორთქიფანიძე მ., ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I. თბ.

**ლორთქიფანიძე 1975:** ლორთქიფანიძე მ. კოლხეთის ძვ.ნ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბ.



**ლორთქიფანიძე 1976:** ლორთქიფანიძე მ. არქაული და არქაიზირებული საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან (1969 წელს მოპოვებული მასალები), კრებ. *ვანი II*, არქეოლოგიური გათხრები. გვ. 116-166. თბ.

**ლორთქიფანიძე 1978:** ლორთქიფანიძე მ. გლიპტიკური ძეგლები ჟინვალიდან. ხელნაწერი დავთარი 91 (ინახება მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში). თბ.

**ლორთქიფანიძე 1995:** ლორთქიფანიძე მ. ჟინვალის გვიანანტიკური გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი. დავთარი 93 (ინახება ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში). თბ.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.

**მშვილდაძე 2012:** მშვილდაძე მ. ბიჭვინთის ნაქალაქარის ძეგლები. თბ.

**მშვილდაძე 2021:** მშვილდაძე მ., ანტიკური კულტები საქართველოში. კონფერენცია, V, კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში, 23-24 ოქტომბერი. გვ. 36-43. ბათუმი.

**ნიკოლაიშვილი 2016:** ნიკოლაიშვილი ვ. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციიდან. თბ.

**რამიშვილი 1975:** რამიშვილი რ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, - ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, № 39. თბ.

**რამიშვილი 2018:** რამიშვილი რ. ქართლის სამეფო ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ.

**ჩიხლაძე 2015:** ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანი. თბ.

**ჩოლოგაური 2021:** ჩოლოგაური ლ. დიონისეს კულტი კავკასიაში (ძვ.წ. IV- ახ.წ. IV სს.), - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი) (რედ. გ. გამყრელიძე), №16, გვ. 119-133. თბ.

**ჯავახიშვილი 1972:** ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები*, V. (რედ. იულ. გაგოშიძე), თბ.

**ჯავახიშვილი, ნემსაძე 1982:** ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. სსმმ XXXVI – (რედ. ლ. ჭილაშვილი) გვ. 129-153. თბ.

**ჯავახიშვილი 2003:** ჯავახიშვილი ქ. ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით). - ჟურ. *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), 12, გვ. 75-88. თბ.

**ჯავახიშვილი 2015:** ჯავახიშვილი ქ. საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, - ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე), საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, № 11. გვ. 5-36. თბ.

**Ломоури 1981:** Ломоури Н. Грузино-римские взаимоотношения. Тб.

**Лосев 2000:** Лосев А. Мифы Народов Мира 2000, I, Мос.

**Мифы Народов Мира 2000:** II, Мос.

**Неверов 1988:** Неверов О. Античные камеи в собрании Эрмитажа. Мос.

**Brandt, Krug, Wendula, Schmidt 1972:** Brandt E., Krug A., Wendula G., Schmidt E., Antike Gemmen In Deutschen Sammlungen. b. I. Munchen.

**Boardman 1968:** Boardman J. Archaic Greek Gems. London.

**Furtwangler 1896:** Furtwangler A. Beschreibung der Geschnittenen Steine im antiquarium. Berlin.

**Gamkrelidze 2009:** Gamkrelidze G. Two Silver Rythons from West Georgia – Colchis (*Mtisdziri and Gomi*), - Jour. *Iberia-Colchis*, (ed. G. Gamkrelidze), #5, Tb., pp. 204-214.

**Gordeziani 2006:** Gordeziani R. The Cult of Dionysus in the Light of Linguistic Data, - *Phasis*, Tb. 9, pp. 105-115.

**Krug 1980:** Krug A. Antike Gemmen im Romisch-Germanischen Muzeum Koln. Berlin.

**Javakhishvili 2008:** Javakhishvili K. Engraved Gems and Impressions of seals on Clay Bullae - Jewelry, Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Langenweibach. pp. 191-221.

**Odisheli 2019:** Odisheli M. The cult of Dionysus in Ancient Georgia. Ancient Theatre and Performance Culture around the Black Sea. Edited by David Braund, Edith Hall and Rosie Wyles. Cambridge University press, London, pp. 373-399.

**Richter 1968:** Richter G. M. A. Engraved Gems Of The Greeks And The Etruscans. London.

**Richter 1971:** Richter G. M. A. Engraved Gems Of The Romans. London.

**Walters 1926:** Walters H. Catalogue Of The Engraved Gems And Cameos Greek Etruskan And Roman In The British Muzeum. London.

**Zwierlein-Diehl 1973:** Zwierlein-Diehl E. Die Antiken Gemmen Des Kunsthistorischen Museums in Wien, band I. Munchen.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ილ. 1.** ოქროს ბეჭედი, ფარაკზე მხედრის გამოსახულებით, ცხენის კისერზე შებმული დიონისეს ან სილენოსის ნიღბით. ვანი, წარჩინებული კოლხი მეომრის - დედატოსის მდიდრული მე-9 სამარხი. ძვ. წ. IV ს.

**ილ. 2.** ცხენის კისერზე ჩამოკიდებული დიონისესა თუ სილენოსის თავი. ვანი, წარჩინებული კოლხი მეომრის - დედატოსის მდიდრული მე-9 სამარხი. ძვ.წ. IV საუკუნე.

**ილ. 3.** ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი, ფარაკზე სილენოსის გამოსახულებით, ვანი, ძვ.წ. IV ს.

**ილ. 4.** ვერცხლის ბეჭედი, მინის ინტალიოზე მთვრალი დიონისეს გამოსახულებით, რიყიანების ველი, სამარხი 10. ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.

**ილ. 5.** თიხის ბულები (გლ. ფ. 1389, 1401) აღბეჭდილია სილენოსის ნიღაბი - ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი. დედოფლის გორის სასახლე.

**ილ. 6.** თიხის ბულები (გლ. ფ. 1389, 1401) აღბეჭდილია სილენოსის ნიღაბი - ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი. დედოფლის გორის სასახლე.

**ილ.7.** გემა-ინტალიო თეთრი გამჭვირვალე მინის, სატირის ბიუსტის გამოსახულებით ტახტიძირის სამაროვანი, სამარხი 27. ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისი.

**ილ.8.** ოქროს მედალიონი ამეთვისტოს ინტალიოზე არიადნეს გამოსახულებით, ნილკანი, კრამიტსამარხი, შემთხვევითი აღმოჩენა. ინტალიო - ადრიანეს ეპოქა (ახ. წ. 117-138 წწ.). მედალიონი - ახ. წ. III-IV სს.

**ილ. 9.** ოქროს ბალთა სარდიონის კამეოთი, რომელიც არიადნეს თავს განასახიერებს. არმაზისხევი, № 1 აკლდამა. კამეო ახ. წ. II საუკუნე, ბალთა - ახ. წ. III საუკუნე.

**ილ.10.** ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოზე დიონისეს გამოსახულებით, არაგვისპირი მე-13 მდიდრული სამარხი, გემა II საუკუნის, ხოლო ბეჭედი IV საუკუნის პირველი ნახევარი.

**ილ. 11.** ლუვრში დაცული დიონისეს ქანდაკება, ახ. წ. II საუკუნე.

**ილ. 12.** ვენის მუზეუმში დაცული რომაული გემა დიონისეს გამოსახულებით. ძვ. წ. I საუკუნე.

**ილ. 13.** რკინის ბეჭედი სარდერის გემაზე სილენოსის ნიღბის გამოსახულებით. სამთავროს სამაროვანი, 144-ე ქვის სამარხი. ახ. წ. II საუკუნე.

**ილ.14.** რკინის ბეჭდის ფრაგმენტი ამეთვისტოს ინტალიოზე დიონისეს გამოსახულებით. ურბნისის სამაროვანი, 234-ე სამარხი. ახ.წ. II საუკუნე.

**ილ.15.** ბრინჯაოს ბეჭდის ფრაგმენტი სარდიონის ინტალიოზე პანის ნიღბის გამოსახულებით. ურბნისის სამაროვანი, 263-ე სამარხი. ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისი.

**ილ.16.** რკინის ბეჭდის ფრაგმენტი სარდიონის გემა-ინტალიოზე ახალგაზრდა დიონისეს გამოსახულებით. ჟინვალის სამაროვანი, 289-ე სამარხი. ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III საუკუნის პირველი ნახევარი.

**ილ. 17.** ვერცხლის ბეჭედი იასპის გემა-ინტალიოზე სილენოსის, სატირისა და პანის თავების გამოსახულებებით. მცხეთა, კოსტავასა და მამულაშვილის ქუჩების კვეთა. ბეჭედი გემითურთ ახ.წ. II-III საუკუნეები.

**ილ. 18.** ოქროს ბეჭედი მინის ინტალიოზე დიონისეს, სილენოსისა და პანის ნიღბების გამოსახულებებით. თერჯოლის რაიონი, ადგილი საცეხური. შემთხვევითი მონაპოვარი. ბეჭედი გემითურთ ახ.წ. II საუკუნის მინურული და III საუკუნის პირველი ნახევარი.

**ილ. 19.** სარდიონის გემა-ინტალიო პანის გამოსახულებით, სამთავროს სამაროვნის 711-ე სამარხი. ახ.წ. III საუკუნე.

**ილ. 20.** ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოზე პანის გამოსახულებით. მცხეთა, ნავთსადენი, ქვის სამარხი. ახ.წ. III საუკუნე.

**ილ. 21.** ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოზე მოცეკვავე სატირის გამოსახულებით. ჟინვალის სამაროვანი, 313-ე სამარხი, ახ.წ. III საუკუნე.

**ილ. 22.** ბრინჯაოს ბეჭდის ფრაგმენტი ნიკოლოს გემა-ინტალიოთი, ჟინვალის სამაროვანი, სამარხი 429, ახ.წ. III საუკუნე.

**ილ. 23.** კიოლნის მუზეუმში დაცული ნიკოლოს ინტალიო დიონისესა თუ ბონუს ევენტუსის გამოსახულებით. ახ.წ. I საუკუნე.

**ილ. 24.** ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოზე დიონისეს გამოსახულებით, შესყიდულია თბილისში. ახ.წ. III საუკუნე.

**ილ. 25.** ბრიტანეთის მუზეუმში დაცული გემა დიონისეს გამოსახულებით. ახ.წ. III საუკუნე.

**ილ.26.** ოქროს ბეჭედი სარდონიქსის კამეოთი სამი ქარიტის (გრაციის) გამოსახულებით. ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორია, 211 სამარხი. ახ.წ. III საუკუნის მინურული და IV საუკუნე.

**ილ.27.** რკინის ბეჭედი სარდიონის გემა-ინტალიოთი მოცეკვავე მენადეს გამოსახულებით. ურბნისის სამაროვანი, 258-ე სამარხი. ახ.წ. II ს.





ილ. 1.



ილ. 2.



ილ. 3.



ილ. 4.



ილ. 5.



ილ. 6.



ილ. 7.



ილ. 8.



ილ. 9.



ილ.10.



ილ. 11.



ილ. 12.



ფ. 13.



ფ. 14.



ფ. 15.



ფ. 16.



ფ. 17.



ფ. 18.



ილ. 19.



ილ. 20.



ილ. 21.



ილ. 22.



ილ. 23.



ილ. 24.



ილ. 25.



ილ. 26.



ილ. 27.

## ბრინჯაოს ჭურჭელი ნამარნულან

რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე

ნამარნუს ნამოსახლართა კომპლექსი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რიონ-ფიჩორის შუამდინარეთში, მდ.ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე [გრიგოლია 1973: 50]. იგი მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლების გულეიკარის, კეთილარისა და კოდორის სავარგულების სამხრეთ მონაკვეთებს მოიცავს [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ 2001: 107-108].

ნამარნუს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან სიმინდის ყანები აკრავს, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან კი მდ.ფიჩორი შემოსდევს, რომლის მარცხენა სანაპირო ზოლი ლანჩხუთის რაიონის შემადგენლობაში შედის. ეს ძეგლი წარმოადგენს სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ხელოვნურად გამართულ ბორცვთა ჯგუფს, რომლებიც დროთა განმავლობაში იხვნებოდა და ნაწილობრივ გადასწორებული იყო. ამ ძეგლთა სისტემაში თავისი სიდიდით გამოირჩევა ცენტრალური დიხა-გუძუბა, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები „შუამალალას“ უწოდებს. ბორცვი წრიული ფორმისაა, დიამეტრია 160 კვ. მეტრი, სიმაღლე კი 5 მეტრამდე აღწევს [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2001: 1007-108].

სამოსახლო ბორცვს ირგვლივ შემოსდევს თხრილი, რომლითაც „შუამალალა“ გამოიყოფა მის ირგვლივ მდებარე სხვა შემალლებებისაგან. თხრილის სიგანე ზოგიერთ მონაკვეთში აღწევს 70 მეტრს. გუძუბას ფართობი უდრის დაახლოებით 2 ჰა, ხოლო ნამოსახლართა კომპლექსის ფართობი კი 20 ჰა [გრიგოლია 1973: 50]. ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დიხა-გუძუბათა ეს სისტემა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეული ძეგლია კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლებათა შორის.

ნამარნუს „შუამალალაზე“ გათხრები მიმდინარეობდა ექვსი სეზონის განმავლობაში (1980-84, 1986 და 1988 წლებში) [Микеладзе და სხვ. 1982: 31-35; Микеладзе და სხვ. 1984: 22-25; Микеладзе და სხვ. 1985: 37-40; Микеладзе და სხვ. 1986: 15-17; Микеладзе და სხვ. 1987: 39-42]. ამ წლების განმავლობაში ძეგლის შესწავლას აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი პროფ. თ. მიქელაძე).

ნამარნუს ნამოსახლართა სისტემაში „შუამალალას“ გარდა სადაზვერვო თხრილებით შესწავლილი იქნა ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვები, ანჯერი I, ანჯერი II, სადაც გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის მასალები. ნამარნუს მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით ნკმ რადიუსში დაზვერვილი იქნა სამოსახლო ბორცვები: კეთილარის დიხა-გუძუბა, კეთილარის „ნაეკლესიარი“, გულეიკარის „ნაოხვამუ“, გულეიკარის „ნაეკლესიარი“, ნიგოეთის ფიჩორისპირა ნამოსახლარი და ა.შ.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანისას ზოგიერთ მოხსენიებულ ბორცვზე, გაჭრილ თხრილებში დაფიქსირდა არქეოლოგიური არტეფაქტები, ნაწილზე კი ჩატარდა გათხრითი სამუშაოები (გულეიკარის „ნაეკლესიარი“) [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2006:60-63; ჯიბლაძე და სხვ. 2021] (ტაბ. I, II). ნამარნუს „შუამალალაზე“ წარმოებულ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოიყო ხუთი კულტურული ფენა:

V-VI სს-ების -ადრეშუასაუკუნეების ხანის ეკლესია, ამავე პერიოდის სამარხებითა და კულტურული ფენით: ელინისტური, ადრეანტიკური და ძვ.წ. I ათწლეულის დასაწყისის კულტურული ფენები. მეხუთე კულტურული ფენა კარგად იკვეთებოდა ჭრილში, მაგრამ მასალების უკმარისობის გამო მისი თარიღი ვერ განისაზღვრა [Микеладзе და სხვ. 1987:



39]. სავარაუდოდ ეს ფენა უნდა ეკუთვნოდეს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2001: 57]. „შუამაღალაზე“ გამოყოფილ კულტურულ ფენებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდის საინტერესო მასალები.

წინამდებარე სტატიაში შევხებით ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 0,8 მ-ის სიღრმეზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ქვაბს (სიმაღლე 25 სმ, დმ. 30 სმ, ტაბ. III). არტეფაქტი მაღალ ყელიანია (ყელის დმ. 19 სმ, სიმაღლე 5,3 სმ), ახასიათებს ოდნავ გადაშლილი პირის გვირგვინი, სფერული ფორმის კორპუსი და მაღალი, სადგრისებურად გამოყვანილი ქუსლი (ძირის სიმაღლე 3,5 სმ, დმ. 15 სმ. კედლის სისქეა 0,3 სმ). მხრებზე და კორპუსის ზედა ნაწილში მიჩნეული აქვს, ზემოდან მორკალული, წნული ორნამენტით შემკული, მოპირდაპირე მხარეებზე დასმული ორი პატარა ზომის ყური. როგორც ჩანს, ყურებზე მიმაგრებული (ამოდებული) უნდა ყოფილიყო მარყუჟით, რკინის მავთულისაგან დამზადებული მოძრავი რკალისებური ფორმის სახელური. ასევე მავთულისაგან გაკეთებული რკინის რგოლები. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა რგოლმა.

ქვაბის ცალკეული ნაწილები ბრინჯაოს ფურცლისგან მოქლონვის ტექნიკითაა დამზადებული და მანქვლების საშუალებითაა შეკრული. ასეთივე ფურცლებისგანაა შედგენილი ძირიც, რომელზედაც გარე მხრიდან რელიეფურადაა გამოსახული სვასტიკა (ტაბ. IV,V). მიუხედავად ცუდი დაცულობისა მაინც მოხერხდა ბრინჯაოს ქვაბის აღდგენა.

„შუამაღალას“ ბრინჯაოს ჭურჭელი დამზადების ტექნიკით, საერთო ფორმისა და ზომების მიხედვით ვიზუალურად იმეორებს ვანში, წარჩინებული კოლხი ქალის №11 სამარხში, აღმოჩენილ ანალოგიური ბრინჯაოს ჭურჭლის მონაცემებს, რომელთაგან ორ ნიმუშს, ნამარნუს არტეფაქტის მსგავსად, შიდა და გარე მხრიდან ძირზე გამოყვანილი აქვს სვასტიკა [ვანი 1972: 238, სურ. 224-225]. ვანისა და ნამარნუს ბრინჯაოს ჭურჭელს შორის თანხვედრები ასევე შეინიშნება ყურებზე გამოყვანილი წნული ორნამენტითა და ზომების მიხედვით.

როგორც სპეციალისტებისათვის ცნობილია, ვანის №11 მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ოთხი ბრინჯაოს სიტულის ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ-ერთი ორყურა ზოომორფულყურიანი ყოფილა. ზოგიერთი კი წნული ორნამენტით შემკული რკალისებურყურიანია. ანდა ასეთი ორნამენტით შემკულ ყურზე დამაგრებული იყო რკალისებური მოძრავი სახელური [ვანი 1972: სურ. 224, 225]. ერთ-ერთი სიტულის შემორჩენილი ხუფი ცხოველების გრაფიკული გამოსახულებითაა შემკული.

საყურადღებოა ვანის №11 სამარხში, ბრინჯაოს სიტულებთან და სხვა სამარხეულ ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის სრულად შემონახული სიტულა. როგორც აღნიშნავენ, მისი იდენტური მეორე ვერცხლის სიტულის ფრაგმენტები გამოვლინდა ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით დათარიღებულ №6 სამარხში [გიგოლაშვილი 1999: 53-54].

ვარაუდობენ, რომ ვანში აღმოჩენილი ამ ორი ვერცხლის სიტულის წარმოების ცენტრის განსაზღვრისას ურიგო არ იქნება მათი შედარება კოლხურ ბრინჯაოს სიტულებთან. ფორმით ისინი ერთნაირია, აქვთ მსგავსი ფართო ყელ-პირი, განიერი მხრები, მრგვალი, ქვემოთ დავიწროებული ტანი და სადგრისებური მოყვანილობის ძირი. ვანის კოლხურ ბრინჯაოს სიტულას ზოომორფული ყურები გააჩნია. ვერცხლის სიტულებზე კი ყურებს წარმოადგენს ფრთოსანი ლომისა და მწოლიარე ვერძების სკულპტორული გამოსახულება. მეორე ჭურჭლის სკულპტურული გამოსახულება ადრე ჯიქად იყო აღქმული. ვარაუდობენ, რომ მასზე უფრო ლომი უნდა ყოფილიყო გამოსახული [გიგოლაშვილი 1999: 54]. ორივე არტეფაქტს გააჩნია ბოლოში კაუჭებიანი მშვილდისებური ფორმის სახელური და ა.შ. [გიგოლაშვილი 1999: 54 -55].

ვანის ბრინჯაოს სიტულები თანმხლოები ინვენტარის მიხედვით ძვ.წ V ს-ის შუა ხანების შემდგომი პერიოდით თარიღდება [ვანი 1972: 239]. ნამარნუს „შუამაღალაზე“ კი

ბრინჯაოს ქვაბის თანმხლები მასალა და შესაბამისად, კულტურული ფენა დაახლოებით ამავე პერიოდით-ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2006: 53].

ნამარნუს ბრინჯაოს ქვაბის ამ თარიღს ეხმაურება საირხის №5 მდიდრულ სამარხ - აკლდამის კომპლექსურ მასალებში აღმოჩენილი დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბის (ტევადობა დაახლოებით 80 ლიტრი) ქრონოლოგიური განსაზღვრა. ამ არტეფაქტს ორივე მხარეს მირჩილული ქონდა ოთხი ყური [ნადირაძე 1990: 44, ტაბ. XX-6]. აღსანიშნავია, რომ ეს ჭურჭელი საერთოდ უნიკალურია კოლხეთის ადრეანტიკური ხანის კომპლექსებისთვის. როგორც აღნიშნავენ, მას კოლხურ სიტულებთან აკავშირებს მხოლოდ მაღალი ყელი და დამზადების ტექნიკა [ნადირაძე 1990: 44].

ფიქრობენ, რომ ეს ბრინჯაოს ჭურჭელი წარმოადგენდა საკულტო-სააღაპო დანიშნულების ქვაბს, სადაც ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცულ სვანურისა და ფშავ-ხევსურეთის ანალოგიური არტეფაქტების მსგავსად, იხარშებოდა ზვარაკი [ნადირაძე 1990: 44]. საირხის №5 სამარხს თანმხლები მასალების მიხედვით ათარიღებენ ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით [ნადირაძე 1990: 45], ანდა ძვ.წ. V ს-ით [მახარაძე, წერეთელი 2007: 58].

1965 წელს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მდ. ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ჯ. ნადირაძე), საირხის ნაქალაქარზე გაავლო სადაზვერვო თხრილები, სადაც ოქროს არტეფაქტებთან ერთად დაფიქსირებულა ბრინჯაოს ქვაბები [ნადირაძე 1990: 66]. საბადურის გორის სამაროვანის №1 და №8 სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სიტულის არაერთი ფრაგმენტი, მათ შორის ყურის ნატეხები [მახარაძე, წერეთელი 2007: 37,67]. ბრინჯაოს სიტულას ფრაგმენტი ასევე დაფიქსირდა მთავარი მიცვალებულის სარკოფაგში [მახარაძე, წერეთელი 2007: 67].

ბრინჯაოს ჭურჭელი (ქვაბ-ქოთნები, ზოომორფულყურიანი და სადა ყურიანი სიტულები, ტოლჩები და ა.შ.), ასევე მისი ცალკეული ელემენტები, გვხვდება წინაანტიკური და კლასიკური ხანის კოლხეთის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლებსა-სამაროვნებსა (ბრილი, ერგეტა, ცაიში, ნითელი შუქურა №91 სამარხი და სხვ.) და განძებში (ლუხვანო, ქვიშარი I, ოყურეში-ლაჯობას ძირის განძი, ზემო სიმონეთი, ზეკარი, თაგილონი, ჭუბურხინჯი და სხვ.) [Иессен 1935: 124,126; ნიორაძე 1948: სურ.12-ბ; საქართველოს არქეოლოგია 1959: 132; ქორიძე 1965: 30, 32, 24, 46; სახაროვა 1965: 45-48; სახაროვა 1976: 10-12; Трапш 1969, 141,149, ტაბ.XIV-4; პაპუაშვილი რ. და სხვ. 2022: 29, 43; ახვლედიანი და სხვ. 2023: 6, ტაბ.VIII-3; სულავა 2024: 18]. ბრინჯაოს ჭურჭელი ასევე აღმოჩენილია ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთში, მეხჩის ციხის განძის შემადგენლობაში [ქორიძე 1965: 37-38].

ბრინჯაოს სიტულები გავრცელებული იყო კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის წრეში. ისინი ძირითადად არიან პირგაშლილები, დაბალყელიანები და ფართომხრიანი, რომელთა ტანი შემკულია მთლიანად, ანდა ნაწილობრივ კანელურებით. მათ გააჩნიათ თითო ან ორი მასიური სახელური, რომლებიც მხრებზე ან მუცელზეა მირჩილული. სახელურებს აქვთ შვერილები, რომლებიც ცხოველთა დაცკვეტილ ყურებს მოგვაგონებს და ა.შ.

ბრინჯაოს ჭურჭელზე ამგვარი ყურები გვხვდება კოლხური კულტურის გავრცელების რაიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, თლიას სამაროვანი — ჯავის მუნიციპ., ჩრ. ოსეთი, ყაბარდო და ა.შ.). ეს ჭურჭელი უფრო შორს იჩენს თავს (პოდგორცი, ჟაბოტინო (უკრაინა), ტანგანჩა, კარმილ-ბლური, ურარტულ სამაროვანზე იგდირთან-მალაქლუ-არარატის მთის ძირი, აზერბაიჯანში ძვ.წ. VI ს-ში), როგორც კავკასიიდან გატანილი პროდუქცია [საქართველოს არქეოლოგია 1959: 220; სახაროვა 1965: 45-46; სულავა 2024: 18].

საერთოდ ის ფაქტი, რომ გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული კერამიკაში სიტულების მსგავს თიხის ქოთნებს წამყვანი ადგილი

უკავიათ, ეს უნდა მონაწილეობდეს მათ ადგილობრივ წარმომავლობას [იხ. საქართველოს არქეოლოგია 1959: 220-221].

აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს სიტულები დღევანდელი მონაცემებით უფრო მრავლადაა გამოვლენილი კოლხეთის მთიანეთში, ვიდრე დაბლობ ზოლში. განსაკუთრებით კი ლეჩხუმში, სადაც ისინი გვხვდებიან განძების შემადგელობაში: ლაილაშის, ცაგერას (ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები), ოყურემის (ლაჯობას ძირის — აღმოჩნდა 3 ცალი ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს სასმისი) და ლუხვანოს (ბრინჯაოს სასმისი) განძები [სახაროვა 1976: 6, 10, 11, 12, 15].

სურმუმის განძი კი ჩაფლული იყო ბრინჯაოს ჭურჭლით. ლეჩხუმის განძებს ერთმანეთთან აკავშირებს ბრინჯაოს გამოკვერილი ფურცლისაგან მანჭვლის საშუალებით დამზადებული სასმისები, რომელთა სახელებს ამკობთ ზოომორფული ყურები. აღნიშნავენ, რომ ბრინჯაოს ჭურჭელი განსაკუთრებით დამახასიათებელია კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთაზე აღმოჩენილი ძეგლებისათვის, რომლებიც შედის მძღავრი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონებით) არეალში [სულავა 2024: 19].

ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდნენ, რომ კოლხეთში ყველაზე მეტი ბრინჯაოს სიტულების ფრაგმენტები გამოვლენილი იყო ბრილის სამაროვანზე. აქ ასევე დასტურდება ზოომორფულყურიანი, სათლისებურფორმიანი ბრინჯაოს სასმისები და ორყურა ქვაბის ფორმის ჭურჭელი [გობეჯიშვილი 1970: 280].

როგორც აღნიშნავენ, ბრილში ბრინჯაოს ჭურჭელს მომჭირნეობით ხმარობდნენ. ამის მტკიცებულებად მოყავთ ის ფაქტი, რომ ერთხელ გატეხილი ჭურჭელი ხელახლა დაუკერებიათ და ისე ჩაუდგამთ სამარხებში [გობეჯიშვილი 1970: 290].

გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს ჭურჭლის დათარიღებაზე. თავის დროზე გ. გობეჯიშვილი ვარაუდობდა, რომ ბრინჯაოს ჭურჭლის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. Xს. არ უნდა გასცდეს; ბრილის სამარხეული კომპლექსები უნდა ადასტურებდეს, რომ ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს ჭურჭლის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი უნდა მოდიოდეს ძვ.წ. VI ს-მდე. ე.კრუპნოვი შემტალინის განძს, რომელსაც სასმისებით და ცულებით ლუხვანოსა და ოყურემის განძს უკავშირებს, ათარიღებს ძვ.წ. VIII ს-ით [Крупнов 1952: 28; Козенкова 1996: 47].

ბრინჯაოს ჭურჭელს თვლიან დამახასიათებელ ელემენტად ძირითადად ცენტრალური ვარიანტის მთიანი რეგიონის ძეგლებისათვის. ეს ჭურჭელი ჩნდება არა უგვიანეს ძვ.წ. X ს-ში, ხოლო ყველაზე გვიანი მოდის ძვ.წ. VI-V ს-მდე (ნართანი, სტეფანწმინდა) [Козенкова 1996: 47, სურ. 19].

სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში სიტულებისა და ზოომორფულყურიანი ტოლჩების ყველა კომპლექსს ძვ.წ. VIII-VI სს-ებით საზღვრავენ [ფანცხავა 1988: 59-60]. ვარაუდობენ, რომ ზოომორფულყურიანი ბრინჯაოს სიტულების შემცველი სამარხები ზოგადად ძვ.წ. XII-XI სს-ებით თარიღდება.

თლიას სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების მონაცემებზე დაყრდნობით უფრო ვიზუალურად აქვთ მოცემული სხვადასხვა ტიპის ზოომორფულყურიანი ტოლჩების, ქვაბების და თასების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მათი გავრცელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა [სულავა 2024: 19, 21-24, ტაბ. I, II, III].

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ბრინჯაოს ჭურჭლის აღმოჩენების სტატისტიკური მონაცემების მოყვანა კოლხური კულტურის ბრწყინვალე ძეგლიდან — თლიას სამაროვიდან, სადაც გამოყოფენ ოთხი სახეობის ბრინჯაოს ჭურჭელს: ტოლჩები, სათლები, ჯამები, ამფორები [აფაქიძე 2002: 201].

აღსანიშნავია, რომ თლიას სამაროვანზე 4 სახეობის ბრინჯაოს ტოლჩებში ამ ტიპის 43 ერთეული ჭურჭელია გაერთიანებული. საერთოდ კი ბრინჯაოს ჭურჭლის რაოდენობა

ამ სამაროვანზე 140 ც. აღწევს [აფაქიძე 2002: 201, 203; Техов 1977: 76]. ვ. კოზენკოვა კი ყობანური კულტურის ცენტრალური ვარიანტში 200 ბრინჯაოს ჭურჭელს ასახელებს, რაც ჯ. აფაქიძის აზრით არ უნდა იყოს სწორი [Козенкова 1996:47; აფაქიძე 2002: 203]. ამ მონაცემების გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ბრინჯაოს ჭურჭლის წარმოებისა და გავრცელების უმთავრესი ზონა, თლიას სამაროვანი უნდა ყოფილიყო, რადგან აქ ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ამ სახის არტეფაქტები [აფაქიძე 2002: 203].

ეს მოსაზრება უფრო ადრე გამოთქვა ბ. ტეხოვმა, რომელმაც ბრინჯაოს ჭურჭლის სამშობლოდ მიიჩნია ცენტრალური კავკასია, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭელი [Техов 1977: 76]. ამ ძეგლზე ტოლჩები და ჯამები თანაბარი თანაფარდობით გვხვდება როგორც ქალის, ასევე მამაკაცის სამარხებში, რომლებიც იმეორებენ თიხის ჭურჭლის ფორმებს.

თვლიან, რომ ბრინჯაოს ჭურჭელს პროტოტიპები ეძებნება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კათხისებური, ტოლჩისმაგვარი, მუცელგამობერილი ჭურჭლის სახით, რომელსაც უპირატესად რქისებურშვერილიანი ყურები გააჩნია [აფაქიძე 2002: 204]. ნამარნუს ჭურჭელი ახლოს დგას თლიას ჭურჭლის ზოგიერთ ვედრი სათლისებური ფორმის ჭურჭელთან. მათ შორის მსგავსება გამოიხატება მუცლის მოყვანილობით [Техов 1976: ტაბ. 95-2, 108-2, 119-2].

როგორც აღინიშნა, სიტულებისა და ზომორფოლოგიურიანი ტოლჩების შემცველ ყველა კომპლექსს ძირითადად ათარიღებენ ძვ.წ. VIII-VI სს-ებით. ამის საბუთად მოყვანილი აქვთ ის ძეგლები, სადაც აღმოჩენილია ბრინჯაოს ჭურჭელი: კელემერსის №1 ყორღანი — ძვ.წ. VI ს., ჟაპოტინსკის ნამოსახლარი, სადაც ორი სიტულა აღმოჩნდა ძვ.წ. VIII ს-ის ფენაში; ძვ.წ. VIII ს. — ჟემტალინის განძი. თლიაში ბრინჯაოს ტოლჩების შემცველი სამარხები თარიღდება ძვ.წ. XII-X და ძვ.წ. XI-VI სს-ებით [ფანცხავა 1988: 61].

საინტერესოა, ნამარნუს სიტულას ძირზე გამოყვანილი სვასტიკის ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევა. კოლხური ბრინჯაოს ცულების (ასევე ბრინჯაოს აბზინდებისა და სარტყლების) მიხედვით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტიპის იარაღზე ზომორფოლოგიური სახეობების გამოსახვის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეომეტრიული სახეების ამოკვეთას როგორცაა სვასტიკა, მალტური ჯვარი, წრე, რომლებიც აშკარად სიმბოლური სახისაა [ფანცხავა 1988: 49].

თვლიან, რომ არცერთ ორნამენტულ სახეებს არ გამოუწვევია ისეთი დაინტერესება, როგორც არის სვასტიკა, რომლითაც შემკულია ცულები ჩაბარუხის განძიდან, თლიადან (№76, №259 სამარხები) და ამავე სამაროვნის ტერიტორიიდან [ფანცხავა 1988: 49]. სვასტიკის უძველესი გამოსახულებები კავკასიაში ცნობილია თრიალეთის ყორღანებიდან, სადაც მას ძვ.წ. XVIII-XVII სს-ებში ვხვდებით კერამიკულ ნაწარმზე — მოხატვით, პუნქტიროვანი შტამპითა და რელიეფით [ფანცხავა 1988: 51].

მოგვიანებით სვასტიკის გამოსახულება დადასტურდა ნარეკვავის სამაროვანზე, სადაც ის დატანილია სამ თიხის ჭურჭელზე [ფანცხავა 1988: 51]. არის შემთხვევები, როდესაც ყულების ნამოსახლარზე სვასტიკა გამოსახულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარის კერამიკაზე [პაპუაშვილი და სხვ. 2017: ტაბ. 36-15].

სვასტიკის გამოსახულება ხშირად გვხვდება ბრინჯაოს აბზინდებსა და სარტყლებზე და თიხის საბეჭდავებზე (უფლიციხე). ლ.ფანცხავა თვლის, რომ ირმის, სვასტიკის და თევზიფხური სახეების ერთად გამოსახვა იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ სვასტიკა ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებულ ასტრალურ სიმბოლოდ მივიჩნიოთ [ფანცხავა 1988: 50].

სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული ბრინჯაოს ჭურჭლის წარმომავლობაზე. მკვლევართა ნაწილი ამ სახის ჭურჭლის პარალელებს ამჩნევს ჰალშტატის კულტურაში და აქედან გამომდინარე მხარს უჭერს მის ევროპულ მომდინარეობას (ს. მაგურა, ნ.

მაკარენკო) [Крупнов 1952: 24-27; სახაროვა 1965: 47]. ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული ცნობილ მეცნიერთა მიერ (ბ. პოტროვსკი, ბ. კუფტინი, ა. იესენი, ე. კრუპნოვი) და ხაზი იქნა გასმული ზოომორფულყურნიანი ბრინჯაოს ჭურჭლის კავკასიურ წარმომავლობაზე. ე. კრუპნოვმა კავკასიის შიგნით ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი სიტულების წარმოების ცენტრის მოძებნაში და ამ მხრივ უპირატესობა მიანიჭა ჩრდილო კავკასიას [Крупнов 1952; გობეჯიშვილი 1970: 290].

გ. გობეჯიშვილის მოსაზრებით, არსებული მასალების გათვალისწინებით, ბრინჯაოს ჭურჭელს ამზადებდნენ სხვადასხვა საწარმოო კერები, ხოლო თუ ამ საკითხში რიცხობრივ მონაცემებს მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ ცენტრად უფრო დასავლეთ საქართველოს ტერიტორია უნდა ჩაითვალოს [გობეჯიშვილი 1970: 290].

ბრინჯაოს ჭურჭლის წარმომავლობის დადგენაში განსაკუთრებით სერიოზული სამუშაოები ჩაატარა ლ.სახაროვამ, რომელიც თვლიდა, რომ ამ საკითხის გადაჭრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ორი სხვადასხვა გარემოება: წარმომავლობა ტექნიკის დამზადების თვალსაზრისით და წარმომავლობა გარკვეული ფორმის შექმნის მიხედვით. მას სპილენძის გამოკვერილი ფურცლისაგან მანჭვლების საშუალებით ჭურჭლის დამზადების მთავარ კერად მიაჩნდა წინა აზია, საიდანაც იგი გავრცელდა ამიერკავკასიაში, ჩრდილო კავკასიასა და სკვითურ-სარმატულ-აზიურ სამყაროში; შუა ევროპასა და სკანდინავიის ქვეყნებშიც კი. ხმელთაშუა ზღვის მეშვეობით იტალიაში, საბერძნეთში და ა.შ. [სახაროვა 1965: 47; სულავა 2024: 17].

ამის არგუმენტად მოყავს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მეთოდით დამზადებული ჭურჭლის უძველესი ნიმუშები თავს იჩენს ურის გათხრების დროს, ასურულ ბარელიეფებზე და ეგვიპტურ აკლდამებზე გამოსახულ ვაზებს შორის [სახაროვა 1965: 47]. ამრიგად, თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ქრონოლოგიურად წინა აზიური ჭურჭლები ყველაზე უძველესია, ხოლო ევროპისა კი ყველაზე უახლესი.

კავკასიაში აღმოჩენილ ბრინჯაოს მანჭვლიანი ჭურჭლებს შორის ყველაზე უძველესია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეჯვრისხევის თასს, რომელიც ბრინჯაოს ფურცლისაგანაა დამზადებული ჭედვით, მანჭვლის გარეშე) თრიალეთის ბრინჯაოს ჭურჭელი [Куптин 1941: 16-17, სურ. 18, ტაბ. XXXVII].

არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება (ბ.კუფტინი, ბ.ტეხოვი, ვ.კოზენკოვა და სხვა) კოლხური ჭურჭლის მსგავსებაზე ბრინჯაოს ტოლჩებთან [აფაქიძე 2002: 204]. თვლიან, რომ ლეჩხუმის ბრინჯაოს ჭურჭლის გარკვეული ნიმუშების ჩამოყალიბებაზე (ცხოველის დაცკვეტილი ყურები, დაწნული ორნამენტის რელიეფური სიგრძივი ზოლები, რომბები) ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივმა თიხის ჭურჭელმა და დეკორატიულმა მოტივებმა [Куптин 1949: 217, სურ. 40, 124-125, Куптин 1950: 124, 125].

ლ. სახაროვა თვლის, რომ როგორც კავკასიურ ბრინჯაოს ჭურჭლებს აქვს საერთო ნიმუხები წინააზიურ ბრინჯაოს ჭურჭლებთან, ასევე ევროპულ ჭურჭლებს აქვთ საერთო კავკასიურთან. ეს ნიმუხებია კვერვა, მანჭვლები, მოძრავი სახელური და ძირის მოყვანილობა.

ამრიგად, სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით ბრინჯაოს ჭურჭლის წარმოების ერთ-ერთ წამყვან ცენტრს უნდა წარმოადგენდეს კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრწყინვალე ძეგლი — თლიას სამაროვანი. ამ თვალსაზრისით ვიზიარებთ ბ. ტეხოვისა და ჯ. აფაქიძის მიერ ამის თაობაზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს.

წამარნუს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბრინჯაოს ქვაბები კოლხეთში გავრცელებას იწყებენ ადრეანტიკური ხანიდან. თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათი უადრესი ვარიანტები კოლხეთში ჩნდება ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარისა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით [სულავა 2024:19]. მათ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ზოომორფულყურნიანი სიტულები, რომელთა ადრეული წარმომავლობა დასტურდება

თლიას სამაროვანზე, ლეჩხუმში ბრინჯაოს განძების შემადგენლობაში, ამ ტიპის ბრინჯაოს ჭურჭლის გამოჩენით. ვიზირებთ რა ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენც ვფიქრობთ, რომ ზოომორფულყურიანი ტოლჩები და ბრინჯაოს ქვაბები კოლხურ ადგილობრივ წიაღში გაჩენილად მივიჩნით. მათ წინამორბედად შესაძლოა ჩავთვალოთ ზოომორფული ყურიანი თიხის ჭურჭელი და ქვაბები. ძნელი სათქმელია, რამდენად უნდა იყოს მისაღები მოსაზრება, რომლის თანახმად: ბრინჯაოს ჭურჭელი თავისი გავრცელების გზაზე გარემოს შესაბამისად ნაწილობრივ იცვლება, ზოგან მკვიდრდება, ზოგან ახალ ვარიანტად გარდაიქმნება, მაგრამ გარკვეული ნიშანი მაინც რჩება ძირითადი ფორმიდან [სახაროვა 1965: 47].

ამრიგად, კოლხეთში ზოომორფულყურიანი სიტულებისა და ბრინჯაოს ქვაბების საწყისები უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივი თიხის ჭურჭლის წიაღში გაჩენილად. ამ თვალსაზრისით კი ამ ტიპის ყურიანი თიხის ჭურჭლის ყველაზე ადრეული ვარიანტები ჩანს ცენტრალური კოლხეთის დაბლობი ზონის ძეგლებზე, როგორცაა: ნაოხვამუ (ქვედა I ფენა), ყულევი (ქვედა I ფენა) და ა.შ.

### ბიბლიოგრაფია:

**ახვლედიანი და სხვ. 2023:** ახვლედიანი დ., ბუაძე შ., ჩარკვიანი მ., ხარაბაძე ს., ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში გამოვლენილი განძები, - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №17, თბ., გვ. 6-34.

**აფაქიძე 2002:** აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქორონოლოგია. დისერტაცია ისტ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.

**გიგოლაშვილი 1999:** გიგოლაშვილი ელ., ვერცხლის სიტულები ვანიდან, - აკც-ს ჟურ. *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), №4. თბ., გვ.53-56.

**გობეჯიშვილი 1970:** გობეჯიშვილი გ., გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., გვ.243-311.

**გრიგოლია 1973:** გრიგოლია გ., ბარბაროსების დიდი ქალაქის ლოკალიზაციისათვის, - ძმ, 33, თბ.; გვ.50-58.

**ვანი I, 1972:** კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), I, თბ.

**მახარაძე, წერეთელი 2007:** მახარაძე გ., წერეთელი მ., საირხე, თბ.

**ნადირაძე 1990:** ნადირაძე ჯ., საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, — წიგნი, I, თბ.

**ნიორაძე 1948:** ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. — სსმმ, XV- B, თბ., გვ. 1-22.

**პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2001:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. ნამარნუს ადრექრისტიანული ხანის ძეგლები, კრებ. *გურია*, III, თბ., გვ.107-187.

**პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2006:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ., ნამარნუ (ძვ.წ. II- I ათასწლეულების ძეგლები), კრებ. *გურია IV*, თბ., გვ.46-66.

**პაპუაშვილი და სხვ. 2017:** პაპუაშვილი რ., ჯიქია ლ., ქობალია ნ., პაპუაშვილი ი., ერგეტა (სამაროვნები), თბ.-ზუგდიდი.

**პაპუაშვილი და სხვ. 2022:** პაპუაშვილი რ., ჯიქია ლ., ქობალია ნ., პაპუაშვილი ი., ერგეტა (სამაროვნები), თბ.-ზუგდიდი.

**საქართველოს არქეოლოგია 1959:** - საქართველოს არქეოლოგია (რედ. ან. აფაქიძე), თბ.

**სახაროვა 1965:** სახაროვა ლ., ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. - *საბჭ. ხელოვნება*, 12, თბ., გვ.45-48.

**სახაროვა 1976:** სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ.

**სულავა ბ. 2024:** სულავა ნ., საქართველოს ზოომორფოლოგიური ბრინჯაოს სიტულები, თასები და ქვაბები, - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №18, თბ., 2024, გვ. 17-24.

**ფანცხავა 1988:** ფანცხავა ლ., კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ.

**ქორიძე 1965:** ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ.

**ჯიბლაძე და სხვ. 2021:** ჯიბლაძე ლ., მურვანიძე ბ., ჩუბინიშვილი კ., გულეიკარის ნამოსახლარი (ელ. ვერსია) - <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/329790>.

**Иессен 1935:** Иессен А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК 120, Мос.-Лен., с. 7-216.

**Микеладзе 1982:** Микеладзе Т. Основные результаты полевых исследований Колхидской археологической экспедиции. - ПАИ в 1980 г., Тб., с. 31-35.

**Микеладзе და სხვ. 1984:** Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., исследования Колхидской археологической эспедиции, - ПАИ в 1981г., Тб., с. 22-35.

**Микеладзе და სხვ. 1985:** Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., 1985: Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции. - ПАИ в 1982 г. Тб., 1985, с. 37-40.

**Микеладзе და სხვ. 1986:** Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., О полевых исследованиях Колхидской археологической экспедиции. - ПАИ в 1983 г., Тб., с. 15-17.

**Микеладзе და სხვ. 1986:** Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н., Колхидская экспедиция, - ПАИ в 1986 г., Тб., с. 59-65.

**Микеладзе და სხვ. 1987:** Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н. О работах Колхидской археологической экспедиции. - ПАИ в 1984-1985 гг., Тб., с. 39-42.

**Крупнов 1952:** Крупнов Е., Жеммалиский клад, Мос., 24-27.

**Куфтин 1941:** Куфтин Б., Ахеологическаие раскопки в Триалети, Тб.

**Кუფტინ 1949:** Кუფტინ Б., Материалы к археологии Колхиды, - т. 1, Тб.

**Козенкова 1996:** Козенкова В., Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры), Мос.

**Техов 1977:** Техов В. Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э., Мос.

**Трапш 1969:** Трапш М., Труды, т. II, Сухуми.

### ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I. ნამარნუს ნამოსახლართა კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე განფენილი არქეოლოგიური ძეგლების სიტუაციური გეგმა.


ტაბ. II. ნამარნუს ტოპოგეგმა.

ტაბ. III. ნამარნუს „შუამალას“ ბორცვის ადრეანტიკური ხანის ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქვაბი.

ტაბ. IV. ბრინჯაოს ქვაბის ძირზე გამოსახული სვასტიკა.

ტაბ. V. ბრინჯაოს ქვაბი სხვა დეტალებთან ერთად, „შუამალას“ ადრეანტიკური და ელენისტური ხანის ფენებში მონაპოვარი მასალების თანმხლებით.

ნამარნუს მიმდებარე არქეოლოგიური ძეგლების სიტუაციური გეგმა






II

ნამარნუს ტოპოგეგმა 1980 წ.

შ. 1:100



არქეოლოგიური თხრილები: 1, 2, 3, 4, 5, (6-თანამედროვე ფერმა)


III



IV



V



## ბრინჯაოსა და თიხის ყურმილიანი ხელაღები მთის რაჭიდან

ლერი ჯიბლაძე, ნინო ქობალია, გელა გობეჯიშვილი

კოლხური კულტურის დამახასიათებელ ელემენტთა შორის, კულტურის განსაზღვრისა და კვლევის საკითხში ჭურჭელს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულ და საინტერესო ჯგუფს ყურმილიანი ხელაღები ქმნიან [მიქელაძე 1985: 23; ფირცხალავა, გამყრელიძე 2021: 288]. საქართველოში ჭურჭლის ეს ტიპი გავრცელებას იწყებს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედიდან და თავისი ფორმისა და დეკორის თავისებური მრავალფეროვნებით დღემდე განაგრძობს არსებობას.

ამგვარი დოქების განმსაზღვრელი ნიშანია ყური, რომელიც შედგება მრგვალგანიკვეთიანი რკალისა და მასთან შეერთებული ყელიდან მომავალი სწორი მილისგან [ფირცხალავა, გამყრელიძე 2021: 288]. ფორმის მიხედვით მათში მკვეთრი განსხვავებები არ იკითხება. გამოყოფენ მხოლოდ ბიკონუსურტიანი და სფერულტიანი ვარიანტებს, სადა ან დეკორირებული ზედაპირით [ფირცხალავა, გამყრელიძე 2021: 288]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყურმილიანი დოქები იმდენად სტანდარტული ფორმებს წარმოადგენენ, რომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია აზრს მოკლებულია, რადგან მხოლოდ ზომებითა და განსხვავებული პროპორციებით თუ შეიძლება მათი დაჯგუფება.

ყურმილიანი ხელაღების გავრცელების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VII-III საუკუნეებში ექცევა [ფირცხალავა, გამყრელიძე 2021: 288; მიქელაძე 1985: 23]. დღევანდელი მონაცემებით, მათი უმეტესი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა აღმოჩენილი.

კოლხეთის მთიან ნაწილში, მთის რაჭაში ისინი არც თუ ისე დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი, თუმცა ეს, ალბათ, შესწავლილი ძეგლების სიმცირით, ან ფრაგმენტულობით უნდა აიხსნას.

დღევანდელი მონაცემებით, მთის რაჭაში ყურმილიანი ხელაღები ბრინჯაოს და თიხის ნიმუშებით არიან წარმოდგენილი - გვაქვს ბრინჯაოს ოთხი და თიხის ორი ყურმილიანი ხელაღა. მათგან ხუთი ბრილის სამაროვანზეა აღმოჩენილი, თიხის ერთი ნიმუში კი სოფელ ჯოისუბანში, ადგილ გორიმოზე შესწავლილ ადრეანტიკური ხანის სამარხში.

ბრილის სამაროვანი ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ლების ჩრდილო-დასავლეთით 11 კმ-ზე, ზღვის დონიდან 1600 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ეს პუნქტი მდ. რიონის მარცხენა და მის შენაკად ზოფხითურას მარჯვენა ნაპირზე მოქცეულ, წვეროთი ჩრდილოეთისკენ დამხრობილ, სამკუთხა ფორმის ტერასის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზეა განფენილი.

აქ არქეოლოგიურ სამუშაოებს პერიოდულად, 1939-1940, 1948, 1950-1953, 1959-1961 წლებში აწარმოებდა შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ექსპედიცია გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში გაითხარა დაახლოებით 380 ინდივიდის შემცველი 219 სამარხი: ორმოსამარხები, ქვაყუთები და კოლექტიური საკრემაციო მოედნები. სამარხები ქრონოლოგიურად უწყვეტადაა წარმოდგენილი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ.წ. IV საუკუნემდე [ფანცხალავა და სხვ. 2001: 39]. ბრილის სამაროვნის ქრონოლოგია, ეპოქების გათვალისწინებით, ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფში ნაწილდება, ესენია: 1) ძვ.წ. II ათასწლეულის შუა და მეორე ნახევარი; 2) ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი; 3) ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი და 4) ახ.წ. I-IV სს-ები.

ბრილის სამაროვანზე თიხის ყურმილიანი ხელაღა ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი (სურ. 2). აღმოჩენილია 1939 წელს შესწავლილ №19 ქვაყუთის ტიპის სამარხში (სამარხის ზომები 120 x 65 x 55 სმ.). ჭურჭელი შავპირიალა, ქარსნარევი თიხისგანაა დამზადებული. აქვს ოდნავ გადაშლილბაკოიანი პირი, მაღალი, ცილინდრული ყელი, მომრგვალებული

მუცელი და ბრტყელი ძირი. ყელი შემკული აქვს ჰორიზონტალური, რელიეფურად გამოყვანილი ღარებით. ზომებია: სიმაღლე - 13.7 სმ, მუცლის დმ - 11.7 სმ.

ხელადა სამარხში მიცვალებულის თავთან იყო მოთავსებული. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს თეფშისებური ბალთა, რომელიც ფუნქციურად თავსამკაულიც შეიძლება ყოფილიყო. სამარხში ასევე მიმოხეული იყო ბრინჯაოს არქაული და ცისფერი პასტის მძივები. კომპლექსი თავისი მცირერიცხოვანი ინვენტარის გათვალისწინებით, უფრო წინარეანტიკური ხანით უნდა განისაზღვროს.

ბრინჯაოს ყურმილიანი ხელადაები ბრილის სამაროვანზე ოთხი ერთეულით არის წარმოდგენილი (სურ.1). სამწუხაროდ, ყველა მათგანი მხოლოდ ყურის ფრაგმენტებით არის შემორჩენილი. ეს ნივთები აღმოჩენილია ძვ.წ. VII-V საუკუნეების კოლხური პერიოდის კრემაციულ მოედანზე, ბრინჯაოს ჭურჭლის სხვადასხვა ფრაგმენტებთან და სხვა თანმხლებ ინვენტართან ერთად.

ოთხივე ყურის ნიმუშს აქვს ოთხკუთხაზგანივკვეთიანი ღერო. ყური ჭურჭელზე მიმაგრებული ყოფილა მხარისა და ყელის ნაწილზე. ყურმილიან ხელადაებზე ყურის ღერო და მილი წნული ორნამენტითაა შემკული. ზომებია: 1) მილის სიგრძე - 6.5 სმ, დმ - 2.25 სმ; ღეროს სიგრძე - 1.1 სმ, დმ - 0.6 სმ; 2) მილის სიგრძე - 6.9 სმ; დმ - 0.85 სმ; 3) ღეროს სიგრძე - 5.85 სმ, დმ - 0.6 სმ; 4) მილის სიგრძე - 4.5 სმ, დმ - 0.85 სმ.

მთის რაჭაში თიხის ყურმილიანი ხელადის ერთი ნიმუში ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოისუბანში, ადგილ გორიმოზეა აღმოჩენილი (სურ. 3). აქ, 2015 წელს შესწავლილ №1 სამარხში სამი მიცვალებული იყო ჩასვენებული. სამარხში ყურმილიანი ხელადა ერთ-ერთი მიცვალებულის თავის ქალასთან იყო მოთავსებული. ხელადას დამზადებულია რუხი ქარსნარევი თიხისგან. აქვს სწორი პირი და მაღალი, კონუსურად გაშლილი ყელი. ყური მიმაგრებულია ჭურჭლის ყელსა და მუცლის ზედა ნაწილში, ისე, რომ ჭურჭლის მილი გარეთა მიმართულებით ოდნავაა გადახრილი. ჭურჭელი ყელის ძირსა და მუცლის ზედა ნაწილში ორნამენტირებულია - ორი, ერთმანეთის პარალელურად განთავსებული ტალღისებური ორნამენტი. ზომებია: სიმაღლე - 13 სმ., პირის დმ. - 8.1 სმ., მუცლის დმ. - 11.5 სმ., ძირის დმ. - 6.1 სმ.

ამავე სამარხში ასევე აღმოჩენილია თიხის ტოლჩაც, მხოლოდ ძლიერ ფრაგმენტირებულ მდგომარეობაში (ლოდებისგან იყო ჩალენილი ადამიანის თავის ქალასთან ერთად). მიცვალებულის ყელის არეში, სადაც ყურმილიანი ხელადა იდო, აღმოჩნდა კოპებიანი ყვითელი პასტის მძივები (27ც). მესამე თავის ქალასთან ვერცხლის დეფორმირებული სხივანა საყურე იდო. წელისა და კიდურების ძვლებთან აღმოჩნდა ვერცხლის დანა ზედ შემორჩენილი ხის ტარით. იქვე დაფიქსირდა რკინის სადა სამაჯურის ფრაგმენტებიც.

სოფ. ჯოისუბანსა და მის შემოგარენში არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ 1950-1960-იან წლებში დაიწყო არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა. მკვლევარმა გორიმოს გორის სამხრეთ ფერდობზე შეისწავლა ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ოქროსა და სხვა სახის მდიდრული ინვენტარით (დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). 1989 წელს აღნიშნული ადგილი დაზვერეს რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტებმა, რომლის დროსაც მათ ზედაპირულად აკრიფეს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და რკინის დანა.

1990 წელს აქ გელა გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით გაივლო საცდელი თხრილები, რომლის დროსაც აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (მათ შორის ფეხსაცმლის მოდელი), ძვლისგან დამზადებული ქარქაშის დაბოლოება, ტყვიის რგოლის ფრაგმენტი და ე.წ. პეპლისებური აბზინდა.

1995 წელს ონის მუზეუმის დირექტორის გ. ბერიშვილის ორგანიზებით აქ, ე.წ. შავი არქეოლოგების მიერ ნაჩიქნ მინაში, აღმოჩნდა ბრინჯაოს ე.წ. პეპლისებური აბზინდები (2ც.), სათვალისებური დუგმა ჯაჭვის ფრაგმენტებით, თავხვია საკინძი ჯაჭვით, პინცეტი,

ბოლოებჩახვეული სამაჯური, მილაკი, ბიკონუსირი ხეიები, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტი და ორი ცალი კოპებიანი მძივი. 2009 წელს აქ კვლავ აღმოჩნდა სარდონის მძივი და ბოლოებჩახვეული სამაჯური. გორიმოს შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი აშკარად მიუთითებს, რომ აღნიშნული ადგილი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ინტენსიურად იყო ათვისებული.

ყურმილიანი ხელალების გავრცელება მთის რაჭაში კოლხეთის მთიანი რეგიონის დაბლობთან ინტენსიური ურთიერთობის ერთ-ერთი მონაშობაა. ძვ.წ. VII-III საუკუნეების კოლხური კულტურის გავრცელების არეალში ძნელად თუ მოიძებნება ძეგლი, სადაც ამ ტიპის თიხის ჭურჭელი არ ფიქსირდება. მოკლედ მოვიყვანოთ მათ ჩამონათვალს: ქობულეთის ფიჭვნარი, ბათუმის ციხე, სიმაგრე, რიონისპირა დასახლებები, ერგეტას სამაროვნები, ოჩამჩირე, მოდინახე, საირხე, ითხვისი, დაბლაგომი, მერხეული, მუხურჩა, კვაშტა, კოლოტაური, გონიო-აფსაროსი, შუამთა, მახვილაური, ბათუმის ციხე, ციხისძირი, მთისძირი, ვანის ნაქალაქარი (ძვ.წ. VI-IV სს-ები), პალურისა და ნიგვზიანის სამაროვნები და ა.შ. [მიქელაძე 1978: 57; მიქელაძე 1985: 23,75, ტაბ. IV; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 35; კახიძე 2007: 130; კახიძე 2016: 67; ფირცხალავა, გამყრელიძე 2021: 288]. თიხის ჭურჭლის აღნიშნული ტიპის ფრაგმენტები განსაკუთრებით მრავლად არის დადასტურებული ცაიშის, ერგეტის და საერთოდ კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე [პაპუაშვილი და სხვ. 2022: 14-15, 20, 23, 29, 37, 43, 77, 81, სურ. 13-2, 3, სურ. 56-2-4].

თიხის ყურმილიანი ხელალებისგან განსხვავებით, ბრინჯაოს ხელალები შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. ბრინჯაოს ყურმილიანი ხელადა, ძლიერ დაზიანებული სახით, ყურზე მიმაგრებული ძეწკვით, ცნობილია საირხის მოდინახეს სამაროვნის ადრეანტიკური ხანის სარკოფაგიდან [მახარაძე, წერეთელი 2007: 103]. ამ ძეგლზე აღმოჩენილი ხელადის ფორმა, მანჭვლებით გადაბმული, ბრინჯაოს ფირფიტებით არის შეკრული. ტანი გაფორმებული აქვს ფანტასტიკური ცხოველების რიგით, ხოლო ყურის ღერო და ყურმილი რელიეფური წნულით [მახარაძე, წერეთელი 2007: 103, 106, ფოტო. 182].

აღსანიშნავია, რომ ყურმილიანი დოქების თუ ხელალების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს. ამ მხრივ საინტერესოა ფიჭვნარის დიუნური ნამოსახლარი, რომლის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნად ძვ.წ. VIII საუკუნეა მიჩნეული [Рапишвили 1975: 130; ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 35]. ზოგ შემთხვევაში, აღ. რამიშვილს ამგვარ თარიღად ძვ.წ. VII საუკუნე აქვს დასახელებული. ამ თარიღს მხარს უჭერს ამ. კახიძეც [ბარამიძე 1977: 30].

თ. მიქელაძე ადრე აღნიშნავდა, რომ კოლხეთში ყურმილიანი დოქები ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყებს გამოჩენას [მიქელაძე 1974: 63]. თუმცა არც იმას გამორიცხავდა, რომ ისინი რამდენადმე ადრე (ძვ.წ. VII დასასრულიდან) ჩნდებიან [მიქელაძე 1985: 23]. ტ. ჩუბინიშვილი ყურმილიანი დოქების გავრცელების ზედა თარიღად ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს მიიჩნევს.

მ. ბარამიძეს ყველაზე მისაღებ თარიღად თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი (ძვ.წ. VI ს) მიაჩნია. რ. პაპუაშვილი, კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების კომპლექსურ მასალებზე დაყრდნობით გამოყოფილი ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფიდან, ყურმილიანი დოქების პირველ გამოჩენას მესამე ჯგუფში (ძვ.წ. VIII ს მეორე ნახევარი, ძვ.წ. VII პირველი ნახევარი) ათავსებს [პაპუაშვილი და სხვ. 2022: 113].

ვფიქრობთ, მკვლევარის მიერ შემოთავაზებული ეს თარიღი (განსაკუთრებით ძვ.წ. VII პირველი ნახევარი) გამოყოფილ კომპლექსურ მასალაზე დაყრდნობით, სხვებთან

შედარებით, უფრო სანდოა და, აქედან გამომდინარე, მეტნაკლებად მისაღებად მიგვაჩნია.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც ყურმილიანი დოქები თუ ხელადები ორ ტიპად არის წარმოდგენილი: 1) ე.წ. ჩაიდნები და ყურმილიანი დოქები. პირველი ვარიანტის ჭურჭელი, რომელთა ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით, საქართველოში ვრცელდება ძვ.წ. V-IV სს-ებში [ნარიმანაშვილი 2021: 304] და სხვადასხვა ვარიაციებით არსებობას განაგრძობენ ელინისტური ხანის ბოლომდე [დავლიანიძე 1983: 7]. ამ ტიპის ჭურჭელი წარმოდგენილია კიკეთის, ბემთაშენის, კუმისის სამაროვნებზე, ასურეთის №25 ქვაყუთში [დავლიანიძე 1983: 17].

ასევე ისინი ცნობილია შემდეგ პუნქტებში: გოსტიბე, ოჟორა, უფლისციხე, ციხიაგორა, სამთავრო და ა.შ. [კახიძე 2016: 67]. მილიანი დოქები (ხელადები) აღმოჩენილია ხოვლეს მრავალფენიან ნამოსახლარზე (ხოვლეს II პერიოდი, ძვ.წ. V ს.) [მუსხელიშვილი 1978: 94]. აღსანიშნავია, რომ მილიანი დოქები გვხვდება სომხეთშიც, არმავირში; აზერბაიჯანში გრაკობარზე და მინგეჩაურში (ძვ.წ. VI-III საუკუნეები) [დავლიანიძე 1983: 18].

საერთოდ ყურმილიანი დოქებს ყველაზე ადრეული პარალელები ამიერკავკასიაში ადრებრინჯაო-შუაბრინჯაოს ხანის ბედენისა და გრაკალის გორასამარხებში ეძებნებათ, მაგრამ მათ შორის არსებული დიდი ქრონოლოგიური წყვეტილის გამო კოლხეთის ადრეანტიკური ხანის დოქების მათთან კავშირს გამორიცხავენ [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 35; ბარამიძე 1977: 31].

ყურმილიანი დოქების გავრცელებას კავკასიის ტერიტორიაზე უკავშირებენ აქამენიდურ ირანთან გაცხოველებულ სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებს, სადაც ამ ტიპის ჭურჭელი უძველესი პერიოდიდან ფიქსირდება [Гагошидзе 1979: 77-79; მუსხელიშვილი 1978: 93-96; დავლიანიძე 1983: 17-19; ნარიმანაშვილი 2021: 304]. სხვა ვერსიით, ახალი კერამიკული ფორმების გავრცელებას ზოგი მკვლევარი (იულ. გაგოშიძე) მიდიური და სპარსული ექსპანსიით გამოწვეულ ხალხთა მასების მოძრაობებს უკავშირებს [დავლიანიძე 1983: 20].

გამოქმულია მოსაზრებაც, რომ ყურმილიანი დოქების ფორმა შესაძლოა ირანული კულტურის წრიდან მომდინარეობდეს, სადაც ამ ტიპის ჭურჭელი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყებს გამოჩენას [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 35; ვანი 1972: 21; Ghirschman 1964: 128, სურ.170]. მსგავსი ჭურჭელი თავს იჩენს სიალკის ნეკროპოლზე, რომელსაც ახალი გადათარილების შედეგად ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისს აკუთვნებენ [მიქელაძე 1985: 24; Boehmer 1965: ტაბ. XXIX-997].

ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ჩაიდნისებური მილიანი დოქები ირანში გვხვდება სუზას ნასოფლარის I, III ჰორიზონტზე (ძვ.წ. VII-III სს-ები) [Ghirschman 1954: ტაბ. XXXI]. საინტერესოა, რომ შუა იტალიის რკინის ხანის პირველი პერიოდის მასალებში ჩნდება ყურმილიანი დოქის ნიმუშები, მაგრამ ამგვარი შორეული პარალელები გადაჭრით რაიმეს თქმის უფლებას არ გვაძლევს [ბარამიძე 1977: 31; Montelius 1912: ტაბ. XXVIII-3].

თუ გავითვალისწინებთ ამ რეგიონთან სხვა მასალის მიხედვით კავშირს (მინის ამულეტები და მძივები კოლხეთის ადრერკინის ხანის კონპლექსებიდან, ასევე ოქრომჭედლობის ნიმუშებისა და ზოგიერთი ბრინჯაოს იკონოგრაფიული დეკორის სტილისტური მსგავსებები) [ქობალია 2023], არ იქნება გადამეტებული, თუ აღნიშნული ჯგუფის ნივთებს ამ რეგიონთა შორის არსებული ინტერკულტურული კავშირების კიდევ ერთ არგუმენტად მივიჩნევთ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს გარკვეულ საფუძველს, რომ კოლხეთში ყურმილიანი დოქების წარმოშობა წინაანტიკური ხანიდან ვივარაუდოთ [ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: 35].



## ბიბლიოგრაფია:

- ბარამიძე 1977:** ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი, თბ.
- დავლიანიძე 1983:** დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ.
- კახიძე 2007:** კახიძე ამ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი, - კრებ. *ფიჭვნარი II*, ბათუმი, ოქსფორდი.
- კახიძე 2016:** კახიძე ამ. ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვანი, ნაწილი I, - კრებ. *ფიჭვნარი VII*, ბათუმი.
- ლორთქიფანიძე და სხვ. 1981:** ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან. ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი) კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), V, თბ.
- მახარაძე, წერეთელი 2007:** მახარაძე გ., წერეთელი მ. საირხე, თბ.
- მიქელაძე 1974:** მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან, თბ.
- მიქელაძე 1978:** მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ.
- მიქელაძე 1985:** მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ.
- მუსხელიშვილი 1978:** მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.
- ნარიმანაშვილი 2021:** ნარიმანაშვილი გ. იბერიის კერამიკული ჭურჭელი. - *საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები* (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 297-309.
- პაპუაშვილი, ჯიქია, ქობალია, პაპუაშვილი 2022:** პაპუაშვილი რ., ჯიქია ლ., ქობალია ნ., პაპუაშვილი ი. ერგეტა (სამაროვნები), თბილისი-ზუგდიდი.
- ფირცხალავა, გამყრელიძე 2021:** ფირცხალავა მ., გამყრელიძე გ., კოლხეთის კერამიკული ჭურჭელი და სავაჭრო ტარა, *საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები* (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 283-297.
- Ghirschman 1954:** Ghirschman R. Village perse-achemenide, Paris.
- Girschman 1964:** Ghirschman R. Iran, Protoiraniez, Medez, Achameniden, Munchen.
- Boehmer 1965:** Boehmer R.M. Zur Datierung der Nekropole B von Tepe Sialk Archaeologischer Anzeiger 4.
- Montelius 1912:** Montelius O. Die Chronologie Italiens (tufeln). Stockholm.
- Kakhidze 2004:** Kakhidze A. "Silver phiala from the 5<sup>th</sup> century BC Greek cemetery, p. 85-119.
- Karamanole-Siganidou 1965:** Karamanole-Siganidou M. "Thessalonike," ADelt, 20, 2
- Гагошидзе 1979:** Гагошидзе Ю. Самадло (Археологическиераскопки), Тб.



ყურმილიანი ხელაღები (ფრაგმენტები)

ბრილი



1

ბრილი



2

ჯოისუბანი



3

**ბერძნულ-რომაული წარმოშობის ჭრილა ქვები  
ქართლის სამეფოს გვიანრომაული სამაროვნებიდან  
(ტიქე-ფორტუნა)**

თემურ ბიბილური

მფარველი ღვთაების ამორჩევა – გარკვეულწილად  
ბეჭდის მფლობელსაც ახასიათებს. *მარიამ მაქსიმოვა.*

ქართლის სამეფოს გვიანრომაული დროის სამაროვნებზე დაფიქსირებულია რამდენიმე ასეული აღმოსავლური (აქემენიდური, პართული, სასანური) და დასავლური (ბერძნულ-რომაული) სამყაროსათვის დამახასიათებელი და ამ სამყაროში შექმნილი ჭრილა ქვა. ამ, მეტად საინტერესო და, არ შევცდები თუ ვიტყვი, ქვის მცირე პლასტიკის ერთ-ერთ უმდიდრეს კოლექციას, არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა. ეს ინტერესი დღემდე არ განელებულა სხვადასხვა დარგის მკვლევართა მხრიდან.

წინამდებარე მცირედი ნაკვლევიტ, მინდა სპეციალისტების ყურადღება გავამახვილო ბერძნულ-რომაულ სამყაროში შექმნილ, ან მათი გავლენით შექმნილ ჭრილა ქვების ერთ ჯგუფზე, სახელდებით კი, გემებზე ბერძნულ-რომაული ღვთაებების გამოსახულებებით; მათი გავრცელების ტოპოგრაფიაზე (რეგიონი, პუნქტი, სამაროვანი, სამარხი), ამა თუ იმ ღვთაებისადმი სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და ა.შ. ჯგუფების დამოკიდებულებაზე.

ჩემთვის ძნელია ვიმსჯელო საკუთარ ლოგიკურ ვარჯიშობათა მართებულობაზე. ეს სხვათა შესაფასებელია. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წინამდებარე ნაკვლევს ერთი მიზანი აქვს – დაინტერესებულ მკითხველს განსხვავებული კუთხით დაანახოს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უმდიდრესი და მრავალმხრივ საინტერესო გლიპტიკური მასალა.

ნარკვევი რამდენიმე დამოუკიდებელი ნაკვეთისაგან შედგება, რომელთაგან პირველი ეძღვნება ტიქე-ფორტუნას; ესაა იმის გარკვევის ცდა, საიდან, რატომ და როდის მოხდა ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაების კულტის შემოსვლა-დამკვიდრება ქართლის სამეფოში. ღვთაებისა, რომლის შესახებაც ასე წერდა პლინიუს უფროსი: "მთელ სამყაროში, ყველგან მთელი დღის მანძილზე ყველას ხმა მოუწოდებს და ასახელებს მხოლოდ ფორტუნას, მას ერთს ადანაშაულებენ და აკისრებენ პასუხილმგებლობას, მასზე ფიქრობენ, მას ერთს აქებენ, მას ერთს ამხელენ. ლანძღვით პატივს მიაგებენ მას ცვალებადს; ბევრი მას მიიჩნევს ბრმად, მოხეტიალედ, მერყევად, ორგულად".

**ტიქე-ფორტუნა.** ანტიკური დროის გლიპტიკის ერთ ერთ ყველაზე გავრცელებულ თემას წარმოადგენს ქალღმერთ ტიქე-ფორტუნას გამოსახულება, არც თუ იშვიათად, სხვა ღვთაებებთან ერთად (ტიქე-ფორტუნა + ნიკე, + ნემეზიდა, + ჰერმესი და ა.შ.). მსგავს სიუჟეტებიანი გემები აღმოჩენილია რომის იმპერიის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ პროვინციებში; იმპერიის საზღვრებს მიღმა ტერიტორიებზეც.

გარკვეული პოპულარობით სარგებლობს ჭრილა ქვები ტიქე-ფორტუნას იკონოგრაფიით ქართლის სამეფოში; მომეტებულად, დედაქალაქ დიდ მცხეთასა და ქვეყნის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ურბანულ ცენტრ ურბნისში.

საქართველოს ტერიტორიაზე, ჭრილა ქვების გარდა, ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი სხვა ნაკეთობებიც გვხვდება. კერძოდ, ვერცხლის ფიალები ციხისძირის განძიდან [ფარმაკოვსკი 1910: 117, 118; ხომტარია 1962: 28; ინაიშვილი 1993: 18] და ქართლის პიტიახშების არმაზისხევის სამაროვნის დიდგვაროვანი ქალის

საკრძალავიდან [აფაქიძე და სხვ. 1958: 74-76; მაჩაბელი 1970: 28-39; მაჩაბელი 1983: 16,17; ჩუბინაშვილი 2007: 63]; ბიჭვინთაში, რომელი ლეგიონერის სამარხში დაფიქსირებული ვერცხლის სამკლაური აღნიშნული ღვთაების გამოსახულებით [კილურაძე 2003: 63; ჩარკვიანი, ამირხანაშვილი 2010: 180]

მარია მაქსიმოვა, სამთავროს სამაროვანზე 1938/39 წწ. მიკვეული ჭრილა ქვებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ მცხეთურ გემებს შორის სიმრავლით პირველ ადგილზე დგას ტიქე-ფორტუნას გამოსახულება მისი სიმბოლური ატრიბუტებით – სიუხვის ყანნითა და თავთავებით [მაქსიმოვა 1950: 229]; მცხეთის ტერიტორიაზე 1940 – 1942 წლებში აღმოჩენილ გლიბტიკურ მასალაში “რიცხობრივად ყველას აღემატება სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთის ტიქე-ფორტუნას გამოსახულება” [ლორთქიფანიძე 1954: 5].

მომდევნო წლებში ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიან გემებს რამდენიმე ექზემპლარი კიდევ შეემატა და მათი რიცხვი მხოლოდ დიდი მცხეთიდან ორ ათეულს აღწევს [ბიბილური 1983ა: 90-94; აფაქიძე და სხვ. 1995: 14,15].

ურბნისში აღმოჩენილ გემებზეც, “ღვთაებებს შორის ყველაზე ხშირად არის გამოსახული ტიქე-ფორტუნა და ათენა” [ჯავახიშვილი 1972: 7]. გემები ნახსენები სიუჟეტით აღმოჩენილია სამეფოს სხვა პუნქტებშიც. მათ ოდნავ ქვემოთ შევხვები.

საერთოდ კი, ჭრილა ქვების რიცხვმა ტიქე-ფორტუნას გამოსახულებით გვიანრომაული დროის ქართლის სამეფოს ტერიტორიიდან, სამ ათეულს გადააჭარბა.

განსახილველი ინტალიოების უმრავლესობა, როგორც უკვე ვიცით, აღმოჩენილია დიდ მცხეთასა და ურბნისში; ამასთან ურბნისში ერთ სამაროვანზე [ქორიძე 1958; ჯავახიშვილი 1972; სახვაძე 2023].

ფაქტი ერთია, გვიანრომაული დროის ქართლის სამეფოში გარკვეული პოპულარობით სარგებლობენ ბერძნულ-რომაული ღვთაებების გამოსახულებიანი გემები; გამორჩეულად კი, ნივთები ბედისწერის, სიუხვისა და ნაყოფიერების ბერძნულ-რომაული ღვთაების ტიქე-ფორტუნის იკონოგრაფიით.

**შემთხვევითობა თუ კანონზომიერება.** რით იყო განპირობებული ბერძნულ-რომაული ღვთაებების, მომეტებულად კი ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვების ასეთი პოპულარობა ქართლის სამეფოს საზოგადოებაში, შემთხვევითობით თუ კანონზომიერებით? როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი – სამეფოს მოქალაქეების უბრალო კაპრიზით, ჩვენში შემოტანილი სამკაულის ამ სახეობის ერთფეროვნებითა თუ სხვა რამ მიზეზით? ან იქნებ, სულაც, რელიგიური მომენტი; ვფიქრობ, ურბნისის სამაროვნისა და დიდი მცხეთის საერთო საქალაქო სამაროვნის (სამთავროს ველი) შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელ მოსაზრებას – ტიქე-ფორტუნა ქართლის სამეფოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის წარმოადგენდა მფარველი ღვთაებას.

განსხვავებით კამეასაგან, რომელსაც უმთავრესად სამკაულად იყენებდნენ, გემ-ინტალიოებს ჰქონდათ სამკაულის, ავგაროზისა და საბეჭდავის დანიშნულება [ლორთქიფანიძე 1958: 2]. კიდევ ერთხელ დავიმონებ სტატიის ეპიგრაფად გატანილ მ. მაქსიმოვას თეზას იმის შესახებ, რომ “მფარველი ღვთაების ამორჩევა, გარკვეულწილად ბეჭდის მფლობელსაც ახასიათებს” [მაქსიმოვა 1950: 229]. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ჩანს საკვლევე გემების განაწილება გვიანრომაული ხანის სამაროვნებსა თუ ცალკეულ სამარხულ კომპლექსებში.

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჭიროდ მივიჩნიე საკვლევე გემების გარკვეული სახით სისტემატიზირება და სხვადასხვა სახის წყაროების მოშველიება. აღმოჩენის ადგილი. შეიძლებოდა დამენერა გავრცელების არეალი, მაგრამ დარწმუნებული ვარ – ჭრილა ქვები ტიქე-ფორტუნას იკონოგრაფიით ქართლის სამეფოს

სხვა პუნქტებში აღმოჩნდება და შესაბამისად, მათი გავრცელების გეოგრაფია არაერთგზის შეიცვლება.

**დიდი მცხეთა.** სამეფოს დედაქალაქის ტერიტორიაზე ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი გემების საერთო რაოდენობიდან 16 აღმოჩნდა საკრძალავში; მათგან 9 სამთავროს ველზე არსებულ საერთო საქალაქო სამაროვანზე [ივაშჩენკო 1980: 40, 101, 126, 224; აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი. 1978: 43, 50, 72, 133; ბიბილური 1983: 39,41; ბიბილური 1983ა: 56-58; მანჯგალაძე 1985: 49]; სამი დავით აღმაშენებლის (ყოფილი სტალინის) ქუჩის სხვადასხვა მონაკვეთში შესწავლილ სამარხებში, ორი – სვეტიცხოვლის კათედრალის მიმდებარე ტერიტორიაზე [კალანდაძე 1949: 269; აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი 1978]; ორი, მათ შორის ერთი სინკრეტული (ათენა+ ნიკე+ ტიქე), კარსნისხევის ხელოსანთა დასახლების სამაროვანზე [აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი 1978: 42, 49, 50; ნიკოლაიშვილი 1993: 64]; თითო “მოგვთაკარისა” [სიხარულიძე, აბუთიძე 1985: 126] და კოდმანის სამაროვნებზე. ერთი გემა, მხოლოდ არა ბეჭდის, არამედ ქამრის ბალთის შესამკობად, დაფიქსირდა არმაზისხევეში, ასპარუგ პიტიახშის საკრძალავში [აფაქიძე და სხვ. 1958: 27].

**ურბნისი.** სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის გვიანელინისტურ-გვიანანტიკური დროის სამაროვანზე, ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვა აღმოჩნდა 6 სამარხში [ქორიძე 1958; ჯავახიშვილი 1972; სახვაძე 2023].

**ჟინვალი.** ჟინვალის საქალაქო სამაროვანზე სამ სამარხში აღმოჩნდა გემები ნახსენები ღვთაების იკონოგრაფიით [ჩიხლაძე 2015: 30, 62, 85, 86].

განსახილველ სიუჟეტური თითო ბეჭედი აღმოჩენილია კლდეეთის [ლომთათიძე 1957: 113, სურ. ტექსტ. 20; ლორთქიფანიძე 1961: 20, 21, ტაბ. II-13; ჩარკვიანი, ამირხანაშვილი 2010: 180], ბორისა [პრიდიკი 1914; ლორთქიფანიძე 1961: 37, ტაბ. IV,31; ჩარკვიანი, ამირხანაშვილი 2010: 180] და ურეკის [აფაქიძე 1947: 92, 93; ჩარკვიანი, ამირხანაშვილი 2010: 180]; სამაროვნებზე. ერთი ეგზემპლარი ცნობილია სოფ. საძეგურის განძიდან. თუმცა, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს არა განძთან არამედ, ახ.წ. III ს. სამარხულ კომპლექსთან [სმირნოვი 1934; ლორთქიფანიძე 1961:31, სურ. 14, ტაბ. IV, 22].

გემა განსახილველი სიუჟეტით დაფიქსირებულია გონიო-აფსაროსის ციხის გათხრებისას [მშვილდაძე 2010: 66, სურ. 1; ჩარკვიანი, ამირხანაშვილი 2010: 181]; ერთი შემთხვევით მონაპოვარი ჭრილა ქვა ლილოდანაა [ლორთქიფანიძე 1961:11, 12, ტაბ. I, 2].

სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცულია კერძო კოლექციებიდან შემოსული და შემთხვევით მონაპოვარი სამი გემა [ლორთქიფანიძე 1967: 24, 28, 51].

**სამარხის სახეობა.** ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვები დაფიქსირებულია ქართლის სამეფოსა ტერიტორიაზე ახ. წ. II-IV სს. ცნობილ თითქმის ყველა სახის საკრძალავში: ორმოსამარხში (კლდეეთი, ბორი, ჟინვალი, შესაძლოა ურეკი და საძეგურიც), ქვასამარხი (დიდი მცხეთა), კრამიტ და თიხის ფილასამარხები - დიდი მცხეთა), ხით ნაგები სამარხები (ურბნისი).

**დაკრძალვის წესი.** გვიანრომაული დროის ქართლის სამეფოში ფიქსირდება რამდენიმე, ერთმანეთისაგან ბევრი ნიშნით მკვეთრად განსხვავებული სამკვედრო წესი, რომელთაგან პროცენტულად უდავოდ ჭარბობს ორი: ა) სამარხში მიცვალებულის ჩასვენება ემბრიონის პოზაში, თავით დასავლეთით; ბ) გულაღმა გამოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ.

ა) სამარხში მიცვალებულის ჩასვენება ემბრიონის პოზაში, თავით დასავლეთით. სამეფოს მთელ ტერიტორიაზე, დიდი მცხეთისა და ურბნისის გარდა, გაბატონებულია წინარექრისტიანული ეროვნული კოდექსით განსაზღვრული სამკვედრო წესით

დაკრძალვა- ემბრიონის მდგომარეობაში ერთერთ გვერდზე და რაც უმნიშვნელოვანესია, თავით დასავლეთისაკენ.

სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის ამდაგვარი წესი, ანუ, ვიმეორებ, სამარხში მიცვალებულის ჩასვენება მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, არის ქართლის სამეფოს ძირძველი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე დაფუძნებული და ერთიანი, მწყობრი რელიგიური კოდექსით განსაზღვრული სამკვდრო წესი; წესი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ფიქსირდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის დროიდან [კალანდაძე 1980: 23; ფიცხელაური 1973: 81] და რომელსაც მკვიდრი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ვერ ელევა ჩვეულებრივ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ კიდევ რამდენიმე საუკუნის მანძილზე [ბიბილური 1987: 20-39; ბიბილური 1996: 36; ბიბილური, ლლონტი 2004: 13].

ბ) მიცვალებულის გულაღმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ დაკრძალვა. მეორე, ყველაზე ხშირად დაფიქსირებული დაკრძალვის წესია, სამარხში მიცვალებულის გულაღმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ ჩასვენება, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული წინარექრისტიანული რელიგიის წიაღში შექმნილ-ჩამოყალიბებული სამკვდრო წესისათვის [ბიბილური 1987: 42-45; ბიბილური 1996: 36, 37; ბიბილური და სხვ. 2021: 174].

აღნიშნული წესით მიცვალებულის გაპატიოსნება დამახასიათებელი იყო რამდენიმე ეთნოსისათვის. კერძოდ, სარმატთა ერთი ნაწილისათვის, ებრაელებისათვის, მეგარელი და იონიელი ბერძნებისათვის. სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით, დედაქალაქის საერთო საქალაქო სამაროვანზე გამოვლენილ-შესწავლილი სამარხები დაკრძალვის ნახსენები წესით, ეკუთვნოდათ ბერძნებს და ებრაელებს. მიხეილ ივაშჩენკოს მოსაზრებით, ამ წესით შესაძლოა გაეპატიოსნებიათ ავთობთონი, ან რომელიმე სხვა ეთნოსის ელინიზირებული წარმომადგენლებიც [ივაშჩენკო 1980: 207].

ქართლის სამეფოს სინამდვილეში აღნიშნული წესით მიცვალებულის ჩასვენება საკმაოდ გვიან, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ჩნდება, ისიც მხოლოდ დედაქალაქ დიდ მცხეთასა და სამეფოს მსხვილ სავაჭრო ცენტრ ურბნისში. აღნიშნული მოვლენა, უდავოდ დაკავშირებულია ჩვენში უცხო ეთნიკური ჯგუფების, კერძოდ, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მრწამსის მქონე ეთნოსების დამკვიდრებასთან აქვე დაზუსტების სახით მინდა ვთქვა, რომ დროის საკვლევი პერიოდისათვის ზემოთ ნათქვამი მეტად ბერძნებს ეხებათ, ვიდრე ებრაელებს, რადგან ამ უკანასკნელთა ქართლის სამეფოში გამოჩენა-დამკვიდრებას, ჩვენი ნარატიული წყაროები გაცილებით ადრეულ პერიოდებს უკავშირებენ [ლეონტი მროველი 1955; მოქცევაი ქართლისაი 1976; მელიქიშვილი 1959: 448, 449].

ქვეყნის დედაქალაქისა და სამეფოს სხვა პუნქტების სამაროვნებზე დაფიქსირებულია სხვაგვარი სამკვდრო წესებიც; თუმცა, მათზე მსჯელობა სცილდება წინამდებარე სტატიის მიზნებს, თვალშისაცემია, რომ გემები ტიქე-ფორტუნას გამოსახულებით, უპირატესად გვხვდება სამარხებში, რომლებშიც მიცვალებულები ჩაუსვენებიათ გულაღმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. სახელდობრ, ურბნისის სამაროვანზე დაკრძალვის მსგავსი წესი დამონმებულია საკვლევი გემების შემცველ ექვსივე სამარხში; მეტიც, ურბნისის ნაქალაქარის აღნიშნულ სამაროვანზე, უკლებლივ ყველა სამარხში მიცვალებული ჩასვენებული გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ [ქორიძე 1958; სახვაძე 2007].

დიდ მცხეთაში, მიცვალებულები მსგავსი წესით გაუპატიოსნებიათ მხოლოდ სამთავროს ველზე მოქმედ საერთო საქალაქო სამაროვანზე, სადაც ნახსენები ღვთაებების გამოსახულებიანი გემების შემცველი 9 სამარხიდან, რვაში მიცვალებული

გაუპატიოსნებით აღნიშნული სამკვდრო წესით [ივაშჩენკო 1980: 10; ბიბილური 1983: 39, 41; ბიბილური 1983ა: 56-58; მანჯგალაძე 1985: 49; ბიბილური, ლლონტი 2004: 17].

დიდი მცხეთის სხვა უბნებზე შესწავლილ სამაროვნებზე, სამთავროს ველისაგან განსხვავებული სურათია. მოგვთაკარის სამაროვანზე ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი გემა დაფიქსირდა სამარხში, რომელშიც მიცვალებული გვერდზე კიდურებმოხრილ მდგომარეობაში ესვენა, თავით ჩრდილოეთისკენ [სიხარულიძე, აბუთიძე 1985: 126]; სვეტიცხოვლის უბანზე გათხრილი სამარხებიდან ორში (კრამოტსამარხები №6, №46), ასევე გვერდზე, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ [აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი 1978: 70,133]; ერთში (აგურკრამიტსამარხი №1) — გულაღმა, ოდნავ მოხრილი ფეხებით, თავით დასავლეთისაკენ [კალანდაძე 1949: 262, 267]. იქვე გათხრილ ქვასამარხში დაკრძალვის წესი ვერ დაფიქსირდა [კალანდაძე 1949: 267]; დავით აღმაშენებლის ქუჩის №136-ში გათხრილ ინდივიდუალურ კრამიტსამარხში “...მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ” [იხ. აფაქიძე, ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი, მანჯგალაძე, ძნელაძე, სადრაძე, დავლიანიძე 1995: 13]. ნიშანდობლივია, რომ საქალაქო სამაროვნის უშუალო სიახლოვეს შესწავლილი ბაიათხევის სამაროვანზე არცერთი გემა არ აღმოჩენილა ტიქე-ფორტუნას იკონოგრაფიით [ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995: 97-135]. თუმცა, გვხვდება სხვა ღვთაებების გამოსახულებებიანი ჭრილა ქვები: ზევსი, ათენა, ნემეზიდა.

დედაქალაქის უბნებიდან მხოლოდ ერთ, კარსნისხევის მეთუნეთა დასახლებად ცნობილი უბნის სამაროვანზე გათხრილ კრამიტსამარხში ჩაუსვენებიათ მიცვალებული ემბრიონის პოზაში, თავით დასავლეთისაკენ [აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი 1978: 42, 43; ნიკოლაიშვილი 1993: 64].

დიდი მცხეთისა (კარსნისხევის გამოკლებით) და ურბნისის სამაროვნებიდან განსხვავებით, ქართლის სამეფოს სხვა პუნქტების სამაროვნებზე, განსახილველ სიუჟეტებიანი ჭრილა ქვები აღმოჩენილია სამარხებში, რომლებშიც დაკრძალვა ხდებოდა მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამკვდრო წესით (ჟინვალი, კლდეეთი; დიდი ალბათობით ბორშიც). სულ კი, დახურულ კომპლექსებში, რომლებშიც დადგენილია დაკრძალვის წესი, აღმოჩენილი ტიქეს გამოსახულებიანი 26 ჭრილა ქვიდან, თხუთმეტი დაფიქსირებულია იმ სამარხებში, სადაც დაფიქსირებულია მიცვალებულის დაკრძალვა გულაღმა გამოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ.

სქესის მიხედვით. განსახილველი გემების შემცველი, ჩემთვის ცნობილი 26 სამარხიდან, ოცდაორში ქალი იყო დაკრძალული, რიგ შემთხვევაში მეუღლესთან ერთად [ბიბილური 1983; ბიბილური 1983ა]; სამთავროს სამაროვანზე გათხრილ 110-ე ქვასამარხში, სამი მოზარდი იყო დაკრძალული [მანჯგალაძე 1985: 48]; იქვე გათხრილ №605-ე თიხის ფილასამარხში წყვილადი დაკრძალვით, ორივე მიცვალებულის ნივთები აღმოჩნდა საკრძალავის ჩრდ.-აღმ. კუთხეში. დიდი ალბათობით, ამ შემთხვევაშიც, ბეჭდები ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვით, სწორედაც, რომ ქალს ეკუთვნოდა [ბიბილური 1983: 43].

ქალი იყო დაკრძალული კლდეეთის სამაროვნის მე-2 სამარხშიც. განსხვავებული სურათია ჟინვალის სამაროვანზე. აქ აღმოჩენილი სამი გემიდან ორი მამაკაცს ეკუთვნოდა. ერთ შემთხვევაში (ჰერმესისა და ტიქე-ფორტუნას გამოსახულება), ყოველ შემთხვევაში პუბლიკაციის მიხედვით, სქესი გაურკვეველია [ჩიხლაძე 2015: 61,62].

განსახილველი გემების რაოდენობა სამარხებში. სამარხებში, განუსხვავებლად მიცვალებულთა რაოდენობისა, ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი თითო ბეჭედი დაფიქსირებული. თუმცა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ არც თუ იშვიათად, ინდივიდუალური დაკრძალვის შემთხვევაშიც კი, სამარხში ერთზე მეტი ჭრილა ქვაა

აღმოჩენილი ტიქე-ფორტუნასა და სხვა ღვთაების (+ ნიკე, + ჰერმესი, + ნემეზიდა) იკონოგრაფიით. სახელდობრ, N1 სამარხში მცხეთა-ქალაქიდან [კალანდაძე, 1949: 267], ურბნისის სამაროვნის 210-ე და 234-ე სამარხებში – ორ-ორი; ურბნისიდანვე, N 193 სამარხში სამი გემა [ჯავახიშვილი 1972: 41-44; 45, 49, 50; სახვაძე 2023]. რამდენიმე წყვილად და საოჯახო სამარხში, ყველა მიცვალებულს ეკეთა ბეჭედი ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვით [მაქსიმოვა 1950: 250-252; ივაშჩენკო 1980:126, 127; ჯავახიშვილი 1972: 41-44; 45, 49, 50; სახვაძე 2007].

დაფიქსირებულია სხვა შემთხვევაც. კერძოდ, როდესაც ინდივიდუალურ სამარხში დაკრძალულს ტიქე-ფორტუნასადმი მიძღვნილი ორი ბეჭედი ეკეთა (ურბნისი, სამარხი #218); ტიქე-ფორტუნასა და ჰერმესის, ტიქე-ფორტუნას, ათენასა და ნიკეს გამოსახულებით.

**ეთნიკური კუთვნილება.** ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი გემების ძირითადად აღმოჩენილია იმ პუნქტებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ მოსული ეთნოსები; პირველ რიგში, სამეფოს დედაქალაქ დიდ მცხეთასა და ქვეყნის ერთერთ უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრ ურბნისში. ელინისტურ-გვიანრომაულ ხანაში, როგორც ამას მოწმობენ საისტორიო ქრონიკები და არქეოლოგიური ძეგლები, ქართლისა და სომხეთის ქალაქები გამოირჩეოდნენ ეთნიკური მრავალფეროვნებით [ლეონტი მროველი, 1955; მოქცევაი ქართლისაი, 1976; ნინოს ცხოვრების სხვადასხვა რედაქციები; მელიქიშვილი 1959: 447-449; ერემიანი 1953:14-16; აფაქიძე 1963: 241-243.

დიდ მცხეთაში, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებში“ ნახსენები სხვადასხვა ეთნოსიდან, ჯერჯერობით მაინც, მხოლოდ ებრაელებისა და ბერძნების ცხოვრება დასტურდება მყარად, როგორც ნარატიული, ასევე ეპიგრაფიკული და სხვა სახის ძეგლებით; ორივე ეთნოსი გამოირჩეოდა შიდა სოციალური სტრატეფიცირებით და დედაქალაქის ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით. ჩვენთვის ცნობილია ებრაელები ელიოზი და მისი შთამომავლობა, ლონგინოზ კარსნელი, დედაქალაქის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ბერძენი აქოლისი, იქნებოდნენ სხვებიც. შესაბამისად, არცაა გასაკვირი დიდი მცხეთის საქალაქო სამაროვანზე (სამთავროს ველი) ამ ორი ეთნოსის წარმომადგენელთა საკრძალავებისა და რამდენიმე ეპიტაფიის აღმოჩენა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამეფოს დედაქალაქ დიდი მცხეთის საქალაქო სამაროვანზე შესწავლილი სამარხები და ნახსენები დაკრძალვის წესითა და შესაბამისი ინვენტარით, გაუმართავთ აქ მცხოვრები ბერძნებისათვის.

ურბნისში ებრაელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მძლავრი თემის შესახებ გვაუწყებენ ქართული მატრიანეები; ელინთა ცხოვრების თაობაზე საისტორიო ქრონიკები დუმან; თუმცა, აქ ბერძნების ცხოვრებაზე მოგვითხრობენ არქეოლოგიური, სახელდობრ, სამარხეული ძეგლები. ურბნისის ნაქალაქარის XXV უბანზე გათხრილ სამაროვანზე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა სამარხში მიცვალებული გაუპატიოსნებიათ ზემოთ ნახსენები ელინთათვის დამახასიათებელი წესით; და ეს ეხება არა მხოლოდ დაკრძალვის წესს (სამარხში გულაღმა, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ ჩასვენება), არამედ სამკვდრო წესის ისეთ მნიშვნელოვან მხარეს, როგორცაა საიმქვეყნიოდ შერჩეულ-ჩატანებული ნივთები (ქარონის მონეტა, სამგლოვიარო გვირგვინი, ბაგის საფარი...). ურბნისის ნაქალაქარის XXV უბანზე გათხრილი სამაროვანი, უდავოდ ეკუთვნოდა ბერძნულ თემს.

გემები ტიქე-ფორტუნას გამოსახულებით არ დაფიქსირებულა პიტიახშების, სოციალურად მათთან ახლოს მდგომ პირთა და მათი ოჯახის წევრების საკრძალავებში. ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს ზემოთ ნახსენები ასპარუგ პიტიახშის განსასვენებელში მიკვლეული გემა, გამოყენებული ქამრის ბალთის შესამკობად.

რაც შეეხება დედაქალაქის საქალაქო და ურბნისის სამაროვანებზე გათხრილ იმ სამარხებს, რომლებშიც ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი ჭრილა ქვები დადასტურდა,



დიდი ალბათობით, დაკრძალული იყვნენ ბერძენი მანდილოსნები. შესაძლოა, ქართლის სამეფოს ბერძნულ (და ელინიზირებულ) საზოგადოებაში ბრმა ბედისწერა – ტიქემ („ფორტუნა“) შეიძინა ისეთივე ყოვლისშემძლე ღვთაების ხასიათი, როგორც მას ჰქონდა სელევიდების ეპოქის ირანსა და დასავლეთში [იხ. ფრაი 1972: 212].

### ბიბლიოგრაფია:

- აფაქიძე 1947:** აფაქიძე ან. გვიანანტიკური ხანის ძეგლები ურეკიდან. სსმმ-XIV-B. თბ.
- აფაქიძე 1963:** აფაქიძე ან. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1955:** აფაქიძე ან. გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. - *მცხეთა*, I. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1978:** აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა. 1975. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. *მცხეთა*. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. II. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1978:** აფაქიძე ა., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., ჯღარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ. მცხეთა. 1975. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. *მცხეთა*. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. II. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1989:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ან., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., ჯღარკავა თ., ძნელაძე მ., მცხეთა. 1982. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1981 წლის მუშაობის ანგარიში. *მცხეთა*. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. II. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1995:** აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ან., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., ჯღარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., - *მცხეთა*. 1982 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, IX. თბ.
- აფაქიძე და სხვ. 1996:** აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. XI. თბ.
- ბიბილური 1983:** ბიბილური თ., საინტერესო სამარხი მცხეთიდან. *ჟურ. ძმ. 62*. თბ.
- ბიბილური 1983ა:** ბიბილური თ. თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბ.
- ბიბილური 1984:** ბიბილური თ., სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ქართლის სამეფოში (ძვ. VI – ახ.წ. IV სს.), თბ.
- ბიბილური 1998:** ბიბილური თ., ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის სამაროვანი (დაკრძალვის წესების ახლებური გააზრების ცდა). კის. V. თბ.
- ბიბილური 2021:** ბიბილური თ., რეცენზია შ. ირემაშვილის ნაშრომზე, ხეკორძულას არქეოლოგიური ძეგლები, - *ჟურ. რქეოლოგია*. 4. თბ.
- ბიბილური და სხვ. 2004:** ბიბილური თ., ღლონტი ნ. სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II-IV სს. ძეგლები. *სერია დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი*. I. თბ.
- ერემიანი 1953:** ერემიანი ს., ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება ძველ სომხეთში. CA. #4. (რუსულად).
- კალანდაძე 1949:** კალანდაძე ალ., სამაროვანი მცხეთაში. კრებ. *მიმომხილველი*. I. თბ.
- კალანდაძე 1958:** კალანდაძე ალ., მცხეთის არქეოლოგიური კვლევის დღიური. ხელნაწერი. ინახება სემ-ის არმაზისხევის ბაზაზე.
- ივაშჩენკო 1980:** ივაშჩენკო მ., სამთავროს სამარხები ახ.წ. I-III საუკუნეებისა. *მცხეთა*. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. III. თბ. (რუსულად).
- ლექვინაძე 1975:** ლექვინაძე ვ., IV ს. მდიდრული სამარხი ურეკიდან. CA. 4. (რუსულად).

**ლომთათიძე 1957:** ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი. ახ.წ. II საუკუნისა. თბ.

**ლორთქიფანიძე 1954:** ლორთქიფანიძე მ., სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი (1941-41; 1946-48 წწ.). სსმგძ., I. თბ.

**ლორთქიფანიძე 1958:** ლორთქიფანიძე მ., არმაზისხევსა და ბაგინეთში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. სსმგ. II. თბ.

**ლორთქიფანიძე 1961:** ლორთქიფანიძე მ., საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი. სსმგ. III. თბ.

**ლორთქიფანიძე 1967:** ლორთქიფანიძე მ., საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი. სსმგ. IV. კატალოგი. თბ.

**ლორთქიფანიძე 1969:** ლორთქიფანიძე მ., ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები I., თბ.

**მანჯგალაძე 1985:** მანჯგალაძე გ., სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. კატალოგი. *მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*. VII. თბ.

**მაქსიმოვა 1950:** მაქსიმოვა მ., გემები მცხეთა სამთავროდან, სსმმ. XVI-B, (რუსულად).

**მაჩაბელი 1970:** მაჩაბელი კ., ვერცხლის ფიალები არმაზისხევიდან (საქართველოს ანტიკური ტორევეტიკის ისტორიიდან), თბ. (რუსულად).

**მაჩაბელი 1976:** მაჩაბელი კ., გვიანანტიკური საქართველოს ტორევეტიკა. თბ. (რუსულად).

**მელიქიშვილი 1959:** მელიქიშვილი გ., საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები, (რუსულად).

**მროველი ლეონტი 1955:** ცხოვრება ქართულთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. *ქართლის ცხოვრება*. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ.

**მოქცევა ქართლისა.** შატბერდის კრებ. Xს.

**მშვილდაძე 2000:** მშვილდაძე მ., ანტიკური კულტები საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქებში, *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №6., თბ.

**ნიკოლაიშვილი 1993:** ნიკოლაიშვილი ვ., კარსნისხევის მეთუნეთა უბანი. თბ.

**ნიკოლაიშვილი და სხვ. 1995:** ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. ბაიათხევი. *მცხეთა*. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, X. თბ.

**სახვაძე 2023:** სახვაძე ან. ურბნისის სამაროვანი. არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ.

**სიხარულიძე 1985:** სიხარულიძე ან., აბუთიძე ან. მოგვთაკარის სამაროვანი. კატალოგი. *მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*, VII. თბ.

**სმირნოვი 1934:** სმირნოვი იგ. ახალგორის განძი, ტფილისი, (რუსულად).

**ქორიძე 1958:** ქორიძე დ. ურბნისის სამაროვნის (XXV უბანი) გვიანანტიკური ძეგლების პერიოდიზაცია. ხელნაწერი ინახება სემ-ის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში.

**ფარმაკოვსკი 1910:** ფარმაკოვსკი ბ., Отчёты Археологической Комиссии (რუსულად).

**ფრაი 1971:** ფრაი რ., ძველი ირანის მემკვიდრეობა. მოს. (რუსულად).

**ჩარკვიანი და სხვ. 2010:** ჩარკვიანი მ., ამირხანაშვილი ქ., საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოსახულებების ნუსხა, *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, 7, თბ.

**ჩიხლაძე 2015:** ჩიხლაძე ვ., წინარექრისტიანული ხანის ყინვალის სამაროვანი, თბ.

**ჩუბინაშვილი 2007:** ჩუბინაშვილი გ., არმაზის საგანძური (გამოსცა კ. მაჩაბელმა) თბ.

**ჯავახიშვილი 1972:** ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ.

## რომაული საიმიტაციო მონეტების სამკაულად გამოყენების შესახებ

### მედია შეროზია

იბერიის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, დედაქალაქ მცხეთაში, ფართოდ მიმოიქცეოდა რომაული ფულის ნიშნები. რომაული დენარები და პართული დრაქმები იყო ფულადი მიმოქცევის ძირითადი საშუალება. რომაული საფასების ერთ მცირე ნაწილს ეტყობა სამკაულად ტარების კვალი, აქვს მირჩილული ყუნწი ან გახვრეტილია. აღსანიშნავია, რომ პართული ფულის ნიშნები, ამ სახით, გამოყენებული არ ჩანს.

მონეტის მედალიონად გადაკეთების და სამკაულად ტარების მოტივი სხვადასხვაა. რიგ შემთხვევაში, ეს დაკავშირებულია რწმენა-წარმოდგენებთან, რიგ შემთხვევაში — იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების თაყვანისცემის ნიშნად შეურჩევიათ.

სამთავროს სამაროვანზე სხვადასხვა წლებში მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მასალაზე მუშაობისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია რომის იმპერატორ დომიციანეს (ახ.წ. 81-96 წწ) სახელით მოჭრილმა სამმა იდენტურმა დენარმა, რომლებსაც ეტყობა სამკაულად გამოყენების კვალი. ერთი მათგანი გახვრეტილია, ორს კი უხეშად მირჩილული ყუნწი აქვს. სამივე მათგანის რევერსზე გამოსახულია რომაული ძუ მგელი, რომელიც კვებავს ყრმებს, რომულუსსა და რემუსს.

#### **მონეტა ასე გამოიყურება:**

რომის იმპერია. დენარი. დომიციანე (ახ.წ. 81-96 წწ.) მოჭრილია ვესპასიანეს (69-79 წწ) მმართველობის დროს, 77-78 წწ. რომის ზარაფხანაში.

ავერსი: დომიციანეს წვერიანი თავი დაფნის გვირგვინით მარჯვნივ. ირგვლივ წარწერა: CAESAR AVG F DOM ITIANUS. ირგვლივ ხაზოვან ნერტილოვანი რკალი.

რევერსი: ძუ მგელი, რომელიც ძუძუს აწოვებს ტყუპებს რემუსს და რომულუსს. მიწის გამყოფი ხაზის ქვემოთ ნავია გამოსახული. მგლის გამოსახულების ზემოთ: COS V. ირგვლივ ხაზოვან-ნერტილოვანი რკალი [Mattingly 1965: I, გვ.43, №240. ტაბ.7 სურ.8].

ანალოგიურია სამთავროს სამაროვანზე გამოვლენილი ცალები:

გ.ფ. №9940, აღმოჩენილია 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე, S უბანზე, №1 ქვასამარხში. წონა: 2,84 გრ. ზომა: 18/19მმ. გახვრეტილია. საშუალო დაცულობისაა. სამარხი ბავშვისაა. თარიღდება ახ.წ. II ს-ით [Иващенко 1980: 10] (ტაბ.1, სურ.1).

გ.ფ. №9972, აღმოჩენილია 1939 წელს სამთავროს სამაროვანზე, S უბანზე, №86 აგურსამარხში. წონა: 3,00 გრ. ზომა: 18/21 მმ. სამარხი თარიღდება ახ.წ. II-ის დასაწყისით [Иващенко 1980: 11]. მონეტას ყური აქვს მირჩილული, ცუდადაა დაცული, გაცვეთილია (ტაბ.1, სურ.2).

მესამე, ანალოგიური დენარი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე 1976 წელს CXVIII ნაკვეთის მე-2 კვადრატში მიწის სამუშაოების დროს. წონა: 3,19 გრ. (ყუნწიანად). ზომა: 16/17 მმ. მონეტას ყუნწი აქვს მირჩილული. სავ. №1552. მონეტა გაცვეთილია (დაცულია მცხეთის მუზეუმში)(ტაბ.1 სურ.3).

ვფიქრობთ, სამთავროს სამაროვანზე დაკრძალული, ანტიკური ხანის ქალაქ მცხეთის რიგითი მოქალაქეების მიერ ხსენებული დენარების შერჩევა, სამკაულად გადაკეთება, ტარება და მიცვალებულისათვის ჩატანება დაკავშირებულია რწმენა-წარმოდგენებთან. კერძოდ, მგლის, მგელ-ძაღლის კულტთან, რომელსაც საკმაოდ ღრმა ფესვები ჰქონია ქრისტიანობის გავრცელებამდე და მას შემდგომაც.

წარმოდგენა მგელზე, როგორც მამაცობის და გამარჯვების სიმბოლოზე, დიდხანს შემორჩა ქართულ საზოგადოებაში. ამ მნიშვნელობით მისთვის კონკურენციის განწევა მხოლოდ ლომს შეეძლო. მე-5 საუკუნის მე-2 ნახევარში მგლის გამოსახულება ამშვენებდა

ქართლის მეფე ვახტანგ I-ს, რის გამოც სპარსელებმა მას გორგასალი (ე.ი. მგლისთავიანი) შეარქვეს [Бардавелиძე 1957].

ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში მგელს მიეწერება ზებუნებრივი ფიზიკური ძალა და მოქნილობა, ჭკუა, გამჭრიახობა, მხედველობის განსაკუთრებული სიმახვილე, უნარი, ააცილოს ადამიანს მეორე ადამიანის მტრული ქმედება [Бардавелиძე 1957: 44].

ამავე დროს, მაგალითად, სვანთა წარმოდგენით, მგელს გააჩნია მაგიური ძალა, რომელიც მიმართულია ადამიანთა სასიკეთოდ. ისინი მთელი თავისი არსებობით ეხმარებიან და მფარველობენ ადამიანებს. ამით აიხსნება მგლის კბილის ტარება ამულეტად, როგორც ავი ძალებისა და ბოროტი თვალის ასაცილებლად (ან გასანეიტრალებლად), ასევე, მგლის ხორცის, ცხიმისა და მათგან დამზადებული ნახარშის მიღება გარკვეული დაავადებების დროს [Бардавелиძე 1957: 44].

ნ. აბაკელიას, მოსაზრებით, მგლების ძალებთან გაიგივება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთო კავკასიურ და არა მარტო კავკასიურ ტრადიციაში. გაიგივება, როგორც ენობრივი, ასევე მითოლოგიურია. ძაღლისა და მგლის აღრევა დამახასიათებელია ასევე, სხვადასხვა მითოლოგიური ტრადიციებისთვისაც, სადაც მგელს შეიძლება „ძაღლს“ ეძახდნენ და პირიქით [აბაკელია 1997: 56].

„გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა, მგლის პრობლემისათვის თვალყურის გადევნება ისტორიული წყაროებითაც ხერხდება. ცნობილია, რომ მეფე ვახტანგს მგლის სახიანი მუზარადი ეხურა და მეტ-სახელი „გორგასალი“ აქედან წარმომდგარა. სახელი ვახტანგი ირანულად ნიშნავს „მგლის ტანის მქონეს.“ უახლესი გამოკვლევებით დასტურდება, რომ III ს-ის პართული წყაროები ივერიას იხსენიებენ სახელით „ვირშან“ (გამოთქმის „ვირჩან“), ხოლო საშუალო სპარსულზე ეწოდებოდა „ვ-რუჩან“, რაც მგლის ქვეყანას ნიშნავს. ცხადია, როცა ქვეყანას ასე ეძახიან, საამისო საფუძველიც უნდა ჰქონოდათ“ [სურგულაძე 2002: 67].

როგორც აღინიშნა, მგლის სახელი ვლინდება ქართველთა უცხოურ, კერძოდ, ირანულ სახელწოდებებშიც. აღნიშნული ცხადად მიუთითებს, რომ რელიგიური ცნობიერების ადრეულ საფეხურზე, მგელი შეიძლება ყოფილიყო ქართველთა სოციალური ერთობის სიმბოლო, რაც უძველესი, ტოტემური რწმენა-წარმოდგენების გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს. მგლის კულტის ამგვარი გააზრების წინაპირობებს იძლევა მითო-რელიგიური კონტექსტები და მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მგლის კულტისა და ეთნიკური სახელის ურთიერთმიმართების საკითხებს ლოგიკურ საფუძველს უძებნის [მიქელაძე 2014: 13].

სამთავროს სამაროვანზე მგლის გამოსახულებიანი რომაული დენარების აღმოჩენა ყოველივე ზემოთქმულს ეხმიანება და ადასტურებს, რომ გვიან რომაული ეპოქის მცხეთელებისთვის დამახასიათებელი იყო მგლისადმი (მგელ-ძაღლისადმი) თაყვანისცემა. ეს მონეტები, პატრონებისათვის, ხანგრძლივი ტარების შემდგომ (სამივე საფასეს ეტყობა ხანგრძლივი მოხმარების კვალი, გაცვეთილია), იმქვეყნიურ სამყაროშიც გაუტანებიათ.

წინარექრისტიანულ პერიოდში მგელ-ძაღლის სახე რომ პოპულარული იყო, ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. ამ მხრივ, საყურადღებოა არაგვის აუზში, ფშავის არაგვის ხეობაში, ბადრიანების სამაროვანზე მოპოვებული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული აბზინდის მსგავსი ნაკეთობა, რომელზეც მგლისა თუ ძაღლის სამი მინიატურული სკულპტურული თავია წარმოდგენილი. ნივთი თარიღდება ახ.წ. III-IV საუკუნეებით. ასევე თარიღდება ჟინვალის სამაროვანზე გამოვლენილი ბრინჯაოს საყბურე, რომელზეც მგელ-ძაღლის თავია გამოსახული [რამიშვილი ქ. რ. 2003:70].

სინატიფით გამოირჩევა არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე, მე-2 სამარხში აღმოჩენილი ოქროს გულსაკიდი, ძალის გამოსახულებით [მცხეთა, I 1955: 41. №38. ტაბ. II სურ. №12].

მგელ-ძალის კულტის პოპულარობასთან დაკავშირებით მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შესაძლებელი.

1939 წელს სამთავროს სამაროვანზე, სამხრეთის უბანზე, იმავე 86-ე სამარხში (აგურსამარხი) გამოვლენილია რომაული დენარი იმპერატორ ადრიანესი (117-138 წწ), რომელიც იმავე დანიშნულებით არის გამოყენებული, როგორც ზემოთ განხილული მონეტები [Иващенко 1980: 242, N185]. სამარხი თარიღდება ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით [Иващенко 1980: 11].

#### **მონეტა ასე გამოიყურება:**

დენარი. ადრიანე (117-138 წწ). მოჭრილი რომის ზარაფხანაში 125 წელს. ნონა: 2,77გრ. ზომა: 18/21. გ.ფ. 9973.

ავერსი: ადრიანეს წვერ-ულვაშიანი ბიუსტი დაფნის გვირგვინით, მარჯვნივ. ირგვლივ წრიული წარწერა: HHADRIANUS AVGUSTUS, ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

რევერსი: ახალი მთვარე და მასში შვიდი ვარსკვლავი. ირგვლივ წარწერა: COS III. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი (Mattingly 1966: 296, №463. ტაბ.55 სურ. № 16). ტაბ.1, სურ. №4).

მონეტა საკმაოდ გაცვეთილია ხაგრძლივი ტარების გამო, გახვრეტილია.

როგორც წინა შემთხვევებში, მიზეზი ამ კონკრეტული ნივთის შერჩევისა და სამკაულად ტარებისა, უნდა ვეძებოთ იბერიელთა რწმენა-წამოდგენებში, კერძოდ, ციურ მნათობთა თაყვანისცემაში, კონკრეტულად, მთვარის კულტთან მიმართებაში.

წინარექრისტიანულ ხანაში მთვარე ერთ-ერთი მთავარი თაყვანისცემის ობიექტი ყოფილა. შემდგომ მას, როგორც ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, წმინდა გიორგის სახე მიუღია.

„ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ [ჯავახიშვილი 1979: 90].

თავის თხზულებაში სტრაბონი ამბობს, რომ ალბანელები ღმერთივით თაყვანს სცემენ მზეს, ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება. ალბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ, იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართული მოდგმის ერთ იყო დასახლებული. ის მთვარის ტაძარი, რომელიც, გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით, იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო [ჯავახიშვილი 1979: 90].

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება მთვარის ძველი, წარმართობის დროინდელი დღესასწაულის ნაშთია [ჯავახიშვილი 1979: 93]. „...სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო, მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ [ჯავახიშვილი 1979: 99].

მნათობ-ღვთაებათა შვიდეულში მთვარეს ორშაბათი დღე მიეკუთვნება. ქართული წარმართული წესების შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კვირეულის დღეების მეგრულ სახელწოდებას, რომელიც დაკავშირებულია მნათობთა თაყვანისცემასთან. ამას პირველად ყურადღება მიაქცია მ. ჯანაშვილმა და მან მეგრულ-ქანური კვირეულის სახელები შეადარა ბერძნულ-რომაულს და დაადგინა ამ დღეების სახელწოდებათა წარმოშობა. კვირეულის დღეების მეგრულ სახელწოდებათა მიხედვით, ქართულად ორშაბათს (მთვარისა), მეგრულად თუთაშხას უწოდებენ. წარმართობის

დროს თითოეულ ღვთაებას შვიდეულში ერთი რომელიმე დღე ჰქონდა განკუთვნილი და ეს დღე მის სახელს ატარებდა. მის თაყვანისცემად კვირეულის ამ დღეს იმართებოდა სადღესასწაულო რიტუალი [მაკალათია 2006: 360, 361].

ვფიქრობთ, სამთავროზე 86-ე სამარხში დაკრძალულ მოქალაქეს ადრიანეს მთვარის გამოსახულებიანი რომაული დენარი მთვარის თაყვანისცემის გამო უნდა შეერჩია, რაც კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ციურ სხეულებს (ამ შემთხვევაში, მთვარესა და ვარსკვლავებს) გვიანრომაულ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართველთა წარმართულ პანთეონში.

აღნიშვნის ღირსია ის ვითარება, რომ 86-ე ქვასამარხში დაკრძალულ მიცვალებულს ერთდროულად ორი შეკიდული მონეტა-მედალიონი უტარებია, ერთს ყუნწი აქვს მირჩილული, მეორე გახვრეტილია. გამოსახულებების შინაარსი სხვადასხვაა. ერთის მხრივ, მგელ-ძალის და მეორეს მხრივ, მთვარის თაყვანისცემის გამო.

ზემოთ მიმოხილული მონეტების გარდა, ყელსაბამად გამოუყენებიათ კიდევ რამდენიმე მონეტა. მოტივი ამჯერად სხვა უნდა იყოს.

1937 წელს არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე, მე-2 სამარხში სხვადასხვა ნივთებთან და მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა ოქროს აურეუსი რომის იმპერატორ სეპტიმი სევერისა (193-211 წწ). მონეტა მოჭრილია რომის ზარაფხანაში 201 წელს. წონა: 7,07გრ. ზომა: 19/20 მმ. გ.ფ. 9149. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელ-მკერდის არეში, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მონეტას ეტყობა, რომ იგი პატრონს ჩამოკიდებული უტარებია: შემორჩენილი აქვს დარჩილული ყუნწის ნაშთი.

ამასთან, ეს მონეტა მუდმივი ხახუნისაგან ძლიერ გაცვეთილია და საერთოდ, ერთ-ერთი ყველაზე ცუდად შემონახულთაგანია არმაზისხევის აურეუსებს შორის. როდესაც მონეტა ამ ყუნწით ჩამოიკიდებოდა, სეპტიმი სევერის პროფილი თავდაყირა მოექცეოდა. როგორც ჩანს, ამ საკიდის ტარების მიზანი მისი ცოლშვილის გამოსახულების გამოჩენა იყო. ძეგლის გამთხრელები წერენ: „შეიძლება შემთხვევით არ შეერჩიოს ერისთავთა ოჯახის წევრ ქალს კეისრის ცოლ-შვილის გამოსახულება ყელზე შესაბამელად“: FELISITAS SAECVLIF ე.ი. ბედნიერი, კეთილდღეობაში მყოფი მოდგმა, გვარეულობა, თაობა [მცხეთა I, 1955: 44].

ავერსი: სეპტიმი სევერუსის დაფნის გვირგვინიანი თავი მიმართული მარჯვნივ ირგვლივ ლათინური წარწერა: SEVERUS PIVS AVG - P M TRPVIII.

რევერსი: იულია დომნას დრაპირებული ბიუსტი პირდაპირ და მისკენ მიმართული, მარცხნიდან - კარაკალას დრაპირებული ბიუსტი გვირგვინითა და აბჯრით, მარჯვნივ — გეტას ბიუსტი. ირგვლივ ლათინური წარწერა: FELISITAS (ზემოთ) SAECVLIF (ქვემოთ) [Mattingly 1950: V, 203, 255. ტაბ. 33, სურ. №6].

ამ აზრს იზიარებს დავით კაპანაძეც: „საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყუნწი მორჩილულია იმ განზრახვით, რომ სამი გამოსახულება და წარწერა ☉ FELISITAS SAECVLI (საუკუნის ბედნიერება) იყოს სწორედ ჩამოკიდებული, მაშინ, როდესაც იმპერატორის გამოსახულება, ყუნწთან მიმართებაში, გამოდის თავით ქვემოთ.ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი, შესაძლებელია, იყოს ირიბი მითითება მიცვალებულის ოჯახურ შემადგენლობაზე, რადგან ზრდასრული ქალის გარდა, სამარხში იყო გარდაცვლილი ბავშვის ძვლები“ [Капанაძე 1957: 164].

რომის იმპერატორის ოჯახის წევრთა მიმართ პატივისცემის გამო უნდა შეერჩიათ კიდევ ორი ოქროს კვინარიუსი, გადაკეთებული სამკაულად.

2001 წელს სვეტიცხოვლის ეზოში წარმოებული გამაგრებითი სამუშაოების დროს გამოვლინდა წარჩინებული ქალის მდიდრული სამარხი („დედოფალი ულპია საქსონელი“). სამარხი გამოიჩინა მდიდრული ინვენტარით. მასში არ ჩაუტანებიათ მონეტები, თუმცა, სამკაულს შორის იყო ორი რომაულ ოქროს კვინარიუსი, რომლებსაც ჰქონდათ ოქროსავე

ყუნები და სხვა კულონებთან (?) ყელსაბამის შემადგენელ ნაწილს შეადგენდნენ [აფაქიძე 2003].

1. საგ. №16-2002: 14. რომის იმპერია. დედოფალი ფაუსტინა II უმცროსი (+175წ.) კვინარიუსი. ოქრო. ყუნწიანი. წონა: 3,88 (ყუნწით) ზომა: 1,7/1,5 (სურ. 5).

ავერსი: ფაუსტინას დრაპირებული ბიუსტი მიმართული მარცხნივ. ირგვლივ ლათინური წარწერა: FAUSTINA AVGVSTA. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი.

რევერსი: ვენუსის დრაპირებული გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. ირგვლივ ლათინური წარწერა: VENVS. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი. (Mattingly 1950: IV, 406, №164. ტაბ. 56, სურ. №9).

2. საგ. №16-2002:15. რომის იმპერია. დედოფალი ლუცილა (164, 168|69 წწ) კვინარიუსი. ოქრო. ყუნწიანი. წონა: 3,75 (ყუნწით) ზომა: 1,7/1,5 (სურ. 6).

ავერსი: ლუცილას დრაპირებული ბიუსტი მიმართული მარჯვნივ. ირგვლივ ლათინური წარწერა: LVCILLA AVGVSTAE. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი.

რევერსი: ვენუსის დრაპირებული გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. ირგვლივ ლათინური წარწერა: PIETAS (?). ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი (Mattingly 1950 : IV, 406, №164. ტაბ. 56, სურ. №9).

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დიდებულმა ქალბატონმა დედოფალთა პატივსაცემად შეარჩია ზემოთ მოხსენიებული კვინარიუსები და ყელზე შებმულს ატარებდა სამარხში აღმოჩენილ სხვა რამოდენიმე მედალიონთან ერთად.

მ. მშვილდაძეს მიაჩნია, რომ „ოქროს საკიდები (საკიდი მედალიონები) ფაუსტინა უმცროსისა და მისი ქალიშვილის ლუცილას აურეუსები, ჩვენი აზრით, მედალიონ-ფალერების (ფალერების ერთ-ერთი სახეობა) და ჯილდოს სახით იქნა გადაცემული ულპიასათვის რომის იმპერატორის მიერ“ [მშვილდაძე 2021: 175].

კვინარიუსი - ლათინური — 5, „შეიცავს ხუთ ერთეულს“ (Guinarius aureus), ძველრომაული ოქროს მონეტა, რომელიც აურეუსის C1/2 ღირებულების საფასია. ეს ნომინალი სამოქალაქო მიმოქცევაში ნაკლებად იყო ჩართული, მისი გამოვლენა არქეოლოგიური გათხრების დროს უკიდურესად იშვიათად ხდება. თავდაპირველად, მისი უპირველესი დანიშნულება იყო ჯარისკაცებისათვის (ლეგიონერებისათვის) ხელფასის გადახდა. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, მონეტის რევერსზე გამოსახულია ვიქტორია - გამარჯვების ქალღმერთი. მოგვიანებით, ის, ძირითადად, იმპერატორის ოჯახის წევრებსა და მასთან დაახლოებულ საზოგადოებაში ბრუნავდა როგორც სასაჩუქრე მონეტა [Казаманова 1969: 52].

სავარაუდოდ, სვეტიცხოვლის ეზოში, მდიდარი ქალბატონის სამარხში აღმოჩენილი ოქროს კვინარიუსები ჩამოტანილი იქნა იბერიის დედაქალაქში, როგორც სამახსოვრო ჯილდო ულპიასათვის ან მან მიიღო მემკვიდრეობით.

2004 წელს, მარტის თვეში, კასპის რაიონის სოფელ ხოვლესთან, ადგილ ზესხევთან, წყალსადენი მილის ჩასადებად თხრილის გათხრისას შემთხვევით აღმოჩნდა დიდი ზომის მართკუთხა აკლდამა, რომლის ინვენტარი ამ ფაქტის შემსწრე მოქალაქეებმა დაიტაცეს. შესაძლებელი გახდა ინვენტარის ერთი ნაწილის მოძიება. აკლდამა, სავარაუდოდ, წარჩინებულ ქალს ეკუთვნოდა. მდიდრულ ინვენტართან ერთად, გამოვლინდა რომის იმპერატორ ელაგაბალუსის (ანტონინი) (218-222 წწ) აურეუსი, მოჭრილი 220-222 წწ. მონეტას ყუნწი აქვს მიჩრილი [შატბერაშვილი 2007: 87]. წონა ყუნწიანად 6,80გრ. ზომა 21 მმ. გ.ფ. 32090 (სურ. 8).

ავერსი: ახალგაზრდა იმპერატორ ელაგაბალუსის დრაპირებული ბიუსტი მიმართული მარჯვნივ. ირგვლივ წარწერა: IMP ANTONINVS P.I.VS AVGV. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი.

რევერსი: მარცხნივ მიმართული ტრიუმფალური კვადრიგა (ოთხცხენიანი ეტლი), რომელზეც ფრთებგაშლილი არწივია ამხედრებული. არწივს ნისკარტით უჭირავს გვირგვინი. ცხენების თავების ზემოთ ექვსფურცლიანი ყვავილი. გამოსახულების ზემოთ წრიულად წარწერა: CONSERVATOR AVG. ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალი. (Mattingly 1950: V, 560 197. ტაბ. 89, სურ. №7).

რთული სათქმელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა იყო მონეტის სამკაულად გადაქცევის მოტივაცია. შესაძლებელია, რომელიმე იმპერატორის საპატივცემლოდ ატარებდნენ.

ამავე დანიშნულებით უნდა იყოს გამოყენებული კლასიკური მონეტების ფონდში დაცული ერთი უპასპორტო სოლიდი, რომელიც ეკუთვნის აღმოსავლეთ რომის იმპერატორს ვალენტიანიანუს III (375-392 წწ), წონა 4,37 გრ. ზომა 22მმ. რომელიც გახვრეტილია და სავარაუდოდ, იმპერატორის საპატივცემლოდ ატარებდნენ (სურ. 14). აღსანიშნავია, რომ, ძირითადად, მდებარეობითი სქესის მიცვალებულები არიან ამ მედალიონ-საკიდების პატრონები.

იბერიის მცხოვრებლებს მხოლოდ ოქროსა და ვერცხლი მონეტები არ შეურჩევიათ და უტარებიათ სამკაულად ანტიკური პერიოდში. გვაქვს სპილენძის მონეტების ანალოგიური დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები. ეს, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ადამიანის სოციალურ მდგომარეობასა და ეკონომიკურ შესაძლებლობასთან.

1977 წელს მცხეთაში, მოგვთაკარის სამაროვანზე წარმოებული საველე სამუშაოებისას მე-2 (კომბინირებული, ქვიშაქვის ფილებითა და კრამიტით ნაგები) და მე-6 (კრამიტ-სამარხი) სამარხში აღმოჩნდა სპილენძის საფასები, რომლებიც სამკაულად გამოუყენებიათ. ორივე მათგანი გახვრეტილია, ამავე დროს, ხანგრძლივი ტარებისა და ხახუნის გამო გაცვეთილია იმდენად, რომ ვერ ხერხდება მათი განსაზღვრა, გარდა იმისა, რომ ორივე მათგანი ანტიკური პერიოდისაა, ახ.წ. I ან II საუკუნეს მიეკუთვნება. (სავ. №12, სავ. №43). [მცხეთა V, 1981: 127,129]. სურ.№9,10.

ოქროს საფასების შემთხვევაში, მირჩილული ყუნწები სტილისტურად მსგავსია, მხოლოდ ოქროს საფასების ყუნწი ძირითადად ორღარიანია, ვერცხლის მონეტების ყუნწები ერთღარიანი. ერთღარიანი ყუნწი აქვს დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) აურეუსს (გ.ფ.12198), რომელიც აღმოჩენილია 1966 წელს ერწოში, სოფელი თრანი, სამარხი 8. წონა 4,88 გრ. ზომა: 19. ყუნწის დიამეტრი 2 სმ. [რამიშვილი 1979: 48].

ავერსი: IMP CC VAL DIOKLETIANUS P.F. AVG. დიოკლეტიანეს დაფნისგვირგვინიანი თავი მიმართული მარჯვნივ. ირგვლივ წრიული წარწერა; გამოსახულების ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

რევერსი: ორცხენიანი გაჭენებული ეტლი, რომელსაც მართავს ფრთოსანი ნიკე, მარცხენა ხელში სადავე, ხოლო მარჯვენაში გვირგვინი უჭირავს. ირგვლივ ზედწერილი: VICTORIA. AVG. ირგვლივ წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი [Depeyrot 1987: 97].

ყუნწები ადგილობრივ საოქრომჭედლო სახელოსნოში უნდა იყოს მირჩილული. ერთის მხრივ, ისინი ერთგვაროვანია და იდენტურია ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული მედალიონ კულონების ყუნწების. მაგალითად:

1. სამთავროს სამაროვანი, ქვაყუთი №4. 1938 წ. ინტალიო გრანატისა (პიროპი), ოქროს მედალიონში (სურ.11).

2. მედალიონი ძალის გამოსახულებით, არმაზისხევი, ქვსამარხი № 2. 1937 წ. (სურ.12).

3. კულონი ინტალიო, რომელიც ოქროს გრეხილ ოვალშია ჩასმული. სვეტიცხოველი ეზო, აკლდამა, 2001წ. (სურ. 13). ნიშანდობლივია, რომ ამ აკლდამაში რამდენიმე მედალიონ-კულონია აღმოჩენილი, მათ შორის, ზემოთხსენებული ორი რომაული ოქროს კვინარიუსი, გადაკეთებული მედალიონად, ყველა მათგანის ყუნწი იდენტურია (სურ.5, 6).



საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით, გლიპტიკოს ქეთევან რამიშვილის მოსაზრება (მან შეისწავლა აღნიშნული მედალიონები): „მედალიონს ანალოგიები ეძებნება III-IV სს. ქართულ ოქრომჭედლურ ძეგლებზე. მსგავსი ტექნიკით დაამზადებული და მსგავსად პოლიქრომულად მორთული მედალიონები ცნობილია არმაზისხევიდან (№2 სამარხის ძაღლის გამოსახულებიანი სარდიონ-ფრცხილის კამეით შემკული მედალიონი, თანმხლები მასალის მიხედვით, III ს. მეორე ნახევრით თარიღდება) ახალგორიდან (III-IV სს.) და ოკამიდან (ახალი მონაპოვარი კასპის რაიონში) მასთან ერთად სამარხში მოპოვებული დიოკლეტიანეს ოქროს მონეტის მიხედვით (284-305წწ.) - III ს. მიწურულით და IV ს. დასაწყისით თარიღდება.

სამთავროს მედალიონი და მისი ანალოგიები ადგილობრივ ოქრომჭედლურ ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ და შესაძლოა, ერთი სახელოსნო ცენტრიდანაც მომდინარეობდნენ [რამიშვილი ქ. 1979: 58]. ამავე სახელოსნო ცენტრში ხდებოდა, სავარაუდოდ, მონეტებზე შესაკიდის მირჩილვა. ისინი იდენტიურია და თარიღიც მისაღებია.

ანტიკური პერიოდის იბერიის სამეფოს ტერიტორიის ხანგრძლივმა შესწავლამ გამოავლინა დიდი რაოდენობით ანტიკური მონეტები. საფასეების ამ რაოდენობაში, მონეტების ერთი მცირე ნაწილია სამკაულად გამოყენებული. ამ მოვლენამ გვიან შუასაუკუნეებში უფრო ფართო სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ მოგვიანო, ადრეფეოდალური დროის მონეტებზე, რომლებიც სამკაულად შეურჩევიათ, ყუნწი სრულიად სხვაგვარია, ღარიანი აღარ არის. ის დამზადებულია მრგვალი წრიული მავთულისაგან, მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ 1979 წელს სამთავროს სამთავროს სამაროვანზე, №455 ქვაყუთში აღმოჩენილი ოქროს მედალიონი (საინვ. 4640, დაცულია ქალაქ მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში), რომელიც თარიღდება მე-4 საუკუნით და არის ადგილობრივ დამზადებული [ცუხიშვილი 2003: 93; შეროზია 2012: 133].

### ბიბლიოგრაფია:

- აფაქიძე და სხვ.1955:** აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. – *მცხეთა*, I, თბ.
- აფაქიძე და სხვ. 2003:** აფაქიძე ან., ნიკოლეიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ. სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. *მცხეთა*. 2001. VI სამეცნიერო სესია; 2001-02 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.
- აბაკელია 1997:** აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ.
- ბარდაველიძე 1941:** ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ.
- გ.ფ.** — განძების ფონდი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია.
- მაკალათია 2006:** მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ.
- მიქელაძე 2014:** მიქელაძე მ., ქართველთა ეთნიკური სახელი არქაული რწმენა-წარმოდგენების შუქზე. თბ.
- მცხეთა V 1981:** არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (რედ. აფაქიძე). ტ.V, თბ.
- მშვილდაძე 2021:** მშვილდაძე მ., იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბ. გვ.172-182.
- რამიშვილი 1979:** რამიშვილი რ., ერნოს ველი გვიანრომაულ ხანაში. თბ.
- რამიშვილი ქ. 2003:** რამიშვილი ქ., რ., მგლის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან. *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №1, თბ. გვ.70-75.
- რამიშვილი ქ. 1979:** რამიშვილი ქ., სასაბურთალოს რაიონის მუზეუმი საქართველოში. თბ.

- სერგეევი 1941:** სერგეევი ვ., ძველი რომის ისტორიის ნარკვევები. თბ.
- სურგულაძე 2002:** სურგულაძე ირ. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბ.
- შატერაშვილი 2007:** შატერაშვილი ვ., მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №3. გვ.87-96.
- შეროზია 2012:** შეროზია მ., ოქროს მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან. სემ. *მოამბე*. III (48-). თბ., გვ. 133-138.
- ცუხიშვილი 2003:** ცუხიშვილი იზ., მედალიონი სამთავროდან, *ძიებანი*. საქართველოს მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. 11. გვ.93.
- ჯავახიშვილი 1979:** ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბ.
- Бардавелидзе 1957:** Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен. Тб.
- Иващенко 1980:** Иващенко М., Самтаврские погребения первых трех веков н.э. კრებ. *მცხეთა* III. (რედ. ან. აფაქიძე), თბ.
- Казаманова 1969:** Казаманова Л., Введение в античную нумизматику, Мос.
- Капанадзе 1957:** Капанадзе D., Ауреусы Армазского некрополя. СА №3. С. 159 – 175. Мос.
- Depeyrot 1987:** Depeyrot G., LE BAS EMPIRE ROMAN. Economie et numismatique (284-491). Editions Errace.
- Mattingly 1965:** Mattingly H., Coins of the Roman Empire in the British Museum. v. II L.
- Mattingly 1966:** Mattingly H., Coins of the Roman Empire in the British Museum, v. III. L.
- Mattingly 1950:** Mattingly H., Coins of the Roman Empire in the British Museum, v. V L.

#### ტაბულების აღწერილობა:

1. დენარი, იმპერატორი დომიციანე. სამთავროს სამაროვანი.
2. დენარი, იმპერატორი დომიციანე. სამთავროს სამაროვანი.
3. დენარი, იმპერატორი დომიციანე. სამთავროს სამაროვანი.
4. დენარი, იმპერატორი ადრიანე, სამთავროს სამაროვანი.
5. ოქროს კვინარიუსი. ფაუსტინა (უმცროსი) ავგუსტა. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი.
6. ოქროს კვინარიუსი. ლუცილა მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი.
7. აურეუსი, სეპტიმიუს სევერუსი, არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანი.
8. აურეუსი. ელაგაბალუსი. კასპის რაიონი, სოფელი ხოვლე.
9. რომაული საიმპერატორო პერიოდის სპილენძის მონეტა, მოგვთაკარის სამაროვანი, მცხეთა.
10. რომაული, საიმპერატორო პერიოდის სპილენძის მონეტა, მოგვთაკარის სამაროვანი, მცხეთა.
11. მედალიონი, სამთავროს სამაროვანი, ქვაყუთი №4.
12. მედალიონი, არმაზისხევი, ქვასამარხი №2.
13. მედალიონი, სვეტიცხოვლის უბანი, აკლდამა.
14. სოლიდი, აღმოსავლეთ რომის იმპერია. ვალენტიანიანუს III.





1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14

## უპველასი ქართული ეკლესიების დღემდე უცნობი ელემენტები

ნოდარ ბახტაძე

საუკუნეზე მეტია, რაც მეტ-ნაკლები ძალისხმევით და წარმატებით მიმდინარეობს გვიანანტიკური ეპოქის ქართული ქრისტიანული საკულტო ნაგებობების მეცნიერული კვლევა ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით, ბოლო დროს კი არქეოლოგიური მეთოდებითაც. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ XX ს-ის პირველი ნახევრიდან მოყოლებული სულ ბოლო პერიოდამდე, ქართველი ხელოვნების ისტორიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილის ნაშრომებში, მათი თანამედროვე ევროპელი მეცნიერების ნააზრევი ევრაზიის კონტინენტზე ქრისტიანული ტაძრების გენეზისისა და გავრცელების ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული დიაპაზონის შესახებ [Кондаков 1904: 50-62; Mango 1972: 4 -18; Krautheimer 1965: 17-20 და სხვ.], პრაქტიკულად იგნორირებული იყო. სანაცვლოდ, მათ მიერ შემოთავაზებული იყო და ათწლეულების განმავლობაში ლამის ერთადერთი სამეცნიერო ვერსიის უფლებით სარგებლობდა მნიშვნელოვნად განსხვავებული, ჩემი აზრით გარკვეულწილად საბჭოთა იდეოლოგიური კონიუქტურისადმი ლოიალობით განპირობებული თეორია, რომელსაც დღესდღეობითაც კი ჰყავს მიმდევრები ქართულ აკადემიურ სივრცეში.

კერძოდ, საქართველოში სახელოვნებათმცოდნეო დარგის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში შემუშავებული და მისი მრავალი კოლეგის მიერ უკრიტიკოდ გაზიარებული ამ ჰიპოთეზის მიხედვით, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად შემოღების შემდგომ (ბოლო მონაცემებით 326 წ.), ქრისტიანული ტაძრების მოდელები თითქმის დამოუკიდებლად ყალიბდებოდა, რომის იმპერიაში პრაქტიკულად ნორმატიულად მიჩნეული გეგმარების გაუთვალისწინებლად. ამ ვერსიით, 1.5 საუკუნე დასჭირდა იმას, რომ საქართველოში მეტად მცირე ზომის, პრიმიტიული საეკლესიო ნაგებობები, ადგილზე ევოლუციის გზით სრულყოფილი, კანონიკური აღნაგობის ტაძრებით შეცვლილიყო V-VI საუკუნეთა მიჯნაზე, ანუ ყველა მაშინდელ მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან შედარებით გაცილებით გვიან [ჩუბინაშვილი 1936; Чубинашвили 1959: 134, 135; Чубинашвили 1970: 39, 40; ბერიძე 1974: 8, 18; ციციშვილი 1995: 52, 53; Tumanishvili 1999: 53, 54; Marsagisvili 2023: 82, 83 და სხვ.].

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ "ოფიციალურ" თეორიას აღნიშნული ათწლეულების განმავლობაში ქართველ ჰუმანიტარ მეცნიერთა მხრივ წინააღმდეგობა სრულიად არ შეხვედრია. მაგალითად, პროგრესული ქართველი მკვლევარები ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, რ. რამიშვილი და სხვები, ჯერ კიდევ ამ 4 ათწლეულის წინ მიიჩნევდნენ არამართებულად ამ ჰიპოთეზას და საჯარო სივრცეშიც არაერთხელ გაუმართავთ ცხარე დებატები მოწოდებით, რომ ქართველ ხელოვნებათმცოდნეებს თანამედროვე მიდგომებით ჩაენაცვლებინათ ამგვარი მოძველებული ხედვა [კიკნაძე, მირზაშვილი 1985; კიკნაძე, მირზაშვილი 1987]. მიუხედავად ამისა, ამ მცდელობამ რეალური ნაყოფი ვერ გამოიღო: ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა დიდი ნაწილი თავიდან პროტესტით შეხვდა ავტორიტეტულ მეცნიერთა ამ ნააზრევის კრიტიკას [ანდლულაძე და სხვ. 1984]; ბოლო ხანებში კი ამ თეორიის რევიზიის საწინააღმდეგოდ იმ გარემოებას ასახელებდნენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უბრალოდ ვერ მიაკვლიეს ობიექტური დამატარილებელი ნიშნებით აღბეჭდილ, მოზრდილ, საზღვარგარეთის ქრისტიანულ სამყაროში მიღებული კანონიკური გეგმარების მიხედვით აგებული ეკლესიების მიწის ზევით შემორჩენილ თუ არქეოლოგიურად გამოვლენილ ნიმუშებს [თუმანიშვილი 2008: 146-151].

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი გასული საუკუნის ბოლო მეოთხედიდანვე კარგად ხედავდა ამ მიმართულებით ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვის აუცილებლობას და ძალისხმევა არ დაუკლია, რათა გაეფართოებინა კვლევა-ძიების არეალი. და მართლაც, აღნიშნულ ყავლგასულ თეორიას საფუძველი საბოლოოდ მას შემდეგ გამოეცალა, რაც უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში, ნაქალაქარ ნეკრესში (საქართველო, ყვარლის მუნიციპალიტეტი), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შემდეგ კი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა სამი უძველესი, სავსებით კანონიკური გეგმარების, რომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების „სტანდარტებთან“ მეტად მიახლოებული გეგმარების, ფრიად დიდი ზომის ქრისტიანული ბაზილიკა აღმოაჩინა და შეისწავლა. ამ არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშები ჩვენი კვლევითი ჯგუფის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთის სამეცნიერო გამოცემებში არაერთხელაა გამოქვეყნებული [ბახტაძე 2010; ბახტაძე 2012; ბახტაძე 2018; Bakhtadze და სხვ. 2018; Bakhtadze 2019; ბახტაძე და სხვ. 2020], მაგრამ ამჟამად განსახილველი კონკრეტული საკითხის მნიშვნელობის უკეთ გასააზრებლად, მოკლედ კვლავ წარმოვადგენ კავკასიის მასშტაბით ამ სრულიად უნიკალური ტაძრების ძირითად პარამეტრებს და მახასიათებლებს.

კავკასიონის ქედის უკიდურესი სამხრეთი სერის კალთაზე აგებული ნეკრესის საყოველთაოდ ცნობილი მონასტრის წინა ტყიან დაბლობზე, ნაქალაქარ ნეკრესის ჭაბუკაურის უბანში, 1998-2005 წლებში გათხრებით გამოვავლინეთ 31 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის ბაზილიკა. ის ამოყვანილია წარმართული, სექციური გეგმარების ტაძრის კედლების ნაშთებზე, კირ-დულაბით, წინარე ნაგებობის საშენი მასალის – ფლეთილი კირქვისა და ნათალი შირიმის ქვის გამოყენებით. ბაზილიკის ნაოსი 5 წყვილი სწორკუთხა გეგმის სვეტითაა დაყოფილი 3 ნავად. ცენტრალური ნავის აღმოსავლეთით მართკუთხა გეგმის საკურთხეველია მოწყობილი, მის მარჯვნივ და მარცხნივ კი მართკუთხა პასტოფორიუმები (ტაბ. I-1,2). საკურთხეველის გათხრისას, ფეხებიანი ტრაპეზის მაგიდის სხვა ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა ალუბასტრის კაპიტელი, ორნამენტში ჩასმული ჯვრის რელიეფით (ტაბ. I-6). ასეთი ტრაპეზის მაგიდები მსგავსი გამოსახულებით, კარგადაა ცნობილი ადრებიზანტიური სამყაროს IV-V საუკუნეების ეკლესიებიდან [ბახტაძე და სხვ. 2020: სურ. 21]. აღმოჩენილი კონსტრუქციებმა დაადასტურა, რომ ბაზილიკა, მსგავსად ადრებიზანტიური ეკლესიებისა, ხის ნივნივებზე დაწყობილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტის კომბინაციით იყო გადახურული. ათეულობით რკინის სამსჭვალთან ერთად, მრავლად აღმოჩნდა ცალ მხარეს დაკბილული, თეთრი საღებავით მოხატული ბრტყელი ანტიფიქსებიც (ტაბ. I-5), რომლებიც მხოლოდ გადახურვის ხის კონსტრუქციებზე შეიძლება დამაგრდეს. ხის გადახურვის ამგვარი კონსტრუქციები ქართულ ეკლესიებში V ს-ის მეორე ნახევრიდან აღარ დასტურდება.

ბაზილიკა მინისძვრის შედეგად მალევე (შესაძლოა სულ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ) დანგრეულა, რაზედაც ერთ მხარეს, ბლოკებად გადანოლილი სვეტები და კედლის კონსტრუქციები მეტყველებს. ნანგრევი მასის ქვეშ, იატაკის დონეზე მოყოლილი არტეფაქტებიდან გამოირჩევა ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების საინტერესო კოლექცია. ეს გახლავთ ბრინჯაოსგან მაღალმხატვრულად დამზადებული ერთპატრუქიანი (ქრისტიანული ტაძრის სიმბოლიკიანი სადგარით), ოთხპატრუქიანი და ექვსპატრუქიანი ზეთის ლამპადები (ტაბ. III – 1, 2), თავისი საკიდებელი ძეწკვებით. მათ, ისევე როგორც საკურთხეველის მიდამოებში მიკვლევულ მინის სანელსაცხებლებს, პირდაპირი ანალოგები ეძებნებათ IV-V სს რომაული პროვინციების არქეოლოგიური მასალებიდან [ბახტაძე და სხვ. 2020: 68-72; Lofreda 2001:101-134; Djuric 1995: 56, 78, 84; Bank 1985: სურ. 17].

2012-2023 წლებში ნაქალაქარ ნეკრესშივე, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ “დოლოჭოპის” უბანში ტყიანი ბორცვის არქეოლოგიური გათხრის შედეგად გამოვავლინეთ ზომით კიდევ უფრო გრანდიოზული სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ზოგიერთი კედელი 7-8 მ სიმაღლემდეა შემორჩენილი (ტაბ. II – 1, 2). ნაგებია დურუჯის ხეობის რიყის ქვით დულაბზე, ზუსტად გამოსაყვანი ნაწილები კი თლილი შირიმის ქვისაა. ბაზილიკის მხოლოდ ცენტრალური კორპუსის სიგრძეც კი 36 მ-ია, სიგანე - 18.5 მ. (შედარებისთვის – ბოლნისის სიონის ბაზილიკის სიგრძე 28 მ-ია). დარბაზი ხუთი წყვილი ჯვრისებრი გეგმიანი სვეტებითაა დაყოფილი ნაგებად. 1 მ-მდე შემალღებული ცენტრალური საკურთხეველი ნალისებრი გეგმისაა და შიგნიდან 4 საფეხურიანი სინთრონონი შემოუყვება. საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ აქაც მართკუთხა პასტოფორიუმებია მოწყობილი. საკურთხევლის იატაკის ქვეშა სივრცეში მივაკვლიეთ დაახ. 15 კვ.მ ფართობის კრიპტას, რომლის ცენტრალურ ნაწილში აგებული ყოფილა წმინდა ნაწილების ჩასასვენებელი, ალებასტრით შელესილი ხის რელიქვარიუმ-ლუსკუმა. საკურთხევლის ამბიონი ავანსცენისებურად გამოდის პირველ წყვილ სვეტებამდე და მასზე კიბეებით სამი მხრიდან ადიოდნენ. საკურთხევლის ამგვარი რთული და პომპეზური აღნაგობა ქართულ გვიანანტიკურ ტაძრებში აქამდე არ დადასტურებულა. სამაგიეროდ, ანალოგიური ელემენტები ჩვეულებრივი რამ იყო ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბიზანტიური ბაზილიკისთვის, მით უფრო საკათედრო ტაძრებისთვის.

დოლოჭოპის ბაზილიკაც სხვა ადრეობიზანტიური სტილის ბაზილიკების მსგავსად ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველით იყო გადახურული – ჩრდილოეთის კედელში ჰორიზონტული ჭერის ძელების ბუდეებიც კი შემორჩენილია. სახურავს აქაც ბრტყელი, დაკბილული, თიხის მოხატული ანტიფიქსები შემოუყვებოდა (ზოგიერთი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებით) (ტაბ. II – 4). ნაოსის ინტერიერი მთლიანად შელესილი იყო და ნითლად შეღებილი. ცენტრალურ დარბაზს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გალერეების და სტოვების სისტემები გასდევდა მთელ სიგრძეზე, სამხრეთიდან კი განიერი ნართექსი. ეს “გარშემოსავლელი” სისტემები მთავარი დარბაზის თანადროულია. ერთიანად, ბაზილიკის სიგრძე 44 მ-ია, რითაც კავკასიაში დღემდე არქეოლოგიურად სრულად გამოვლენილ ყველა ადრექრისტიანულ ბაზილიკას აღემატება. დოლოჭოპის ბაზილიკის უადრეს სტრატიგრაფიულ ფენებში აღმოჩნდა IV-V სს-ის ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული ტიპის კერამიკული და მინის ნაკეთობების ფრაგმენტები (ტაბ. II – 5,6) [ჭილაშვილი 1964: ტაბ. XLI-XLIII; მამაიაშვილი 2004: ტაბ. VI, IX, XI]. აქვე აღმოჩნდა ადრეობიზანტიური ეკლესიებიდან კარგად ცნობილი ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების, პოლიკანდელონების ფრაგმენტები - ლითონის წრიულ ცხაურში ჩასალაგებელი მინის კანდელების ნაწილები და ვერცხლის მხატვრული ძეგლები (ტაბ. III – 4). ამ სტილის ნაკეთობები აღმოსავლეთ ბიზანტიური სამყაროში V-VI საუკუნეებით თარიღდება [Papadopoulou 2003: ტაბ. 122, სურ. 14, 15].

დოლოჭოპის ამ ბაზილიკის იატაკზე გავლებული საკონტროლო ჭრილებით, ამ ტაძრის ქვეშ კიდევ უფრო ადრეული ეკლესიის ნაშთებიც აღმოჩნდა. ეს ყოფილა 25 მ სიგრძისა და 15 მ-მდე სიგანის, ე. წ. “სამეკლესიოანი ბაზილიკის” ტიპის ნაგებობა. ეკლესია ზუსტად დიდი ბაზილიკისნაირი ტექნიკითაა ნაგები. შიგნიდან და გარედან ბათქაშით ყოფილა გალესილი. ცენტრალური დარბაზის აღმოსავლეთით მართკუთხა გეგმის საკურთხეველია მოწყობილი, მის ჩრდილოეთით და სამხრეთით კი, გვერდითი გალერეების ბოლოებში, ასევე მართკუთხა გეგმარების პასტოფორიუმებია განლაგებული. ამ ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი თიხის ბრტყელი, დაკბილულ ბოლოებიანი ანტიფიქსები სტილისტურად მცირედ განსხვავდება დიდი ბაზილიკის ანალოგიური დანიშნულების ნაკეთობებისგან. ამგვარი ანტიფიქსები მიგვანიშნებს, რომ

ეს თავდაპირველი ეკლესიაც ხის კონსტრუქციებზე დაწყებული კრამიტით იყო გადახურული.

ასეთი გეგმარების ეკლესიები მოგვიანებით, VI-IX საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა პრაქტიკულად მთელ საქართველოში (მეტადრე კახეთში) და, ალბათ ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში მათი გენეზისის ხანად სწორედ VI საუკუნე მიიჩნეოდა [Чубинашвили 1959: 141-186]. ძეგლზე დადასტურებულმა სტრატეგოფიულმა ვითარებამ და თანმხლებმა არტეფაქტებმა კი ცხადლივ დაგვარწმუნა, რომ მსგავსი აღნაგობის ბაზილიკების ნიმუშები კახეთში მაინც, უკვე IV საუკუნეშივე იგებოდა.

არქეოლოგიურ-სტრატეგოფიულ, ხუროთმოძღვრულ-სტილისტურ ანალიზზე და, სულ ბოლო ხანს კი ევროპის რეიტინგული უნივერსიტეტების შესაბამის ლაბორატორიებში (გლაზგო, პოზნანი), ჩატარებული რადიოკარბონული ნალიზების შედეგებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკა არაუგვიანეს IV ს-ის ბოლო მეოთხედშია აგებული, დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის მშენებლობა კი IV-V სს-თა მიჯნაზე დაწყებულა. დოლოჭოპის პირველი ფაზის სამეკლესიანი ბაზილიკის ნგრევის ხანად კი C-14 ანალიზით ახ.წ. 387 წელი მივიღეთ (ცხადია, დასაშვები ცდომილებებით). ეს შედეგები უკვე მრავალი ცნობილი ქართველი თუ საზღვარგარეთელი ისტორიკოსი-მეცნიერის მიერაა აღიარებული საერთაშორისო კონფერენციების მასალების, სამეცნიერო პუბლიკაციების თუ ადგილზე დამატებითი კვლევების საფუძველზე.

ამრიგად, იბერიის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაქალაქარის აღნიშნულ ნატაძრალთა კვლევებმა ფაქტობრივი არქეოლოგიური საბუთებით დაადასტურა ქართულ წერილობით წყაროებში შემონახული ცნობა იმის თაობაზე, რომ პირველივე ქართული ქრისტიანული ტაძრები, მართლაც იბერიის ხელისუფალთა მიერ იმჟამინდელი ქრისტიანული კულტურის ცენტრებიდან მოწვეული ან იქაურ ეკლესიათმშენებლობის მეთოდებს კარგად ნაზიარები ადგილობრივი ხუროთმოძღვრების და ოსტატთა ხელმძღვანელობით იგებოდა. ქართველი და საზღვარგარეთელი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის ამჯერად უკვე სავსებით ცხადი გახდა, რომ IV და V საუკუნეების განმავლობაში ქართლის სამეფოში ისეთივე ცხოველი, გამართულ ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტაძართმშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა, როგორც გვიანანტიკური სამყაროს ყველა დაწინაურებულ ქრისტიანულ რეგიონში.

მიუხედავად აღნიშნულ ეკლესიათა აღნაგობის სარწმუნო თეორიული რეკონსტრუქციისა და მათი აგების ხანის შესახებ მიღებული ცალსახა შედეგებისა, ჩვენი კვლევითი ჯგუფი განაგრძობს არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ-ანალიტიკურ სამუშაოებს მათში თავდაპირველად მიმდინარე სალიტურგო პროცესებისთვის დაზუსტების მიზნით. სწორედ ამ სამუშაოების ფარგლებში, ჭაბუკაურისა და დოლოჭოპის ბაზილიკებში, იატაკებზე გავლებული საკონტროლო ჭრილებით ქართული ეკლესიებისათვის დღემდე უჩვეულო ელემენტების კიდევ ერთი წყება დადასტურდა. კერძოდ, ამ ბაზილიკათა ცენტრალურ ნავეებში, აღმოსავლეთიდან მე-3 და მე-4 წყვილ სვეტებს შორის, ანუ ზუსტად ნაოსების ცენტრში მოწყობილია ე. წ. ქვა-ყუთის ტიპის ოსუარიუმები, რომლებიც თავდაპირველად ქვით ნაგებ კრიპტისებრ სივრცეებში ყოფილა ჩადგმული.

ერთ შემთხვევაში - ჭაბუკაურის ბაზილიკაში, ზედ ტაძრის გრძივ ღერძზე, აღმოსავლეთიდან მე-3 და მე-4 წყვილ სვეტებს შორის, ანუ დარბაზის შუაგულში, იატაკიდან დაახ. 0.5 მ-ით დაბლა აღმოჩნდა მოზრდილი, ქვაყუთის ტიპის სამარხი აკლდამა (სიგრძე -2.15 მ, სიგანე - 0.77 მ, სიმაღლე -0.45 მ) (ტაბ. I - 2,3). ის კარგად ნათალი, მართკუთხა ფორმის, 0.5-0.8 მ სისქის ოთხი კირქვის ფილითაა შეკრული, ხოლო ზემოდან ასეთივე მასალისა და სისქის, მართკუთხედთან მიახლოებული ფორმის 3 ფილა ეფარა. ქვის ფართო, ანალოგიური სტრუქტურის ბრტყელი ფილები იყო დალაგებული



აკლდამის ფსკერზეც. ქვაყუთის გახსნის შემდეგ, ზოგადად ადრეული შუა საუკუნეების ქვის სამარხებისგან და ამავე ტაძრის მიდამოებში გათხრებისას მიკვლეული, კონსტრუქციულად ამის მსგავსი ქვა-ყუთებისგან სრულიად განსხვავებული სურათი დაფიქსირდა: მასში რამდენიმე მიცვალებულის ძვლოვანი ნეშტი (არანაკლებ 3-ისა) გამოტილ, ქრისტიანულ პოზაში ან მიხვეტილ-მიწეულ მდგომარეობაში კი არ ენყო, არამედ დანანევრებულად, თუმცა მოწესრიგებულად იყო ჩალაგებული. ამრიგად, ცხადი გახდა, რომ აქ სახეზე იყო რაიმე ნიშნით გამორჩეულ სასულიერო პირების ან წმინდანად მიჩნეულ მონამეთა ნეშტების მეორადი, ე. წ. ბერული წესით დაკრძალვა [ბახტაძე და სხვ, 2020: სურ. 25]. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაძრის ამ დარბაზში სასულიერო თუ საერო პირთა ჩვეულებრივი სამარხები არ დადასტურებულა.

მეტად საყურადღებოა, რომ არქეოლოგიურმა კვლევამ შემდეგი გარემოებაც დაამტკიცა: აკლდამა თავდაპირველად პირდაპირ მიწაში კი არ ყოფილა ჩადგმული, არამედ ქვით ნაგებ და გადახურულ (ალბათ ხის ძელებით) კრიპტაში მოუწყიათ. ამის დასტურია ქვაყუთის გარე პერიმეტრიდან 60-70 სმ-ით დაცილებულად შემოყოლებული, 50-60 სმ სისქის ქვის კედლის ნაშთები. ეს კონსტრუქცია ფლეთილი კირქვის, ბაზილიკის კედლების ანალოგიური ბლოკებითაა ნაგები დულაბის ხსნარზე. მისი მოზრდილი ფრაგმენტები დადასტურდა აკლდამის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეში. კრიპტის კედლის დანარჩენი ნაწილები, რომლებიც აკლდამის ირგვლივ კუთხეებმომრგვალებული მართკუთხა გეგმის სივრცეს ზღუდავდა, ალბათ მიწისძვრის დროს შიგნითვე ჩაიქცა და გათხრებისას ნაშალი ქვების სახითა იყო შემორჩენილი.

ასეთი გრანდიოზული, დიდი ალბათობით საეპისკოპოსო ტაძრის ცენტრში, საგულდაგულოდ ნაგებ კრიპტაში ჩადგმული ქვის ლუსკუმა, თავიდანვე გამორჩეულ სასულიერო პირთა ძვალშესალაგის, ან სულაც წმინდანთა სანაწილის, „ოსუარიუმის“ (ლათინ.) ასოციაციას იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფაქტობრივად ზედ აკლდამის სახურავის ფილაზე დადგმული აღმოჩნდა მოზრდილი (h - 38 სმ, პირის d - 20 სმ) ყურიანი თიხის ჭურჭელი (დიდი ალბათობით საღვინედ მოსახმარი), რომელიც სტრატიგრაფიული კონტექსტით აშკარად ამ დასაკრძალავი კომპლექსის ნაწილია - მისი სარქველდაფარებული პირი ბაზილიკის ფუნქციონირებისას კრიპტის სახურავიდან და იატაკის მოპირკეთებიდან ოდნავ იქნებოდა შემალღებული (ტაბ. I - 7). ლიტურგიის დროს, ამ ჭურჭელში ჩასხმული ღვინო ალბათ სანაწილის მნიშვნელობის ხაზგამსმელ სიმბოლოს - ქრისტეს სისხლს განასახიერებდა და ევქარისტიის დროს გამოიყენებოდა.

დოლოჭოპის დიდ ბაზილიკაშიც არსობრივად მსგავსი სურათი დადასტურდა: ზუსტად ტაძრის ნაოსის ცენტრში (ამ შემთხვევაში მთავარი შესასვლელების დამაკავშირებელი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძების გადაკვეთაზე), განსაკუთრებული პატივით - ქვის სასთუმალზე დასვენებული თავით და მალლა შემართული მაკურთხებელი მარჯვენით, კრამიტებით მოგებულ ფსკერზე ჩასვენებული იყო ერთი ინდივიდის, დიდი ალბათობით მაღალი იერარქიის სასულიერო პირის ნეშტი (იქნებ, ამ ტაძრის მაშენებელი ეპისკოპოსისა) (ტაბ. II - 3).

ხაზგასმული პატივით მოწყობილი სამარხი იმის დაშვების უფლებას გვაძლევს, რომ ეს ქვაყუთიც, მასში დაკრძალული უაღრესად მაღალი იერარქიის სასულიერო პირის ნეშტით, მსგავსად ჭაბუკაურის ბაზილიკაში დაფიქსირებული ასეთივე აღნაგობის, სავარაუდოდ წმინდა ნაწილთა დასაბრძანებელი რელიქვარიუმია [ბახტაძე და სხვ, 2020: 121]. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ სამარხის აღმოსავლეთ მიმდებარე ფართობზე, VI საუკუნეში დანგრეული ბაზილიკის იატაკი, დაახ. 4 კვ. მ. ფართობზე, რაღაც ხელოვნურ მიწისქვეშა სივარითელებში ჩანოლილ მდგომარეობაში დაგვხვდა (დასავლეთით, ამავე ღრმულის გაგრძელება ვერ შემორჩებოდა, ვინაიდან მასში ოდნავ მოგვიანებით, „დამოკლებული“ ბაზილიკის დასავლეთ კედლის საძირკველი მოუწყიათ და მიმდებარე ფართობებიც საგულდაგულოდ მოუტკეპნიათ). ამ ღრმულში მრავლად იყო

მიმოფანტული კირ-ბათქაშში არეული სამშენებლო ქვები და, ბაზილიკის ნგრევისას სახურავიდან ჩაცვენილი კრამიტების და ანტიფიქსების ფრაგმენტებიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი დაზიანების გამო ჩვენ ამ მინისქვეშა სტრუქტურაში ჩაშენებული კედლების კონფიგურაცია ვერ დავადგინეთ, ვფიქრობთ, რომ აქაც ბაზილიკის იატაკის ქვეშ მონყობილ კრიპტის ნაშთთან გვაქვს საქმე. შესაძლოა, აღნიშნული ქვაყუთი, ოდესღაც სწორედ ქვითკირით ამოყვანილ ისეთივე სარდაფისებრ კონსტრუქციაში იდგა, როგორც ამავე ბაზილიკის საკურთხევლის ქვეშა ლუსკუმა ან ჭაბუკაურის ბემის ცენტრის სავარაუდო ოსურიუმი. დიდის ალბათობით, VI საუკუნის მინისძვრის დროს დანგრეული ეს კრიპტა, ტაძარში ოდნავ მოგვიანებით ჩატარებული რესტავრაცია-რეკონსტრუქციისას, სეისმური უსაფრთხოების სხვა ღონისძიებათა ფარგლებში, მსგავსად საკურთხევლის ქვეშა საძვალისა გააუქმეს, ოღონდ მასში ჩადგმული ქვაყუთი წმინდანის ნეშტითურთ, აქ ადგილზე დატოვეს.

როგორც ვხედავთ, როგორც ჭაბუკაურის, ისე დოლოჭოპის ბაზილიკების შუა ნაგებობის ცენტრებში მონყობილი ამ ქვაყუთის ტიპის სამარხების ირგვლივ დადასტურდა დაკრძალვის დროსვე მონყობილი აკლდამებისა თუ უჩვეულო ნაგებობათა საძირკვლების ნაშთები, რომლებიც თვით ამ ლუსკუმათაგან განსხვავებით, მოგვიანებით მოუშლიათ. ამგვარად, ორივე ტაძარში სავარაუდოა ნაოსების ცენტრში, იატაკიდან მეტ-ნაკლებად შემალღებული სტრუქტურების არსებობა, საძირკველქვეშ მონყობილი სამარხებით თუ საძვალეებით. განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობის პირთა სამარხების მონყობა ქრისტიანული ტაძრის პრაქტიკულად ყველა ზონაში შეიძლება დავუშვათ, ამაში უჩვეულო არაფერია. მაგრამ მათზე ზომიერად თხელი და ბრტყელი საფლავის ქვები თუ შეიძლებოდა დაენყოთ - მაღალი სარკოფაგები, გვიანანტიკური თუ განვითარებული შუა საუკუნეების დასავლეთ ქრისტიანული სამყაროსთვის ჩვეული ტიპისა, უკლებლივ ტაძრის კიდეებში დგას ხოლმე, კედლებთან ახლოს. მაშ სხვა რა ნაგებობებთან შეიძლება გვექნდეს საქმე ტაძრის ნაოსის ცენტრებში? აქ ხომ შეუძლებელია რომელიმე კონკრეტული მიცვალებულის სახელზე აგებულ მემორიალური, თუნდაც მომცრო ზომის ნაგებობა ვიგულისხმოთ (ვთქვათ, ღია ფანჩატურის, ბალდახინის ტიპისა), რაოდენ მაღალ სასულიერო თუ საერო იერარქიის წარმომადგენლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ გარდაცვლილნი - ასეთი რამ, ქრისტიანული ტაძრების გეგმარებითი სტრუქტურისთვის, მით უფრო ცენტრალური სალიტურგიო სივრცეებისთვის სრულიად უცხოა.

აქ კი, რადგანაც ლიტურგიას შევხებით, შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ მე-20 საუკუნისა და თანამედროვე არაერთი უცხოელი მკვლევარის დაკვირვებით, ადრეულ ბიზანტიურ სამყაროს უძველეს ქრისტიანულ ბაზილიკებში, განსაკუთრებით მრავლად კი ჩრდილოეთ და დასავლეთ სირიაში, ეკლესიების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ყოფილა ნაოსის ცენტრში ჩადგმული ქვის ან ხის ბემა - შემალღებული კათედრა, საიდანაც ლიტანიის ფარგლებში გარკვეულ ლოცვებს კითხულობდნენ მღვდლის ხარისხიანი სასულიერო პირები. ქართველი და არაერთ სხვა ქვეყნის ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები ტერმინით “ბემა” ათწლულების განმავლობაში აღნიშნავდნენ საკურთხევლებთან დასავლეთიდან მიმდებარე სივრცეს ამბიონამდე. როგორც ჩანს ეკლესიების საკრალური სივრცის ეს ელემენტი, რომლის ბერძნული სახელწოდება (Bema – ნაბიჯი, ასაბიჯებელი საფეხური), მართლმადიდებლურ ეკლესიებში გვიანდელი ლიტურგიული წესების დამკვიდრების შედეგად იქნა გაიგივებული *პრესბიტერიუმთან* – საკურთხევლის შემალღებასთან *სოლეის* მახლობლად.

ადრეობიზანტიურ ხანაში კი სირიის აღნიშნულ პროვინციებში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეკლესიის დარბაზის შუაგულში მდგარა წრიული, ნახევარწრიული ან მართკუთხა გეგმის, საფეხურებით ასასვლელი კათედრები, მაგრამ მათი უმრავლესობა, მოგვიანებით, VIII-IX საუკუნეში მოუშლიათ ლიტურგიკის კანონიკის ცვლილების გამო.

თუმცა, დღესაც კი, ამ მხარეების რამდენიმე ეკლესიაში გვხვდება როგორც წრიული, ისე ნახევარწრიული და მართკუთხა გეგმის ბემების ნანგრევები ან გეგმის დონეზე შემორჩენილი მათი კვალი (ტაბ. 4 – 3-7). რამდენიმე ტაძარში ბალდახინისა და საკურთხევლისკენ მიმართული სამეუფეო ტახტების ნაშთებიცაა შემონახული. სამ ეკლესიაში, ასეთი ქვის ტახტები, მეტ-ნაკლებად ადგილმონაცვლებულად, მაგრამ თითქმის ყველა ელემენტიანადაც კი არის შემორჩენილი. ისინი რელიეფური სიმბოლიკით, აგრეთვე არამეული და ბერძნული წარწერებითაა შემკული. ბემების ირგვლივ, ბევრგანაა შემორჩენილი იატაკების მოზაიკური შემკულობა, სადაც ორნამენტებთან ერთად ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებებიც გვხვდება [Loosley 2012: 110-115; Taft 1995: 338-339].

ამ დანიშნულების კონსტრუქციათა დღემდე შემორჩენილი ნაშთების ფრაგმენტულობის გამო, მეცნიერთა შორის არაერთი განსხვავებული მოსაზრება არსებობს მათი ზედმიწევნითი სტრუქტურული და ლიტურგიკული დანიშნულების შესახებ. ეს არც არის გასკვირი, რადგან აღმოსავლურ-ქრისტიანული რეგიონების საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესახებ ამჟამად შედარებით გამოცოცხლებული ინტერესისა და რამდენადმე მომრავლებული პუბლიკაციების ფონზეც კი, სირიის, ერაყის, ირანის და რამდენიმე მომიჯნავე ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე სამრევლო და სამონასტრო ეკლესიები ბოლო ათწლეულებში არქეოლოგიურად მეტად ეპიზოდურად შეისწავლება. ამის მიზეზი უპირველესად აღნიშნულ რეგიონებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამეფებული მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირებები და სამხედრო მოქმედებებია. ამდენად, ახალი მოსაზრებები ამ ეკლესიების ხუროთმოძღვრული გეგმარებისა თუ მათში სავარაუდოდ მიმდინარე ლიტურგიული პროცესების თავისებურებების შესახებ, ძირითადად ისევ ათწლეულების წინ მათი ნანგრევების ზედაპირული მიმოხილვისას გამოტანილი დასკვნებითაა შემაგრებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეკლესიათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებულია - მათი განვრცობის სურათი მე-20 საუკუნეში გამოქვეყნებულ ნუსხებში დაფიქსირებულ რეალობასთან შედარებით გაცილებით სავალალოა. განსხვავებულია იმ წერილობითი წყაროების ინტერპრეტაცია, სადაც აღნიშნული ელემენტების დანიშნულებაზეა საუბარი.

ზოგადად ცნობილია, რომ ტაძრის ცენტრში აღმართული კათედრა იუდეურ კულტმსახურებაში, სინაგოგებშიც გამოიყენებოდა. ამ მოწყობილობას, მთელი რიგი თეოლოგები ძველი აღთქმის პირველ მღვდელმთავარ აარონის მაღალდასაჯდომელის სიმბოლურ განსახიერებას უკავშირებენ [Loosley 2012: 34]. ქრისტიანულ ეკლესიებში ამ ელემენტის გადმოტანის და ადრეული ლიტურგიების ფარგლებში მისი კანონიზირების ფაქტი მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე მკვლევართა მსჯელობის საგნად არ ქცეულა. სერიოზულად ეს საკითხი პირველად ფრანგმა ხუროთმოძღვრების ისტორიკოსმა გ. ჩალენკომ დააყენა. სწორედ მან დააფიქსირა თავისი ცნობილი ექსპედიციების დროს, მე-20 ს-ის 50-იან წლებში, სირიის დასავლეთ და ჩრდილოეთის ნაწილებში IV-VI საუკუნეების მრავალი ისეთი დარბაზული და ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევი, რომელთა დარბაზების ცენტრებში, აშკარად იკითხებოდა ქვის კონსტრუქციათა ნაშთები, რომლებიც დარწმუნებით მიგვანიშნებს მათზე ოდესღაც დაფუძნებული, შემადლებული პლატფორმის არსებობაზე [Tchalenko, 1990: 120-137, 209-210; Loosley, 2012: 30].

მხოლოდ ლოგიკური მსჯელობითაც კი ცხადი იყო, რომ ეკლესიების ცენტრში ასე დომინანტურად, პომპეზურად შემართული და მორთული კათედრა, ჯერ კიდევ იუდეურ რელიგიაში მკაფიო იდეოლოგიით დატვირთული მსგავსი ელემენტისამებრ, ქრისტიანული ლიტურგიის პროცესშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, გამორჩეული სიმბოლიკის მქონე ადგილად მოიაზრებოდა.

სირიის და მიმდებარე რეგიონების ტაძრებში არსებული ამგვარი ელემენტების ლიტურგიკულ მნიშვნელობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს VI ს-ის სირიული წყაროში "Eqspozitio Oficiorium"-ში შემონახული ცნობები. აქ ნათქვამია, ბემა გოლგოთას განასახიერებს, ის 11 სვეტზე არის დაყრდნობილი, რაც ქრისტეს 11 მოციქულის სიმბოლოაო. ზემოთ მოწყობილია პლატფორმა, რომელზე მდგარი (თუ მჯდომი) მღვდელმსახურები კითხულობდნენ ლოცვებს (თუმცა, იქ მღვდელმთავრები არ ისხდნენ). ბემა გაიგივებული ყოფილა იერუსალიმთან და ქრისტეს საფლავთან. ანუ, თუკი ეკლესია მიკროკოსმოსს განასახიერებდა, ბემა მის მინიერ ცენტრად მოიაზრებოდა [Eqspozitio Oficiorium, 1966: 56, 57]. ამ ცნობისა და აღნიშნული ელემენტების შემცველ ეკლესიათა შესწავლის კვალობაზე, მკვლევართა შორის დღეს უკვე მყარადაა აღიარებული აზრი, რომ თუკი ზოგადად ქრისტიანული ტაძარი სიმბოლურად სამყაროს მოდელს განასახიერებდა, მის ცენტრში მდგარი ბემა გაიგივებული იყო როგორც იერუსალიმთან, ისე გოლგოთასთანაც, იმავდროულად ადამის საფლავთან და შესაძლოა, ქრისტეს სამარხთანაც.

ზოგიერთი ლიტურგისტის აზრით, ბემა მხოლოდ მოგვიანებით ტრანსფორმირდა ამბიონად და იგივე ფუნქცია შეიძინა, რასაც ადრე ნავის ცენტრში მდებარე ბემა ასრულებდა. ამბიონი (Amvon) ბერძნულად ამალლებას, ამალლებულ ადგილს ნიშნავს და სიმბოლურად ეს ნახევარწრიული ფორმის პლატფორმა განასახიერებს წმინდა საფლავის ლოდს, რომელიც მთავარანგელოზმა გადააგორა აღდგომის შემდეგ. ბემის სწორედ ამგვარად გააზრებული სიმბოლიკის დასტური უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არქეოლოგიურად შესწავლილ ამ რიგის სირიულ ძეგლებში, მრავალგან გამოვლინდა მათ ქვეშე მოწყობილი წმინდანთა სანაწილეები თუ სამარხები [Chalenko, 1990: 209-210]. ადრეული სირიული ეკლესიების ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ მცირე ზომის ბემიანი ტაძრების დიდი ნაწილი, სულაც მარტირუმებიო [Tchalenko, 1990: 310]; თუმცა მე სავსებით ვეთანხმები მათ ოპონენტთა აზრს, რომ შეუძლებელია ასეთი დიდი ზომის, წირვის ჩასატარებელი სხვა ყველა კომპონენტით აღჭურვილ ბემიან ტაძრებს, მხოლოდ წმინდანთა მავზოლეუმების ფუნქცია ჰქონოდათ და არა სამრევლო ეკლესიებისა. ერთი რამ კი ცხადია: ამ დანიშნულების პლატფორმების ქვეშე მოწყობილ აკლდამებში წმინდანთა ნაწილების დაბრძანება ან სამარხების მოწყობა (საკურთხევლების ქვედა კრიპტების ანალოგიურად), როგორც ჩანს, ფრიად გავრცელებული მოვლენა ყოფილა სირიაში და ანტიოქიის საპატრიარქოსთან იურისდიქციულად დაკავშირებულ ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში.

აღსანიშნავია შემდეგიც: ამ საკითხით დაინტერესებული ზოგიერთი საზღვარგარეთელი მკვლევარი ვარაუდობდა, რომ დარბაზის ცენტრში მოწყობილი ბემები შუამდინარეთის ტერიტორიაზეც იყო გავრცელებული V საუკუნეში, სადაც მოსახლეობაზე ნესტორიანული ტრადიციების მონათესავე აღმოსავლურ-ქრისტიანული გავლენა მძლვრი იყო. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ერაყსა და სპარსეთის ყურის რეგიონებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებით, ასეთი კონსტრუქციები არც ერთ შესწავლილ ეკლესიაში არ გამოვლენილა [Cassis 2002: 205].

სირიის ბემიანი ეკლესიების მკვლევარი მეცნიერების აზრით, ეკლესიათა ამ საკრალური კომპონენტის შემდგომ გავრცელებას ქრისტიანულ სამყაროში მნიშვნელოვანწილად მისმა „მოუხერხებელმა მდებარეობამ“ და გაბარიტებმა შეუშალა ხელი. ამ რეგიონებში (და პრაქტიკულად ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში) ეკლესიათა დარბაზების დასავლეთის ნაწილები - დაახ. საერთო ფართის მესამედი, ისედაც წირვაზე ქალთა დასასწრებად იყო სპეციალური "თეჯირით" გამოყოფილი. პომპეზური ბემა და მის ირგვლივ სასულიერო დასის დგომის აუცილებლობა კი შეუსაბამოდ დიდი ფართობს აკლებდა ეკლესიაში მორწმუნეთა სამყოფელს. სწორედ ამ მიზეზით, დაახ. VII-VIII

საუკუნეებიდან ანტიოქიის ეპარქიის მართლმადიდებლურ ტაძრებში ასეთ პომპეზურ ტრიბუნებზე უარი უთქვამთ და სტაციონარული, ქვის ტრიბუნა-ტახტის ნაცვლად, ოდნავ შეცვლილი ლიტურგიის დროს გაცილებით მომცრო, თუმცა მაღალმხატვრულად შემკულ ხის სავარძელს დააბრძანებდნენ ხოლმე. შესაბამისად, შემცირდა ამ ტახტიდან წარმოთქმული ლიტანიის ხანგრძლივობაც წირვის პროცესში. უკვე არსებულ ბემიან, ფუნქციონირებად ტაძრების დიდ უმრავლესობაში, იმავე მიზეზით მომდევნო პერიოდებში - დაახ. VIII-IX საუკუნეებში, ეს პომპეზური კათედრები, დიდი ალბათობით გააუქმეს. ცხადია, ეს არ შეეხებოდა ბემების მინისქვეშა ნაწილებს - ოსუარიუმებს წმინდანთა ნაწილებით, რომელთა თაყვანისცემას კვლავაც გააგრძელებდნენ (მეცნიერთა ნაწილი რატომღაც ვარაუდობდა, რომ აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიებში, ბემამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და გაბარიტები გაცილებით დიდხანს შეინარჩუნაო. თუმცა, შუამდინარეთში და სპარსეთის ყურის რეგიონებში უკანასკნელ ათწლეულებში არქეოლოგიურად გათხრილ ეკლესიათა ცენტრალურ დარბაზებში, ამ ტიპის ქვის ნაგებობები არამცთუ მოგვიანო ხანაში, არამედ საერთოდ არ დადასტურებულა [Loosley, 2012: 122]).

როგორც ჩანს, ამის შემდეგ ბემებს ნაგების ცენტრალური ადგილის ნაცვლად განაპირა სივრცეებში, კედლების ან სვეტების მწკრივების მახლობლად აგებდნენ ხისგან, მნიშვნელოვნად შემცირებული ზომისას. კათოლიკურ ეკლესიებში დღემდეა შემორჩენილი ასეთი „გვერდით გადანაცვლებული“, ვინრო კიბეებით ასასვლელი ხის კათედრები.

სწორედ ჩამოთვლილი კონსტრუქციულ-ლიტურგიკული ელემენტების ზედმინწვნითი მსგავსებისა და ქართლის სამეფოს ქრისტიანიზაციის ხანაში ქართულ-ანტიოქიურ საეკლესიო ერთობის დამადასტურებელი ისტორიული დოკუმენტების გათვალისწინებით მეტად დიდია ალბათობა იმისა, რომ ჭაბუკაურის და დოლოჭოპის ტაძრების ნაოსის ცენტრში აღმოჩენილი ქვის ოსუარიუმებიც აქ თავდაპირველად აღმართული ქვით ან ხით ნაშენი ბემების მინისქვეშ შემონახული ნაშთებია.

\*\*\*

### **დანართი: სავარაუდო ბემები საქართველოს ზოგიერთ უძველეს ეკლესიაში.**

ნაქალაქარ ნეკრესის უძველეს ქრისტიანულ ტაძრებში ამ ელემენტების დადასტურებამ გაგვიჩინა ეჭვი იმის თაობაზე, მსგავსი კონსტრუქციები საქართველოს სხვა ადრექრისტიანულ ეკლესიაშიც ხომ არ იყო ბოლო დრომდე შემონახული. უპირველეს ყოვლისა მეხსიერებაში აღვიდგინეთ კახეთის რეგიონში ჩვენ მიერ არქეოლოგიურად გამოკვლეული ამ ეპოქის ნაეკლესიარები და მართლაც, ერთგან მსგავსი ელემენტის დანამდვილებით არსებობა, ვგონებ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს გახლავთ არეშის ნაქალაქარის ტყის უბნის ტერიტორიაზე მდებარე სამეკლესიიანი ბაზილიკა (ტაბ. IV -1) [ჭილაშვილი 1991: 118-123]. ეკლესია თავისი ხუროთმოძღვრული აღნაგობით, ზომებით და სამშენებლო ტექნიკით მეტად ახლოს დგას ამავე ნაქალაქარზე ჩვენ მიერ არქეოლოგიურად გამოვლენილ „უსახელო ბორცვის“ სამეკლესიიან ბაზილიკასთან, რომლის პირველი ქრონოლოგიური პლასტის აგების თარიღად, თანმხლები არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, აკადემიკოსი ლ. ჭილაშვილი IV ს-ს მიიჩნევდა (უნდა ითქვას, რომ ბ-ნი ლ. ჭილაშვილი, ისევე როგორც ამ ნაქალაქარზე და მთელ რეგიონში დადასტურებულ უძველეს სამეკლესიიან ბაზილიკებში, ამ ეკლესიებშიც ორ ფაზიან მშენებლობას ხედავდა: ე.წ. გარშემოსასვლელებსა და ცენტრალურ კორპუსებს განსხვავებულ ეპოქებს აკუთვნებდა - ცენტრალურ დარბაზებს IV ს-სად თვლიდა, გარშემოსავლელ გალერეებს კი VI ს-ის მინაშენებად [ჭილაშვილი 1991: 57]. თუმცა, ჩვენი შემდგომი კვლევებით, დიდ უმრავლეს შემთხვევებში, ამ რიგის სამეკლესიიან ბაზილიკებში აღნიშნული ელემენტები თანადროული აღმოჩნდა).

ტყის უბნის ბაზილიკა კირის ხსნარზეა ნაგები, შერჩეული ნაფლეთი და რიყის ქვებით. ცენტრალური დარბაზის ცენტრში, საკურთხეველის საპირისპიროდ დგას სტრატეგრაფიულად ეკლესიის თანადროული, თითქმის კვადრატული გეგმის ( 1.0 X 1.1 მ), 1.1 მ სიმაღლის ქვიტკირის ბაქანი, რომელის ზედაპირი ოდნავ დაზიანებულია, თუმცა მისი თავდაპირველი სიმაღლეც დაახ. ასეთი უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთ სიბრტყეზე დატანილი აქვს ფართო ნიში (0.4 X 0.36 მ, სიღრმე 0.56 მ). ამ ნიშს ლ. ჭილაშვილი, დღემდე აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული წარმართული სალოცავი ნიშების ასოციაციით, წინარე წარმართულ სამლოცველოდ მიიჩნევდა, რომელზედაც დააშენეს ეკლესია და მან გარკვეული ახალი ფუნქცია შეიძინა [ჭილაშვილი 1991: 121]. ჩვენ წარმართული ნიშისა და ქრისტიანული ეკლესიის ასეთი სიმბიოზი არარეალურად გვეჩვენება. სამაგიეროდ, ეკლესიაში მისი მდებარეობით და ზედაპირის ფართობით ეს კონსტრუქცია თავისუფლად შეიძლება აღვიქვათ როგორც ბემას ერთგვარი ვარიაცია - მასზე თავისუფლად დაიდგმებოდა ხის სამეუფეო ტახტი. პლატფორმაზე ასასვლელი საფეხურიც ასევე ხისგან იქნებოდა დამზადებული. აღმოსავლეთიდან ამ პლატფორმის სიბრტყეში დატანებული ნიში კი გარკვეული დანიშნულების სალიტურგიო ნივთის/ნივთების მოსათავსებლად გამოდგებოდა (დავუშვათ, აქაც სიმბოლური, საზიარებლად მომზადებული ღვინის ჭურჭლისა, ჭაბუკაურის საღვინე დოქის მსგავსად). არ უნდა გამოირიცხოს, რომ სალიტურგიო სივრცის ეს ელემენტი, ნაქალაქარ არემის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ გათხრილ, იმავდროულ სხვა ეკლესიებშიც შეიძლება იმდგარიყო, მაგრამ სხვა სტრუქტურისა - უფრო ხისგან დამზადებულები (როგორც ეს სირიაში და სხვა ადრექრისტიანულ ქვეყნებშიცაა დადასტურებული), ამიტომაც ეკლესიების დანგრევის შემდეგ გასული საუკუნეების განმავლობაში, მინად ქცეულ ფენაში უკვალოდ დაიშალა. ცხადია, ამ ვერსიის არსებობა სულ მცირე იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ადრექრისტიანული ეკლესიების ცენტრალური დარბაზის არქეოლოგიური კვლევისას, კონსტრუქციების შესაძლო სულ მცირე ნაშთების ფიქსაციისას მეტი დაკვირვებულობა უნდა გამოვიჩინოთ.

რაც შეეხება საქართველოს დღემდე ზეზეულად შემორჩენილ ადრექრისტიანულ ეკლესიებს, ცხადია სავარაუდო ბემების ნაშთები იქ მხოლოდ იატაკების ქვეშ თუ იქნება შემორჩენილი - თვით შემალღებული პლატფორმები ლიტურგიის სტილის ცვლილების შემდეგ, მსგავსად სირიული ეკლესიებისა, ნაოსის ცენტრალურ ნავში მლოცველების რაოდენობის გაზრდის მიზნით ჩატარებულ რეკონსტრუქციას შეეწირებოდა. მათი იატაკებზეა სივრცეები კი, ოსუარიუმები თუ კრიპტები, იქნებ დღესაც ადგილზეა შემონახული, დოლოჭოპის და ჭაბუკაურის ბაზილიკების მსგავსად. IV-VI საუკუნეების ზოგიერთ ქართულ ქრისტიანულ ტაძარში, შემდეგში მოსწორებული იატაკების ქვეშ, შესაძლოა შემორჩენილი იყოს მანამდე იქ არსებული ქვისა თუ ხის ბეზათა კონსტრუქციების საფუძვლები თუ არა, მხოლოდ განსაკუთრებულად მოწყობილი აკლდამები თუ ქვაყუთების ნაშთები მაინც, მათში ჩასვენებული წმინდა ნაწილებითურთ (კონკრეტული წმინდანის სრული ძვლოვანი ნაშთი ამ სხვადასხვა წმინდა მოწამეთა ნაწილები).

მაგალითად, შესაძლოა სწორედ ამგვარი კონსტრუქციის ნაშთთან გვაქვს საქმე მცხეთის ჯვრის ტაძრის ცენტრში მდგომი კვარცხლბეკის სახით (ტაბ. IV -2). ეს გახლავთ დაახ. 3.2 მ დიამეტრის წრეხაზში ჩანერილი რვაკუთხედის გეგმის, 1.50 სიმაღლის ქვითკირის კონსტრუქცია, რომელიც ზუსტად ისეთი ქვიშაქვის ნათალი ფილებითაა ნაგები, რითაც თვით ტაძარი. კვარცხლბეკის ზედაპირი ამჟამად მეტ-ნაკლებად მოსწორებულია, თუმცა ეტყობა, რომ თავდაპირველი დამაგვირგინებელი კონფიგურაცია ნაშლილია. უეჭველია, რომ ამ ზედაპირზე ასასვლელად დასავლეთიდან

ასეთივე ნათალი ქვის საფეხურები ყოფილა მოწყობილი (კიბის 2 საფეხური დაზიანებული სახით დღემდეა შემორჩენილი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში, წერილობით წყაროებსა და ზეპირ საეკლესიო ტრადიციებზე დაყრდნობით ერთსულოვნადაა მიღებული აზრი, რომ ეს ნაგებობა ქართლის ქრისტიანიზაციის ხანაში მეფე მირიანის მიერ აღმართული ხის ჯვარის კვარცხლბეკს წარმოადგენს, რომელიც რელიქვიის სახითაა დატოვებული მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ინტერიერში [ბერიძე 1974: 103]. ეს მოსაზრება თითქოს ლოგიკურია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე აღმართული ჯვარი - ორიგინალის ნაშთი ან განახლებული იმიტაცია, ისტორიული ხასიათის მოგზაურობა-აღწერისა თუ კვლევისას, მოხილვად წარსულში არსად ფიქსირდება. დღესდღეობით ხელმოსაკიდ შედეგს ვერ მოგვცემს იმაზე საუბარი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ გარემოზე ისედაც გაბატონებულ მთაზე ხის, უთუოდ ფრიად დიდი ჯვარის აღსამართად დამატებით 1.5 მ სიმაღლის, ნათალი ქვით მოპირკეთებული კვარცხლბეკის მოწყობა (ეს მთა ხომ ისედაც ერთ გრანდიოზულ პედესტალს წარმოადგენდა მცხეთის შემოგარენის ტერიტორიებიდან ჯვრის გამოსახულების მოსახილველად). ერთი რამ კი უდავოა - ეს კონსტრუქცია, თუკი შემდგომი კვლევით ის ტაძრის თანადროული აღმოჩნდება, ნაოსის ცენტრში მდებარეობით, სიმაღლით, სავარძლის მოსათავსებლად მოხერხებული ზედაპირითა და მასზე ასასვლელი საფეხურებით, სავსებით შესაძლებელია VI საუკუნეში ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთ პროვინციების ქრისტიანულ ტაძრებში ესოდენ ფრიად გავრცელებული ლიტურგიკულ ელემენტად - ბემად მიგვეჩნია.

#### **ბიბლიოგრაფია:**

**ანდლულაძე და სხვ. 1984:** ანდლულაძე ნ., თუმანიშვილი დ., საყვარელიძე თ., ბოლნისის სიონის საკითხისთვის. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3*. თბ.

**ბახტაძე 2012:** ბახტაძე ნ. დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. - ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურ. „კადმოსი“, №4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ.

**ბახტაძე 2010:** ბახტაძე ნ. ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19*. თბ.

**ბახტაძე 2018:** ბახტაძე ნ. უძველესი ბაზილიკების არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში და მოსაზრებანი პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების აღნაგობის შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1*. თბ.

**ბახტაძე და სხვ. 2020:** ბახტაძე ნ., მამიაშვილი ვ., გაბეხაძე ბ., ჩხვიმიანი ჯ. *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები*. თბ.

**ბახტაძე და სხვ. 2010:** ბახტაძე ნ., თევდორაშვილი ნ., ბაგრატიონი გ. *ნეკრესი. ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის*. თბ.

**ბერიძე 1974:** ბერიძე ვ. *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბ.

**თუმანიშვილი 2008:** თუმანიშვილი დ. უძველესი ქართული საეკლესიო ნაგებობების გამო. *გზაჯვარედინზე* (რედ. ი. ხუსკივაძე). თბ.

**კიკნაძე, მირზაშვილი 1985:** კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ., რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი. *კრიტიკა, №6*. თბ.

**კიკნაძე, მირზაშვილი 1987:** კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ., კულტურის ისტორიის კვლევის მეთოდებისთვის. *კრიტიკა, №2*. თბ.


**მამაიაშვილი 1964:** მამაიაშვილი ნ., ქალაქი ჭერემი. თბ.

**ციციშვილი 1995:** ციციშვილი ირ. - *ქართული ხელოვნების ისტორია*. თბ.

- ჩუბინაშვილი 1936:** ჩუბინაშვილი გ. - *ქართული ხელოვნების ისტორია*. ტ.1. თბ.
- ჭილაშვილი 1991:** ჭილაშვილი ლ. არქეო. თბ.
- ჭილაშვილი 1964:** ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ.
- Bank 1985:** Bank A. *Byzantine Art in the Collections of Soviet Museums*. Leningrad.
- Bakhtadze და სხვ. 2018:** Bakhtadze N., Mamiashvili V., Gabekhadze B., Chkhvimiani J. *An Archaeological Study of the Ancient Churches in the Former City of Nekresi*. Wojnowice.
- Bakhtadze 2019:** Bakhtadze N. The Oldest Basilicas Revealed in Former City of Nekresi. *Iberien zwischen Rom und Iran, Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens in der Antike*. Edited by F. Schlicher, T. Stickler und U. Hartmann, Stuttgart.
- Cassis 2002:** Cassis M. The Bema in the East Syriac Church in light of new Archaeological Evidence. *Hugoye: Journal of Syriac Studies*, 5 (2). 195-211.
- Connolly 1916:** Connolly R. H. ed. "Expositio officiorum ecclesiae, Georgio Arbelensi vulgo adscripta and Abrahæ Bar Lipheh interpretatio officiorum", *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium* 64, 71, 72, 76, *Scriptores Syri* 25, 28, 29, 32 (1911-1915).
- Djuric 1995:** Djuric S. *The Anawati collection, Catalog 1: Ancient Lamps from the Mediterranean*. Toronto.
- Krautheimer 1965:** Krautheimer R. *Early Christian and Byzantine Architecture*. London, Middlesex.
- Lofreda 2001:** Lofreda S. *Light and Life: Ancient Christian Oil Lamps of Holy Land*. Jerusalem.
- Loosley 2018:** Loosley E. *Architecture and Asceticism: Cultural Interaction between Syria and Georgia in Late Antiquity*. BRILL, Leiden, Boston.
- Loosley 2012:** Loosley E. *The Architecture and Liturgy of the Bema in Fourth to Sixth-Century Syrian Churches*. Leiden-Boston.
- Mango 1972:** Mango C. *The Art of the Byzantine Empire, 312-1453. Sources and Documents*. New-Jersey.
- Marsagishvili 2023:** Marsagishvili G. An Introduction to Georgian Architecture. *A story of Encounters. Georgia's Cultural, Artistic and Historical Heritage*. Hannibal: Art and History Museum. 82-87.
- Papadopoulou 2003:** Papadopoulou B. *Bronze Lamps and Polycandela: the Averof collection in the Baron Tositsas foundation museum Metsovo, Epirus, NW Greece*. Nyon, Geneve.
- Taft 1995:** Taft R. F. *Liturgy in Byzantium and Beyond*. Ashgate, Variorum.
- Tchalenko 1990:** Tchalenko G. Églises syriennes à bēma. *Bibliothèque archéologique et historique 105*, Paul Geuthner. Paris.
- Tchalenko, Baccache 1980:** Tchalenko G, Baccache, E. *Eglises de village de la Syrie du Nord*. 2 vols. Paris.
- Tumanishvili 1999:** Tumanishvili D. Georgian Architecture. *Georgian Culture*. Tb.
- Кондаков 1904:** Кондаков Н. *Археологическое путешествие по Сирии и Палестине*. Санкт-Петербург.
- Чубинашвили 1959:** Чубинашвили Г. *Архитектура Кахетии*. Тбилиси.
- Чубинашвили 1970:** Чубинашвили Г. К вопросу о начальных формах Христианского Храма. *Вопросы истории искусства*. Т. I. Тб. 36-43.



ՄՏԾ. I



1



2




3



4



5




6



7

Պատ. II



1




2




3



4



5



6

ცხ. III



1



2







3



4



ՇՏՑ. IV



**ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე  
აღმოჩენილი ქსოვილის სახეობები  
(პალინოლოგიური კვლევის მიხედვით)**

მაია ჭიჭინაძე, ელისო ყვავაძე, თამარ შალიკაძე,  
მირანდა თურმანიძე, ნინო ძნელაძე, იზოლდა დუმბაძე

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცული არტეფაქტებიდან აღებული ნიმუშები. სამარხეული მასალის მიკროსკოპიული კვლევის მიხედვით, ანტიკური ხანის ფიჭვნარში სხვადასხვა სახეობის ქსოვილს მოიხმარდნენ. ნიმუშებში განსაზღვრული ქსოვილის ბოჭკოების რაოდენობის მიხედვით, ვვარაუდობთ, რომ ანტიკური ხანის ფიჭვნარის მოსახლეობა სელის ქსოვილს ანიჭებდა უპირატესობას; მეთევზეებიც კი სელის ძაფს იყენებდნენ ანკესზე გამოსაბმელად და ბადის მოსაქსოვად.

პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ფიჭვნარში სელის გარდა კანაფს, ბამბას და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აბრეშუმსაც მოიხმარდნენ. უძველესი აბრეშუმის ბოჭკო საქართველოში, ძვ.წ. IV საუკუნის ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის, №1 სამარხის მასალაში (რკინის ლურსმანზე) აღმოჩნდა, უფრო მოგვიანებით აბრეშუმი ისევ ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული №274 სამარხიდან მოპოვებულ პალინოლოგიურ ნიმუშში (ამჯერად, რკინის ბეჭედზე) დაფიქსირდა.

ამ აღმოჩენით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა, უკვე ამ პერიოდში (და არა უფრო გვიან, ძვ.წ. II ს-ში) ფუნქციონირებდა.

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია ქობულეთ-ფიჭვნარში, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული ელინისტური ხანის სამაროვანზე, 2008 და 2010 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტებიდან აღებული ნიმუშები. არქეოლოგიური მასალა დაცულია ამ. კახიძის სახელობის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.

**მასალა და მეთოდები:**

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის, №240; №274; №294; №301; №302 სამარხებიდან მოპოვებული ორგანული ნაშთები საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში მიღებული სტანდარტული მეთოდით დამუშავდა [Moore და სხვ. 1991].

**შედეგების განხილვა:**

**ნიმუში №1** აღებულია ელინისტური ხანის სამაროვნის, №274 სამარხში აღმოჩენილი რკინის ბეჭდიდან, რომელზეც ქსოვილი იყო მიწებებული (**სურ. 1, 2**). პალინოლოგიური კვლევის თანახმად, ხე-მცენარეებიდან მხოლოდ მურყანია აღმოჩენილი. არაპალინოლოგიური სახის პალინომორფებიდან ბევრია ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედებისა და სახამებლის მარცვლების ნაშთები. ნიმუშში უმნიშვნელო რაოდენობის სოკოს სპორები გამოვლინდა. სოკოს სპორები განსაზღვრულია ვან გილის ნაშრომის მიხედვით [Van Geel B. 1996].

რკინის ბეჭდის ნიმუშში დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სელის ბოჭკო, შედარებით ნაკლებად იჩინა თავი ბამბამ. ბამბის ბოჭკოებს შორის თეთრთან ერთად შავად შეღებილიც აღმოჩნდა. ამავე ნიმუშში მცირე რაოდენობით აბრეშუმის ბოჭკოც გამოვლინდა (**სურ. 2**), რაც ფიჭვნარის სამაროვანზე აბრეშუმის ქსოვილის გამოვლენის მეორე შემთხვევაა [Kvavadze, Chichinadze 2020].

**ნიმუში 2** ელინისტური ხანის სამაროვნის, №294 სამარხში აღმოჩენილი ტყვიის სანაფიდან (ბადის საძირავიდან) არის აღებული (**სურ. 3**). პალინოლოგიური შესწავლის საფუძველზე, ამ ნიმუშში ცისფერი სელის ქსოვილის ბოჭკოები გამოვლინდა (**სურ. 4**).

**ნიმუში 3** ელინისტური ხანის №301 ე.წ. მეთევზის სამარხში აღმოჩენილ ანკესზე დახვეული ძაფიდან ავიღეთ (**სურ. 5, 6**). მიკროსკოპიულმა კვლევამ ამ ნიმუშში სელის ბოჭკოების არსებობა დაადასტურა. ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ანკესზე დახვეული ძაფი სელისგან დამზადებულად მივიჩნიოთ (**სურ. 7**).

**ნიმუში 4** აღებულია №301 სამარხში ნაპოვნი რკინის ლურსმნიდან, რომელზეც ხის ნაშთი იყო მიწებებული. ნიმუშში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბამბისა და სელის ბოჭკოები, კანაფის ბოჭკოს ნაშთები კი მცირე რაოდენობით დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ კანაფის ბოჭკო პირველად ამ რეგიონში, კერძოდ კი, ხუცუბნის არქეოლოგიურ მასალაში დადასტურდა [Chkhatarashvili და სხვ. 2020].

სამარხეულ მასალაში აღმოჩენილი სხვადასხვა სახეობის ქსოვილის ბოჭკოები მიცვალებულის სამოსის ან სუდარის არსებობას ადასტურებს [ყვავაძე 2016; ჭიჭინაძე და სხვ. 2021; Chichinadze, Kvavadze. 2013; Chichinadze და სხვ. 2019].

**ნიმუში 5** ასევე, №301 მეთევზის სამარხში ნაპოვნი რკინის ჩამკეტიდან არის აღებული. ამ ნიმუშში არაპალინოლოგიური სახის ნაშთებიდან სახამებლის მარცვლებთან ერთად ბამბისა და მცირე რაოდენობით სელის ქსოვილის ბოჭკოს ნაშთებია დაფიქსირებული [Kvavadze et al. 2009; 2010].

**ნიმუში 6** ბრინჯაოს ბალთაზე მიწებებული ქსოვილიდან ავიღეთ (**სურ. 8, 9**). მიკროსკოპიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ქსოვილი სელისგან არის დამზადებული (**სურ. 10**).

#### **კვლევის შედეგები:**

ფიჭვნარის სამარხებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ანტიკური ხანის ფიჭვნარის მოსახლეობა სხვადასხვა სახეობის, კერძოდ კი სელის, ბამბის, კანაფისა და აბრეშუმის ქსოვილებს მოიხმარდა [ყვავაძე 2016; ჭიჭინაძე და სხვ. 2021; Chichinadze, Kvavadze 2013; Chichinadze და სხვ. 2019; Chkhatarashvili და სხვ. 2020].

არქეოლოგიურ მასალაში აბრეშუმის ქსოვილის ნაშთები საკმაოდ იშვიათად დასტურდება [ისაკაძე 1970], რადგან ეს ქსოვილი კონსერვაციისთვის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. უძველესი აბრეშუმის ბოჭკო საქართველოში, პირველად, ძვ.წ. IV საუკუნის ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის, №1 სამარხის მასალაში (რკინის ლურსმანზე, რომელზეც ქსოვილი იყო მიწებებული) აღმოჩნდა, უფრო მოგვიანებით აბრეშუმი ისევ ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული №274 სამარხიდან მოპოვებულ პალინოლოგიურ ნიმუშში (ამჯერად, რკინის ბეჭედზე, რომელზეც ქსოვილი იყო შერჩენილი) დაფიქსირდა.

ჩვენი ვარაუდით, რკინის არტეფაქტებზე აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკოები თითქმის 2500 წლის მანძილზე რკინის ჟანგს უნდა შემოენახა [ყვავაძე, ჭიჭინაძე 2024]. ამ აღმოჩენების საფუძველზე, შესაძლებლობა გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა, არა ძვ.წ. II საუკუნეში, არამედ ორი საუკუნით ადრე, ძვ.წ. IV საუკუნეში უნდა ამოქმედებულიყო.

ფიჭვნარელთა სამეურნეო საქმიანობის ისეთ წამყვან დარგებთან ერთად, როგორცაა მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, მესაქონლეობა, თევზჭერასაც გარკვეული როლი უნდა ჰქონოდა. ბუნებრივია, ზღვის სიახლოვე და ჩოლოქ-ოჩხამურის სამდინარეო ქსელი შესანიშნავ პირობებს ქმნიდა თევზჭერის განვითარებისთვის [კახიძე, ვიკერსი, თავამაიშვილი 2007: 43-70; კახიძე, კახიძე, ვაშაკიძე 2010: 21-27].

პალინოლოგიური კვლევის მიხედვით, ადგილობრივი მეთევზეები ანკესზე გამოსაბმელად და ბადის მოსაქსოვად სელის ძაფს იყენებდნენ.

სამარხებიდან აღებულ პალინოლოგიურ ნიმუშებში ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედებია გამოვლენილი, რაც სამარხებში ხის კონსტრუქციების არსებობაზე მიუთითებს.

#### ბიბლიოგრაფია:

- ისაკაძე 1970:** ისაკაძე ქ. საფეიქრო საქმე საქართველოში. გამომც. *განათლება*, თბ.
- კახიძე, ვიკერსი, თავამაიშვილი 2007:** კახიძე ამ., ვიკერსი მ., თავამაიშვილი გ., 2007წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2003-2004, - *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები*, IV. გვ. 43-70.
- კახიძე, ვაშაკიძე 2010:** კახიძე ამ., ვაშაკიძე ნ. ელინიზმი და კოლხეთი, - კრებ. *ფიჭვნარი III*, თბ.
- კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე თ 2013:** კახიძე ამ., ვაშაკიძე ნ., შალიკაძე თ., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, - *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები*, V. გვ. 34-51.
- ყვავაძე, ჭიჭინაძე 2024:** ყვავაძე ელ., ჭიჭინაძე მ., არქეოლოგიური აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკოს ახალი აღმოჩენები პალინოლოგიური მეთოდის გამოყენებით (ხელნაბეჭდი).
- ყვავაძე 2016:** ყვავაძე ელ., საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უძველესი ტექსტილის განსაზღვრა პალინოლოგიური მეთოდით, - მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, *III სამეცნიერო კონფერენციის შრომები*, თბ., გვ. 177-181.
- ჭიჭინაძე, ყვავაძე, კაჭარავა, ახვლედიანი, კვირკველია 2012:** ჭიჭინაძე მ., ყვავაძე ელ., კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., კვირკველია გ., ვანის ნაქალაქარის 22-ე სამარხში მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დახასიათება, - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბიოლოგიური სექციის ჟურნალი *მაცნე*, 4, გვ. 145-155.
- Chichinadze, Kvavadze 2013:** Chichinadze M., Kvavadze E. Pollen and Non-Pollen Palynomorphs in organic residue from the hoard of ancient Vani (Western Georgia). *Journal of Archaeological Science* 40(5):2237–2253 · May 2013.
- Chichinadze, Kvavadze, Martkoplshvili, Kacharava 2019:** Chichinadze M., Kvavadze E., Martkoplshvili I., Kacharava D Palynological evidence for the use of honey in funerary rites during the Classical Period at the Vani. *Quaternary International*, <https://doi.org/10.1016/j.quaint.2019.01.01> .
- Chkhatarashvili, Manko, Kakhidze, Esakiya, Chichinadze, Kulkova, Streltsov, 2020:** Chkhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltsov M. The South-East Black Sea coast in the early Holocene period (according to interdisciplinary archaeological investigations at the Kobuleti site). *Sprawozdania Archeologiczne*, pl issn 0081-3834 DOI: [10.23858/SA/72](https://doi.org/10.23858/SA/72).
- Kvavadze, Bar-Yosef, Belfer-Cohen, Boaretto, Jakeli, Matskevich, Meshveliani. 2009:** Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T., 30,000- Wild Flax Year-Old Fibers. - *Science*, 325: 1359.
- Kvavadze, Bar-Yosef, Belfer-Cohen, Boaretto, Jakeli, Matskevich, Meshveliani. 2010:** Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T., Response to Comments on “30 000-Year-Old Wild Flax Fibres”, - *Science*, 328: 1634.

**Kvavadze, Chichinadze 2020:** Kvavadze E., Chichinadze M., Palynological analysis of organic materials from Pichvnari (including the earliest silk in Georgia), - Wonders Lost and Found edited by Nicholas Sekunda, Oxford, Archaeopress, 102-107.

**Moore, Webb, Collinson 1991:** Moore, P.D., Webb, J.A., Collinson, M.E., 1991. Pollen Analysis. Blackwell Scientific Publications, Oxford.

**Van Geel 1998:** Van Geel., A Study of Non-Pollen Objects in Pollen Slides (The Types as Described by Dr Bas Van Geel and Colleagues), - van Hove, M.L., Hendrikse, M. (Ed.), Utrecht.

### სურათების აღწერა:

**სურათი 1.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №274 სამარხში აღმოჩენილი რკინის ბეჭედი, რომელზეც ქსოვილია შერჩენილი.

**სურათი 2.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №274 სამარხის რკინის ბეჭედიდან აღებულ ნიმუშში აღმოჩენილი ქსოვილის ბოჭკოები.

**სურათი 3.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №294 სამარხში აღმოჩენილი ტყვიის სანაფები (ბადის საძირავები).

**სურათი 4.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №294 სამარხში აღმოჩენილი ტყვიის სანაფებიდან (ბადის საძირავები) აღებულ ნიმუშებში აღმოჩენილი ცისფერი სელის ქსოვილის ბოჭკოები.

**სურათი 5.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №301 ე.წ. მეთევზის სამარხში აღმოჩენილი ანკესი, რომელზეც დაფი იყო შერჩენილი.

**სურათი 6.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №301 ე.წ. მეთევზის სამარხში აღმოჩენილი ანკესი, რომელზეც დაფი იყო შერჩენილი.

**სურათი 7.** ფიჭვნარის ელინისტური სამაროვნის, №301 ე.წ. მეთევზის სამარხში აღმოჩენილ ანკესზე დახვეული დაფიდან აღებულ ნიმუშში აღმოჩენილი სელის ქსოვილის ბოჭკოები.


**სურათი 8.** ბრინჯაოს ბალთა, რომელზეც ქსოვილია მიწებებული.

**სურათი 9.** ბრინჯაოს ბალთაზე მიწებებული ქსოვილი.


**სურათი 10.** ბრინჯაოს ბალთაზე აღმოჩენილი ქსოვილის ნიმუშში განსაზღვრული სელის ქსოვილის ბოჭკოები.










1



2

3





**არქეოლოგია და საქართველოში აღმოჩენილი  
არამეოგრაფიკული ნარწერები**

იულონ გაგომიძე, დავით გაგომიძე

*მოხსენების სახით წაკითხულ იქნა  
აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის  
საიუბილეო კონფერენციაზე  
2021 წლის 21 დეკემბერს.*

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიასა (თბილისის და ქუთაისის) და ბათუმის ოლქში (ოკრუგში) იყო განაწილებული, მაგრამ საქართველოს არქეოლოგია რეალურად იშვა 80-90 წლის წინ, მაშინ, როცა ჩატარდა ხრამის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებული მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოები ნალკა-თრიალეთში და, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, დაიწყო მცხეთის, საქართველოს ძველი დედაქალაქის, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა. ნარმატებებმაც არ დააყოვნა. ნალკა-თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას საპატიო ადგილი ეკავა ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყანათა შორის, სადაც დაირწა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი, სენსაციური გამოდგა მცხეთაში წარმოებული გათხრების პირველივე წლების მონაპოვარიც. არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე აღმოჩენილი საგანძური ხომ დღემდე რჩება ქართული კულტურის მკვლევართა სიამაყედ, მაგრამ ამ საგანძურზე არანაკლები ღირებულება აქვს იქვე აღმოჩენილ ვრცელ ლაპიდარულ ნარწერებს - ორენოვან ბერძნულ-არამეულ ეპიტაფიას, ე.წ. არმაზის ბილინგვას, და არამეულნარწერიან ე.წ. შარაგასის სტელას (არმაზის მონოლინგვას) — ავთენტიკურ წერილობით წყაროებს, რომლებიც ასე აკლდათ ქართული სახელმწიფოს ადრეული ისტორიის მკვლევრებს [აფაქიძე და სხვ. 1955; Куптин 1941; გამყრელიძე 1991: 12-45].

არამეული ნარწერები ადრეც იყო ნაპოვნი საქართველოში: 1877 წელს სტეფანწმინდაში, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა ვერცხლის ომფალოსიანი ფიალა, რომელზეც არამეული ნარწერაა ამოკვეთილი. ფიალა ქ.წ. 500 წლის მახლობელი ხანით თარიღდება, ნარწერა კი კლასიკური, ე.წ. საკანცელარიო არამეულით არის შესრულებული [Смирнов 1909, ტაბ. 13]. 1902 წელს, მიწის სამუშაოების დროს, სოფელ ბორში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) ნაპოვნ ვერცხლის თასზე ამოკვეთილია არამეოგრაფიკული ნარწერა [Придик 1914: 94-110]. ნარწერის წაკითხვა მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთელმა არმაზის ბილინგვის ბერძნული ტექსტის დახმარებით გაშიფრა ბილინგვის არამეოგრაფიკული ტექსტი და გაარკვია, რომ საქმე გვაქვს არამეული დამწერლობის თავისებურ სახეობასთან, რომელსაც გ.წერეთელმა „არმაზული დამწერლობა“ უწოდა. გ.წერეთლის 1941 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება არმაზის ბილინგვას, წარმოდგენილია ერთენოვანი ნარწერის (მონოლინგვის) პირველი სამი სტირქონის თარგმანიც [Церетели 1941; Борисов 1947: 8-11].

არმაზის მონოლინგვისა და ბილინგვის გარდა, არმაზისხევაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვა არამეოგრაფიკული ნარწერებიც აღმოჩნდა. რამდენიმე, სავარაუდოდ, არამეული გრაფემაა ამოკვეთილი არმაზის პიტიახშთა სამაროვნის III საუკუნის №3 სარკოფაგში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე (სურ. 1) [აფაქიძე და სხვ. 1955: 52-54]. II საუკუნით თარიღდება N6 სარკოფაგში აღმოჩენილი 8 ოქროს ფირფიტა,

რომლებზეც ამოკვეთილია სავარაუდოდ, აპოტროფეული ხასიათის წარწერები (სურ. 2) [აფაქიძე და სხვ. 1955: 71]. ოთხი არამეული ასო-ნიშანია ამოკანრული IV საუკუნის ოქროს ბეჭედზე (N42 სამარხი), რომელთაც გ. წერეთელი კითხულობს, როგორც „ადად“ [აფაქიძე და სხვ. 1955: 118]. განსაკუთრებით საყურადღებოა IV საუკუნის N43 სამარხში აღმოჩენილი ოქროს წყვილ სამაჯურზე ამოკანრული წარწერები. გ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორივე სამაჯურზე მიძღვნილი ხასიათის იდენტური წარწერებია. თითოეული ეს სამაჯური ფერადი ქვებით შემკული ცამეტი ელემენტისგან შედგება, რომელთა ქვედა მხარეზე რამდენიმე (2-6) ასო-ნიშანი იკითხება (სურ. 3-5) [აფაქიძე და სხვ. 1955: 119-120; Церетели 1948 ა: 94, სურ. 3].

არმაზისხევის აღმოჩენებს მოჰყვა 1946 წელს ბაგინეთში (ბაგინთი, არმაზციხე) - ქართლის მეფეთა რეზიდენციის არქეოლოგიური გათხრების შედეგად არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერების გამოვლენა. ესენია ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობის კედელზე ამოკვეთილი ორი წარწერა და III საუკუნის ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლის სარკოფაგში ჩატანებული ვერცხლის სერვიზის შემადგენელ ნივთებზე დატანილი წარწერები (სურ. 6-7) [აფაქიძე 1973: 59-64; აფაქიძე 1963, ტაბ. LI 6; Церетели 1948 ა: 94, სურ. 1].

ამრიგად, 1948 წელს გ.წერეთელს ხელთ ჰქონდა, როგორც თვითონ აღნიშნავს, არმაზული დამწერლობის ორ ათეულზე მეტი ნიმუში [Церетели 1948ა: 90-101], აღმოჩენილი ქართლის მეფეთა და პიტიახშთა, ე.ი. ქვეყნის უმაღლესი თანრიგის არისტოკრატთა, რეზიდენციებში, რამაც უფლება მისცა მას, გამოეთქვა მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში ოფიციალური დოკუმენტების ენა იყო არმაზული [Церетели 1948 ბ: 56].

შემდგომმა აღმოჩენებმა, საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის მცხეთაში, ცხადჰყო, რომ ამავე „არმაზულ ენას“ ხმარობდნენ იბერიის რიგითი მცხოვრებლები. სამთავროს სამაროვანზე გათხრილ ფილაქვით დახურულ ორმოსამარხში (№564), რომელიც მცხეთის რიგითი მოქალაქის განსასვენებელია, აღმოჩნდა თიხის ხელადა, რომელზედაც არამეული წარწერაა ამოკვეთილი (სურ. 8). სამარხი III საუკუნით თარიღდება [მანჯგალაძე 1985: 91].

უკვე ნახსენები პუნქტების (ბორი, არმაზისხევი, ბაგინეთი, მცხეთა-სამთავრო) გარდა, არმაზის ბილინგვის დემიფორირების შემდეგ არამეოგრაფიკული (არმაზული) წარწერები საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ცხრა ადგილას აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, ერთი წარწერა საქართველოს ფარგლებს გარეთაც - გარნისში (სომხეთი, II-III საუკუნე) გამოვლინდა [Перихания 1964: 123-138]. წარწერები შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე: კერამიკაზე, ძვალზე, ქვაზე, ლითონზე (ოქრო, ვერცხლი).

უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი, სადაც არმაზული წარწერაა ნაპოვნი, თბილისია. ვერცხლის თასზე, რომელიც აღმოჩნდა ვაჟა ფშაველას პროსპექტის ბოლოში, ამოკვეთილია ცხრა არამეული ასონიშანი, რომელთა ტრანსლიტერაციაა: *mmy zy byld* [Abramishvili et al. 2008: 442].

ძალისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა (ხელმძღვანელი ალ. ბოხოჩაძე) გვიჩვენა, რომ სამლოცველოს კედლებზე მლოცველთა წარწერების ამოკვეთის წესს (გავისხენოთ, თუნდაც, ატენის სიონის მლოცველთა წარწერებით დაფარული კედლები [აბრამიშვილი, ალექსიძე 1989]) ფესვები ანტიკურ ხანაში ეძებნება: ძალისის II-III საუკუნეების ტაძრის არქიტექტურულ დეტალებზე ბევრი არმაზული წარწერაა ამოკანრული (თლილი ქვის ეს ფრაგმენტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქსნის არქეოლოგიურ ბაზაზე, კურატორი - დ.სულხანიშვილი).

ნასტაგისში გათხრილ (ალ. ბოხოჩაძე), I ს-ის მასალით შევსებულ ორმოში აღმოჩნდა ძვლის ოთკუთხა ფირფიტა ფანტასტიკური ცხენის გრაფიკული გამოსახულებით.

ფირფიტის უკანა მხარეს ასოსმაგვარი ორი ნიშანია ამოკანრული. თუ გავითვალისწინებთ, რომ დედოფლის გორაზე ნაპოვნ ასეთივე ფირფიტებზე არმაზული წარწერებია ამოკვეთილი, საფიქრებელია, რომ აქაც არამეულ წარწერასთან გვაქვს საქმე [გაგომიძე, წონელია 1991: 54].

უფლისციხეში აღმოჩნდა ქვევრების პირების ორი ნატეხი არმაზული წარწერებით (სურ. 9). დ.ხახუტაიშვილი მათ I-III საუკუნით ათარიღებს [ხახუტაიშვილი 1964: 57; ხახუტაიშვილი 1970: 128]. გ. გიორგაძეს მიაჩნია, რომ ქვევრის პირებზე ამოკვეთილია მამაკაცის საკუთარი სახელები – *hzn* და *bzwk*. მისი აზრით, ეს წარწერები არმაზული დამწერლობის უშუალო წინამორბედი არამეოგრაფიკული დამწერლობაა [Giorgadze 2009: 253-255]. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კიდევ ერთი არამეოგრაფიკული წარწერა, რომელიც უფლისციხეში შემოგვინახა. ესაა ქვის მცირე ზომის მართკუთხა ფილა (5.5სმX6.5სმ), რომელზეც ოთხსტრიქონიანი წარწერაა ამოკვეთილი (სურ. 10-11). ქვის ფილა უფლისციხის მუზეუმშია გამოფენილი (ეს ფილა გვიჩვენა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უფლისციხის ფონდის კურატორმა, ნ. ხუნდაძემ).

ურბნისში აღმოჩენილი ქვევრის პირზე ამოკვეთილი არმაზული წარწერა, გ. წერეთლის ნაკითხვით, გამოაქვეყნა ლ.ჭილაშვილმა. შემდგომ ამავე წარწერას საგანგებო სტატია მიუძღვნა კ.წერეთელმა [ჭილაშვილი: 1964: 54-55; წერეთელი 1989: 197-200].

ზღუდრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ნემსაძე) 1964-1966 წლებში გათხრილ მდიდრულ სამაროვანზე სხვა მასალასთან ერთად მოიპოვა არმაზულწარწერიანი ვერცხლის ოთხი ჭურჭელი. წარწერები ნაკითხა და გამოაქვეყნა მ.ჭელიძემ. საყურადღებოა, რომ ზღუდერში ნაპოვნ ვერცხლის კოვზზე ამოკვეთილია ერთიდაიგივე სიტყვა, როგორც ჩანს, საკუთარი სახელი, ბერძნულადაც და არმაზულადაც. ვერცხლის ერთ-ერთ ჭურჭელზე ამოკანრული წარწერა გვაუწყებს ამ ჭურჭლის წონას. წარწერები III საუკუნით თარიღდება [ჭელიძე 1991: 71-76; ბრაუნდი და სხვ. 2009: 74, 77-79; გაგომიძე, წონელია 1991: 77].

1971 წელს ახალი ჟინვალის სამაროვნის გათხრების დროს (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი), №5 სამარხში, რომელიც III-IV საუკუნით თარიღდება, აღმოჩნდა ვერცხლის პინაკი. პინაკის ქუსლზე წერტილოვანი ნაჭდევებით გამოყვანილია არამეული წარწერა. წარწერა უნახავს გ.წერეთელს, რომელსაც გამოუთქვამს ვარაუდი, რომ აქ ქალის სახელია წარმოდგენილი. წარწერის ნაკითხვა სცადა მ. წონელიამაც [რამიშვილი 1983: 87-88].

საქართველოს უკიდურესი დასავლეთი პუნქტი, სადაც არქეოლოგიური გათხრებით არამეოგრაფიკული წარწერები გამოვლინდა, ვანია. 1979 წელს ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, ქ.წ. II-I საუკუნეების კულტურულ ფენაში, ნაპოვნი ოქროს ფირფიტა ძლიერ დაზიანებულია (სურ. 12) და წარწერის ნაკითხვა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა [ჭყონია 1981: 84, 125; ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 78]. სავარაუდოდ, არამეოგრაფიკული ნიშნებია ამოკვეთილი ვანში ნაპოვნ ქ.შ. I საუკუნის ლანგრის (*terra sigilata*) ძირზე (ინვ. 07-1-74/411).

ამ ბოლო დროს ყველაზე მეტი არმაზული წარწერა მოგვცა დედოფლის გორის გვიანელინისტური-ადრერომაული პერიოდის სასახლის გათხრებმა. დედოფლის გორა მდებარეობს შიდა ქართლში, საქართველოს თითქმის გეოგრაფიულ ცენტრში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, მდ. დასავლეთის ფრონის (ფციულას) მარცხენა ნაპირას, მისი შესართავის მახლობლად. დედოფლის გორა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია და მისი ზემოდან მეორე ფენა შექმნილია ქ.წ. II-I საუკუნეებში აგებული სასახლის ნანგრევებით (სურ. 13). სასახლის სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების პირველივე წელს აღმოჩნდა არამეოგრაფიკული წარწერები: №1 და №3 სათავსოებში ნაპოვნი ირმის რქისაგან გამოთლილი მცირე ზომის, მეტ-ნაკლებად კარგად

გადარჩენილი 25 სათამაშო-სამკითხაო ფირფიტა, შვიდ მათგანზე წარწერები ამოკვეთილი [გაგოშიძე, წონელია 1991: 47-78]. შვიდივე ამ წარწერის ასო-ნიშნების მონახაზები ტრანსლიტერაციითურთ და ერთი, ყველაზე ვრცელი, წარწერის თარგმანიც 1991 წელს გამოვაქვეყნეთ ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა და მ. წონელიამ. ამ თარგმანმა „არმაზულ ენას“ შემატა კიდევ ერთი „ქართულიზმი“: ნაკითხული წინადადება იწყება შემასმენლით (ზმნით), რაც დაუშვებელია არამეული სინტაქსით, მაშინ, როცა ქართულისთვის წინადადების ასეთი წყობა ჩვეულებრივია („იყო არაბეთს როსტევან...“).

ძვლის ასეთვე სათამაშო-სამკითხაო ფირფიტები სასახლის №12 სათავსოშიც აღმოჩნდა. მათგან სამზე გრაფიკულ გამოსახულებასთან ერთად არამეული წარწერებიცაა ამოკანრული (სურ.14) [Gagoshidze 2008: 87-115, ტაბ. 37, კატ. N 60, 66, 71].

დედოფლის გორის სასახლეში სხვა არამეოგრაფიკული წარწერებიც აღმოჩნდა. №9 ოთახის წინ მდებარე მარანში არსებული ოთხი ქვევრიდან სამის პირზე ამოკვეთილია წარწერები (სურ. 15) [Giorgadze 2008: 255]. წარწერიანი ქვევრი გაითხარა სასახლის №26 საკურთხევლიან ოთახშიც. იმავე ოთახში იყო თიხის ჭურჭელი, ყურზე არამეული წარწერით (სურ. 16) [გაგოშიძე 2019: 185-189]. განსაკუთრებით საყურადღებოა №16 სათავსოს (კოშკის) გარე კედლის პირას ნაპოვნი თიხის ბულა, რომელზეც შემორჩენილია არამეულწარწერიანი საბეჭდავის ანაბეჭდი (სურ. 17-18). ბულა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვენტარო N გ. ფ. 1725).

დედოფლის გორის სასახლემ სულ 150-200 წელი იარსება და დაინგრა დაახლოებით ქ.შ. 80 წელს [გაგოშიძე 2015: 120]. შესაბამისად, აქ აღმოჩენილი არამეული წარწერების თარიღი შეუძლებელია ქ.შ. I საუკუნის შუა ხანებზე უფრო გვიანდელი იყოს. არქეოლოგიური მონაცემებით მიღებული ეს თარიღი დაადასტურა წარწერების პალეოგრაფიულმა ანალიზმაც, ხოლო ერთ-ერთი წარწერა, რომელიც კ.წერეთელმა გამოაქვეყნა, მიჩნეულია უძველეს არმაზულ წარწერად [Tsereteli 1993: 85-88].

ამრიგად, არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ არამეოგრაფიკული (არმაზული) დამწერლობა (ბერძნული დამწერლობის პარალელურად) [აფაქიძე 1963: 125-158] ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართლის სამეფოში ქ.წ. I საუკუნიდან ქ.შ. IV საუკუნემდე, ჩათვლით. დღეს მკვლევართათვის ხელმისაწვდომია საქართველოს 13 პუნქტსა და ერთი სომხეთში, ძირითადად არქეოლოგთა ძალისხმევით, აღმოჩენილი არამეოგრაფიკული, სავარაუდოდ, არმაზული დამწერლობის ორმოცდაათამდე ნიმუში, რომელთა უმრავლესობა არ არის დეშიფრირებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არმაზის ბილინგვის არამეოგრაფიკული ტექსტის კვლევა კი დღემდე არ დასრულებულა [წერეთელი 1992; გიორგაძე 1986: 151-159; Гиоргадзе, Шифман 1988: 168-181], რომ არაფერი ითქვას მონოლინგვაზე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდი და საინტერესო სამუშაო ელის სემიოლოგ-ეპიგრაფიკოსებს.

### ბიბლიოგრაფია:

**აბრამიშვილი, ალექსიძე 1989:** აბრამიშვილი გ., ალექსიძე ზ. ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, თბ.

**აფაქიძე და სხვ. 1955:** აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

**ბრაუნდი და სხვ. 2009:** ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. საგანძური ზღუდრიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250, თბ.

**გაგოშიძე 2019:** გაგოშიძე დ., არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბ., გვ.185-189.

**გაგოშიძე 2015:** გაგოშიძე იულ. 2013–2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე (ექსპრეს ინფორმაცია), - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №11, 2015, თბ., გვ. 119-138.

**გაგოშიძე, ნონელია 1991:** გაგოშიძე იულ., ნონელია მ., არამეულნარნერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან, - *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები* (რედ. გ. მაისურაძე), თბ., გვ. 47-78.

**გამყრელიძე 1991:** გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, - *საქართველოს არქეოლოგია*, ტ. I (რედ. ოთ.ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 12-45.

**გიორგაძე 1986:** გიორგაძე გ. არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“?, - ჟურ. *მნათობი*, №10, თბ. გვ. 151-159.

**მანჯგალაძე 1985:** მანჯგალაძე გ., სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, *მცხეთა* (რედ. ან. აფაქიძე), ტ. VII, თბ., გვ. 43-108.

**რამიშვილი 1983:** რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, კრებ. *ჟინვალი I* (რედ. რ. რამიშვილი), თბ., გვ. 81-130.

**ფირცხალავა, ყიფიანი 1986:** ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევის არე), - კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VIII, თბ., გვ. 52-78.

**წერეთელი 1989:** წერეთელი კ. არამეული წარწერა ურბნისიდან, - ჟურ. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 133, 1, თბ., გვ.197-200.

**წერეთელი 1992:** წერეთელი კ. შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე, თბ.

**ჭილაშვილი 1964:** ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

**ჭელიძე 1991:** ჭელიძე მ. ეპიგრაფიკული შენიშვნები, - *სემიტოლოგიური ძიებანი*, თბ. გვ. 71-76;

**ჭყონია 1981:** ჭყონია ან. *ვანი* (რედ. ოთ.ლორთქიფანიძე), VI, თბ.

**ხახუტაიშვილი 1964:** ხახუტაიშვილი დ. - უფლისციხე, 1, თბ.

**ხახუტაიშვილი 1970:** ხახუტაიშვილი დ. - უფლისციხე 2, თბ.

**Abramishvili et al 2008:** Abramishvili M., Bolkvadze G., Gagoshidze I., Nemsadze G., Kadagishvili T. Roman Aristocracy in Tbilisi?, *Archaeology in Southern Caucasus: Perspectives From Georgia, Ancient Near Eastern Studies, Supplement 19*, (ed. A.Sagona, M.Abramishvili) Leuven-Paris-Dudly, p. 441-448.

**Gagoshidze 2008:** Gagoshidze I. Bone objects, *Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and The Roman Influence in The Caucasian Kingdom of Iberia* (ed. A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludwig) Lanhgenweißbach, p. 87-115.

**Giorgadze 2008:** Giorgadze G. The Armazian Script, *Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and The Roman Influence in The Caucasian Kingdom of Iberia*, (ed. A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludwig) Lanhgenweißbach, p. 253-255.

**Tsereteli 1993:** Tsereteli K., The Oldest Armazian Inscription In Georgia, *Die Welt des Orients*, herausgeben von Heinz Halm, Wolfgang Röllig und Wolfram von Soden, Band XXIV, Göttingen, p. 85-88;

**Борисов 1947:** Борисов А., Надписи на серебряной чаше из Бори (Грузия), *Сообщения Гос. Эрмитажа*, IV, Ленинград, с. 8-11.



**გიორგაძე, შიფმან 1988:** გიორგაძე გ., შიფმან ი., კ ინტერპრეტაციი არმასკოი ბილინგვი (სტროიკი 7-8 არამეისკოგრაფიკინო ტექსტა), *ВДИ, # 4*, მოს. ს. 168-181.

**კუფტინ 1941:** კუფტინ ბ., არხეოლოგიკესკიე რასკოპკი ვ ტრიალეტი 1. ოპიტ პერიოდისაციი პამიათნიკოვ, ტბ.

**პერიხანია 1964:** პერიხანია ა., არამეისკაია ნადპისი იზ გარნი, *Историко-филологический журнал*, ერეიანი, ს.123-138.

**პრიდიკ 1914:** პრიდიკ ე. ნოიე კავკასკიე კლადი, *Материалы по археологии России*, 34, ს.-პეტერბურგ, ს. 94-110.

**სმირნოი 1909:** სმირნოი ი., ოსტოკინო სერებრო, ს.-პეტერბურგ.

**ცერეტელი 1941:** ცერეტელი გ., არმასკაია ბილინგვა, ტბ.

**ცერეტელი 1948ა:** ცერეტელი გ., არმასკოე პისიო ი პრობლემა პროისკოდენია გრუზინსკოე ალფაიტი, I. *Эпиграфика Востока*, მოს.-ლენ., ს. 90-101.

**ცერეტელი 1948ბ:** ცერეტელი გ., ეპიგრაფიკესკიე ნაოქოპკი ვ მცხეტი - დრეიიეი სტოლიცი გრუზიი, *ВДИ*, 2 (24), მოს.-ლენ., ს. 49-57.

### სურათების აღწერილობა

**სურ. 1.** ვერცლის ლანგრის ძირზე ამოკვეთილი ნიშნები, არმაზისხევის N3 სარკოფაგი, ქ.შ. III საუკუნე, (მონახაზი, ი.გაგოშიძე).

**სურ. 2.** ოქროს 8 ფირფიტა საავგაროზედან, არმაზისხევის N6 სამარხი, ქ.შ. II საუკუნე.

**სურ. 3-5.** ოქროს სამაჯურები (წყვილი) წარწერებით, არმაზისხევი N42 სამარხი, ქ.შ. IV საუკუნე (მონახაზი, ც.თურქიაშვილი).

**სურ. 6.** ვერცხლის ლამბაქის ძირზე ამოკვეთილი წარწერა, ბაგინეთის სარკოფაგი, ქ.შ. III საუკუნე. (მონახაზი, ი.გაგოშიძე).

**სურ. 7.** ვერცხლის თასის ძირზე ამოკვეთილი წარწერა, ბაგინეთის სარკოფაგი, ქ.შ. III საუკუნე (მონახაზი, ი.გაგოშიძე).

**სურ. 8.** თიხის წარწერიანი ხელადა, სამთავროს სამაროვნის N564 ორმოსამარხი, ქ.შ. III საუკუნე (მონახაზი, ც. თურქიაშვილი).

**სურ. 9.** წარწერიანი ქვევრის პირები, უფლისციხე, ქ.შ. I-III საუკუნეები (მონახაზი, ი.გაგოშიძე).

**სურ. 10-11.** ქვის წარწერიანი ფილა, უფლისციხე (მონახაზი, დ.გაგოშიძე [უფროსი]).

**სურ. 12.** ოქროს წარწერიანი ფირფიტა, ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასა, ქ.წ. II-I საუკუნეები.

**სურ. 13.** დედოფლის გორა, ხედი დასავლეთიდან (დრონის ფოტო, დ. გაგოშიძე [უმცროსი]).

**სურ. 14.** ძვლის წარწერებიანი ფირფიტები, დედოფლის გორის სასახლის N2 და N13 ოთახები, ქ.შ. I საუკუნე (მონახაზი, ე. გომარელი).

**სურ. 15.** ქვევრის პირები, დედოფლის გორის სასახლის მარანი, ქ.შ. I საუკუნე (მონახაზი, ე. გომარელი).

**სურ. 16.** წარწერებიანი ქვევრის პირი და დოქის ყური, დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახი, ქ.შ. I საუკუნე (მონახაზი, ც. თურქიაშვილი).

**სურ. 17-18.** თიხის ბულა წარწერიანი საბეჭდავის ანაბეჭდით, დედოფლის გორის სასახლის N16 ოთახის გარე კედელთან, ქ.შ. I საუკუნე (მონახაზი, ც. თურქიაშვილი).

Handwritten Georgian characters: 'ჩ' and 'ქ'.

სურ. 1

Handwritten Georgian characters: 'ქ' and 'ჩ'.



სურ. 2



სურ. 3




სურ. 4




სურ. 5




სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11




სურ. 12



სურ. 13



სურ. 14




სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18

**შარაგას პიტიახშის არამეოგრაფიული წარწერა**  
(შესწორებული წაკითხვა, ტოპონიმების იდენტიფიკაცია და კომენტარები)

ბექა ჭიჭინაძე

I

**შესავალი.** 1940 წელს მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ არმაზისხევის ნეკროპოლისის N4 სამარხის შესწავლისას გამოავლინა ორი არამეული წარწერა; პირველი მათგანი, რომელიც ახალგაზრდა ქალის - სერაფიტას საფლავის ბერძნულ და არამეულენოვან ბილინგვას წარმოადგენს, სამეცნიერო ლიტერატურაში არმაზის ბილინგვის სახელით დამკვიდრდა, რაც შეეხება მეორე, მოზრდილ, წარწერიან ფილას (1.63×0.70), ის მონოლინგურ, ანუ ერთენოვან არამეულ ტექსტს შეიცავს, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია არმაზის მონოლინგვის სახელით. საფლავის მასალად გამოყენებამდე სტელა თვალსაჩინო ადგილას უნდა ყოფილიყო აღმართული, როგორც იბერთა მეფის - მირდატისა და მისი პიტიახშის, შარაგასის (პირველი საუკუნის 80-ანი წლები) დიდი გამარჯვებების ქრონიკა. შარაგასის მონოლინგვის პირველი პალეოგრაფიული დახასიათების ცდა გ. წერეთელს ეკუთვნის, მაგრამ მკვლევარმა მხოლოდ სტელის პირველი სამი სტრიქონის თარგმნა მოახერხა, იგი დანაწევრებით შენიშნავდა, რომ წარწერა მეტად დაუდევრადაა შესრულებული, ამას ერთვოდა რამდენიმე მონაკვეთში სტელის მნიშვნელოვანი დაზიანებაც, რაც მკვლევარს სკეპტიკურად განაწყობდა ტექსტის სრული დეშიფრირების შესაძლებლობისადმი [Церетели 1918: 52].

1958 წელს აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ შარაგასის სტელის ფოტოსურათი გაუგზავნა გერმანელ სემიტოლოგებს - შტილსა და ალტჰაიმს; მასზე დაყრდნობით, ხსენებულმა სპეციალისტებმა 1961 წელს გამოაქვეყნეს ტექსტის თითქმის სრული ტრანსლიტერაცია და გერმანული თარგმანი [Althelm, Stichl 1961: 172 f].

შტილსა და ალტჰაიმის წაკითხვის გათვალისწინებით, 2023 წელს ფრანგმა და გერმანელმა მეცნიერებმა - ნიკოლა პრუდომმა და ფრანკ შლაიქერმა გამოაქვეყნეს შარაგასის წარწერის წაკითხვის მათეული ვერსია, რომელსაც წინამდებარე სტატიაში შემოგთავაზებთ. თარგმანის მოხმობის შემდეგ განვიხილავთ წაკითხვასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემურ საკითხს, დასკვნით ნაწილში კი მონოლინგვის წაკითხვის ახალ, შესწორებულ ვარიანტს გაგიზიარებთ, რომელსაც დავეუკავშირებთ ძველი ქართული, ბერძნული, ლათინური, არამეული, ებრაული და სომხური საისტორიო ტრადიციის მონაცემებს. ამ დამხმარე წყაროთა ნაწილი ჯერაც უცნობია ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის. ნაშრომის ბოლო ნაწილში განხილულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც უცნობი, ძველი ბერძნული საკურთხევლის წარწერაც ღვთაება ფარნავაზის შესახებ, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანი მონაცემია ქართული წარმართული პანთეონის კვლევისთვის.

**შესწორებული წაკითხვის შემოთავაზებამდე წარმოგიდგენთ შლაიქერისა და პრუდომის ბოლოდროინდელ წაკითხვას:**

„მეფე არს მირდატ, დიდი მეფე, ძე ფარსმანისა, დიდი მეფისა. მე, შარაგასი, ზევან უფროსის ძე, შარაგასი, ვარ აგრეთვე პიტიახში მეფე მირდატისა. ჩემი სამფლობელო სამეფო დომენია, რომელიც ასეა დაფუძნებული მიტიტში (რეზიდენცია?). აჰა, ნახუდატი [...] /დაე წავიდე/დაე მოკვდე/ ნახუდატი [...] / ნახუდატის გადასახადი (‘უხუცესთაგან მიცემული?’) მიტიტშია (რეზიდენცია?). ეს საქმე ჭების და ყოველი ხალხის წინაშეა, და ჩვენს შორის, იგივენაირად დომენის ნებისმიერი კუთვნილისათვის. [...] მე, პიტიახში შარაგასმა,

ქალაქის წინ, გავანადგურე ციხე. მეფე მირდატი იყო სასაზღვრო (მიწის) წინ. და ჩემი დახმარებით (იგი შევიდა) სომხეთში, დაიპყრო ერთი [...] (?). მან გაანადგურა ციხე ტბტ. და იყო სამი გმირობა. მეფე, მიტიტია, და ასე [...]. ამგვარად, ღომენის შუაგულში ლაშქარი ადგილზე იდგა და მე გამოვისყიდე კარი (მთის) მწვერვალის ქვემოთ, და ამრიგად დარჩენილი ცოცხალი (ხალხი), რომელიც გადასახლებული იყო, წინაშე მსკნიტისა (მოსხები ან მასაგეტი?), სწრიტის ციხეში, რომელიც სასაზღვრო (მიწა) და ნვდიტ, კლითის ქვემოთ. კეთილი ბედი ისევ დამკვიდრდა ციხეში მიტიტზე. მან აიღო ისევ ნიკვრჰი და, დაე ის იყოს [...] ქვეშე (ამ ადგილის?). მან ბრძანა და ასე, მე, შარაგასმა გავიხარე [...] მსიკიტის (მცხეთა, მესხები ან მასაგეტი?), გმირთა ციხის წინაშე. გული (იყო) მშვიდად შფოთის ჟამს, და ჭეშმარიტად მე ვბრძანე ბრწყინვალე გმირობა, ჭეშმარიტად მიტიტი [...] შარგასი. ასპაგურის წყეული სახლი ბატონის გარეშეა, (მისი) ძეგლი დაიწვა. ოთხი დიდი გმირობა იქნა აღსრულებული“ [Preud’homme, Schleicher, 2023: 6].

**წაკითხვა.** პრუდომისა და შლაიქერის შემოთავაზებული წაკითხვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეცნიერების ბოლო სიტყვად შარაგასის სტელასთან დაკავშირებით, ამიტომაც შესწორებული წაკითხვის წარმოდგენისას სწორედ ხსენებული სპეციალისტების ამ მაღალი დონის, ძვირფას შრომას დავეყრდნობით, ისევე როგორც თავის მხრივ, მათი წაკითხვაც წინამორბედი მკვლევრების - შტილისა და ალტჰაიმის წაკითხვას ემყარება.

**ნიშანი** - სტელის თავში გამოსახული სპეციფიკური სიმბოლოები, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წარწერაში შარაგასი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სეფესაკუთრებას, ანუ სამეფო სახლის საკუთრებას, ასევე იმ ფაქტს რომ თავადაც სეფექვეყანას განაგებს, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ წარმოდგენილი სიმბოლო სწორედ სეფექვეყნის საკუთრების ნიშანია (სურ. 1).

**Srgs** - პირველი, მე-2, მე-5, მე-11 და მე-13 ხაზები, პიტიახშის სახელი ოაჰ/შრგს.

**lkry** - მე-4 ხაზი. ამ სიტყვას პრუდომი და შლაიქერი ჭად თარგმნიან, მაგრამ მისი თარგმნა ასევე შესაძლებელია წყაროდ, არხად და რუდ: „რუებისთვის (17) და ყოველი ხალხი“, უცნაურია, რომ ამ ფრაზაში, სადაც თითქოს დამოწმებულია წარმოდგენილი, პირველ, ყველაზე საპატიო ადგილს kry იკავებს, ის შესაძლოა უკავშირდება ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაების, წყაროთა მეუფე იგრის, იგრი ბატონის სახელს (კომენტარი ამასთან დაკავშირებით იხილეთ ნაშრომის მეორე ნაწილში სტელის ისტორიული და სავარაუდო რელიგიური შინაარსის შესახებ).

**Mytyt** - მე-7, მე-10 და მე-12 ხაზი. ტექსტის ბოლოდროინდელი წაკითხვის მთავარი პრობლემა არის ერთ-ერთი საკვანძო წევრის Mytyt-ის საეჭვო იდენტიფიცირება, რომელიც ყველა დიდი მოვლენის ბოლოსაა გამეორებული და გამარჯვებათა ჰიმნის პოეტურ რიტმსა და მთლიანობას ქმნის, შტილისა და ალტჰაიმის ვარაუდით, რომელიც შლაიქერმა და პრუდომმაც გაიმეორეს, „Mytyt“ სავარაუდოდ მომდინარეობს ავესტური Maēt - სამკვიდროსაგან, ამ ვარაუდის თანახმად, შარაგასის წარწერაში ეს სიტყვა სამეფო რეზიდენციას უნდა აღნიშნავდეს. ვფიქრობ, მოცემული ვარაუდი ენობრივად და შინაარსობრივადაც ტექსტთან მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება, სინამდვილეში, არამეული mytyt უპრობლემოდ ითარგმნება, როგორც „შენ მოიპოვე“ [Yaure 1957: 86]. საზღვარგარეთ, სამწუხაროდ, ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე ხელი სრულყოფილად არ მიმიწვდება, ამიტომ ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი ამ სიტყვის გ. წერეთლისა და გ. გიორგაძისეული, თითქმის სწორი წაკითხვები, რომელიც მთლიან ფრაზას ამგვარად თარგმნის: „ეს გამარჯვება მეფეო მე შენთვის მოიპოვე“ (ტოპონიმები არმაზის ერთენოვან არამეოგრაფიულ წარწერაში, გრ. გიორგაძე),



**ვფიქრობ, უფრო ზუსტი თარგმანი ფრაზაში იქნება: „ეს გამარჯვებები მეფეო შენ მოიპოვე“.**

ამ წაკითხვის გარშემო მქონდა საინტერესო კონსულტაცია შარაგასის მონოლინგვის ბოლო წაკითხვის თანაავტორთან, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორ ნიკოლა პრუდომთან, რისთვისაც მისი დიდად მაღლობელი ვარ, მკვლევარმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩემგან მითითებული შემთხვევა, რომელიც არამეულში ამ ფორმას ადასტურებდა, განეკუთვნებოდა მოგვიანო, ნეოარამეულ პერიოდს და საჭირო იყო მისი დამოწმება უფრო ადრეული ხანის არამეულ ტექსტებშიც. აღნიშნული კონსულტაციის შემდეგ, განვაგრძე ძიება და შედეგად, „Mytyt“ ამავე მნიშვნელობით დავადასტურე ჯერაც აქემენიდური ხანის ტექსტებში [Folmer 1995: 254]. ბოლო დაბრკოლება, რომელსაც პრუდომმა ყურადღება მიაქცია, არის მამაკაცის - მეფე მირდატისადმი გამოყენებული მდებარეობითი სქესი ნეოარამეულში, ჩემი დაკვირვებით, „Mytyt“-ის მდებარეობითი სქესი ადრეული ხანის არამეულში არ ჩანს, და ასეც რომ არ იყოს, საქართველოში შესრულებულ არამეულ წარწერებში ადგილი აქვს მდებარეობითი და მამრობითი სქესის აღრევას [Mazdai 1943: დაუნომრავი]. ყოველივე ეს აიხსნება იმ მარტივი მიზეზით, რომ ქართულ ენაში სქესი არ არსებობს, რის გამოც უცხო ენაზე სუსტად მეტყველი ქართველის ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომა სწორედ სქესების აღრევაა. „Mytyt“-ს ძველქართული შესატყვისია „შესძინე“, გარდაუვალი ზმნის პრეფიქს „ს“-თი.

აკადემიკოსი გ.წერეთელი მონოლინგვის ტექსტის სრულად გაშიფრვის შესაძლებლობის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, მისი შთაბეჭდილებით, ის იმდენად დაუდევრადაა ნაწერი, რომ ტექსტის სრულად ამოკითხვა თითქმის შეუძლებელი ამოცანაა, რაც მისთვის ძალიან დასანანი იყო, რამდენადაც შარაგასის გამარჯვებათა ჰიმნი იბერიის ისტორიის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი წყაროა, ვიდრე არმაზის ბილინგვა, სერაფიტას ეპიტაფია. წერეთელმა ტექსტის მხოლოდ ერთი, ზემოთ მოხმობილი ფრაზის თარგმნა მოახერხა. გიორგაძემაც მხოლოდ მონოლინგვის რამდენიმე ტოპონიმის იდენტიფიცირება სცადა, მაგრამ ქართულ მკვლევართა ამ მოკრძალებულ მიდგომას, რომელიც შესაძლოა რამდენადმე გადაჭარბებული სიფრთხილიდან მომდინარეობდეს, გარკვეული უპირატესობაც გააჩნია, ტექსტის მათგან გაშიფრული მცირე ნაწილი უფრო ახლოა სწორ წაკითხვასთან, ვიდრე იგივე მონაკვეთის წაკითხვა მათი ევროპელი კოლეგების მიერ.

**Kzy** - მე-5 ხაზი. 1ა - «როდესაც» [Ben-Hayyim 1967 : 4].

**lqdm** - მე-6, მე-9 და მე-11 ხაზი. lqdm აღნიშნავს „წინას“, მიმართულების აღებას წინისკენ, მისი ძველი ქართული შესატყვისი იქნება „მიმართა“, რამდენადმე ახალქართული „გაემართაც“. „მიმართას“ უმეტესად სამხედრო კონოტაცია ჰქონდა... „მიმართა ყოვლითა სპითა“, სხვა შემთხვევებშიც, მიმართულების წინ, სახით სახისკენ აღება ქართულში ბრძოლას მიემართება - „წინააღმდეგობა“ და „დაპირისპირება“, შარაგასის წარწერის lqdm-ს გადმოსცემს ქართული „წინააღმდეგ“, რადგანაც კარგად გამოხატავს როგორც ამ არამეული სიტყვის პირველად, პოზიციურ შინაარსს („წინ“, „პირისპირ“), ისე მის მნიშვნელობას - დაპირისპირებას, წინააღმდეგობას.

**Tbyt** - მე-7 ხაზი. პრუდომისა და შლაიქერის აზრით, შარაგასისგან მოხსენიებული სასაზღვრო მხარე სომხეთთან Msryk rmyh შეესაბამება «გოგარენას» [Preud'homme, Schleicher, 14]. აღნიშნულ რეგიონში სხვადასხვა პერიოდში პოლიტიკური სიტუაცია ცვალებადი იყო.

„გუგარქი მოიცავდა იმ ტერიტორიას, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში სომხეთის მიერ ქართლის სამეფოსაგან, ანუ „გორგანიდან“ იყო ჩამოჭრილი. ფაქტია, რომ ეს, ზოგადად, მტკვრის სამხრეთ მხარეს შეეხებოდა. ამიტომაც, მოგვიანებით, გუგარქი სომხურ

ცნობიერებაში განმტკიცდა როგორც მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლის აღმნიშვნელი ტერმინი. გოგარენა//გუგარქის - გურგაქის ამ მეორე, უფრო ვიწრო მნიშვნელობით დამკვიდრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ქართლის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ (დაახლ. ძვ.წ. 64-60 წწ-ში), მისი სამხრეთი ნაწილის, ანუ არმაზელ მეფეთა ქართლის, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, სომხეთის საზღვრებში მოქცევამ. შემდგომშიც, ფაქტობრივად, 380-იან წლებამდე ეს მხარე, პერიოდულად, ექცეოდა სომხეთის დაქვემდებარებაში. ბევრად უფრო გვიან, X-XI სს-შიც ეს მხარე სომხეთის მიერ იყო დაპყრობილი“ [სანაძე 2019: 294].

აქ სწორედ გოგარენეს ტერიტორიაა მოხაზული, რომელიც მეფე მირდატის ზეობისას მტკიცედ ჩანს მოქცეული ერთიანი ქართლის ფარგლებში, ამიტომაც მირდატისაგან სომხეთის სასაზღვრო მხარესთან განადგურებული ციხე ტბტ უნდა შეესაბამებოდეს გოგარენას სასაზღვრო მონაკვეთს სომხეთთან, უფრო კონკრეტულად აქ უნდა იგულისხმებოდეს ტაშირის სამხრეთი, შესაძლოა დებედის (ბერდუჯის) ხეობის სამხრეთ ნაწილი, ამ რეგიონთან დაკავშირებული ტოპონიმი, რომელსაც იბერიის პიტიანში მოიხსენიებს, არის თაბ/tyt-tbet, მეფე მირდატმა აქ ციხე-სიმაგრე დააქცია, პრუდომი და შლაიქერი დამოწმებულ ნაშრომში მისი იდენტიფიცირების ცდას არ გვთავაზობენ, გრ. გიორგაძემ დასახელებულ ნაშრომში ივარაუდა, რომ აქ შესაძლოა ქართული ტბისაგან ნაწარმოები ტბეთი გვქონდეს, მაგრამ აქვე მკვლევარი აცნობიერებს ამგვარი იდენტიფიცირების ხელისშემშლელ გარემოებასაც, ეს ციხე სომხეთისკენ, სასაზღვრო მხარესთან მდებარეობდა. პრუდომთან ჩემი კომუნიკაციისას გაირკვა, რომ იგიც ამ ტოპონიმთან დაკავშირებით მსგავს შეხედულებამდე მივიდა, გიორგაძის ასეთივე თვალსაზრისის უცოდინრად.

დენტალური თანხმოვნების დ, თ, ტ-ს ურთიერთცვალებადობის ფონეტიკური უნივერსალიიდან გამომდინარე, „tbet“-ში დასაშვებია „დბეტ“ ფორმაც, ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა საქართველოსა და სომხეთის სასაზღვრო მხარეში მნიშვნელოვანი საფორთიფიკაციო ნაგებობებით მდიდარი დებედის ხეობა, სომხური - Դեբետ (დებეტ), მას ანტიკური სომხეთისთვის პირველხარისხოვანი სტრატეგიული ფუნქცია უნდა ჰქონოდა ჩრდილო კავკასიელი მთიელების გამანადგურებელი შემოსევების აღსაკვეთად, რომელნიც იბერებთან შეთანხმებით თავს ესხმოდნენ სომხეთსა და ატროპატენას, ჩანს, იბერთა მეფე მირდატი დებეტის ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმაგრეს ანადგურებს.

**Msknyt** - მე-9 ხაზი. შარაგასის წარწერის პოლიტიკური შინაარსის გაგება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მასში მოხსენიებული ეთნონიმის თაბთ/Msknyt იდენტიფიცირებაზე. თავდაპირველად ვიზიარებდი მკვლევართა უმეტესობის თვალსაზრისს, რომ შარაგასის მიერ დამარცხებული „msknyt“ მესხთა ეთნონიმის აღმნიშვნელი სახელია (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები, რომელიც სომხეთმა ქართლს ჯერაც არტაქსიასა და ზარიადრეს მეფობისას ჩამოაჭრა), ამ მიწების გარშემო წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით ლეონტი წარმოადგენს სამ დაინტერესებულ მხარეს 1. ქართლელებს 2. მეგრებს (მეგრელები) და 3. სომხებს [ქართლის ცხოვრება 1955: 47-48], სტრაბონის ცნობით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - მესხეთი, განაწილებული იყო სწორედ ქართლელებს (იბერებს), სომხებსა და კოლხებს შორის, ამიტომაც ლეონტი ამ ნაწილში სწორი უნდა იყოს. რამდენად შესაძლებელია, მეფე მირდატისა და შარაგასისაგან დამარცხებული msknyt სწორედ მესხებს აღნიშნავდეს? მართალია, ქართული საისტორიო ტრადიცია ამ ეპოქისთვის ადასტურებს ქართლის მეფეების ექსპანსიას სამხრეთ-დასავლეთითაც, სწორედ ისტორიული მესხეთის

მიმართულებით, მაგრამ სხვა, უფრო სანდო წყაროების მიხედვით, პირველი საუკუნის შუახნებსა და მეორე ნახევარში ქართლის ექსპანსიას ადგილი აქვს უფრო სამხრეთით - სომხეთისაკენ და აღმოსავლეთით - ალბანეთისკენ, ასევე ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის მიმართულებით. ყოველივე თქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ mskyt-ის «მესხთან» მსგავსების მიუხედავად, ჩვენ არ მოგვეპოვება არცერთი სარწმუნო, დადასტურებული შემთხვევა, როდესაც ეთნონიმი «მესხი» არამეულ ტექსტში ამგვარადაა გადმოცემული.

შარაგასის წარწერის ეს ცენტრალური მონაკვეთი, პიტიახმ შარაგასისაგან mskyt-ზე მოპოვებული გამარჯვება, განხილული ტერმინოლოგიური ჩიხის გამო, I ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიოგრაფიაში თითქმის აუთვისებელია. **ვფიქრობ, შესაძლოა ამ პრობლემის გადასაწყვეტად მოშველიებულ იქნას ბრწყინვალე დამხმარე წყარო - თარგუმი, ანუ არამეული ბიბლია, სადაც ეთნონიმები და ტოპონიმები ხშირად მოდიფიცირებულია თარგუმების შესრულების ეპოქის სინამდვილის შესაბამისად. ბიბლიურ ტექსტებში ეთნონიმი «მესხი» არაერთგზის იხსენიება, ამიტომ, თარგუმებში შეგვიძლია დავაკვირდეთ ამ ეთნონიმის ჩაწერის არამეულ ტრადიციას, ამ მიზნით მოვიძიე პენტატეკის ონკელოსის თარგუმი, ანუ მოსეს ხუთწიგნეულის არამეული თარგმანი, რომელიც სწორედ შარაგასის არამეული წარწერის ეპოქას - პირველი საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება, საგულისხმოა, რომ ონკელოსის თარგუმში ეთნონიმი მესხი გადმოცემულია არა სამეხით, არამედ შინით: **ღჟჟ (ონკელოსის თარგუმი, საფრანგეთის რაბინთა თარგმანი) [Munk, 1979: 57-58] «მესხის» ჩაწერის ასეთსავე ტრადიციას ვხვდებით ასევე ფსალმუნის თარგუმშიც, საინტერესოა სამარიტანული პენტატეკაც, სადაც მესხთა სახელის აღსანიშნავად ისევდაისევ შინია გამოყენებული და არა სამეხი, პენტატეკისა და ფსალმუნების თარგუმების გარდა, ეთნონიმი მესხი შინითაა გადმოცემული „ნეშტა“, თარგუმშიც: **ღჟჟჟ ამიტომ, შარაგასის წარწერის mskyt თარგმანში მესხთა სახელის აღმნიშვნელი არამეული ჩანაწერი არ უნდა იყოს, შესაბამისად, მისაღები ჩანს პრუდომისა და შლაიქერის წაკითხვაში შემოთავაზებული მეორე ვარიანტი - მასქუთები, რის სასარგებლოდაც მკვლევრებს მითითებული ჰქონდათ ბრწყინვალე წყარო, ფაიკულის წარწერა, რომელშიც მასქუთთა სახელი მოხსენიებულია ზედმიწევნით იმავე ფორმით, რომლითაც შარაგასის წარწერაში - Msknyt - სწორედ იბერთა მეფის/იბერიის გვერდით [Yevadian 2010: 73-74].******

მასქუთები, რომელთა სახელიც მასაგეტიდანაა წარმომდგარი, თანამედროვე დაღესტანში, კასპიისპირეთამდე მოსახლე ნახევრადმომთაბარე სარმატულ-ალანური ტომები იყვნენ, მათი განსახლების არეალი დარუბანდამდე ანუ ჩორის განთქმულ კარიბჭემდე აღწევდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პიტიახმ შარაგასის წარწერის განსახილველი მონაკვეთი შესაძლოა მეტი სიზუსტით, ამგვარად ითარგმნოს:

„**მე შევმუსრე კარიბჭე [მთის] მწვერვალის ქვეშ, და ამრიგად დარჩენილი ცოცხალი [ხალხი] გადასახლებული, წინაშე მასქუთ/მასაგეტისა სწრიტის ციხეში, რომელიც სასაზღვრო (მიწა) და ნვლიტ, კლითის ქვემოთ. კეთილი სვე ისევ დამკვიდრდა... ასპაგურის წყეული სახლი ბატონის გარეშეა, (მისი) დაიწვა“.**

**Snryt - მე-9 ხაზი. მასაგეტთა ქვეყნის მახლობლად დადასტურებული ტოპონიმი თარგმანში პრუდომისა და შლაიქერის ნაშრომში იდენტიფიცირებული არ არის, ვფიქრობ, „თსნრტ“ წანარეთს უნდა გულისხმებოდეს, პტოლემეაიოსის მიხედვით, ალბანეთის ჩრდილოეთით წანარები/სანარები ცხოვრობენ [Stevenson 1991: 122]. შარაგასის „წნრიტ“ პტოლემეაიოსის სანარეთთან, ანუ წანართა ტომთან არის დასაკავშირებელი, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კავკასიის სტრატეგიული გადმოსასვლელების კონტროლის საქმეში (მას შემდეგ, რაც ამ თვალსაზრისამდე დამოუკიდებლად მივედი და ტექსტის ეს მონაკვეთიც**

დაწერილი მქონდა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უფრო ადრე მსგავსი შეხედულება, ფრთხილი ვარაუდის სახით გამოთქმული ჰქონდა გრ. გიორგაძესაც, მაგრამ რამდენადაც ტოპონიმ „წნრტ“-ის მასქუთთა ქვეყანასთან სიახლოვეზე ჯერაც არ იყო ცნობილი, მკვლევარს ამ სწორ კვალზე შედგომა განმაზოგადებელი დასკვნით არ დაუსრულებია, იხ. გ. გიორგაძე, ტოპონიმები არმაზის ერთენოვან წარწერაში).

„სომხურ გეოგრაფიაში“, რომელიც მე-7 საუკუნეშია შედგენილი და ემყარება უფრო ძველ, ანტიკურ მონაცემებს, აღნიშნულია: „წანარია, სადაც მდებარეობს ალანთა კარი და მეორე კარი, სახელად წელკანი“ [Тыалларов 2018: 264]. ჩანს, წანარეთი თანამედროვე ყაზბეგისა და ხევის ტერიტორიას მოიცავდა, „მოქცევის“ მიხედვით ირკვევა, რომ თავდაპირველად ამ „ხევის“ სახელი სწორედ „წანარეთის ხევი“ ყოფილა, ეს სინამდვილე ასახულია ოსურ ენაში, დარიალის ხეობას ოსურად სწორედ Saena ერქვა, დასახელება, რომელიც ძალიან უახლოვდება წანარების სახელის პტოლემეაიოსთან ჩაწერილ ვერსიას.

ძველქართულ საისტორიო ტრადიციაში დაცულია რამდენიმე მოგონება ჩრდილო კავკასიელი ტომების მიერ ქართლის მორბევისა და ტყვეების აყვანის შესახებ, რომელსაც ქართლის მეფე რევანშით პასუხობს, საფიქრებელია რომ სწორედ ამ რიგის ერთ-ერთი მოვლენაა ასახული იბერიის პიტიახშ მარაგასის გამარჯვებათა ჰიმნში.

...dyt - მე-9 ხაზი. ამ ტოპონიმს შლაიქერი და პრუდომი კითხულობენ როგორც Nwdyt, მაგრამ Nw-კომპლექსი ძალიან ცუდად იკითხება და მეტად სპეკულაციური რჩება. „dyt“ შესაძლოა დაკავშირებული იყოს დიდოელებთან, რომელთაც ამავე ხანებში პლინიუსი Diduri ფორმით მოიხსენიებს [Grandsagne 1830: 216].

მე-8 და მე-9 ხაზი. მოცემული მონაკვეთის სხვა წევრები სტელის ყველაზე რთულად გასაგებ და ამავე დროს მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ, პრუდომი და შლაიქერი შტილსა და ალტჰაიმიზე დაყრდნობით მას ასე კითხულობენ:

hkyn (იყო ამგვარად) byny (შუაგულში) bgw (სეფექვეყნის) hyl (ლაშქარი) dhy (რომელიც არის) 'tr (ადგილი) wpdyt (დავეუფლე, ამ უკანასკნელი სიტყვის წაკითხვა ეკუთვნის მარკო ფატორის, რომელიც მან ნიკოლა პრუდომს ერთ-ერთი კონსულტაციისას გააცნო, თავის მხრივ კი პრუდომმა ეს წაკითხვა მეც გამიზიარა, თუმცა ჩემის მხრივ ის უკვე მქონდა დადასტურებული აქემენიდური ხანის ტექსტებში) tr' (კარიბჭის) lht (ქვემოთ) hwd (მწვერვალი), wkyn (და ამგვარად) š'r (დარჩენილი) hyh (ცოცხალი), zy (ვინც) gwry (გადასახლებული) lqdm (წინაშე) msknyt (მასქუთისა) btqn (ცხეში) Snryt (სწრითისა) dhy' (რომელიც) msryk (სასაზღვრო მიწა).

მიმაჩნია, უმჯობესია რომ dhy აქ გაგებულ იქნეს მისი ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით - განღვანა, გადარეკვა [Nallino 1988: 72].

ვფიქრობ, ასევე არასწორადაა გაგებული **hwd**, ის აქ დატყვევებას, ხელში ჩაგდებას [\[https://cal.huc.edu/oneentry.php?lemma=xwd%20V&cits=all\]](https://cal.huc.edu/oneentry.php?lemma=xwd%20V&cits=all) უნდა აღნიშნავდეს, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, ამ მონაკვეთის ასეთი გაგების შემოთავაზებაა შესაძლებელი:

და იყო ამგვარად: შუაგულ სეფექვეყნიდან ლაშქარი განვღვანე, დავუფლე ადგილს კარიბჭის ქვემოთ და წარვტყვევე, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები, ვინც [.....] მასქუთის წინააღმდეგ, წანარეთის ცხესთან განვღვანე საზღვრებიდან.

**Nykwry** - მე-10 ხაზი. ბოლო ტოპონიმი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია, სტელაზე მოცემულია „ნეკვრ“ - ფორმით, უფრო მისაღები მეჩვენება მისი წაკითხვის აკადემიკოს გ. წერეთლისეული ვერსია: Nykwry. შტილი და ალტჰაიმი მას მიიჩნევენ სპარსული Nēvak-Vārä-ს გადმოცემად, რაც ლამაზ ცხეს ნიშნავს, ღიმილის მომგვრელია პრუდომისა და შლაიქერის ჰიპოთეზაც, რომ აქ შესაძლოა მაღალ ადგილას მდებარე ცხის აღსანიშნავად გამოყენებული ქართული სიტყვა «ნისკარტი» გვხვდებოდეს

[Preud'homme, Schleicher 2023: 18-19]. შემოთავაზებული ინტერპრეტაციები ენობრივი თვალსაზრისით გაუმართლებლად თამამია, შინაარსობრივად კი არასერიოზული.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ნეკრესი რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა, შეგახსენებთ, ქალაქი ალაზანს გადაღმა მდებარეობდა. პლინიუსის ცნობით, რომელიც პირველი საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს ეკუთვნის, ანუ სწორედ იბერთა მეფე მირდატის მიერ ნეკრის ალების წინა ხანებს, იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი ალაზანზე გადიოდა (რაც გამორიცხავს ლეონტის ლეგენდარულ ცნობას, თითქოს აქ მშენებლობებს ქართლის მეფე ფარნაჯომი ჯერაც ქრისტეს შობამდე ხანებში აწარმოებდა) [Panckouck 1830: 25]. შესაბამისად, ქალაქი ნეკრესი ამ პერიოდში ალბანეთის საზღვრებშია მოქცეული. დურუჯის, ინწობისა და ჩელთის ხეობების მეშვეობით ნეკრესი აკონტროლებდა იმიერ და ამიერ კავკასიის დამაკავშირებელ ყველაზე მნიშვნელოვან გზებს, ამიტომაც სტრატეგიული თვალსაზრისით კარგად გასაგებია, რომ მასქუთებისა და წანარების წინააღმდეგ მებრძოლმა მირდატმა ნეკრესიც აიღო, როგორც უმნიშვნელოვანესი საკვანძო პუნქტი და ფორპოსტი ხსენებული მთიელების კონტროლის საქმეში. ლინგვისტური თვალსაზრისითაც ტექსტის წაკითხვის ეს ვარიანტი ყველაზე გამართლებულია, წარწერის Nykwry ქართულ და ალბანურ ნეკრი-ს, ნეკრ-ის უნდა გულისხმობდეს (შეადარე ძველი ქართული „ეგრისი“ და „ეგურისი“). გასათვალისწინებელია, რომ ჭელიშურ ხელნაწერში სწორედ „ნეკრის“ ფორმა გვაქვს [ქუთათელაძე 2016: 50].

**დასაშვებია მცირედი სხვაობაც ქალაქის ალბანურ და ქართულ დასახელებას შორის, ისე როგორც ძველი ალბანური ქალაქის - თელედას (თელავი) შემთხვევაში. ლეონტი მროველთან შემონახულია გადმოცემა, რომ ნეკრესის თავდაპირველი სახელი ნელქარი უნდა ყოფილიყო, ვფიქრობ, ეს ლეგენდარული ცნობა ხალხური ეტიმოლოგიიდან უნდა მომდინარეობდეს. სახელი „ნეკრესი/ნიკრისი“ ემთხვეოდა სახსრების ცნობილი დაავადების „ნიკრისის ქარის“ სახელს, ქალაქ ნეკრესის სახელის ამ სწულების სახელწოდებასთან დამთხვევამ, პოპულარულ ზეპირ ტრადიციას მისცა ლინგვისტური სპეკულაციის საშუალება, რაც მის „ნელქარად“ გადააზრებაში გამოვლინდა.**

**Msykyt** - მე-10-ე ხაზი. საკმაოდ ზუსტი ჩანს ამ ტოპონიმის წაკითხვა შტილისა და ალტჰაიმის მიერ - **მცხეთა** (სურ. 2).

**ტრანსლიტერაცია:**

1. mlyk mhrdt mlk rb br' zy prsmn mlk rb 'nh śrg
2. br' zy zywh rb wkyn 'nh śrgs pyt [mh]rdt m[lk]
3. mwly whkyn mwl zy mrwt mn whkyn [...] bmsyt hlwk nhdt
4. lw qwbl' kyn lkry my wnš wbynyn whkyn 'm mnw zy mwl [z]y mrwt
5. [...] trytyt(y)/yn(y) kzy 'nh śrgs pytš l[....] shr' hwyn ky[n].
6. myhrdt mlk hy' lqdm msryk wbydy '1 'rmyn mtq
7. mtq byrt tbyt zyn' 'rwst mlk lkh mytyt wkyn kzy
8. hkyn byny bgw hyl dhy' 'tr wpdyty tr' ltht hwd wkyn š'
9. hyh zy gwry lqdm msknyt btqn snryt dhy' msryk ...dyt z[y]
10. ltht 'klyt hkyn btqn bz ysb mytyt twb **nykwry** mtq wdyly by[...]
11. ltt' yhw y wkyn 'nh śrgs gyl [...] lqdm msykyt byrt zy ywnt' lb
12. 't šlyn 'yt rgšyn lkh pqdt zyn' 'rwst bzly lkh mytyt
13. śrgs bt rg zy 'sprwg by mr' ysqt tnrw
14. zyn' 'rwst rwbt

### **ქართული თარგმანი:**

ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, შემოგვთავაზებთ შარაგასის გამარჯვებათა ჰიმნის შესწორებულ წაკითხვას, რომელშიც, ერთის მხრივ გათვალისწინებულია შტილის, ალტჰაიმის, წერეთლის და გიორგაძის წაკითხვები, თუმცა, ძირითადად ეთანხმება და ემყარება შლაიქერისა და პრუდომის ბოლოდროინდელ წაკითხვას, მეორეს მხრივ კი მასში ჩართულია ჩემი დაუზოგავი ძალისხმევაც, თარგმანის შესრულებისას ვცადე მესარგებლა მრავალრიცხოვანი არამეული ლექსიკონებითა და კონკორდატებით, ასევე თარგუმების - ბიბლიის არამეული თარგმანების ძვირფასი და მდიდარი ლექსიკური მარაგებით, რაც კვლევაში სიახლეა და მას აქამდე ადგილი არ ჰქონია.

**იბერთა დიდი მეფის, მირდატ ფარსმანის ძის პიტიახშის, შარაგასის გამარჯვებათა ჰიმნი.**

„მეფეა მირდატ, დიდი მეფე, ძე ფარსმანისა, დიდისა მეფისა. მე, შარაგასი, ზევან უფროსის ძე, პიტიახში ვარ მირდატ მეფისა. ჩემი სამფლობელო სეფექვეყანაა, რომელიც დაფუძნებულია მსიტში. აჰა, ნახუდატზე [... გამარჯვება ] **შენ მოიპოვე [მეფევ]. (1).** წინაშე რუებისა და მთელი ხალხისა და ნაგებობებისა, აგრეთვე სეფექვეყნის ყველა კუთვნილი [...] მაშინ როცა მე, პიტიახში შარაგასი გავემართე მხარის წინააღმდეგ, იყო ამგვარად: მეფე მირდატი გამართა სასაზღვრო [მიწის] წინააღმდეგ და ჩემი ხელით სომხეთში დაიპყრო ერთი [...] მან გაანადგურა ციხე ტბტ, **ქველი იარადით [ეს გამარჯვება] შენ მოიპოვე მეფევ. (2).** და იყო ამგვარად [მაშინ როცა] შუაგულ სეფექვეყნიდან ლაშქარი განვდევენე: დავუფლე ადგილს კარიბჭის ქვემოთ და წარვტყვევენე, ცოცხლად გადარჩენილები, ვინც [.....] მასქუთის წინააღმდეგ, წანარეთის ციხესთან განვდევენე საზღვრებიდან და დიბ (დიდოეთი?) კლტ-ს ქვემოთ. სვეკეთილობა ისევ დამკვიდრდა. **[ეს გამარჯვება] შენ მოიპოვე. (3).** ნეკური განადგურებულ (ნეკრესი?) იქნა, დაე ის იყოს [...] ქვეშე. [...] ამრიგად მე, შარაგასმა გავიხარე მცხეთის წინაშე, გამირთა ციხისა. გული [იყო] მშვიდად შფოთის ჟამს. ჭემმარიტად **ქველი იარადით შენ მოიპოვე [ეს გამარჯვება] შარაგას. (4).** ასპაგურის წყეული სახლი ამოწყდა [...] დაიწვა. ოთხი [გამარჯვება] **ქველი იარადის** სიღიაღით“.

## **II**

### **ისტორიული შინაარსი.**

**მასქუთები/მასაგეტები და ალანები.** შემოთავაზებულ წაკითხვასა და ტოპონიმების იდენტიფიკაციაში იკვეთება ერთმანეთთან დაკავშირებული ლოკაციებისა და ისტორიული რეალიების ლოგიკური წრე. შარაგას პიტიახშის წარწერაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასქუთებთან ბრძოლას, შლაიქერისა და პრუდომის მიერ მითითებული ფაიკულის წარწერა, რომელიც მასაგეტებს იბერიის გვერდით მოიხსენიებს, საკმაოდ მოგვიანო, სასანურ ეპოქას ეკუთვნის, რაც სტელაში მოხსენიებულ მასქუთ/მასაგეტებთან მათ პირდაპირ დაკავშირებას ართულებს, ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაძლოა გამოვიყენოთ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი, შესანიშნავი წყარო, ებრაული წინასწარმეტყველებათა კრებული - სიბილას ორაკული, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდს - I-II საუკუნეებს ეკუთვნის, წყარო იბერებსა და მასაგეტებს ერთად მოიხსენიებს: „მდინარე ევფრატი მოაწევს წარღვნას და გაანადგურებს სპარსელებს, იბერიელებსა და ბაბილონელებს, და მასაგეტებს, რომელთაც უყვართ ომი და ენდობიან მშვილდებს“ [Terry 1899: 43], მომდევნო ორაკულში კი ნათქვამია: „კაპარჭოსანი იბერიელები, მრუდე მასაგეტები და სპარსელები, რომელნიც ფიქრობენ, რომ მეტი არიან, ვიდრე ადამიანი“ [Terry, იქვე 81].

მოცემული ორაკული წინასწარმეტყველებს მეომარი ხალხების შესახებ, მათ რიცხვში „კაპარჭოსანი“ **იბერიელებისა და მასქუთ/მასაგეტების** მოხსენიება მეტად მრავლისმეტყველია. ჩანს, ამ ორ ხალხს უკვე შორს აქვს სახელი გავარდნილი, როგორც მეომარ ტომებს, „რომელთაც უყვართ ომი და ენდობიან მშვილდებს“. მოგვიანო პერიოდში ამ პოლიტიკური ერთეულის გამორჩეულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისილორე სევილიელის (560-636 წწ.) ერთი მოკლე, მაგრამ უადრესად შინაარსიანი ცნობა იბერიის, სომხეთისა და მასქუთთა ქვეყნის მოქცევის შესახებ (არ ვიცი, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ის ჯერაც უცნობი რჩება თუ არა), სადაც ავტორი იბერიის გაქრისტიანებაზე საუბრობს მის რეგიონალურ კონტექსტში, რაც ამ ანგარიშს უმნიშვნელოვანეს ადგილს აკუთვნებს იბერიის გაქრისტიანების შესახებ არსებულ წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში: „Armeni quoque et Hiberi et Masciritae fidem Christi suscipiunt“. ანუ „სომხებმა, აგრეთვე იბერებმა და მასქუთებმა ქრისტეს რჯული შეიწყნარეს“. ჩორის დიდი კარის, ანუ დარუბანდის მფლობელი მასქუთების გაქრისტიანება იბერებთან და სომხებთან ერთად, ახლებურად წარმოგვიდგენს კავკასიის ქრისტიანიზაციის რეგიონალურ პოლიტიკას, გვაწვდის რა ამ ეპოქალური პროცესის უფრო ფართო, სრულ სურათს, საიდანაც ჩანს, რომ სომხეთის, იბერიის და ალბანეთის გარდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებში ჩართული იყო მეოთხე მსხვილი მოთამაშე მასქუთთა სამეფოს სახით [Chronica minora 1894: 476]. ზოგჯერ შეიძლება „მასაგეტი“ ზოგადად ჩრდილოკავკასიელ, ან აღმოსავლეთ კასპიისპირელ მომთაბარეებსაც აღნიშნავდეს.

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან ურთიერთობას. შარაგასის გამარჯვებათა ჰიმნის თანახმად, პირველი საუკუნის 70-80-იან წლებში იბერებმა განდევნეს მასქუთები წანარეთის ციხესთან, მიღწეული შედეგების განსამტკიცებლად იბერთა მეფე მირდატი იპყრობს ალბანეთის ქალაქ ნეკრესსაც, რომელიც ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიიდან მომავალი ყველაზე მოსახერხებელი გზების ეფექტური კონტროლის საშუალებას იძლეოდა. შესაძლოა, იბერთა მეფის ეს სამხედრო ოპერაციები რამდენადმე რომის მიერაც ყოფილიყო მხარდაჭერილი, რომელიც დაინტერესებული იყო კავკასიის გადმოსასვლელების კონტროლით. ამ კონტექსტში ნიშნული ჩანს მცხეთის ბერძნული წარწერა, რომელიც სწორედ მირდატ მეფეს მოიხსენიებს და სადაც საუბარია რომაელთა მოკავშირე იბერთა მეფისათვის მცხეთის გალავნის გამაგრების შესახებ.

1948 წელს კასპიის ზღვის სანაპიროსთან, ბეიუქ დაშში აღმოჩნდა ლათინური წარწერა, რომელიც I საუკუნის 80-იან წლებში, აქ XII ლეგიონ ფულმინატას ყოფნას ადასტურებს. გიორგი მელიქიშვილის აზრით, რომაელთა ეს ექსპედიცია დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იბერებთან ერთად ალბანელების წინააღმდეგ განხორციელებულ ერთობლივ სამხედრო ოპერაციასთან [Furtwängler, Gagoshidze, Lohr, Ludwig 2008: 16]. მკვლევარს ავიწყდება, რომ ამ პერიოდში კასპიისპირეთის დიდი ნაწილი, აფშერონის ნახევარკუნძულამდე, მულანამდე და მტკვრის შესართავამდე მასქუთებს ეჭირათ [Новосельцев 1999: 146], რასაც რეგიონის ტოპონიმაც მოწმობს. აფშერონის ნახევარკუნძულის ერთ-ერთმა პუნქტმა დღემდე შემოინახა მასქუთთა/მასაგეტთა არაბიზებული-თურქიზებული სახელი - მაშტაგა [Ашурейли 1958: 739]. ამავე კონტექსტში უნდა იქნას გაგებული ამიანუს მარცელინესთან შემონახული ცნობა, რომლის თანახმადაც პომპეუსმა არამხოლოდ ალბანელებზე, არამედ მასაგეტებზეც გაიარა: „§ 23.5.16. პომპეუსი, რომელმაც ალბანელებსა და მასაგეტებზე გაიარა" [<https://topostext.org/work/493#23.5.16>].

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლუციუს იულიუს მაქსიმუსის ლეგიონი მასქუთთა მიწის მისაღვომებთან ჩნდება დაახლოებით იმ ხანებში, როცა იბერთა მეფე მირდატი

მასქუთთა წინააღმდეგ იბრძვის, საფიქრებელია, რომ აქ რომელი და იბერი მოკავშირეების საერთო სამხედრო ოპერაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არა ალბანელების, არამედ ალან/მასქუთეთის წინააღმდეგ. პირველი საუკუნის 90-იანი წლებით დათარიღებულ ტექსტში პიპინიუს სტატიუსი განიხილავს რამდენიმე შესაძლო ლოკაციას, სადაც ახალგაზრდა სენატორ ვიტორიუს მარკელუსს შეიძლება გაევიდოდა სამხედრო სამსახური; რაინთან, ბრიტანეთთან და დანუბესთან ერთად აქ დასახელებულია კასპიის კარის, ანუ დარიალისა და დარუბანდის ხაზიც [Bosworth 1977: 227], საიდანაც ჩანს, რომ კავკასიის გადმოსასვლელები ამ პერიოდში უკვე ინტეგრირებულია რომაული თავდაცვითი ხაზების სისტემაში და მასში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილსაც იჭერს.

იოსებ ფლავიუსის ცნობით, 70-იან წლებში ალანები შეუთანხმდნენ კასპიის კარის მკერობელ ჰირკანებს, ისარგებლეს მათ მფლობელობაში არსებული კარიბჭით და შეესივნენ მიდიასა და სომხეთს, რომელიც სასტიკად მოარბიეს. კასპიის კარებში წყაროები დარუბანდის, ან დარიალის კარს გულისხმობენ, მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ რეალურად ჰირკანიის მეფეში იბერთა მეფე იგულისხმება [ინაძე 1955: 317]. ფლავიუსის ცნობა ამგვარი გაგების საშუალებას არ იძლევა, მისი ჩვენებით, კასპიის კარიდან გადმოსულმა ალანებმა ჯერ მიდია-ატროპატენა მოარბიეს, შემდეგ კი სომხეთსაც გადაწვდნენ, სადაც მეფე ტირიდატი მათგან დატყვევებას ძლივს გადაურჩა, მოახერხა რა ერთ-ერთი ალანისაგან ყელზე ნატყორცნი ქამანდის გაკვეთა და გაქცევა. ალანებს რომ ამ დიდი ლაშქრობისას მართლაც დარიალის კარითა და არაგვის ხეობით ესარგებლათ, მაშინ უფრო ბუნებრივად, ისინი ჯერ სომხეთში მოხვდებოდნენ და შესაბამისად პირველად მას შეუტევდნენ და არა მიდია-ატროპატენას, აქედან უნდა ჩანდეს, რომ რეალურად მათ ისარგებლეს დარუბანდის/ჩორის კარითა და კასპიისპირეთის გზით, რომელსაც მასქუთები ფლობდნენ. ამ მარშრუტით ისინი პირველად მართლაც მიდია-ატროპატენაში მოხვდებოდნენ, აქედან კი სომხეთის მოსარბევადაც შეძლებდნენ გადასვლას. ჰირკანიის მეფე, რომელმაც ისინი საკუთარ ტერიტორიაზე გაატარა, და სავარაუდოდ თავადაც შეუერთდა, მასქუთთა მმართველი უნდა იყოს, იქნებ სწორედ ის „წყეული ასპაგური“ რომლის განადგურებასაც შარაგასი პიტიახში იქადის.

სტელის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი წანარეთის ციხეა. ზევით ამ ტოპონიმის იდენტიფიცირებისას უკვე ვნახეთ რომ აქ იგულისხმება თანამედროვე ხევის ტერიტორია და დარიალის ხეობა, მამასაღამე, წანარეთის ციხე იგივე დარიალის ციხეა, იბერიის, სპარსეთისა და რომისთვის უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პუნქტი, მაგრამ ერთი შეხვედრით გაუგებარია თუ რატომ მოიხსენიებს პიტიახში შარაგასი წანარეთის ციხესთან მასქუთ/მასაგეტებს, ამ უკანასკნელთა განსახლების არეალი მოშორებით, კასპიისპირეთისკენ იგულისხმება. ცხადია, შეუძლებელი არაა რომ იბერიაზე თავდასხმისას მათ დარიალის კარით ესარგებლათ, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მასაგეტი/მასქუთი“ და „ალანი“, როგორც ამას დიონ კასიუსთან [Preud'homme, Schleicher 2023: 30] და უფრო ადრე ფლავიუს არიანესთან ვხედავთ, ერთმანეთთან იგივდებოდა ხოლმე, შარაგასის წარწერაშიც შესაძლოა მსგავსსავე შემთხვევასთან გვექონდეს საქმე.

საბრძოლო მოქმედებების არეალი პიტიახშთან განსაზღვრულია, როგორც „სეფექვეყნის შუაგული“, აქ სტრაბონის „შუა იბერია“ იგულისხმებოდა, სპასპეტის, სავარაუდოდ თავად შარაგასის ოლქი - შიდა ქართლი. დარიალის, ანუ წანართა ციხიდან გადმოსული ალან/მასქუთები მართლაც ქართლის „შუაგულში“ აღმოჩნდებოდნენ. საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს მკვლევართა მოსაზრება, რომლის თანახმადაც დედოფლისგორის სასახლე და ტაძარი სწორედ ამ დიდ შემოსევას ემსხვერპლა, შარაგასი საუბრობს რევანშზე



და შემოსეული მტრის განდევნაზე, რასაც ადგილი არაგვის ხეობის აყოლებით - წანარეთის/დარიალის ციხემდე უნდა ჰქონოდა. „კარი“, რომელსაც პიტიანში დაუფლა, შესაძლოა გულისხმობდეს წილკანს/წინკარს. შარაგასი არ დაკმაყოფილებულა წანარეთის ციხესთან/დარიალის კარიბჭესთან მასქუთთა განდევნით, ჩანს, დევნა კარიბჭის გადაღმაც გაგრძელდა, წარწერაში საუბარია მტრის მსხვერპლზე და იბერთაგან აყვანილ ტყვეებზე.

ტოპონიმი *dyt*, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა პლინიუსის მიერ მოხსენიებულ დიდურებს/დიდოელებს შეესაბამებოდეს. დიდოეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული როლი გააჩნდა ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელების კონტროლის საქმეში, რამდენადაც ის ამ გადმოსასვლელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს - ყადორის უღელტეხილს აკონტროლებდა. დიდოეთის ქართლის მეფეთაგან დაპყრობის შესახებ მოგონება შემონახულია ვახუშტისთანაც: „ხოლო თუშნი და დიდონი უკმთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხილავთ, და მოხარკენი მათნი...“ [Brosset 1842: 324].

**ნეკრესი და იბერიის საზღვარი ალბანეთთან.** „ნეკრის“ ალება მეფე მირდატისაგან, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ალბანური ტომების ტერიტორიული ექსპანსიის საბოლოო აღმოფხვრასთან გაძლიერებული იბერიის მხრიდან. ცნობილია, რომ ქრისტეს შობამდე I საუკუნიდან იბერიის აღმოსავლეთ პერიფერიებზე იწყება გაძლიერებული ალბანეთის ექსპანსია. ალაზნისა და ივრის აუზში ჩნდება ამ ნახევრად მომთაბარე ალბანური ტომებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, იალოილუთეფეს კულტურა. იბერიის გაძლიერების ხანაში, ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში ეს კულტურა უეცრად უკვალოდ ქრება [Furtwängler, Gagoshidze, Lohr, Ludwig 2008: 324]. როგორც ფიქრობენ, იბერიის გაძლიერებამ წერტილი დაუსვა ალბანური ტომების ამ ექსპანსიას, რაც იალოილუთეფეს კულტურის გაქრობაში გამოვლინდა. შესაძლოა, მირდატის ექსპანსია ალაზნის აღმოსავლეთით სწორედ ამ მოვლენის საბოლოო ეტაპი ყოფილიყო. საკუთრივ ნეკრესი ალაზნის გადაღმა მდებარეობდა, პლინიუსის მიხედვით კი, როგორც უკვე ვთქვით, საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის ალაზანზე გადიოდა, შესაბამისად, ნეკრესი ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ალბანური პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამგვარი თვალსაზრისის მოსალოდნელი არაერთგვაროვანი აღქმები საზოგადოებაში მაიძულებს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ისტორიული კვლევა-ძიება ვერცერთ შემთხვევაში ვერ იხელმძღვანელებს ეთნოცენტრისტული მოტივაციით, ამასთან, არ არსებობს ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მქონე პოლიტიკური ერთეული, რომელიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში არ ექსპანსირებს, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საუკუნეების განმავლობაში ახდენენ ტერიტორიულ ექსპანსიას მეზობლების, ან სულაც შორეული ხალხების ხარჯზე, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა შუა აზიელი ოღუზი თურქული ტომების მიერ ქრისტიანული ალბანეთის დაპყრობისას. ალბანური კულტურული მემკვიდრეობის ნაციონალური ექსკლუზივის რეგისტრში განხილვა არასერიოზული და პოლიტიზირებული მიდგომაა და თუ მაინცადამაინც ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს სიტყვა, საკმარისია აღინიშნოს, რომ ალბანური სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა შეინარჩუნეს და გარკვეულწილად თანამედროვეობამდე მოიტანეს სომხურმა და ქართულმა ეკლესიებმა. ცნობილია, რომ ალბანური ხელნაწერები გადაარჩინეს ქართულმა და სომხურმა მონასტრებმა; ალბანელი წმინდანების ხსოვნაც, ბუნებრივად, სწორედ ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა შემოინახეს; საგულისხმოა ისიც, რომ ალბანური წარმართული კულტურის ნიშნები ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე დასტურდებოდა.

აღსანიშნავია, რომ იბერიისა და ალბანეთის საზღვრების ისტორიისათვის თემისტიოსთან უმნიშვნელოვანესი ცნობაა დაცული. ვფიქრობთ, ამ მაღალი სამეცნიერო ღირებულების წყაროს შესაფერი ყურადღება არ ეთმობა; აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და ლექსანდრე გამყრელიძემ „გეორგიკების“ პირველ ტომში თემისტიოსის ეს ცნობა თავისებურად, ჩემი აზრით კონტექსტს მოწყვეტილად თარგმნეს. „καὶ δὲ βασιον μὲν στρατηγοὶ Ῥωμαίων Πύλας Κασπίας, ἐξήλασνον δὲ Ἀλανοὺς ἐξ Ἀρμενίας, ἔταπτον δὲ Ἰβήρσιν ὄρους καὶ Ἀλ[β]ανοῖς. ἐπὶ δὲ τοῖσις ἄπανσι τὴν ἐπάσσυμον τῶν ὑπᾶταν ἀρχὴν ἐκαρποῦντο.“ „რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები, განდევნეს არმენიიდან ალანები და საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალანებს“ [იხ. გეორგიკა 1961: 48]. მიუხედავად იმისა, რომ იმ გამოცემაშიც, რომლითაც ხსენებულმა მკვლევრებმა ისარგებლეს, საუბარია იბერებსა და ალბანელებს შორის საზღვრის დადგენაზე, მათ ალბანელთა სახელი აქ ალანად მიიჩნიეს.

ცნობას მრავლისმეტყველი კონტექსტი აქვს, რომელიც დაკავშირებულია ცნობილ ბერძენ ფილოსოფოს თემისტიოსთან. მართალია იგი მე-4 საუკუნის მოღვაწეა, მაგრამ თავისი საფუძვლიანი განათლების წყალობით თემისტიოსი იცნობდა ჩვენამდე მოუღწეველ არაერთ ძველ წყაროს. როდესაც ის დათანხმდა საჯარო სამსახურს, ზოგიერთმა მისი გადაწყვეტილება გააკრიტიკა. სწორედ ამასთან დაკავშირებით, თემისტიოსმა მოიხმო სხვა ფილოსოფოსი სახელმწიფო მოხელეების - ფლავიუს არიანესა და იუნიუს რუსტიკუსის მაგალითი, რომელთაც რომაელი გენერლების რანგში „გაიარეს კასპიის კარიბჭეზე, განდევნეს ალანები სომხეთიდან და დაადგინეს იბერთა და ალბანთა საზღვარი“. აქ აღწერილ ყველა მოვლენას ადგილი ერთბაშად ვერ ექნებოდა, ფარსმანისაგან სომხეთისთვის ალანების შესვლის პერიოდში - 135 წლის მახლობელ ხანებში ურთიერთობები იბერიასა და რომს შორის უკიდურესად დაძაბულია, ამ ვითარებაში რომაელები იბერიისა და ალბანეთის საზღვრებს ვერ დაადგენდნენ, მაგრამ ვითარება დიამეტრალურად საპირისპირო ხდება ანატონინუს პიუსის იმპერატორობისას, „როცა ფარსმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, ანტონინუს პიუსმა გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე დაადგმევინა და უყურებდა მისი ვაჟის და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“ [ლომოური 1966: 83].

ანტონინუს პიუსის მიერ ფარსმანისთვის „სამფლობელოს გადიდება“ შესაძლოა დაკავშირებულია რომაელი ფილოსოფოსების - ფლავიუს არიანესა და იუნიუს რუსტიკუსის მიერ იბერიისა და ალბანეთის საზღვრის იბერიის სასარგებლოდ დადგენასთან, „გადიდებასთან“ (შესაძლოა იგულისხმებოდეს ალაზანს გადაღმა იბერიის ტერიტორიული ექსპანსიის დაკანონება). თემისტიოსის ცნობის სინთეტური ხასიათი ქრონოლოგიის დაზუსტების საშუალებას არ იძლევა, შესაძლოა აქ სხვადასხვა დროს, რამდენიმე ეტაპად განხორციელებული ქმედებები იგულისხმება, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ქართული ისტორიოგრაფიისთვის დიდად ყურადსაღები და მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ფარსმან ქველის მმართველობისას იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვრის დადგენაში რომი მონაწილეობს. ეს ფაქტი საკუთრივ რომის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტშიც დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ ამ მოვლენის შემეცნებითი ღირებულება მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციით არ შემოიფარგლება; არც იმის დავიწყება ღირს, რომ ის ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მონაცემია და ჩვენამდეც მხოლოდ ამის წყალობით მოახერხა მოღწევა - ეპოქის დიდი ენციკლოპედისტი ინტელექტუალები, ფილოსოფოსები - ფლავიუს არიანე და იუნიუს რუსტიკუსი ავლებენ საზღვრებს იბერიასა და ალბანეთს შორის, რაც ბერძნულ-რომაულ

ფილოსოფიურ წრეებში მიჩნეულ იქნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფილოსოფოსთა აქტიური ჩართულობის არგუმენტაციულ პრეცედენტად.

**Mhrdt mlk rb მირდატ, მეფე დიდი.** წარწერაში მოხსენიებული მეფე მირდატის ძმის, უფლისწულ რადამისტის შესახებ ტაციტუსი წერს: „ფარსმანს ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად რადამისტი, ლამაზი, თვალ-ტანადი, შესანიშნავი ძალ-ღონის მქონე და მშობლიურ ცოდნა-ხელოვნებაში (patrias artes) განსწავლული, რომელსაც მეზობლებში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, იგი ისე ცხარედ და ხშირად ჩიოდა, მამაჩემის სიბერის გამო იბერთა სამეფო დამცრობილი რჩებაო, რომ ზრახვებს ვერა მალავდა. ამიტომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოწადინე ხალხის საყვარელი ჭაბუკით შეფიქრიანებულმა ხანში შესულმა ფარსმანმა სხვა იმედებისკენ მიმართა მისი გულისყური და სომხეთზე მიუთითა. თან გაიხსენა, პართელები რომ გაჰყარეს, მან თვითონ მისცა იგი მითრიდატეს.“ [ტაციტუსი, იქვე, 14-15]. შეიძლება ითქვას, რომ ყმაწვილი რადამისტი, მომჩივანი იბერიის დამცრობაზე, წარმოადგენს იბერიის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს, ფარსმანისაგან ამ „ხალხის საყვარელი ჭაბუკის“ მოკვლა მნიშვნელოვანი დანაკლისი უნდა ყოფილიყო იბერიის პატრიოტულ-ექსპანსიონისტური წრეებისთვის, რადამისტის მკვლელობამ ტახტისაკენ გზა მის ძმას, შარაგასის წარწერაში მოხსენიებულ მირდატს გაუხსნა.

შარაგასის სტელა მოწმობს, რომ მირდატის მეფობისას იბერია ექსპანსიას ახდენს როგორც ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით - მასქუთთა და წანართა წინააღმდეგ, ისე აღმოსავლეთით და სამხრეთით - ალბანეთისა და სომხეთის მიმართულებითაც. სწორედ ამას გულისხმობს პიტიახში შარაგასი იბერთა მიერ აღსრულებულ ოთხ დიდ სიქველეში, აქვე ნახსენები ასპაგური და ნახუდატი დამარცხებული და დახარკული მასქუთებისა და ალბანელების მმართველები უნდა იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ მირდატის ზეობისას იბერიის სამხედრო ოპერაციები სხვადასხვა მიმართულებით პრაქტიკულად ახორციელებდა იმ ექსპანსიონისტურ მიდრეკილებებს, რომელიც ადრე რადამისტის ფიგურით იყო სიმბოლიზებული. ამ სწრაფვების ხორცშესხმა მირდატს საშუალებას აძლევდა გამოსულიყო მისი დიდი ძმის, „ხალხის საყვარელი და სახელგანთქმული ჭაბუკის“ ჩრდილიდან, თუ აწ უკვე აჩრდილიდან.

ეპიგრაფიკული ტექსტების გარდა, მეფე მირდატ ფარსმანის ძის შესახებ გარკვეულ ცნობებს შეიცავს ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია. „რაც შეეხება ფარსმანის შემდეგ გამეფებულ მირდატს (ასე ერქვა ფარსმანის შუათანა ვაჟს და ტახტის მემკვიდრეს), ის მართლაც გამეფდა მის შემდეგ. ცნობა იმის თაობაზე, რომ ვითომდა ფარსმანის შემდეგ გამეფდა მისი უფროსი ვაჟი დადამი (ქართველთა ცხოვრებაში მისი სახელი ადამის ფორმით ფიგურირებს), რომელმაც სამი წელი იმეფა, აგრეთვე უზუსტობის შემცველია: დადამი მართლაც მეფობდა სამი წელი, მაგრამ სომხეთში და არა ქართლში, დადამი ფარსმანზე ადრე გარდაიცვალა“ [სანაძე 2019: 214].

ამგვარად, „ფარსმანის შემდეგ გამეფებულ“ მირდატში ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას თავისებურად, ხარვეზებით დაცული აქვს მოგონება შარაგასის წარწერის გმირის - მირდატ ფარსმანის ძის შესახებ. ნაწილობრივ, მისი სახე შერწყმულია მეორე მირდატ/მითრიდატესთან, ფარსმანის ძმასთან, რომელიც სომხეთში მეფობდა. განსაცვიფრებელია, რომ ქართული წყარო მირდატს ნეგატიურ პერსონაჟად და უზურპატორად წარმოაჩენს, ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრედ კი, უფლისწულ დადამს მიიჩნევს, რომელიც იგივე რადამისტია (რაც ჯერაც პ. ინგოროყვამ შენიშნა). ეს დამოკიდებულება ფარსმანის ვაჟების - მირდატისა და რადამისტის მიმართ ძალიან ღრმად და დასაფუძვლებული. ტაციტუსთან ვხედავთ, რომ დიდად სახელგანთქმული რადამისტი ხალხის რჩეული და საყვარელი ჭაბუკია, ეს მასობრივი სიმპატიები

რადამისტ/დადამის მიმართ მრავლისმეტყველად აისახა ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში; აქ ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე რადამისტია, მისი კონკურენტი, შარაგასის წარწერის გმირი მირდატი კი „კაცი ურვილი (ჭირვეული) და მოსისხლე“, ამასთან, კონფორმისტი და უზურპატორი. ტაციტუსის ცნობებზე დაყრდნობით, გ. მელიქიშვილი ფიქრობდა, რომ მირდატის ძმა, რადამისტი, შესაძლოა სასახლის ინტრიგების მსხვერპლი გამხდარიყო [მელიქიშვილი 1970: 515].

სიძულვილი მირდატის მიმართ, რომელიც ძველ ქართულ წყაროებშია არეკლილი, იმითაა გამოწვეული, რომ ფარსმანისაგან რადამისტის სიკვდილით დასჯაში უდანაშაულო არც ფარსმანის მეორე ცოლი, რადამისტის დედინაცვალი ამაზასპუჰი და არც მისი ვაჟი - უფლისწული მირდატი უნდა ყოფილიყო, რომელიც შარაგასის წარწერის „დიდი მეფე“ მირდატია, სავარაუდოდ რადამისტის ნახევარძმა. საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველთან „ჭირვეული“ მირდატის მოსისხლეობაში ბრალდება სწორედ ამასთანაა დაკავშირებული.

თვალსაჩინო ძმისაგან დაჩრდილულ მირდატს ფართო მასებში პოპულარულობით არ უნდა ესარგებლა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მასთან დაკავშირებულ ინტრიგებს შეეწირა მისი ძმა, ხალხის საყვარელი და „დიდად სახელგანთქმული ჭაბუკი“ რადამისტი. ეს მირდატის პროპაგანდისტის გამოწვევა უნდა ყოფილიყო, მას ფართო ლეგიტიმაციისათვის დიდი გამარჯვებები სჭირდებოდა, სწორედ ამ ნიშნულ კონტექსტში ჩნდება მირდატის გამარჯვებათა სტელაზე აღნუსხვის იდეა, მაგრამ რა ზომებიც არ უნდა მიეღო მას ამ მხრივ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი პოპულარული კონკურენტის, რადამისტის სისხლის დაღვრაში გარეულმა მირდატმა ფართო მასების აღქმებში რეაბილიტაცია მაინც ვერ შეძლო. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის Populi memoria-ში ის დარჩა არა შარაგასის სტელაში აღწერილ ძლევამოსილ მეფედ, დიდი გამარჯვებებით, არამედ „ურვილ (ჭირვეულ) და მოსისხლე კაცად“.

ტაციტუსის ცნობა კიდევ ერთი თვალსაზრისით არის საყურადღებო, ავტორი შენიშნავს, რომ რადამისტი განსწავლული იყო მშობლიურ ცოდნა-ხელოვნებაში (Patrias Artes), სავსებით დასაშვებია რომ აქ გარკვეული წერილობითი კულტურაც იგულისხმებოდეს, თუნდაც არამეული, რომელიც ამ ეპოქის იბერიაში რომაელი ავტორის გადასახედიდან მშობლიური ცოდნაც შეიძლება ჩანდეს, ცხადია, რადამისტი გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო, აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფე ფარსმანის კარზე არსებული წერილობითი ტრადიცია (დედოფლისგორის სასახლის ნაშთებში მიკვლეული საწერი სტილები და ბანქოს არამეული წარწერები ამასთან დაკავშირებით მეტყველი არქეოლოგიური მონაცემია). ამ კულტურას, პირველ ყოვლისა უფლისწულები, რადამისტი და მირდატი ფლობენ, რის გამოც, ამ უკანასკნელის გამარჯვებათა ქრონიკა „მშობლიურ ცოდნად“ ქცეული არამეულ-არმაზულით შეიძლება ჩაწერილიყო.

### **სავარაუდო რელიგიური ელემენტები მცხეთის არამეოგრაფიულ წარწერებში და მისი პარალელები ანტიკურ წყაროებში.**

მცხეთის არამეოგრაფიულ წარწერებში, არმაზის მონოლინგვასა და ბილინგვაში სავარაუდო რელიგიური ელემენტების იდენტიფიცირება საგანგებო განხილვას იმსახურებს. ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ შარაგასის მონოლინგვაში მოხსენიებულ kry-ს, რომელსაც შლაიქერი და პრუდომი ჭად თარგმნიან, მაგრამ მისი წყაროდ თარგმნაც შესაძლებელია. შარაგასი კრი-ს მოწმეთა ერთგვარი იერარქიული რიგის სათავეში იხსენიებს, რითაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გახაზავს. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავიხსენოთ წყლის წარმართული ქართული ღვთაება - იგრი, იგრი ბატონი, რომელიც

ქართულ წარმართულ პანთეონში იმდენად მნიშვნელოვანი ღვთაება ჩანს, რომ უძველეს ქართულ კალენდარში მარტის თვეს სწორედ **იგრიკა** ეწოდება. ეგრისის/სამეგრელოს და მდინარე ინგირის სახელებიც ქართველთა ამ ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაების სახელწოდებასთან ჩანს დაკავშირებული. დასაშვებია, რომ შარაგასის წარწერაში „წყარო/kry“ აღნიშნავს არა უბრალოდ წყლის რესურსს, არამედ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში გაღმერთებულ წყალს, სიცოცხლის საწყისს - იგრი ბატონს, რის გამოც მოწმეთა ჩამონათვალის იერარქიულ რიგში შარაგასი მას პირველ ადგილს აკუთვნებს. საგულისხმოა, რომ შარაგასის გამარჯვებათა ჰიმნი ამ მონაკვეთით (kry/წყარო) უკავშირდება ამირანის ქართულ ეპოსს, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი სწორედ წყაროთა მეუფე იგრი ბატონია.

მცხეთის არამეულ წარწერებში რელიგიური მოტივების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მონაცემს გვაწვდის არმაზის ბილინგვის შემდეგი, კარგად ცნობილი ფრაზაც: „...ფარსმან მეფისა, რომელმაც სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა“ [წერეთელი 1992: 48-53]. ტექსტი საკმაოდ ბუნდოვანია, თითქოს აქ უნდა გვქონდეს ცნობილი რომაული ინაუგურაციის ფორმულის: Felicio Augusto, melior Traiano (ავგუსტუსზე იღბლიანი, ტრაიანზე უკეთესი) ერთგვარი იბერიული ექვივალენტი, რომელშიც ფარნავაზი აღებულია საუკეთესო მმართველის საზომად Par excellence, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ ყველა არამეულ წარწერაში იბერთა მეფის საკუთარი სახელი mlk-ის („მეფე“) გარეშე არ გვხვდება, ფარნავაზი განსახილველ წარწერაში მხოლოდ სახელით მოიხსენიება. ვინ იგულისხმება რეალურად არმაზის ორენოვანი წარწერის ფარნავაზში, მმართველი დინასტიის - ფარნავაზიანების განდმრთობილი მამამთავარი - არმაზ/ფარნავაზი თუ წარწერის შესრულების ეპოქის თანამედროვე რომელიმე ისტორიული პირი? ვფიქრობ, აქ რაიმეს გადაჭრით მტკიცებისათვის საკმარისი მონაცემები ამ ეტაპზე ხელთ არა გვაქვს. აქვე მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო ფარნავაზის კულტის შესახებ არსებულ ერთ უნიკალურ ცნობას, რომელიც, რამდენადაც ვიცი, ჯერაც უცნობი რჩება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. 2002 წელს, თურქმა მეცნიერმა მურატ აიღამმა გამოაქვეყნა ერთ-ერთი ბერძნული საფლავ-საკურთხევლის წარწერა, რომელიც იეშილთეფეს მახლობლად იქნა მიკვლეული. წარწერა ახ.წ. 1-ელ ს-შია შესრულებული, ქვემოთ წარმოგიდგინთ მის ბერძნულ ტექსტს (პიერ დებორდის რედაქციით [Debord 2005:16]) (სურ. 3). **თარგმანი:**

„...ნურავინ დაემატება ჩემს სამარხში, თუკი რომელიმე გააზატებულთაგან, ან მის შთამომავალთაგან დააზიანებს ან მიითვისებს, რაც არ უნდა იყოს, იქიდან რაც მე გავეცი, დააზიანებს ბოროტმოქმედი, (ვბრძანებ), რომ გამოსასყიდად კომანას ქალღმერთს ყოველ წელს უნდა შესწიროს ცხრა ქალწული, ცხრა ჭაბუკი, ცხრა ოქროსრქიანი თეთრი ხარი, ცხრა ძროხა, (ცხრა) ცხენი მოოქრული აღკაზმულობით, ცხრა თეთრი ვაცი, ცხრა თხა, ცხრა ოქროს საწმისიანი ვერძი, **ცხრა თეთრი მერცხალი, რომელიც, ასევე უნდა შესწიროს ტიმნასას ზევსს და ზევს ფარნავაზს და ანაჰიტს,** (16) და ამ შემთხვევაშიც მოხსენიებული ღმერთები არ იქნებიან დამცხრალი, მიწა არ გამოიღებს ნაყოფს და ცა არ მოსცემს წვიმას, მზე კი შუქს, ის იქნება წყეული საკურთხევლის გაძარცვისათვის, წარწყმდეს, მოიპოს, აღიხოცოს ფესვებამდე, მოვათავსე ეს ფირფიტა ჩემს საფლავზე“.

ტექსტი ძველი ბერძნული ლიტერატურის მაღალი მხატვრული ტრადიციებით ნაწერი წყევლაა, რომლის მიზანიც ეპოქაში ასე მოხშირებული საფლავთა ხელყოფის თავიდან აცილებაა. წყევლისაგან გათავისუფლების პირობად წამოყენებულია განუხორციელებელი ამოცანა, ძნელად მოსაპოვებელი, ან ზღაპრული შესაწირავების გაღება - თეთრი მერცხლები, ოქროსრქიანი ხარები, ოქროს საწმისიანი ვერძები და ასე შემდეგ. ამოცანის სირთულე დამძიმებულია გეოგრაფიული ფაქტორითაც, მსხვერპლი მიტანილი უნდა იქნას ერთ-ერთ შორეულ საკურთხევლამდე, კომანას ქალღმერთის ტაძრამდე. აქ ნაგულისხმევია

კაბადოკიაში არსებული ქალღმერთ მას კულტი. მა, ანუ დიდი დედა კომანას განთქმული ქალღვთაება იყო, რაც შეეხება მეწყვილე ღვთაებებს, რომელნიც ქალღმერთ ანაპიტთან ერთად ტრიადას ქმნიან - ტიმნასას ზევსს და ზევს ფარნავაზს (მე-16 ხაზი), მათ შესახებ სხვა წყაროებიდან არაფერია ცნობილი, ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცნობილი ძველი საისტორიო ტრადიცია ფარნავაზისა და არმაზის იგივეობის შესახებ.

მოვსეს ხორენაცის ცნობით, წმინდა ნინომ ქართლში „მოსპო ჭექა-ქუხილის მომვლინებელი არმაზდის ქანდაკება, რომელიც ქალაქისგან განცალკევებით, დიდი მდინარის მეორე მხარეს იდგა“, მეორეს მხრივ, უნდა ვითვალისწინებდეთ იმასაც, რომ ელინისტურ აღმოსავლეთში არსებობდა არმაზდ-ზევსის კულტი. მაგალითად, არიანე (რომ არაფერი ვთქვათ ძველ სომხურ წყაროებზე, სადაც სიტყვასიტყვით ზევს-არმაზდის კულტზეა საუბარი) თავის თხზულებებში აიგივებს ზევსსა და აჰურამზდა/არმაზდს [Russel 1982: 207]. მოვსეს ხორენაცის „მეხის მომვლენელი“ არმაზდის კერპიც, რომელიც ნინომ შემუსრა, ცხადია, სწორედ მეხისმპყრობელ ზევსს შეესაბამება (ქართული არმაზისა და სომხური არმაზდის ურთიერთმიმართების საკითხს მადალპროფესიონალურად მ. გველესიანი შეეხო [გველესიანი 2003]). იმის გასაგებად, თუ რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ბერძნულ წყევლაში კაბადოკიის მახლობლად დადასტურებულ ზევს ფარნავაზსა და არმაზდ/არმაზ ფარნავაზის იბერიულ კულტს შორის, უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ბერძნული ტექსტი საუბრობს ორ ზევსზე, როგორც ცნობილია, მითრა/ვაჰაგნი „მეორე არმაზდად“ [Petrosyan 2012: 271], ანუ, ზევს/არმაზდად იწოდებოდა, შესაბამისად, ბერძნულ წარწერაში სახეზეა ღვთაებათა ცნობილი კავკასიური ტრიადა - არმაზდ/ზევსი, მითრა (მეორე არმაზდი) და ანაპიტი.

კიდევ ერთხელ შევაჯეროთ არსებული მონაცემები, განსახილველი სასაფლაო-საკურთხევლის ბერძნული წარწერა, კაბადოკიის მახლობლად ადასტურებს ტიმნასას ზევსის, ზევს ფარნავაზისა და ანაპიტის ტრიადას. კვლევის ჩვენი მიზნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ანაპიტი და არმაზდ/ზევსი მითრასთან ერთად ტრიადას ქმნიდნენ სწორედ კავკასიის წარმართულ პანთეონებში [Mardirossian 2004: 45]. უკიდურესად საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას დაუცავს ცნობა ფარნავაზ-არმაზ/ზევსის ამ კულტის არსებობის შესახებ: „შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა, ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, ესე არს არმაზი, ფარნავაზ[ს] სპარსულად არმაზ ერქუა“ [„ქართლის ცხოვრება“, თაყაიშვილი 1906: 21].

შესაძლებელია თუ არა, I-II-საუკუნეებში კავკასიის მახლობლად დადასტურებული ფარნავაზ ზევს/არმაზდის კულტი დაკავშირებულ იქნას ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობასთან ფარნავაზისა და არმაზის იგივეობის შესახებ? ვფიქრობ შესაძლებელია, მაგრამ სხვა მხრივ ძალიან რთული იქნება მტკიცება, რომ ბერძნული წყევლის ტექსტში მოხსენიებული ღვთაების - ფარნავაზის ისტორიული პროტოტიპი ქართლის განდმრთობილი მეფე ფარნავაზია, ეს შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება. დასაშვებია საპირისპირო ვერსიაც - ქართლის სამეფო სახლისაგან თავის ღვთაებრივ წინაპრად უკვე არსებული ღვთაების - ფარნავაზ/არმაზდის გამოცხადება. ცნობილია რომ ელინისტურ ეპოქაში საკმაოდ ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ ღვთაების სამეფო სახლის წინაპრად გამოცხადება, თუმცა, პირველი თვალსაზრისის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ რამდენადაც განხილული ბერძნული წარწერის გარდა ფარნავაზ-არმაზ/ზევსის გაიგივებას ადგილი აქვს მხოლოდ ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში, სხვაგან კი ღვთაება ფარნავაზის სახელი არსად გვხვდება, უფრო მისადები ჩანს თვალსაზრისი, რომ I-II-საუკუნეების ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული ღვთაება ფარნავაზი იბერიის სამეფო დინასტიის - ფარნავაზიანთა სახლის განდმრთობილი მამამთავარია, რომლის კულტსა თუ

ცოდნას კულტის შესახებ, შესაძლოა პონტომდეც ჩაედწია. როგორც უკვე ვნახეთ, ფარნავაზის სახელი მოხსენიებულია ამავე ეპოქის მეორე, ამჯერად არამეულ წარწერაში (არმაზის ბილინგვა).

I-II საუკუნეები იბერიის აღზევების ხანაა, იბერთა მეფეები რომის ანგარიშგასაწევი მოკავშირეები არიან და ზოგჯერ მათ არც კი ეპუებიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამავე პერიოდში სომხეთის ტახტზეც ფარნავაზიანი მეფეები (მირდატი და რადამისტი) სხედან. ასეთ პირობებში, უმაღლეს ლეგიტიმაციაზე პრეტენზიის მქონე იბერიის მმართველ წრეებში, ფარნავაზიანთა სახლში, შესაძლოა, გვარის ლეგენდარული ეპონიმი ფარნავაზი უზენაეს ღვთაებად განდმრთობილიყო, ფარნავაზის ზევს-არმაზად გამოცხადების შედეგად, იბერიის დიდი მეფეები („mlk rb“) უნდა მიჩნეულიყვნენ უზენაესი ღვთაების ჩამომავლებად. I-II საუკუნეებში, როდესაც იბერიის სამეფო ძღვევამოსილების ზენიტში იყო, ამ პოლიტიკური თეოლოგიის გავრცელებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ნიშანდობლივია, რომ განხილული ბერძნული წარწერა, რომელიც ღვთაება ფარნავაზს მოიხსენიებს, ქრონოლოგიურად სწორედ იბერიის ექსპანსიის ამ პერიოდს ემთხვევა.

### დამატება

#### **მარკუს კორნელიუს ფრონტოს ცნობა იბერიელი მჭევრმეტყველების შესახებ.**

მარკუს კორნელიუს ფრონტო (100-166) ბერბერული წარმოშობის ლათინი რიტორი და ადვოკატი იყო, 140-იან წლებში მსახურობდა კონსულადაც. იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა იგი თავისი შვილობილის, მომავალი იმპერატორის - მარკუს ავრელიუსის მასწავლებლად განამწესა, მისი კორესპონდენციები გავლენიან მეგობრებთან და იმპერატორებთან მნიშვნელოვანი წყაროა ეპოქის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესასწავლად. მას შემდეგ, რაც ფრონტოს ცნობა რომში ჩასული იბერიელი მჭევრმეტყველების შესახებ დამოუკიდებლად მოვიპოვე და ვთარგმნე, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დევიდ ბრაუნდის ნაშრომში მასზე უკვე იყო ყურადღება გამახვილებული (D. Braund, Georgia in Antiquity, 216), მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილ პუბლიკაციაში მოცემული იქნება ამ გამორჩეული და მრავალმხრივი ყურადღების ღირსი წყაროს უფრო სრული და ზედმიწევნითი თარგმანი, ასევე განსხვავებული აქცენტები ქართულ კულტურულ სამყაროსთან მისი კავშირის თვალსაზრისით.

თავისი მოწაფის - იმპერატორ და ფილოსოფოს მარკუს ავრელიუსისადმი საპასუხო წერილში ფრონტო განიხილავს საკუთარ რიტორულ შემოქმედებას და იმპერატორის დამოკიდებულებას მის მიერ წარმოთქმული სიტყვებისადმი, მათ შორის ანტონინუს პიუსის ქებას. სწორედ ამ კონტექსტში იგი გვაწვდის ქართული კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს ცნობას. რიტორთა შორის პირველობაზე პრეტენზიის მქონე ფრონტოს ერთგვარად აღიზიანებს, რომ იმპერატორი მხოლოდ მისი მჭევრმეტყველების დაფასებით არ შემოიფარგლება და უსმენს სპარსელ და იბერიელ მჭევრმეტყველებსაც, თანაც „მათ საკუთარ ენაზე“. უფრო კონკრეტულად, ფრონტოს აქ მხედველობაში აქვს იბერიელი მჭევრმეტყველების მიერ ანტონინუს პიუსის გარდაცვალებისას (161 წელს) წარმოთქმული ქება/დატირება. დიდად საგულისხმოა, რომ გარდაცვლილის გამოსათხოვარი საქებარი სიტყვის ტრადიციას ქართული წყაროები ქართლში სწორედ ამ ეპოქაში ადასტურებენ და მას „გლოვის მგოსნობას“ უწოდებენ, ფარსმან ქველის დატირებასთან დაკავშირებით ლეონტისთან აღნიშნულია: „და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასხდიან **მგოსანნი გლოვისანი**, შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუელესა, სიმუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“ [„ქართლის ცხოვრება“, 1849: 53]. ის გარემოება, რომ რომ მარკუს ანტონინუსმა გარდაცვლილი იმპერატორის - ანტონინუს პიუსის ქება იბერიელი

გლოვის მგოსნებისაგან მოისმინა „მათ საკუთარ ენაზე“, ანუ ქართულად, უნდა მეტყველებდეს არა უბრალო კორესპონდენციაზე ქართლის მეფესა და რომის იმპერატორს შორის, არამედ გარკვეულ ტრადიციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მგოსნებისაგან მარკუს ანტონინუსის წინაშე ქართულად წარმოთქმული გამოსათხოვარი ქება (რომელსაც ბუნებრივია იმპერატორს უთარგმნიდნენ) ზეპირი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც ამავე ეპოქაში არსებულ მგოსანთა იბერიულ სკოლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ანტონინუს პიუსს იბერიასთან რომის ყველა სხვა იმპერატორზე უკეთესი ურთიერთობები ჰქონდა, მან გააფართოვა იბერიის საზღვრები და რომის ცენტრალურ მოედანზე აღმართა იბერთა მეფის ქანდაკებაც, ყველაფერ ამის გათვალისწინებით მოულოდნელი არაა, რომ ქართლის სამეფო კარს იგი სახლეულივით დაეტირებინა. ტექსტი იხ. [Classical Library 1919: 302]. **თარგმანი:**

